ვლადიმერ ბერუაშვილი

ძე ჩონს მინაში მინდა ჩავსვენდე,
მინდა, ჩონი ყვა ეულზე დაძლოს,
მწყურვალს ლიახვის ფაანეს მასმეენდე,
„დამბუნდი!" – ეს ხმა ყიდან ვაძეოს,
ჩვილს ოდისეგნის ფინით მაგსოდენ,
ძჩვილდზე ისაი ალაპ დაძეოს.

ის, რაც ზველიდან პარვიძასკ

ვლადიმერ
ბერეჟაშვილი

ის, რაც გულიდან ამოვიძახე

თბილისი
2019

რედაქტორი

მანანა გოგრგიშვილი

კორექტორი

მაია ცუცქირიძე

ტექსტის ამკრეფი ოპერატორი

გვანცა ლაგვილავა

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა

©ვლადიმერ ბერუაშვილი, თბილისი, 2019 წ.

ISBN 978-9941-8-1661-1

ავტორისაგან

ათი წელიწადი გვაშორებს ქართველი ერის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ყოვლად გაუმართლებელი, უსაბაბოდ თავსმოხვეული ომიდან.

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა სერპარატისტებმა, კრემლში შემუშავებული, მზაკვრული გეგმის მიხედვით, განახორციელეს ცხინვალის რეგიონის ეთნიკური წმენდა — განდევნეს ძველი ეთნოსი — ქართველები! დაღვარეს უცოდველი სისხლი!

ათასი წლის სოფლები გაძარცვეს, გადასწვეს და ბულდოზერებით მიწასთან გაასწორეს. გაზიდეს ნანგრევები — სოფლების გეოგრაფიული მდებარეობის ნიშანწყალის წასაშლელად!

ათი წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნასოფლარებზე ტყეს გადაევლო.

მაგრამ ასი წელიწადიც ვერ დაგვამშვიდებს მშობლიურ მიწა-წყლიდან ბარბაროსულად აყრილ და გამოდევნილ ქართველებს, ჩვენს შვილებს და შვილთაშვილებს.

ყველა დევნილისა და მათი თაობების მარად მტანჯველი, უკან დაბრუნების ფიქრი არის და იქნება!

ყველა დევნილისა და მათი თაობების იმედით მაცოცხლებელი მარადი ოცნება არის და იქნება: დავბრუნდეთ იქ, სადაც ჩვენი ფესვებია, სადაც ჩვენი აკვანი დაირწა, სადაც ჩვენი მამა-პაპანი განისვენებენ.

ყველა დევნილისა და მათი თაობების მარად მტანჯველი კითხვები იქნება: რატომ? რისთვის? რა დავაშავეთ? რა ვცოდეთ? რა ბრალის გამო?

ამ კითხვებს სათანადო პასუხი უნდა გაეცეს, რომ ჩვენსავით მცირერიცხოვანმა ეთნოსებმა ჯოგივით მომრავლებულ მეზობლებისაგან თავდასხმის შიშით არ იცხოვრონ!

ათი წლის წინ ამ ჯოგის მსხვერპლი საქართველო გახდა. გაგვინახევრა სამშობლო, გაგვიბა მავთულხლართები, მცოცავი ოკუპაციით მოიწევს ქვეყნის სიღრმეში და მისი შემაკავებელი ძალა, ვაგლახ, რომ არ ჩანს.

ამ ლექსების კრებულს ვუძღვნი იმ ადამიანებს, ვინც რუსეთის საქართველოზე ვერაგული თავდასხმის მსხვერპლი გახდა!

ვინც მშობლიური მიწა-წყლიდან აყრითა და განდევნით ღირსების შეურაცხყოფა განიცადა.

ეკ. ბერიაშვილი

გულიდან ამოძახილი

მკითხველის სამსჯავროზე ვლადიმერ ბერუაშვილის მორიგი წიგნია, ლექსების კრებული „ის, რაც გულიდან ამოვიძახე“ და როდესაც გადაფურცლავ, ჩაიკითხავ, გაიაზრებ და გაეცნობი ამ წიგნს, ძნელია ავტორს არ დაეთანხმო, მართლაც გულიდან ამოძახილია:

შენი ცის წყნარი წვიმების
წვეთებით დავიცრემლები,
შენს თბილ უბეში, იმედით,
ბალახად ჩავიცელები.
შენი ტაძრების კედლებთან
ობოლ ვაზივით ვიტირებ,
სანთლად შემადნოს მე ღმერთმა,
ყველა შენს ციხე-ქვითკირებს.

ამ სიტყვებით ავტორი მშობლიურ სოფელს, ერედვს მიმართავს და ნიშანდობლივია, რომ წიგნი, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეძღვნება მათ, „ვინც მშობლიური მიწა-წყლიდან განდევნის სიმწარე განიცადა“ და ძნელია არ დაეთანხმო ავტორს, რომ „ყველა დევნილისა და მათი თაობების, იმედით მაცოცხლებელი მარადი ოცნება არის და იქნება: დავბრუნდეთ იქ, სადაც ჩვენი ფესვებია, სადაც ჩვენი აკვანი დაირწა, სადაც ჩვენი მამა-პაპანი განისვენებენ“ და როგორი იმედიანია მისი განწყობა:

მე დავბრუნდები სამაჩაბლოში,
ლიახვს ავყვები მთებში მქუხარეს,
დავეწაფები სადმე დაბლობში,
გულს გამიხარებს, მტრობით მწუხარეს.

ბოლო დროს, დამოუკიდებლობანაზიარებებს, ძალზე ბევრი საფიქრალ-საზრუნავი დაგვიგროვდა. სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ღირებულებათა გადაფასება ყველაზე მტკივნეულად შესაგუებელია. პატრიოტიზმი ხომ მხოლოდ ყანწით ხელში გულზე მჯიღის ბრახუნით არ გამოიხატება. ვლადიმერ ბერუაშვილის ლექსებში ასახული სამშობლოს სიყვარული, მისი ერთიანობის სურვილი, უკეთესი მომავლის რწმენა და რეალობით გამოწვეული განცდა იმდენად გულწრფელია, რომ ძნელია არ დაუჯერო და მასთან ერთად არ განიცადო.

ყოველი ღამის ძილის ზმანებავ,
მწყურვალს ლიახვის შხეფებს მასმევდი,
მზარდეს მე შენმა ცისკრის ზარებმა,
ჩემს ძარღვებს ხვართქლის ნამით ავსებდი.
მქონდა სილაღე და ღვთით ხარება,
როს შენი მიწის მადლით მავსებდი,
მაგონდები და მკლავს მწუხარება,
შენს თბილ მიწაში თუ არ ჩავსვენდი.

დიახ, ყველა ლექსში ავტორი სიყვარულს, კაცურკაცობას, პატიოსნებას, სიწრფელეს უმღერის. მასთან ერთად მზეა, სინათლეა, სიმშვიდეა და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსი, მეგობარ ახლობლების, ოჯახის, სიკეთის და თანალმობის... შეუძლებელია არ ჩაგაფიქროს პოეტის განცდათა სიღრმემ, მეტაფორათა სიუხვემ, ემოციათა მრავალფეროვნებამ, ბუნების საოცარი მოვლენების ავტორისეულმა უჩვეულო აღწერამ, მეტაფორულმა მიგნებებმა და მხატვრულმა გაპიროვნებებმა:

ლოყაზე ცხარე ცრემლი გორდება
შენი ყვავილის წვიმის წვეთივით,
მძიმე დარდივით გულში გროვდება
და შიგნიდან მჩხვლეტს შუბის წვეტივით.

დიახ, სევდიან ჰანგზე გვიზიარებს საკუთარ ნააზრევსა და ნაფიქრალს და რა გასაკვირია თუ სევდიანი და ტკივილიანია ეს ლექსები, მისი ავტორი ხომ ჩვენი უახლესი წარსულის ისტორიული პერიპეტიებისა თუ კატაკლიზმების არა მარტო მომსწრე, თანამედროვე, არამედ მონაწილეცაა და ამ მტკივნეული განცდის მკითხველისთვის გაზიარება სურს. ავტორის მცდელობაა მკითხველის წინაშე წარმოადგინოს საკუთარი შემოქმედება, რომელიც წლების მანძილზე დაუგროვდა და მასში ამ ხნის მანძილზე გადატანილი ყველა ის ტკივილი, განსაცდელი, სიხარული და წარმატებაა ასახული, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე გადაიტანა ჩვენმა ხალხმა.

სულ რამოდენიმე ათეულ წელს ითვლის დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოებრიობა და ამ ხნის მანძილზე ტერიტორიების დაკარგვა, ოკუპაცია, ომი, მოუგვარებელი რეალობა, უმუშევრობა,

მიგრაცია... და კიდევ რამდენი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რაც ასე აწუხებს თითოეულ ჩვენგანს. რა თქმა უნდა, რამდენიმე ათეული წელი ისტორიისთვის ბევრი არაა. ეს ჩვენ გვეჩქარება დალაგებულ და მოწესრიგებულ, ყველა პრობლემამოგვარებულ სახელმწიფოში ცხოვრება, რადგან თაობები მიდიან დაუმსახურებელი უგულებელყოფით, უკიდურესი გაჭირვების განცდით და რაოდენ ნიშანდობლივია ვლადიმერ ბერუაშვილის ლექსად გამოთქმული განწყობა:

ვამრავლე ვაზი, ვენახები ხოდაბუნებში,
დიონისესთან „მუმლი მუხას“ დამიმღერია,
ჯიშად ღვინის სმის ნიჭი მუდამ მქონდა ბუნებით,
სხვისადმი მტრობით გულში სისხლი არ ამმღვრევია.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარკეა და არავის შეუძლია მასში თავისი ბუნება შენიღბოს. სწორედაც ასეთი ერთგული სარკეა წინამდებარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც ნათლად და ღიად იკითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება:

ჩემი გაზაფხულიც მოვა,
მომიკითხავს, მომხვევს მკლავს
და ჩემს ყველა წუხილს, გლოვას
ყვავილებით წალეკავს.

დარწმუნებული ვარ, ვლადიმერ ბერუაშვილის ახალი წიგნი - „ის, რაც გულიდან ამოვიძახე“ მკითხველისგან გულწრფელ აღიარებას და სიყვარულს მიიღებს.

ქანანა ეორგიშვილი

თუ კვლავ სისხლს დაღვრი

ჰუფრინს, ბიძინას

შხამიან თაფლით შეაზავა ბზიფი, ენგური,
შხამიან ენით წაბილწა მან ლიახვი, ფრონე,
შენ, ჩემო მოძმე, რომ იცოდე, რატომ გემდური?
შენი ხელით რომ ფიჩხს უკეთებს ეთნიკურ თონეს.

ხენეშ გულიდან ჩვენზე ბოღმა რომ გამოირწყოს.
გვათვალიერებს, გვზვერავს, გვყნოსავს იალბუზიდან,
იქნებ წამოვკრათ ფეხი რამეს, რომ წამოგვიწყოს
სხვა ეთნოჯანყი და გაბეროს სპილო ბუზიდან.

წაგვკიდებს ბეცი მამლებივით ერთმანეთს ძმებს და,
ჩვენს ჭერქვეშმყოფთა გენოციდში ცილსაც დაგვწამებს.
მავთულხლართებში, ბანერებში სასაზღვრო ძელს დგამს,
ტყავიდან ძვრება, ევროპის გზა, როგორ ჩაგვმწარდეს.

ჩვენს ისტორიას ეს ვამპირი აბუჩად იგდებს:
დაუპყრიაო საქართველოს სოხუმ-ცხინვალი!
ამ კაცის ბოდვას, როცა, ცაში, დედაღვთის იგებს,
მაცხოვრის ნებით, ჩვენ დაგვყურებს მწედ პირმცინარი...
გზას სამართალი, ღვთის შეწევნით, ბნელშიც კი იგნებს
და განგსჯის მკვდარსაც, იყო ქვის ქვეშ, მარად მძინარი.

ვინ შეედავა? უფრო მეტიც, სკამში სპიკერის
ჩაგვისვევს დუმის დეპუტატი ფიანდაზებით,
მან შეიფერა, მოიღერა სიტყვით კისერი,
ჩვენთვის იმ ძველი აბდა-უბდით, ძმრიან აზრებით.
მიუღებელი, შემლახველი ჩვენი ღირსების,
წამოაგდეს და საპროტესტოდ ახალგაზრდებით
მთავრობის სახლწინ, მოედანო, გადაივსები.

„ოკუპაციას არა, არა! — ისმის ძახილი
თავისუფლების დროშების ქვეშ დაბადებულთა,
„ეგ, გავრილოვი, არის თქვენი დიდი სამხილი,
ოკუპანტისკენ გზა თქვენი რომ არ დაგდებულა.
არ გვსურს სპიკერი, რუსეთის წინ თვალ-თავდახრილი.
გადადგეს, ვიდრე ზურგში სახრით არ გაგდებულა!“

თამამ მოთხოვნას ამ ბიჭების ყურს ვინ დაუგდებს?
პოლიციიდან კავშირზეა შუშის სასახლე:
ის ბრძანებს: მაგათ, ცრემლსადენი „გაზი“ ჩაუგდე!
რომ დაიშალნონ, მათში შიშის ზარი ჩასახლდეს,
ღელვა დააცხროს, ხალხით ქუჩა აღარ დაგუბდეს,
მაგრამ მათ შიშით? — არ სჩვევია ჩვენს გვარს და სახელს.

და მაშინ, კისრად აიღეს მათ ცოდვა კაენის,
გაუხსნეს ცეცხლი ახალგაზრდებს, მიზანში, მიჯრით,
კალო გამართეს, სისხლის კალო, აღწერ რა ენით?
შენ, ვინც ბავშვს ესვრი, შე, ბეჩავო, რა დღისთვის იბრძვი?
რომ გაამაგრო სოლოლაკში ტახტი ყაენის?!

ხრუშჩოვის ცხრა მარტს, გორბაჩოვის ცხრა აპრილს და შენც,
შენც მიემატე ძმების სისხლით ოცი ივნისის.
ის მტერი იყო, დღესაც გმტრობს და ხვალაც თოფს დაგცემს...
ოღონდ იცოდეს, კაცმა, სისხლი ღვაროს ვინ, ვისი.

მეტად ბოროტი მგონიხარ შენ, ვიდრე ის რუსი,
შენ სჯიდი შენსას, დაგეგმილი ბართლომეს ღამით,
რახან ახალი ძალის შობით იგრძენი სუსხი
შეუქცევადი, მზარდი, შენთვის საშიში ნაღმით.

ხმა რომ ჩაწყვიტონ, დაადუმო, დასაშინებლად
პროსპექტზე მათი უცოდველი სისხლი დაღვარე,
თვალებდათხრილი გოგო-ბიჭი — მათ სანიშნებლად,
ვინც გაბედავს და განგაშს დასცემს ბუკებს, ნაღარებს.

თუ ამ განგაშით შენს ტახტს ელის ხვალ-ზეგ განწირვა,
სერგოსავით შენც, ვიცი, რუსის ჯარს დაუძახებ.
„ნაცებს“ დასწამებ ჯანყს და ამბოხს, რევანშს მათ წილად
და ჩვენს სამშობლოს ღრმა უფსკრულში გადაუძახებ.

ოკუპაციის პროტესტანტებს ათჯერ, ათასებს,
თავზე დაატყდი ხელკეტებით, მხუთავ აირით,
მათი მოთხოვნა, შენგანაც ხომ უნდა დაფასდეს?..
ნაცვლად ტყვიებით უსწორდები ნაირ-ნაირით.

გათენებამდე გაქცეულებს სდიე ქუჩებში,
ოცი წლის ბიჭებს კეტით სცემდი სისხლის დენამდე,
ტკივილით კვნესა არ ესმოდა ყაენს შუშებში,
თუმცა მხეცობა ცას სწვდებოდა შენი, ზენამდე.

შენ, ვინც მიტინგის დასარბევად ძალას იყენებ,
მართალი სისხლის დაქცევისთვის ხარ კანონს მიღმა
და მე, ერთ-ერთი მოქალაქე შენ ბრალს გიყენებ
ღვთისა და ერის წინაშე, რაც სცოდე შენ, იმ ღამ.

შენ შუბლზე გცხია წმინდა სისხლი ოცი ივნისის...
ტახტისთვის ბრძოლას, არჩევნებში თუკი წააგებ,
საშიში ხარ და გამოსულ ხალხს, არავინ იცის,
ტყვიას დაუშენ, მოწამლავ თუ ხიშტზე ააგებ.

დიქტატორები გაიხსენე ახლო წარსულის:
ჩაუშესკუ და ჰუსეინი, თუნდაც კადაფი...
თუ კვლავ სისხლს დაღვრი, იქვე მზეა შენი ჩასული
და წლებს დაითვლი „მატროსოვის“ ციხის სარდაფში.

23 ივნისი 2019
თბილისი

ჩემო სამშობლო!

შენ, ჩემო სამშობლო, საქართველოო,
წილხვედრო, ჩვენისა, მაცხოვრის დედისა,
რისთვის ხარ, რა ბრალით, თქვი, ჟამთაამთვლელო,
ნაწამებ ქეთევან დედოფლის ბედისა?

არავის ერჩოდი, ამბობს მატიანე,
მაშ, რად მოაჭერი, მტარვალო, ძუძუნი?
სისხლის კალო აქ რად დაატრიალე?
რად დაასახიჩრე ეს ქრისტეს კუნძული?

ჩემო სამშობლოო, შენს მიმართ ამ მტარვალს,
შენ თქვი, ჟამთაამთვლელო, რა ბოღმა აწუხებს?
იქნებ, ის, თავი მან დაიხსნას, ცდას მრავალს,
შედეგი რომ მოაქვს და ჰყრის მის მარწუხებს!

პრომეთეს ყვავილი

იქ დავიბადე, სადაც ზევსმა, ცეცხლის „მიმტანი,“
პრომეთეოსი მიაჯაჭვა ქედზე კავკასის,
მისმა არწივმა, მეამბოხე, ღმერთი ტიტანი,
დაუნდობლად რომ კორტნა წლები მრავალათასი.

მიჯაჭვულ ტიტანს წმინდა სისხლი ღვარად სდიოდა,
ნაკადულივით ჩამოსდევდა ქედების კალთებს,
„რაღა უმრთელებს გულ-ღვიძლსაო-ცას გაჰკიოდა,
მამცნეო, ზევსო, რისთვის სჯიო, შენი რა მართებს“?

ხმას ვინ მიაწვდენს ცათამპყრობელს მიწიერთაგან?
სისხლით ნაყნოსი, ირმის ჯოგის იყო ბღავილი,

ლიახვის პირას, ბალახებში თურმე ერთ მათგანს,
მოუძოვია იქ გაზრდილი სისხლით ყვავილი.

იქ გავიზარდე, სადაც ღმერთმა ზეკარის კლდეზე,
დარეჯანის ძე, ამირანი ზედ მიაჯაჭვა,
ღვიძლის საძიებლად მთის არწივი დაასვა მკერდზე,
ურჩობისათვის საშინელი მიაგო ტანჯვა.

მე მაშინ ვფლობდი ქურაში ცეცხლს, ვჭედავდი ფარ-ხმალს,
აბჯარს ვაწრთობდი ლიახვში და ქვიშით ვფერავდი,
გუთნის ღვედს ვწნავდი და ვადექი სამკალს და სახნავს,
მხედარი ვიყავ, ლურჯა მყავდა ფიცხი, ფეხმარდი,
სისხლისღვრით მტრისგან მიხდებოდა მამულის დახსნა,
თუ მე ერთს მკლავდნენ, მე, ერთი ათს ცხენ-კაცს ვჩეხავდი.

ძველი ბერძენი, სტრაბონი კი ჩემზე აღნიშნავს:
იქ, მიწათმოქმედს, ერთადერთ მკვიდრს მხოლოდ მე, იბერს,
მოწმე ვარ, ვიცნობ ჩემი მიწის დაღსა და ნიშანს,
ამირანი და დევი იქ რომ სამკვდროდ შეიბნენ.
მე მათი ხნის ვარ, პურის ძნით და ვაზის რქით ხელში,
იბერიელი, მე, ათასჯერ იქ სისხლდაღვრილი,
ჩემი ეს მიწა, გამოვლილი ათას ქარცეცხლში,
საქვეყნოდ ვამბობ: — ჩემი სისხლის არის ყვავილი.

ვამრავლე ვაზი, ვენახები ხოდაბუნებში,
დიონისესთან „მუმლი მუხას“ დამიმღერია,
ჯიშად ღვინის სმის ნიჭი მუდამ მქონდა ბუნებით,
სხვისადმი მტრობით გულში სისხლი არ ამმღვრევია.

ასე ვიარე, მე იბერმა, ხუთჯერ ათასი,
წლები, ვიდრე იქ ფეხი დავდგი მე იმ მიწაზე,
დღემდე იქ გაზრდილს, მის დედობრივ უბე-კალთაში,
მისი მთა-ბარი მახატია გულის ფიცარზე.

26 სექტემბერი 2018 წ. თბილისი

ადგილის დედა

„ადგილის დედის საამხვეწრად
სანთელი მიდვა ყბეში"
ვაყა

მომენატრე, როგორც ჩვილ ყრმას ძუძუ მშობელ დედის,
როგორც ირემს მობიბინე ტყის ცვრიანი ველი,
შერისხული ობოლივით გიცდი, გიცდი დღემდის,
ცა გამიხსნა, გადმოვფრინდე. გამახსენო ძველი,
ღამის მეხრის სიმღერა და ძალა გუთნის ღვედის,
ძალა შენი სიყვარულის ღადარივით მწველი,
წმინდა, როგორც ანთებული ტაძრის სანთლის ღვენთი,
გამახსენე დაწურული გემო მტევნის წვენის,
მოწეული ჯიქანსავსე გიორგობის თვეთი,
გამალოკო ჯამის კედლებს შერჩენილი წვეთი,
მიწყალობოს შენთვის ღმერთმა, ჩრდილოური კეთრის
მალამო და განიკურნო და აღდგინდე მკვდრეთით.

გამიხსენი ზეცის კარი იქ, ზეკარის მთებთან,
გადმოვფრინდე შენი მტრედი ისევ პალმის რტოთი,
სიყვარულით ავღუღუნდე შენი ტაძრის ქვებთან,
ოდეს ხელით ვეხებოდი და ბავშვივით ვთრთოდი.

მომენატრა, მოვეფერო შენს ვენახებს, ბაღებს,
წითელ-ყვითელ ყვავილებით გადაფერილ მინდვრებს,
მთებს ალპური მდელოებით, მიბჯენილთ ცის თაღებს,
სულიერსა თუ უსულოს, შენი მიწის მკვიდრებს.

მომაფერე წამოჩიტულ ხუჭუჭთმიან ბავშვებს,
მაყვლის ბუჩქში ჩიტბატონას ღინღლით მოსილ ბარტყებს,
არ შემნიშნონ, დავემალო ბულბულებს და შაშვებს,
და მზეწვიას, მათი სტვენით გული მინდა ჩამწყდეს.

მომანატრე შენი მთების საძოვრები ალპური,
ყოველივე შენი მიწის, სადაც ფეხი დამიდგამს,
მდინარეთა ხეობები, მზე, მთვარე, ცა ზღაპრული,
ყველგან, სადაც შენ ედემში ჩემთვის ტაბლა დაგიდგამს.

მომალოცე ყველა ნიში, ციხე, კოშკი, ტაძარი,
ეკლესია, მონასტრები, გალავნები, საყდრები,
ცა იქუხებს: მე, თქვენთან ვარ! მტერს ეცემა თავზარი,
მომეცემა გული და მეც ყივჩაღივით ავტყდები.“

შემახედე ერედვის მზეს, მთვარეს, ცისკრის ვარსკვლავს,
ზურმუხტისფერ მის ზეცას და ველებს, ბაღებს, მინდვრებს,
მაშინ, როცა ცას შვიდფერი ცისარტყელა აკრავს,
მაისობის დღეებში და ცა ჟუჟუნად წვიმდეს,

მომაძოვე ვით მშიერ ხარს ნამიანი ველები,
ბუჩქების და ოლეების ნორჩი, ნედლი ღერები,
რომ მომეცეს შვილსა შენსა ძალა მტრისა მძლეველი,
რომ დავაფრთხო ყვავები და ყორნები და ძერები.

გამაგონე შენი ზეცის გრგვინვა, ჭექა-ქუხილი,
მეხდაცემით შიშით როცა კრთოდა ყველა სულდგმული,
ყველა, ყველა უშიშარი იყო იგი თუ ფრთხილი,
ტყე, მინდორში გვირილები, შროშანი, თუ სუმბული.

ვეამბორო შენს კესანებს, იებსა და ვარდებს,
შევისრუტავ მათ ფოთლებზე დაღვრილ დილის ცვარ-ნამს,
ესალბუნოს შენზე ფიქრი აუწონავ დარდებს,
რომ არასდროს დამტოვებენ, ცოცხალი ვარ სანამ.

შენს ლურჯ ცაში მონავარდე მერცხლებს შემახედე
და მგალობელ ტოროლას ჯეჯილიდან აფრენილს,
ორბოძელას მთასთან დილის ცისკარს შემახვედრე,
მთებს და ქედებს, ალიონის შუქით წითლად გაფერილს.

დამაყნოსე მაისობას გვირილებს და ზამბახებს,
შორით მყოფმა, დაბრუნება ჩემი მინდა გახარო,
„შვილო ჩემო“ — მეტყვი როცა, „გმადლობ, ღმერთო“ შესძახებ:
„სად იყავი? რომელ მხარეს? ამდენი ხნით სად ხარო.“

მოგეხვევი, დაგამშვიდებ, დაგიკოცნი კალთებს,
„მე, აღზევანს ათი წლის წინ, დედი, გავემგზავრე,
იმ დღიდანვე მოვიწევდი ჟინით, აქეთ. აქეთ!
მაგრამ ვეღარ გამოვიგნე უკან ბნელში გზა მე,

გამიხსენი ზეცის კარი, შავ ღრუბლებით მოცული,
გადმოვფრინდე, ამოგიშრო ცრემლიანი თვალები,
აგერ უკვე შემოდგომა მეათეა მოსული,
რაც უშენოდ წლები მიმდის ტანჯვითა და წვალებით.

ვიცი ვიტირებ

ერედვს

წამოსვლის დღიდან სახსოვრად მაინც,
ხის ფოთოლიც არ გამომყოლია,
რა გვიან მივხვდი: შენს აპრილს, მაისს
ქვეყნად ბადალი არა ჰყოლია.

რა იქნებოდა, ჩუმად, უბეში
ერთი ყვავილი მაინც ჩამედო,
წამომყოლოდა, როგორც ნუგეში,
მოვკვდებოდი და გულზე დამედო.

ოჰ, როგორ ვნანობ მე, შენი შვილი,
შენი რიყის ქვას ერთსაც ვერ დავწვდი,
რად ვიყავ მაშინ, როგორც შეშლილი,
რად დავძაბუნდი, წელში რად გავწყდი?

ლოყაზე ცხარე ცრემლი გორდება,
შენი ყვავილის წვიმის წვეთივით,
მძიმე დარდივით გულში გროვდება
და შიგნიდან მჩხვლეტს შუბის წვეტივით.

ალბათ ვერასდროს გამოგიტირებ,
იქნებ გზა ჩემი სხვა მხრით გამეგნო,
სიკვდილის ჟამს კი, ვიცი, ვიტირებ,
შენი ქვა გულზე თუ არ დამედო.

10 იანვარი 2011წელი

თბილისი

მინდა ავმხედრდე

იმ მწვანე ველზე წამომაგორე,
ოდეს პატარა ჭიად ვცოცავდი,
მთებთან ბურთივით ამონაგორებს,
მთვარეს და მამულს, როცა ვლოცავდი.
სიზმრად, ყრმა, შენს მტრებს გამონაგონებს,
ტარიელივით ლახტით ვხოცავდი,
აგვისტო — შენი ბედი მაღონებს,
ტკივილი მატანს ძვლიდან ხორცამდის,
არ დაულიო, ღმერთო, ძალ-ღონე,
გზა შენსკენ ჩემს ხალხს ტანჯულ მოწამის.

გადამახედე ბერის საყდრიდან,
გადამწვარ სოფლებს გადამახედე,
მამული, ტანზე ბურძგლს რომ მაყრიდა,
თუ აღარ არის უნდა ავმხედრდე!

გადამახედე წვერიახოდან,
ადგილის დედა, ვიცი, ვერ მოჰკლეს,
განდევნილ შვილებს შორით, ახლოდან,
თავის გარშემო ისევ შემოჰკრეფს.

სამშობლოს ჩემსას, მტრის მიტაცებულს,
თლიაყანიდან გადამახედე,
ღალატით ზურგში დანაჩაცემულს,
რომ ვხედავ, ღმერთო, მინდა ავმხედრდე!

28 ოქტომბერი
2015წელი

მიწიდან აღგვილ ერედვს

როდის, ოჰ, როდის ამოვა
ჩემი მზე, ორბოძელასთან?
სალოცავს ზარი ჩამოვკრა,
ხმა მინდვრებს გასწვდეს გრძელადა.

ჩემი ფუფალა ღრუბლიდან,
თუ ისიც ნათლი გამოკრთა,
რამდენ ლექსს დავყრი უბიდან,
რამდენს ბოხჩაში გამოვკრავ.

სულ შენს წინ დავცლი მე, გულის
ზარდახშას, სკივრს და ზანდუკსა,
ვგალობდე შენი გუგული,
ვთლიდე სტვირისთვის ბამბუკსა.

შენი ცის წყნარი წვიმების
წვეთებით დავიცრემლები,
შენს თბილ უბეში, იმედით,
ბალახად ჩავიცელები.

შენი ტაძრების კედლებთან
ობოლ ვაზივით ვიტირებ,
სანთლად შემადნოს მე, ღმერთმა,
ყველა შენს ციხე-ქვითკირებს.

მე წეროს გუთანს გავაბამ,
ხნულს მკერდზე გადაგატარებ,
ღვედზე მძივებად ავაბამ
ლექსებს, გულით რომ ვატარებ.

ლაბა ხარებთან ჩავაბამ
ჩემს ჯალაბს, დიდებს, პატარებს,
ხვად ლომს როკაში დავაბამთ,
ძუ ფლოუს გადაგვატარებს.

8 იანვარი 2016 წ.

თბილისი

მე დავბრუნდები

მე დავბრუნდები სამაჩაბლოში
ლიახვს ავყვები მთებში მქუხარეს,
დავეწაფები სადმე დაბლობში
გულს გამიხარებს მტრობით მწუხარეს.

ველზე გულაღმა წამოვგორდები,
მე ამ მიწა-წყლის ძველი პატრონი,
ნაწოლზე ჩემი წინამორბედის,
ჩემი სისხლის და ჩემი გვარტომის.

შემოვეჭდობი მთებს მაღალ-მაღლებს
მცხეთისჯვრის ტყისას, ორბოძელასი,
მოვძოვ ხარივით მათ იალაღებს
პირიმზის, ქუჩის და ენძელასი.

ავყვები ხევ-ხევ ბერისწყაროებს,
ვნახო საყდრები, ხრამთან ელია,
გავასუფთავებ სანგრებ-ხაროებს
მტრისას, დღემდე რომ არ დამელია.

ავყვები მაღლა პატარა ლიახვს,
გავქელავ შამბებს ჩაბარუხამდე,
აქაც გავივლებ წყალში ტანს, დიახ!
ვიდრე ერთ არაყს გადავხუხავდე.

ტანზე მოვიხვევ ყლორტებს ტირიფის,
რომ გამიყუჩოს ძველი ტკივილი,
მტრედს გადავაფრენ მთების პირიქით,
ქორებს რომ გააქვთ წივილ-კივილი.

მოვეფერები ყველა ჩემს სტუმარს,
ვინც ჩემთან მოვა პალმის ღეროთი,
მე ვარ! შევძახებ ზეკარას მდუმარს,
მე, შენი შვილი, აქ რომ ვმღეროდი.

მე, მგლოვარს შენზე

ვიცი, მრავალჯერ გამიავდრდება,
ვიდრე დავჭკნები, გარდვისახები,
სანამ კალამი გამივარდება
გულში მზით, მთვარით ჩაგისახლდები.

მე, მგლოვარს შენზე, ზამბახ-ვარდებმა
დღესაც ჩამძახეს შენი სახელი,
შემახსენეს, რომ ჯერ არ მთავრდება
ხარკი, ლექსებით გადასახდელი.

მე შენი მთვარე მიდგას თავდებად
და ორბოძელას გადასახედი,
სულ თითო-თითოდ ჩაგეთვალება,
ჩემს გულს რა ვნების ცეცხლში ახვევდი.

ოცნება თუ არ გამეთვალება,
შენს ბაღ-ვენახში კვლავ ჩავსახლდები,
შენ ხომ ბიჭს, ერთ დროს, ლაღს და თავნებას,
შენი მთების ლურჯ ნისლებს მახვევდი.

ყოველი ღამის ძილის ზმანებავ,
მწყურვალს ლიახვის შხეფებს მასმევდი,
მზარდეს მე შენმა ცისკრის ზარებმა,
ჩემს ძარღვებს ხვართქლის ნამით ავსებდი.

მქონდა სილაღე და ღვთით ხარება,
როს შენი მიწის მადლით მავსებდი,
მაგონდები და მკლავს მწუხარება,
შენს თბილ მიწაში თუ არ ჩავსვენდი.

10 დეკემბერი 2015 წ.

გინდა, გადარჩე, ძამიკო?

ზიგჯერ თენდება ძაღლის დღე,
ვაჟკაცს მგლის ცრემლებს მოგადენს,
ვერ მოერიო ხმალ-ხანჯლით,
ისეთი მტერი მოგადგეს.

დასაკლავ კუნძთან მიყვანილ
ტიროდე შვინდა ხარივით,
მიწას დაგთრევდეს მარჯვენა
ვაჟას არწივის მხარივით.

ყივჩაღის ცხენ-კაცს გამჭრელსა
გინგრევდეს ფუძე-ბუდესა,
ცოლსა სწვდეს, შენსა, თმიანსა,
ახევდეს ძუძუ-უბესა.

იარაღაყრილს თვალდათვალ
ავი ზნე ქალზე განახვოს...
ამის შემყურეს, გიჯობდეს,
ღმერთმა ცოცხლობრივ დაგმარხოს.

შენ მოიკელი, ჯარისკაცს
სულ დედას პური აჭამე,
აღჭურვე მეგატექნიკით,
ხომ ვნახეთ, რა მთხლე გვაჭამეს.

მხედარი ათიათასი,?
ასიათასიც არ კმარა,
ისეთ კუნძულზე ვსახლობთ, რომ
მტერი გვარტყია ცხრაკარად.

დრო აღარ ითმენს, ჩაიცვით
შენც და მამულმაც ჯავშანი,
არავინ იცის სად, როდის
ტყვია იწვალებს შაშხანის.

რკინის პერანგი მოქსოვე,
ზევსის ელვამ ვერ გახიოს,
თუ გინდა შენ ცოლს კაბა ზედ
მტერმა ვერ შემოახიოს.

ისეთი შუბი გასჭედე —
დაგჭრიდეს, მისწვდეს მთვარესაც,
შენი ძალ-ღონე იცოდეს,
მტერმა, შიგნით და გარეთაც.

დაუნდობელი დრო მოდის,
გინდა, გადარჩე, ძამიკო?
ნამუსის გარდა, ყოველი
თოფზე გაყიდე ამიტომ.

ყველა ბრმად ვიძმე

ჩემი ბავშვობა, მზეჭაბუკობა
იქ, სოფლად, მინდორ-ველებში დამრჩა,
დამრჩა, რაც ძილში სიზმრებს მიტკბობდა,
ვარსკვლავიც ცაში, ჩემი, რომ გაჩნდა.

იქ დამრჩა გული, ხორბლის ყანების
წითლად ელვარე ყაყაჩოებში,
ლიახვის მთიდან დანაქანების
ტალღებში, ლელში, ტყის ახოებში.

სული ჯერ ზეობს შაშვის გალობით,
ბერის და თხილის წყაროთი სავსე,
იმ სოფლის შვილი, უფლის წყალობით
დაცლილ ხელადას არ დავემსგავსე,
გულს, რომ იფეთქოს თუნდაც წვალებით
წყაროებს შენსას წვეთი-წვეთ ვასმევ.

ჩემი ბავშვობა, მზეჭაბუკობა
სად დამრჩა ვიცი, ვიცი მივაგნებ,
დაუვიწყარმა, მარად უჭკნობმა
მიცადოს, მე, არ დავაგვიანებ.

შენგან გადევნილს, თანამდევს სევდა,
წუხილი, სიპი ქვასავით მძიმე,
და სინანული, რომ ჭირად ჩემდა,
ვინც შემეხისზნა, ყველა ბრმად ვიძმე.

26 ივნისი 2017 წ.

მე შენით მაშინ გავწბილდი

აგვისტო გვიდგას, ბოროტი ძალა
კარზე მოგვადგა ზღაპრულ დევივით,
ყოვლად უსირცხვოდ მიწა-წყალს გვძალავს,
ალესილი აქვს კბილი მგელივით.
ზეგარდმოისაც არა აქვს კრძალვა
მისგან შერისხულ-განდევნილივით.

ღმერთო, მე, მწყემსსა, ბატკან-ცხოვართა,
ამ ძალის შუღლი მაგონებს კაენს,
წარვსდგე, მე, შენს წინ და მაცხოვართან,
სამსხვერპლოს ვზრდი და ვთიბავ მე ყანებს,
ვერასგზით მოვა მის ნაცოდვართან,
ვიდრე უქნია შაჰ-აბას ყაენს,
როგორც შეშლილი, ცოდვით-ცოდვათა
ჩემს მოსაკლავად ლესავდა დანებს.

იქნებ, ჩემს ჩოხას გულთან ყაწიმი
მოაწყდეს ტყვიით, ცეცხლში ვიწვოდე.
სიკვდილთან ჩემი ყოფის ნაწილი
არის და ნურვინ, ნუ შემიცოდებს...

მე, მხარდაჭრილი ვაჟას არწივი
წამოვფრინდები, მტერო, იცოდე,
ჯერ, მაშინ შენით, მაშინ გავწბილდი,
დარიალს მომდგარს ძმა რომ გიწოდე.

14 აგვისტო 2016 წ.
თბილისი

კავკასიონზე გადმოფრენილანო, გვირაბითაც გამოფენილანო

აგვისტოს ქართლში სხვა მზეა, სხვა ცაა,
ვინც ნახა იტყოდა: „შენ ისე ღრმა ხარ“.
წამოიძახებდა: „ესაა რაცაა“,
და განა მარტო ცა? მთლად ბრმა თუ არ ხარ,
გული აგიძგეროს მრავალი სხვაცაა:
მინდვრები, ბაღები, ბარაქით სავსენი,
მრავალი ლამაზი ბექა და გვანცაა,
ქვევრთან, ღვინის ჯამით დაღლილის სასვენი,
გულთბილი გლეხების ოდა და ფაცხაა,
თქვი: „ჰარი, ჰარალე, შეირგე სასმელი“,
გეგონოს სიზმარი, არის და არცაა,
აპრილში ტყემლები, ალუჩა, ატმები,
იის ყვავილების, ტყის მარწყვის აცმაა,
გემოთი, სურნელით, შენ ისე დატკბები,
შესძახებ: „სად ნახოს ასეთი კაცმაა?!“
ბულბული, შაშვები, გნოლები, კაკბები,
ლიახვი, ანკარა, მყინვარის მთაცაა,
ბლები, ალუბლები, თუთები, კაკლები,
რძენაკლულ დედათა ძუძუთა ქვაცაა,
ქალ-ვაჟი, ქორწილი, ლერწამის აკვნები,
მეუფის დიდების რიხის ხმით თქმაცაა,

ჯანში კი სიმშვიდის წამლეკი, ამკლები
„ნამგალო ჩემო“-ს, სიმღერის ხმაცაა,
ჩემი სასოება და სულის ხსნაცაა,
შემეძლოს, სულ თითოდ კალთაში ავკრებდი,
და არა მარტო მათ, მრავალი სხვაცაა.

აგვისტოს ქართლში ამ სხვა მზეს და სხვა ზეცას,
შემოაფრინდნენო ყორნები, ყვავები,
ცა დააბნელესო, რა სჭირდათ, რა ეცათ,
დაუკორტნიათო მზისთვისაც თვალები,

კავკასიონზე გადმოფრენილანო,
შავად დაუფარავთ ფირუზ ცის ტატნობი,
როკის გვირაბითაც გამოფენილანო,
ვირთაგვა მღრღნელები და მათი პატრონი,
მონღოლებივით გამოჩენილანო
ალესილ კბილებით, სხვადასხვა გვარ-ტომი,
ამბობენ, მოსკოვში გამოჩეკილანო,
იგოეთამდისო უქნიათ ნახტომი.

ჰოდა, აღარ არის პატარა ედემი,
დიდი და პატარა ლიახვის ჭალები,
მინდვრები, ყანები, ღუღუნა მტრედები,
მხარ-ბეჭით კაცები, ნარ-ნარა ქალები.

აღარც ის ზეცაა, უძირო-სხვა ცაა,
ვეღარ დაიძახებ: „შენ ისე ღრმა ხარ“,
ბექაც აღარა ჩანს, არც გოგო გვანცაა,
და შიშით შესძახებ: „ბავშვებო, სად ხართ!“

ჩემი ცა, ედემის, უპყრიათ ყვავ-ყორნებს,
ბაღ-ვენახები კი თაგვებმა გადახრეს,
ანგრევენ სოფლებს და ღობეებს, ქვაყორეს,
იქ ჩემი ფესვები, იქნებ და გადახმეს.

ვერ წაშლი ნაფეხურს, ქართველს რომ ოდესღაც
დინოზავრივით მანდ ფეხი დაუდგამს,
და როგორც უშიშარ, მითიურ ოდისევსს,
უწოვა მგელს ძუძუ, ფესვიც ღრმად გაუდგამს.

ერთხელაც, იქუხებს მანდ შავი ღრუბელი,
შხაპუნა წვიმებით ჩამოიწველება,
ჩემი ფესვები კი, მე რომ დავბრუნდები,
ახალი სიცოცხლით ამოიწვერება!

ამ ყვავ-ყორნებისგან, უფალო, მომასწრე,
ვნახო მე ჩემი ცა მზიანი, გახსნილი,
ვავედრო მამული შენს ტაძრებს, მონასტრებს,
ცხინვალი, ტყვე მათი, ციხიდან დახსნილი.

6 ნოემბერი 2017 წ.

არ შემხსნა რკინის კარები

არ შემხსნა რკინის კარები
ზეკარა, იალბუზისა,
არ დამიდუმო ზარები
ბიჭვინთის ტაძრის ფუძისა.

არ დამიწყვიტო ენგური,
ლიახვი, ფრონე, მეჯუდა,
სადაც მარხია ეს გული
და ცა დამნათის მე ლურჯად.

მთებო, ძუძუნი აწოვეთ
წყაროებს ბერის, თხილისა,
ცაო, აწვიმე საძოვრებს
და ტყეებს მუხა-რცხილისა.

არ დამიწყვიტო, გამჩენო,
ფშანები, ღელე-ღულები,
აქ არასოდეს მაჩვენო
ტყვიით ნატენი ლულები.

არ დამიდუმო ჩიტები
მზეწვია, შაშვი, ბულბული,
არ დამიფეთო გვრიტები,
არც გაზაფხულის გუგული.

ღმერთო, მიმრავლე ოთხკუთხივ
ოდა სახლები, კერები
და შიგ ჭიკჭიკა ოთხ-ხუთი
გოგო და ბიჭუკელები.

ნუ გადააგვი ამ მიწას
ჩემი წინაპრის ნაკვალევს,
მაყურებინე ღამის ცას,
მთვარეს, მზესა და ვარსკვლავებს.

აქ ჩემი ფუძის ანგელოზს,
ნებას გთხოვ, ასვა ბადაგი,
მომმადლოს ტყე-ღრე ვაგელვო
ცხენი, კენტავრის სადაგი.

დავაფრთხო ყველა ნადირი,
შუბი ვუწვდინო მთვარესაც,
ვპოვო მოყვარე ნამდვილი,
მტერს ვძლიო შინაც, გარეთაც.

30 იანვარი 2017 წელი
თბილისი



ეღირსებაო ლუხუმსა

მე ლუხუმივით შევდგები
როკა-გუდისის ქედზედა,
რიჟრაჟის ცისკარს შევხვდები,
ლურჯ ნისლს მოვისხამ მხრებზედა,
ნამგალა მთვარეს შევწვდები
ნალად ავიკრა ფეხზედა,
ვარსკვლავნი — ზეცის ბეჭდები
რამდენიც გამიხერხდება,
შენთვის მოვწყვიტო, ვეცდები,
აგინთო ალვის ხეზედა.
ბნელს ნელ-ნელ გამოეცლები,
სუდარაც გადაგეხდება,
შენი მომავლის მერცხლების,
შემოფრენა რომ ფერხდება.

ზეკარის პიკზე დავკიდებ
ფარსა ოჟაი ჯურხაის,
რომ ისევ მყარად დავმკვიდრდე
იქ, ვით მუმლნაჭამ მუხაი,
მიმტვრევდეს უღლის ტაბიკებს
ჩემი ნიკორა ჯურხაი,
ვზრდიდე რა ტალიკ-რა ბიჭებს
ბალანით მგლისა რუხაი,
მოახტნენ შავრა ტაიჭებს,
თან გაჰყვეს უფლის კურთხვაი,
დასცეს, თუ მამულს დასჭირდეს
„ჰკა მაგას“, ვით ცის ქუხვაი!

დაკოდილ მკერდზე გადვივლებ
ფშანებს მცხეთიჯვრის მთისასა,
მალამოდ, მინდვრის ყვავილებს,
მათ ცვარს მაისის თვისასა,
ცოლს წავიყოლებ და შვილებს,
ჯალაბსაც ჩემი ძმისასა,
მახვილს ჩავაგებ, აღვმართავ
ჯვარს, შეკრულს ნინოს თმისათა,
ნიშა ხარებით გავმართავ
გუთნეულს მინდვრის ხვნისათა,
ვახარებ ვაზსა, ჯეჯილსა,
პურ-ღვინოს უწინ ღვთისადა,
და მერე, მთვარის მეჯლისსა
გავმართავ ჯიბრზე მტრისადა.

22 მაისი 2016 წელი
თბილისი

ჩემსას რად ეპოტინები?

რამ გაგამხეცა, რუსეთო,
ასე რამ გაგანადირა,
ვახტანგ მეფემ რა, ხოხობზე
შენს სტეპში გადინადირა?

შუბი შენს მთვარეს ესროლა,
თუ ფეხი შენს მთებს დაადგა?
მაშ, რა სურს შენს შვილს, ჩემს მიმართ
უკეთურ გზას რომ დაადგა?

რამ გაგამწარა ასე და
ასე რამ გაგაბოროტა?
საქართველო რა, ათას წელს
შენ უნდა გადაგყოლოდა?

რამ გაგაცოფა, რუსეთო,
არენის წითელ ხარივით,
იმან, რომ აღარა გყავარ
გვერდში მარჯვენა მხარივით?

მე რა დამკარგა ვინმემ და
შენ მგზავრმა გზაში მიპოვნე?
თუ ხმლით და ნიჯით მოვსდევდი
ისტორიანის ვიწროვნებს.

განძი რამ ხომ არ გგონივარ
შარაგზად ნაყაჩაღარი?
ან გასაცვლელი მონეტა
ბანქოში ნაჩალიჩარი?

ჩემი სამშობლო ვინმემ რა,
ფეშქაშად ხომ არ გაჩუქა?
რომ ვეღარა სთმობ, რაც ძალით
შეგვკრა ნამგალმა, ჩაქუჩმა.

თუ ლამაზები გაგტაცე
ელენე, ყამარ, ნესტანი?
მაშინ, საიდან ეგ ბოღმა,
ეგ შხამიანი ნესტარი?

შენი გაქვს მაშრიყ-მაღრიბი,
მე ჩემი მთების ტინები,
მაშ, რა არ გყოფნის, რუსეთო,
ჩემსას რომ ეპოტინები?

დამწვარი მიწა

ვისთვისღა ბრწყინავ, ცისკარო,
ორბოძელასა მთაზედა?
აქ შენით ვიღამ იხაროს
შენი ციმციმით ცაზედა?

ან მზე ვისთვისღა ამოდის,
ან მთვარე, ღამის ზამბახი?
აქ მიწის დედა გამოდის
და წასულ შვილებს გასძახის:

„გოგო-ბიჭებო, სადა ხართ?
ნათია, გოჩა, ლელაო,
აქ თქვენი ვარდი გადახმა,
ზედ გველმა დაახველაო.

დილით მზე, ღამით მთოვარე,
აქ უსიცოცხლოდ ანთია,
სადა ხარ ცრემლით მგლოვარე
გოჩა, ლელაო, ნათია?“

ვისთვის შრიალებთ, ალვებო,
ლიახვის ფშანის პირზედა?
თქვე მკვდარი დედის მკლავებო,
გაწვდილნო შვილთა ჭირზედა.

ვისთვის მწიფდები, ყურძენო,
ვის უნდა ასვა ბადაგი?
სადა ხართ, ქალნო თუ ძენო,
სად გადაგყარეს, სადამდის?

სალოცავებო ვის ელით,
თქვენი მრევლი აქ სადღაა?
ფუძე, მათი აქ, მტრის ხელით
ნახნავი აღმა-დაღმაა.

მაგრამ მტერს არას შევარჩენთ,
არ გავახარებთ ჩვენზედა,
ავაფრენთ ქორს და შევარდენს
მაღლა, ზეკარას ქედზედა.

ჩემო ლიახვო!

გაზაფხულდება, მოვა მარტი, აპრილი-მაისი,
შენი ჭალები ამწვანდება, ჩემო ლიახვო,
გამახსენდები, მომადგება გულზე ხალისი,
ქვიშა და ლამი, - უფლის მეტი მოწმედ ვინ ვნახო,
შენი ფსკერისა შიშველ ტანზე მე რომ წავისვი,
როგორც თილისმა, სიკვდილამდე უნდა ვინახო,
მგალობელ გულით, მე, ყმაწვილს რომ მკერდში ჩამისვი.

გაზაფხულდება, აივსები, ფაფარს აიშლი,
ზეცა ღრუბლებით და წვიმებით ჩამოიქუხებს,
გამოჭენდები, საჯირითოდ მინდვრებს გაიშლი,
ზეწარივით კი ქართლის ნისლებს წამოიხურებ,
გნახავ შერთულში, შენი შამბის მედოს ბალიში,
გნახავ და ტკივილს გაუსაძლის ამოვიმწუხრებ,
მტერს გამოგტაცო, ბრძოლას შენთვის მე არ დავიშლი,
ავიშლი ბალანს და „ჰკა მაგას“ მეც დავიქუხებ.

ჩემო ლიახვო, შენს ნაპირებს ავყვები აღმა,
შინდისისაკენ შერთულიდან, მე გულმოსული,
არ შემარიგოს მტერთან შენმა დინებამ ლაღმა,
არ დაგთმო, მქონდეს ღვთის კურთხევა ციდან მოსული,
ველარ შემყეფოს შენს ძირძველ შვილს ვერც ერთმა ძაღლმა,
რადგან არა ვარ საიდანღაც მთით გადმოსული.

ავყვები მაღლა, ლიახვო, შენს შფოთიან ტალღებს,
შინდისში შენთვის დაღუპულებს სანთელს ავუნთებ,
ზენა გმირთათვის სამოთხის კარს თვითონ შეაღებს,
ანგელოზებო, ადგილი მათ ტახტთან დაუთმეთ,
ვარდ-ყვავილები მათთვის სთხოვეთ მცხეთელ მებაღეს,
დაუამებდეთ ჭრილობებს და სული გაუთბეთ,
ის, რისთვისაც მათ გულის სისხლით მიწა შეღებეს,
მათ ჯიშს და ჯილაგს, ღმერთს ეხვეწეთ, მალე აუხდეთ.

ჩემო ლიახვო, შენს ფშანებს და შენს გზას ლოცავენ
ჩემი წინაპრის ნაშნები ტაძარ-საყდრები,
ისინიც და შენც ყმაწვილკაცი ვიყავ როცა მე,
მაშინ და დღესაც თქვენ ხართ ჩემი სულის საყრდენი,
გნატრობთ და, ღმერთო, რა დრო მიწევს კიდევ მოცდა მე,
რომ დაგიბრუნდეთ, გავახარო ვაზის ნამყენი,
გულის ფესვი მანდ, რომ მარხია ჩემი ცოცხლადვე,
დღემდე მკვებავს და არასოდეს მას არ ჩავწყდები,
თუ ცამ ინება, მეტს არ ვნატრობ — ჭიად ვცოცავდე
შენს ბილიკებზე და მე სულით აღარ წარვწყმდები,
პირჯვარს ვიწერდე, დღენიადაგ ჩვენ ცას ვლოცავდე,
ორბოძელადან დილის ვარსკვლავს ხელით ავწვდები,
არას ვინაღვლი, მსაჯული მანდ მიხმობს როცა მე,
მხოლოდ მანდ, ჩემნო, სიკვდილთანაც მშვიდად წარვსდგები.

დუშანო!

რამდენი მტერი მყოლია:
თურქ-სპარსი, მონღოლ, არაბი,
მაგრამ შენგვარი ვერაგი
თავს არ დამსხმია არავინ.

მუმლივით შემოსეულებს
ერთი ათს შევრკინებულვარ,
ათიდან ცხრა ამიჩეხავს
რიცხვით არ შევშინებულვარ.

თუ შეგიშინდე, დუშმანო,
შემირცხვეს ქართველკაცობა,
მუხრანთან შემხვდი, გიამბო,
რა ბრალი გადევს, რა ცოდვა.

გამოდი ერთი-ერთზე და,
გამოდი, გიწვევ ტატამზე,
ისეთი დაგცე ბეჭზე, რომ
თვალით ნაპერწკლებს ფანტავდე.

შენ ერთი-ერთზე გეჭიროს
ხმალი სიპქვაზე ნალესი,
თუ მძლიო, შხამად დედის რძე,
შხამად მე ცოლის ალერსი.

შემხვდი, შემები პირისპირ,
თუ მძლიო, იყოს ალალი,
თუ გძლიე, უნდა გაჭამო,
ლიახვის ქვიშა და ლამი.

არ ვარ ჯაბანი, ჯიშად ვარ
ნაწრთობ-აღზრდილი მხედრულზე,
გამოდი ერთი-ერთზე და
ლელოს დაგადებ ზედ გულზე.

მუმლივით შემოსეულებს
ერთ მუჭა ხალხთან რა გიშავთ,
ეს ბიჭი მოკვდეს, ცოცხალი
ერთ-ერთზე თუ გაგიშვა.

ნუ გეგონება, დუშმანო,
შემხვდები ქართველს მშიშარსა,
გაგჩეხავ, როგორც ყივჩაღსა
წვერსაც მივუწვდენ ქვიშასა.

თუ მისწვდი ჩემი ქალების
კაბას, ნაწნავს და დალალსა,
ყოფას განანებ, თავს მოგჭრი
როგორც ნეხვზე მჯდომ მამალსა.

მრავალი დამიწებულა
მტერი, მოსული მახვილით,
„ჰკა მაგას“, ერთ ძახილით
დამფრთხალა, როგორც ნახირი.

ღვთისმშობელი მყავს მფარველი
მე, ჩემს მამულზე მწუხარსა,
დუშმანო, წადი შინ, თორემ
შემხვდები სადმე მუხრანთან.

1 მარტი 2018 წ.
თბილისი

„და უყურეთ, რომ ქართლში ოსები აღარ შემოიპარონ“

ვახუშტი

ასე ბრძანაო, დიდმა მეფემ, ამბობს ვახუშტი,
შენთა წინაპართ ჩადენილი ავი საქმენით,
შენი განდევნით მაღალ ღმერთს ხარკს იმით გადუხდი,
ორას წელიწადს ვეღარ დადგი ფეხი, აქ შენი.
ბუნდოვანია მომავალი, თვალს ვინ გაუწვდენს,
ჩემდაჭირად კი წარსულის ვარ მე გულმავიწყი,
მემატიანე, რასაც შენზე წრფელად გვაუწყებს,
არ იზომება, არ იწონება და არც აირწყვის.

ვახუშტი ამბობს: „და დამშვიდდაო ქართლი ოსთაგან“...
რა სამწუხარო დასკვნა არის ამ დიდი კაცის,
სამას წლის მერეც, ერთიც შენ ხარ იმა ბრბოთაგან,
ვინც თავს დამესხა და სამკვიდროს ხელიდან მაცლის.
იმ გლეხს დაუწვი კერა, ვისაც შეეხიზნე და
გიწილა სითბო, პურის ლუკმა, მიწა, მზე და ცა,
რად განუდექი, რისთვის ებრძვი, რა გაქვს მიზეზად,
გაგემხილა და გზის მოძებნა ერთად გეცადათ.
მდელოს მჭამელი, პაპაშენი, მაჩაბელს ეყმო,
რომ სიყმილითა სიკვდილისგან თავი დაეხსნა,
მეფე სიმონს კი, ღვთის კარნახით ის ნება ეყო,
შემოპარულნი, მთებს იქით კვლავ არ გადაესხა.
ჩემი მტრის მხარზე შემომჯდარი ყელს იღერებს და
იჩემებ იმას, რაც უფლისგან შენ არ გეკუთვნის,
შენს „სივარადას“ ჩემს მიწაზე ვინ იმღერებდა,
თუ არ ატყვია მხვნელის კვალი შენი მეგუთნის?
ახალგორიც კი, სამაჩაბლო და სავახტანგო
„რეფერენდუმით“ ალანიად გამოაცხადე,
დათვთან იცეკვო შენი ტანგო და გადახატო
ქართლი შენს ქარგზე, და რა გულით, მე არ გავცხარდე?
შენ, მერამდენე, ოდითგანვე, ოთხივე მხრიდან
ჩემი მამულის ისტორიის კედლებს თავს ახლით,
ამ ჯაჭვის პერანგს, ცადამდე მართალს უშორეს ხნიდან,
გაუჩნდეს ბზარი ყოველი ცდა მთავრდება კრახით.
ღვთის სამართალი გვიან, მაგრამ ის მაინც მოდის,
დაგსჯის, ადგილის დედის შვილი, იცის, რომ არ ხარ,
მსაჯულს კი ვკითხავ, მამცნოს, შენში მე შევცდი როდის,
იქნებ იმ დღიდან, როცა ჭერი მოგეცი საპყარს.

27 ივნისი 2017 წ.

მე და შენ ბიჭო, ალან!

ერთი მზით ვთბებოდით, ერთი ცა გვეხურა
მე და შენ, ბიჭო, ალან,
ერთ მიწას ვხნავდით და ვთესავდით გლეხურად,
გაგვყარა ახლა რა ძალამ?
ერთად გვიცეკვია „სიმდი“ და „ხორუმი,“
ტანზე რომ გვიშლიდა ბალანს,
გვისვამს ატენური, თუ მწვანე გორული,
„ვარადას“ ვმღეროდით მრავალს.
მოგნათლე წარმართი, ქრისტესი ზიარი
შენც გახდი, ბიჭო ალან,
ბნელში, დღეს ჯვრით ხელში, ის შენთვის მზე არის
და არა თხის თავის ქალა.
გასწავლე ანბანი, ნართების ეპოსი
ვასთირჯ, ურუზმაგ და სოსლან,
გაიცნე გმირები შორეულ ეპოსის
„ანი“ და „ჰოეს“ ასოთგან.
მეუფე გვყავდა ჩვენ ერთი და მეოხად
წმინდანი, გიორგი შუბით,
ყივჩაღი, მუხრანთან თუ ვინმე შემოგვხვდა
ხმლით გავუჩეხეთ შუბლი.
იყო დრო, ჩვენ ერთად შაჰთან თუ სულთანთან
გადაგვიხდია ომი,
ქართული მიწა შენც დაგქონდა გულთან თან,
არ იყავ განზე მდგომი.
ჩვენი წინაპრები, დიდმეფე დავითის
იყვნენ მხედრები, ალან,
სისხლით რომ დაიცვეს სამშობლო თავისი,
დიდგორის ველზე წვანან.
გამოხდა ხანი და გამოჩნდა ურუსი,

ყურში ჩაგძახა რაღაც
და უმალ, ჩვენს შორის ჩამოწვა ბურუსი,
ვეღარ აზროვნებ საღად.
ისეთი რა გითხრა, ისეთს რას შეგპირდა,
ჩემგან არ მიგეღოს, ალან,
მას სიტყვა მყიფე აქვს, ვიცი მე, ზეპირად,
ღირს ერთ ხმელ კონა ჩალად.
ოდესღაც სტუმარი გულღიად მიგიღე,
გიწილე, რაც მქონდა ძმურად,
მადლს ჩემსას თურმე არ ეწერა დიდი დღე,
თქვი მაინც, რისთვის გძულვარ.
ვიცოდი, როდის მან უბეში დიდი ქვა
ჩაგიდო, ბიჭო, ალან,
იმას, რაც შესცოდე — ნაწყენმა მინდა ვთქვა:
თავს ვერ დააღწევ მშრალად.
აფხაზი, ჩეჩენი, ვინ აღარ მტრად ჩემდა
განაწყო და შენც, ალან,
„შენც, შვილო, ბრუტუს“?
ცეზარს ვინც ხანჯლით ჩეხდა
ღალატად ჩაეთვალა.

ჯარო, ჰეი, ჰაიდა!

ორიათას რვა წლის ომი,
ცხელ აგვისტოს დღეები,
მტერი აქვე, სახლთან მდგომი
როკის, ჯავის ტყეებში,
ქართლში ლამობს შეჭრას მგონი,
მის სივრცე-სიღრმეებში,
სარდლობს ჯარებს თეთრი გნომი
„კაკებეს“ სამხრეებით,

განუზომელ დიდი ღონით,
დაგეგმილ მახეებით,
სწრაფვა არსად განაგონი
მიზნისკენ გახელებით,
რომ ხელთ იგდონ ცხინვალ-გორი
მხოლოდ ერთ ჩახველებით.

თლიაყანის ქედმა როცა,
მზის გვირგვინი დაიდგა,
როცა ია გამჩენს ლოცავს
ცის ნამი რომ ჩაიდგა,
გნომი ბრძანებს, „კმარა მოცდა“,
„ჯარო, ჰეი, ჰაიდა“!
და მოედვნენ, როგორც მკალი
ლიახვისპირ სოფლებს,
ვინ იკითხოს თქვენი ბრალი?
ან ვის შეაშფოთებს?
ქუხილით სდით ცეცხლის ალი
ზარბაზნებს და თოფებს,
მთელ ხეობას ასდის კვამლი,
განა ორ-სამ სოფელს?

რჩება სისხლი, გროვა ნავლის
მათ გადმოყრილ ცოფებს,
ვეღარ ნახავ კაცს გზად გავლილს,
მხოლოდღა თუ ოთხფეხს,
ვეღარც გლეხკაცს, გოდრით ჩავლილს
ვაზის ყურძნის მომკრეფს,
ვეღარც ქალსა ტანად ალვის
ამ ტკივილის მომთქმელს,
რომ დასწყევლოს რბევით გავლილ

ჯარს, მათ ფესვის მომთხრელს.
შემოსევა რუსის ჯარის
ჰგავდა მოსვლას მეორედ,
არაფრის არ ჰქონდათ ჯავრი
არც სარდლებს, არც მეომრებს,
არც რამ შიში, არც ღვთის მსჯავრი,
როგორც მეფე ჰეროდეს,
ნება ჰქონდათ და ვინ დასჯის?
უფრო ჯილდოს ელოდნენ.

ქართველებს კი, როგორც ქართველს
დაუნდობლად კლავდნენ,
მონადირე, როგორც არჩვებს,
როგორც სამხვთო კრავებს,
ქართველს, როგორც ამ მიწის და
შვილს ადგილის დედის,
მტერმა კარგად იცის ეს და სისხლდენამდე დევნის.

ათი წლის წინ ორმა ტომმა
გულზე გადამიარა,
ერთის მესმის, სხვა რად მმტრობდა,
რად მჭირს მისგან იარა?

26.06.2018 წ.

ჩვიდმეტი შინდისელი

შინდისმაც ცხადჰყო, რომ ჯიშად ჩვენ,
თვით ვეფხვთან მეომრის მოდგმის ვართ.
ასეთი სულისას რა უნდა გვიშავდეს?
ასეა!
დასაბამიდან ასეთნი მოვდივართ.

ასეთი სულით და აზარტით შინდისთან,
მტრის ტანკებს ვესროლეთ „მუხები“, „გრანატა“,
დავწვით და ბოლომდე დავრჩით ჩვენს სინდისთან,
სიკვდილით-მამულის დამცველის გარანტად.

პირისპირ ვიბრძოდით, წუთიც არ ვაცადეთ,
ვჯობნიდით მიზანში, წვრთნები აქ გამოდგა,
ასეულს ვებრძოდით, სისხლისგან დავცალეთ,
რაციით ყვიროდნენ: „**подмога**“ „**подмога**“.

მივხვდით ჩვენ, დრო დადგა ანგარიშსწორების,
სიცოცხლით უნდა ვზღათ ეს სულისკვეთება,
მტერო, ბუდეებს ასაფრენ ქორების
ვერ მოშლი-წყალი ხმლით არ განიკვეთება!

მამულის სამსხვერპლო დღეს შიდა ქართლშია
და ჩვენ მას ჩვიდმეტნი გულიდან სისხლს ვაღვრით,
მოვლენ აქ, ხუთჯვრიან დროშებად გაგვშლიან,
ხმამაღლა იტყვიან: ქვეყნისთვის ვინ რად ღირს,
დადგამენ ობელისკს, დედას შავთავშლიანს
და საძმო სამარეს ცხარე ცრემლს დაგვაღვრის.

ტყვიებით, ნაღმებით დაფლეთილ მათ გვამებს,
ქართლის ცა ჟუჟუნა წვიმებით გლოვობდა,
ცრემლად ჩაეღვარა იმ მიწას, ნაგვალევს,
სადაც ამ მხედრების გზა დაბოლოოვდა.

მაოხრებელ სტუმარს

რა მოგქონდა, გენერალო, ხრულოვ, მაშინ,
როცა ქართლში მოუძღვოდი მოძალადე ჯარებს,
პალმის რტოთი მოდიოდი თუ საომარ მარშით,
რად უსევდი მგლებს, კრავივით მშვიდობიან მხარეს?

რა გინდოდა, გენერალო, შენ კვერნეთის გზაზე?
შენს უკან მდგარ აღაგზნებულ, გადამთიელ ბანდებს?
რას ეძებდი აგვისტოს მზეს ივერიის ცაზე?
გსურთ, მნათობი, ყველა ხალხთა თქვენი ციდან ჩანდეს?

ცოდვის გზაზე, როგორც კაენს, მოყმე აბჯრით დაგხვდა,
დააქუსა ყუმბარმტყორცნი, შენს კოლონას დასცა,
დაგჭრეს, სისხლი შეგიჩერონ, გიწევს შარვლის ჩახდა,
გული, შიშით შეგიტოკდა, ტანში ცივად გაგცრა.

მასპინძლობა, შენისთანა მაოხრებელ სტუმარს
პურმარილით, გენერალო? — ყუმბარტყორცნით უნდა!
და ისეთსაც, ჩემს მამულში, ვინც შემოდის მტრულად —
მიწა ეცვას ქალამანად, ცა ეხუროს ქუდად.

მახვილით ხარ მოსული და მახვილითვე დაგხვდი,
გაიქეცი, გაერიდე, გაასწარი სიკვდილს,
ჩემი მიწა მაოხრებლად შემოსული დათვი,
რომ არ მოგკალ, გენერალო, ეს როგორ არ გიკვირს?

მოროდიორთა არმია

ქართული ჯარი სტოვებს ცხინვალს და
დამარცხებული გორისაკენ იხევს,
მტერი ჩვენს ბიჭებს ტყვიით ცხრილავდა,
როგორც ჭიუხის ვერძებს და ჯიხვებს.

რიცხვით მეტობას ლელო გაჰქონდა,
ოდითგან ქართველთ თავში საცემი,
ჯარს, მტკიცე კედლად ზურგი არ ჰქონდა,
კორდინატების იყვნენ გამცემნიც.

გულ-მკერდ დაფლეთილ ქართველ მეომრებს
ხდიდნენ სამოსელს, ჩაფხუტს, „ბათინკებს“,
ეცილებოდნენ ერთი-მეორეს,
ვინ მეტს გარეკავს თხებს, ცხვრებს და ციკნებს.

დაცლილ სოფლების სახლებს, სარდაფებს
ძარცვავდა ჯარი, ცხადლივ თუ მალვით,
იგოეთამდე სცემდნენ დაფდაფებს,
ნადავლს ზიდავდნენ როკაზე გავლით.

დასწვეს სოფლები, ბევრი მხცოვანი
საკუთარ სახლის ცეცხლში დაბუგეს,
იყო ბრძანება, რისხვით ხმოვანი,
ერთიც უკან რომ ვეღარ დაბრუნდეს.

ველურობით, რაც ჩვენს ხალხს დამართეს
ის აისბერგის მხოლოდ პიკია,
ზეცაო, შენც კი, რისხვით აგანთებს,
რა ბრალიც ამ ბრბოს კისრად ჰკიდია.

როგორ შეირგებ შენ ჩემს ბარაქას,
ჩემს მიწას, ჩემი სისხლით გაჟღენთილს?
მახსენებ ძელზე ყაჩაღ ბარაბას,
ჯვარცმასთან, ჩემსას, სანთელს დაღვენთილს.

ბოროტი ძალა

მოედვნენ შიდა ქართლს ცეცხლით და მახვილით,
რას აღარ სჩადიან, რა აღარ იკადრეს,
„გვიშველეთ!“ — ცას სწვდება ქალბავშვთა ძახილი
და მაინც ესვრიან „კასეტებს“, „ისკანდერს“.

გადასწვეს გორი და ტყეები, ყანები,
სროლის ხმა აყრუებს ქუჩებს და მოედნებს,
როგორც მსხვერპლს სვავები, ძერები, ყვავები,
სოფლებს და ქალაქებს მუმლივით მოედვნენ.

გადაითარეშეს გზები და ტრასები,
სისხლი სდის ჩემს მიწას, ურდოთა ნაკვალევს,
ცოტაც და ბიბლიის კაენის მსგავსები,
სამშობლოს და თბილისს კრავივით დაკლავენ.

და მერე, ნახე შენ, რამდენ ჯამს შეხვრეპენ
ურჯუკნი, სისხლს ნადენს გულ-მკერდის ძარღვიდან,
ის აღარ შეგაკრთობთ, ვინც მაშინ ემსხვერპლნენ,
ლეგენდად მონათხრობს შორეულ წარღვნიდან.

მე გამახსენდა წარსული დრო, მონღოლ-არაბი,
ვხედავ, თურქობა დიდრუსობამ როგორ შეცვალა,
ჭირისუფალი, როგორც მაშინ გვყავდა არავინ,
ამ ნადირის წინ დღესაც დავრჩით მარტოდ, ერთცალად.

მაგრამ სანთელი სიმართლისა და საკმეველი,
გზას არ დაკარგავს, გზას წყვდიადში მაინც გაიგნებს,
ბოროტი ძალა, უფლის ნებით დასაძლეველი
კართაგენია და ის მალე უნდა დაინგრეს!

17.08.2008 წ.

დარეჯანის ძე

ღმერთმა გვაჩუქოს დარეჯანის ძე,
დევი დასცეს და დააღრიალოს,
ქართლში, ზეკართან, ზევსის მეხივით
ხირიმის თოფი დააგრიალოს,
წამოუფრინდეს ბრჭყალბასრ ვეფხვივით
და სასიკვდილო შეჰკრას ირაო,
მე კი, შემფოთლოს კვლავაც ვერხვივით
და ჩემს მამულში ამაშრიალოს.

როგორც აქტეონს, ჩემო სამშობლო,
შემოსეული გგლეჯდნენ ძაღლები,
ვით ზვარაკს, ანდა საკლავს საშობოს,
შენი სისხლით და ხორცით მაძღრები.

„არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა,
და არც რამ გაუხარია“,
წინაპრის ხმაა — სული მზევდება,
რა გამსჭვალავი, რა მქუხარია!
დარეჯანის ძე მთებზე შესდგება,
და აქ რაც დევის ნაოხარია,
ბაღ-ვენახებით კვლავ დამშვენდება,
გადამთიელს კი ნუ უხარია,
არ გაიხარებს, გადაშენდება.

8 დეკემბერი 2015 წელი.
თბილისი

შენ დაჭრილი ხარ

დაჭრილი ხარ და მხარს ძლივს მიათრევ,
თავს დაგტრიალებს თეთრი არწივი,
აგვისტოს ომი, წელი მეათე...
ვერ გაძღა შენი ხორცის ნაწილით,
ვიდრე ბუდეში მთლად არ შეგათრევს,
წლებია მის გულს ხრავს ეს წადილი.

აგვისტოს ომი, მეათე წელი
სისხლი ჩქეფს შენი ორი ძარღვიდან,
შენთვის აღმართა მან ჯვარცმის ძელი,
შენსავ მამულში, ძალით გჯაბნიდა
და მოიტაცა ტაძრის ქვა ძველი,
ნათალი, ღმერთო, შენი წარღვნიდან.

შენი აღდგომის დროც მალე მოვა,
ვოჟას ფარს ქარზე შეაჟღრიალებ,
მოგივლის ჟინი მამულზე მგლოვარს
და საომარ ეტლს შეაგრიალებ
იქ, სადაც შენი ფესვი მოკვეთეს
მთვარეს პირუკუ შეატრიალებ,
და ყველას, შენსას, მტერს და მოკეთეს
გულზე დააწერ მემატიანეს.

ღვთის მადლით გავზრდით მოზვერა ბიჭებს,
ვოჟას ფარი რომ შეაჟღრიალონ,
მოახტნენ ეტლში შებმულ ტაიჭებს,
მამულში ბრძოლით შეაგრიალონ.

9 აპრილი 2018 წელი.
თბილისი

გიორგი ანწუხელიძეს

ცხინვალში ოსი სეპარატისტების მიერ წამებით მოკლულ ქართველ ჯარისკაცს

შენ გამახსენე მონღოლთა ურდო
და ნაწამები დემეტრე მეფე,
ერთი-ერთზე ჰგავს ჯალათი თუ დრო.
ცხინვალში დღესაც ერთ ხმაში ჰყეფენ.

შენ ჯარისკაცმა ტანჯვით, წამებით
გადაიარე შენი აღმართი
და სისხლით სავსეს ჩვენი მამების,
სიმტკიცით სძლიე მტერი წარმართი.

რა აღარ სცადეს, რით აღარ გტანჯეს,
ქართულ დროშისთვის ფეხი დაგედგა,
იცოდნენ? ზეზვას, გიორგის, ჯარჯებს,
ძარღვში იბერის სისხლი რომ გედგათ?

წელში გამტვრევდნენ, გათოკილ მავჯებს
ალალი სისხლი წვეთებად სდენდა,
შენ გაუძელი, შენ სძლიე სასჯელს,
რადგან თვით ქრისტე იყო მწედ შენდა.

წელში გტეხავდნენ, ფეხით შეგდგნენ და
ეგ ხერხემალი მათი ძვლისაა,
ვინც ჩვენთან დარჩა ნათელ ლეგენდად:
მარტყოფელ, მარაბდელ და ცხრა ძმისაა.

არაგველები შენი ძმებია,
შენში ვაზივით გადაწიდნულნი,
ეგ ხერხემალი მათი ძვლებია
და საქართველო ზედ აკინძული.

შენს ლაღ სიცოცხლეს, წყაროდ მჩქეფარეს
არ დაივიწყებს შენი მამული,
შენი სული იქ, ღმერთთან ნეტარებს,
იქ, სადაც ღუის ცა მეწამული.

მამულზე ფიქრი ფასით მეტია
ვიდრე წამებით სიკვდილის შიში,
სამშობლო, ჩვენი ნათლის სვეტია,
ყოველ ქართველთა მოდგმის და ჯიშის.

არ დასცალდებათ, გიორგი, თუკი,
არ დაგველევა შენებრ მამაცნი,
ვიცი, შენ, მკვდარიც, გასძახი ბუკით:
„მტერო, აქ ბოგინს ბევრს არ დაგაცდი!“

20.09.2015 წ.

9 აგვისტო

წვერიახო, თლიაყანა

ვდგავარ ჩემი ოცეულით, თუთისანიც მახლავს თანა,
სათვალთვალოდ მაღლობები: წვერიახო, თლიაყანა,
ცხინვალს ზემოდან დავყურებთ ჩვენ, საქართველოს მხედრები,
ჩვენი მამულის დარაჯნი, ხატზე ლოცვით და ვედრებით.

შევამჩნიეთ ოთხი-ხუთი ნაღმსატყორცნი ცოტა ქვემოთ,
დავიფიცეთ, გაგამწარებთ ჩვენს მიწას რომ გვტაცებთ, ჩემობთ,
ხევ-ხევ ჩოქვით, ზოგჯერ ხოხვით შემოვარტყით ჩუმად ალყა,,
შურისგება ჩვენში ძალუმ აიქოჩრა, აიყალყა.

არ ელოდნენ, დავარტყით და ავადინეთ ზურგზე ბოლი,
ამოინგრა მათ ფეხთაქვეშ ვერხვის ჩრდილში მწვანე მოლი,
გამოერკვა მალე მტერი, შეგვებრძოლა თავგანწირვით,
მაგრამ ვძლიეთ და ჩავცელეთ წინა რიგი და სხვა მწკრივიც.

მე ჩემს მამულს სისხლით ვიცავ კოლხი ბიჭი მე, თემური,
ის იქ გდია, მიწას ლოღნის, მტერ-მოყვარე უკეთური,
ოსს რუსები მოეშველნენ, დამჭრეს, სისხლი მდენდა ღვარად,
ოღონდ ტყვედ არ, და მიმაჩნდა სიცოცხლეც კი ჰაიჰარად.

სისხლდაცლილი ფოფხვით, ხოხვით, შეტაკების ველს გამოვცდი,
მაშინ სწორედ უფალს ვკითხე: „კიდევ სად და რით გამომცდი“?
ვკვდებოდი, მზეს შევხაროდი, შაშვებს, ვერხვებს, ცაში მტრედებს,
ამ დროს მესმის ხმა რუსული: „სიჩას, გრუზინ, კანეც ტებე“.

გადამალაჯა გულ-მკერდზე, შუბლზე დამაბჯინა ლულა,
არ შევშინდი, არ შევტირე, არ ვიყავი ჩიტის გულა;
სიკვდილის წინ გამახსენდა ჩემი ეზო, ჩემი ყანა,
მძიმედ ვსუნთქავ, ლამის გული ამომვარდეს მკერდიდანა.

ეჰა, თემურ, გჯაბნის ნუთუ? უნდა აღსდგე მკვდრეთიდანა!
ავტომატის ლულას წავწვდი, გამოვგლიჯე ხელიდანა,
„ტარზანკიდან“ ამოვაძრე წამში, ჩემი მხედრის დანა,
მოვუქნიე, თვალში ჩავცხე, პირმა ძვლამდე გაატანა,

მივაძახე „**твою маму**“...ვინ მოსულხარ, საიდანა,
აქ სად კვდები! სად შენა და წვერიახო, თლიაყანა,
სად გყავს დედა! ვისთვის კვდები? რატომ ებრძვი ჩემს ქვეყანას?

მე გადავრჩი, გულით ვწუხვარ, ძმა დავკარგე — თუთისანი,
მეთაურიც მოგვიკლეს და ჯარისკაცი ხუთი სხვანი,
ერთი დედის შვილები და ამერ-იმერ კუთხისანი,
ცბიერ ძალას ვებრძოდით და იქ არ გვყავდა გულთმისანი,
ამოეცნო მტრის მანევრი, გზები ტყისა თუ მთისანი,

მაღლა ღმერთს ვთხოვთ, ვევედრებით მე და ბევრი ჩემისთანა,
ჩემს ქვეყანას ჯარისკაცი მრავლად მისცეს შენისთანა!

29.07.2015 წ.

საფლავს გიტოვებ

ჰაი, დედასა, სად ვკვდები,
სად გადამიტყდა გორდაი,
მე, მტრის ბუნაგის ამკლები,
როგორც მინდია ხოგაი.

სად შემომაცვდა ბეგთარი,
საბარკულ-ჯაჭვის პერანგი,
ვეშაპთან ყალყზე შემდგარი
აქ, სად წამექცა მერანი.

ვაი, დედაჩემს, რომ ვკვდები,
რომ ვერ ვკარ შუბი გვირაბსა,
ვერ ჩამოვშალე ვერც კლდენი.
ბრჭყალებით ზღუდრის პირასა.

მტერმა სიმრავლით მაჯობა
და არა მამაცობითა,
არც ჯიშად, ქართველს არ მჯობდა,
არც არა ვაჟკაცობითა.

თორემ ქერივით ვაჭმევდი
ლიახვის ლამს და ქვიშასა,
ხმალი, ხალიბის ნაჭედი
არ მერტყა მოყმეს მშიშარსა.

მე ვკვდები წვერიახოზე,
ტირიან ჩემზე ვერხვები,
წინაპართ სამოსახლოზე
მათ ძვლებს და სულებს ვეხები.

საფლავს გიტოვებ, ქვის ლოდი
დამადე ბერისწყაროდან,
მამულს მე მსხვერპლად მივსვლოდი,
ეს იყო ჩემთვის წყალობა.

ძელის ჯვარს თავთით აღმართავ,
ფეხთით მუხის ხე დამირგე,
პურ-ღვინით ტაბლას გამართავ,
წელი ქრისტესი ამიგე.

მორიელი

"მისაგებელი ცოდვილთა ისილო შენ"

მე არ მოვსულვარ შენს მიწაზე „კალაშნიკოვით“,
ტყვია გახალო, ან ხიშტდანა გულში გაძგერო,
მერე, მიმალულ შენს ცოლს, თვალადს იქვე ვიპოვნი,
შემოვახიო კაბა ტანზე და დავეძგერო.

მე არ მოვსულვარ შენს მიწაზე ტანკით, ზარბაზნით,
დაგიწვა სახლი, შენი ვაჟი კრავივით დავკლა,
დაგაბა ბოძზე, შენს უმცროს დას მხეცისა ამ ზნით,
შევხნა საკინძე, ძუძუს მივწვდე და კბილი გავკრა.

ყმაწვილი გოგო, შვილი შენი, ჯერაც უმანკო,
გავქელო შენს წინ და ცოცხლობრივ შუაზე გავჭრა,
დავკიდო ხეზე საჩვენებლად, მერე უარვყო
უფლის წინაშე, რომ სისხლს არ ვსვამ, კაცის ხორცს არ ვჭამ.

გაყურებინო, ჯერ დედაშენს, მერე შენს ბაბოს,
შარვლის უბიდან ამოგდებულს პირში როგორ ვჩრი,
სიკვდილი გიჯობს შენ გუშინ ყინჩს, ქორებულს, მაგ დროს,
მოძალადეს რომ, როგორც ყივჩაღს მხარიღლივ ვერ სჭრი.

მკვდარს თვალს ამოგთხრი, ვაიძულებ დედამ შეჭამოს,
შემდეგ, შენს ოჯახს, ყველას ცოცხლად ღრმა ჭაში ჩავყრი,
ცოცხალ-მკდარ ტყვეებს, დაუნდობლად, ღრმად რომ ეწამონ,
მცხუნვარე მზის ქვეშ მშიერი ძაღლთა საჭმელად დავყრი.

ორი წლის ბავშვი გამოვგლიჯო დედას ხელიდან,
ზედ ჩამოვაცვა რკინის ღობის შუბივით მარგილს,
მერე ვთქვა: არ ვარ მორიელი როკის ხვრელიდან,
მაშინ, როდესაც ცოდო-ბრალი შენგან ცად ადის.

მე არ მოვსულვარ შენს მიწაზე შუბ-ფარ-შიმშერით,
შენს ფეხმძიმე ცოლს გავუფატრო მუცელი ხანჯლით,
შენ ეს აქ სცოდე, უფლის თვალწინ და ვინ გიშველის?
გზად თუ შემოგხვდა მისი ქმარი მუხრანთან აბჯრით.

მე შენს მიწაზე შენი სისხლით არ შემიღებავს
სევანი, თერგი, ფიაგდონი, ვოლგა, არდონი,
ჩემთან რაც სცოდე, ნუ ეცდები მათ შენიღბებას,
არ იმალება სიბილწენი ქვეყნად ამ დონის.

შენ რაც იკადრე, მე, ქართველმა ოდეს დაგმართო,
თუ შეგიგინო ცოლი, დედა, წესი, ღირსება,
მაშინ ჩემსა ზედ, თვით ღვთაებამ შუბი აღმართოს,
მზად ვარ, მე მისგან თუ სიკვდილი დამეკისრება.

ელოდე სასჯელს! მისაგებელს იხილავ შენც და
აღმართზე შემდგარს ვინც მებრძოდა, დანით ყელს მჭრიდა,
უფრო კი რუსი, გალიაში ვინც მე ფრთებს მკვეცდა,
არ გავფრენოდი ევროპისკენ — აი, რა სჭირდა.

25 აგვისტო 2015 წ.

ჟურნალ „გზის“ გარეკანზე

თავს დავდებ კუნძზე მე, თუ ვინმე ოსტატი,
ამ ომის დღეებში ფუნჯისა, სიტყვისა,
უკეთესს იტყოდა, ვიდრე „გზის“ მომხატი,
დათვისა და კაცის ერთიან სიბრტყისა.

ნახეთ რა მზერა აქვს, რა პირი, რა კბილი,
ზურგში რომ მოქნეულ ოსების ხანჯლებს ჰგავს,
ყბები კი, ჟღალ წვერში ისეთი ჩაფსკვნილი,
ყველა მხეცს დატორავს, ულმობლად გაგლეჯავს.

უყურებ ჟურნალს და ძნელია ატანა,
გგონია, თავი შიგ გამოყო სატანამ.

21.09.2008 წ.

2008 აგვისტო

ჰუცინს

ცრუ ბრალდებით. ათი წლის წინ, ცილისწამებით,
თემურ-ლენგივით შემოვარდი ძარცვით, თარეშით,
ჩემი სამშობლო, ყვავილნარი, ბაღი მწვანეში,
მხეცებად გაზრდილ ბრბოს მიუგდე სისხლით გალეშილს,
იმ დროს ტაძარში ლოცულობდი გულით მწვალებლის.
თანაც უტიფრად შესცქეროდი ქრისტეს თვალებში.

იყო მხეცობა, ეთნოწმენდა, სისხლისღვრა, ძარცვა,
როცა ჩემს მამულს იტაცებდი ყნოსვით მეძებრის,
სიკვდილი დარჩა შენს შემდეგ და ქართველთა ჯვარცმა,
დამწვარი მიწა, ეკალ-ბარდი, ნარი, ძეძვები,
იქ, სადაც მე ყრმას სულ პირველი შაირი წამცდა,
სადაც მე, ღამით, ცაში ბედის ვარსკვლავს ვეძებდი.

შენი მსტოვრებით ლიახვს ჩემსას წლობით ამღვრევდი,
რომ ეს მთის წყარო ოს-ქართველთა სისხლს შეეღება,
ჩვენ შორის მტრობას, უნდობლობას და შუღლს აგდებდი,
რომ საქართველო ჩაგეთრია ომში ეგება.

ლიახვი, შენგან წაბილწული, ძალა არ მეყო,
რაღა არ ვცადე და მაინც ვერ დავაწმინდავე,
ერთი ცა გვქონდა, ერთი მიწა, მაშ რა არ გვეყო,
მე ვეკითხები ცათ მეუფეს და მის წმინდანებს.

არა, ინებო, მეუფეო, მისთვის წყალობა
ასობითათას ნაღვლით სავსე გულით გეძახი,
პური აჭამე გალეწილი სისხლის კალოდან,
სისხლიან მტევნებს დაისხამდეს მისი ვენახი,
როგორც მე, მასაც, განდევნილის კლავდეს სალმობა,
მე, მარად მშვიდს რომ შურისგება ზოგჯერ მხეცად მხდის,
იცოდეს, როგორ ვიტანჯები, როგორ ვწვალობ და
ჩემი ლიახვის ვერხვის ჭალებს რა ხმით ვეძახი,
მისი მთვარე მე სულიერად როგორ მწამლობდა,
ზაფხულ-ზამთარი, შემოდგომის ცივი ძანძახიც,
პატარა ბიჭი ფეხის ადგმას იქ რომ სწავლობდა,
მე ვარ, ღმერთო, და შენ სამართალს აღსდგეს, გავძახი!

ნურავინ მეტყვის, სულსა ჩემსა შეუჩნდა ეშმა,
ბრმა შურისგებამ შემიპყრო და გონებით არ ვსჯი,
ვისაც გვიკბინა, მეუფეო, ამ გულხენეშმა,
გვანუგეშე და ამ ლექსისთვის მზად ვარ თუ განმსჯი.

ოკუპაციის ხაზთან

ისეთი სამწუხრო ფიქრები მიპყრობს, რომ
დრო ჩემთვის, აი აქ, წლების წინ გაჩერდა,
მინდორი, დღეს რომ ჰგავს ნაფლოქვარ იპოდრომს,
შიგ ერთხელ გამევლო, ავადმყოფს მარჩენდა.

ამ მინდვრის ჯეჯილის, მდელოთა ცვარ-ნამით
მომნათლეს, ზეცა კი, მანანით მკვებავდა.
თუნდ ერთი წინწკალი, მსურველი ვარ ამის,
დამეცეს შენი ცის, მომეცეს შვება და,

ცოტათი დამიცხროს გულის ეს ვარამი.
მე ხომ აქ დავტოვე თუ კი რამ მებადა,
საფიცრად რაც მქონდა სამარის კარამდის.

მცხეთიჯვრის მთა მოჩანს ფოთლოვან ტყეებით,
უფრო შორს ზეკარი ლურჯი ცის ფერებით,
აგვისტო, საშინელ სისხლიან დღეებით,
საძირკვლის ქვებამდე დამწვარი ერედვი.

კავკასის ქედამდე, მთელ ამ თვალსაწიერს
ზედ აკრავს სიკვდილის ფერებით ნისლები,
აღარ აქვთ ბუდე აქ შევარდნებს, არწივებს,
და აღარც ჩემი ჩანს ჭინკები, მისნები,
ბუხართან აკვანი ჩემი რომ არწიეს,
ამბოხით, ჯანყით და მტრის ჯავრით ვივსები
ჟინი მკლავს ვაგემო ქვიშასა და მწვირეს.

გავყურებ მინდორს შორს ნაღვლიან ფიქრებით,
ჩრდილოეთის ცას იდუმალს, მარად ცივს,
განგებავ, იქიდან მოფრენილ სფინქსებით,
რა გცოდე, მამულზე ძაძა რად ჩამაცვი?

დრო ჩემს წინ ბალახს ძოვს, არა ჩანს მხედარი,
ეს ცხენი, შეაგდოს ყალყზე და დასჭყივლოს,
გაჭენდეს მინდორზე, გავცოცხლდე მე, მკვდარი,
რომ ჩემი მამალი ისევ აქ ვაყივლო.

ვინ განმსჯის?

როგორც კი ჩემს მიწას ვაზივით მომკვეთეს,
ისეთი სევდა მაქვს, სულიც კი დაობლდა,
მარტო ვარ, დავშორდი ახლობელს, მოკეთეს,
და-ძმობის პურ-ღვინოც დაიქცა, დაობდა.

„სულოო ბოროტო“, პოეტი გასძახის
საკუთარ ბედ-იღბლის შეუცნობ სიღრმეებს,
ვინ მეტყვის, ვინ განმსჯის თუ არის საძრახი,
თუ ბუდეამოშლილ ჩიტივით ვიმღერებ?

ვინ ხედავს ჩემს ტკივილს? სული ამ წამებით
როგორ გლეჯს, როგორ ღრღნის გულს, როგორც აფთარი,
ვინ მკითხავს, როგორ ვარ? რა დღით, რა წვალებით
მე, ხე მოკვეთილი და მიუსაფარი.

21.11.2009 წ.

ცის ფუფალავ!

ჩემი სევდის მოზიარე, მარტ-აპრილის მთვარევ,
მომიყევი, გაზაფხულდა ჩემი სოფლის ცის ქვეშ?
ეს თვეები ტუსაღივით თითზე გადავთვალე,
რომლებიც მე სატანჯველად ბოროტ ძალას მიმცეს.

მომიყევი, თუ აყვავდნენ ჩემი ალუბლები,
ჩემი ვაზი მოტირალი, ფეხდაფეხ რომ დამდევს,
თუ შენიშნე წეროები, გუთნად გაბმულები,
ჩემს ხელის გულს და იქ ზეცას შავ ხაზად რომ გასდევს.

ბულბული თუ გალობს ისევ იასამნის ტოტზე,
შენ თუ ზიხარ, ვით მეუფე ორბოძელას მთასთან.
თუ გასძახის შენს მკრთალ ნათელს ჭოტი სევდის ნოტზე
და თუ კიდევ მშვიდ ღამეებს შენც ათენებ მათთან.

მომიყევი, რას გაბარებს ჩემთან მცხეთიჯვარი,
ცხრამურის და თხილის წყარო-წყლულის მოსალბუნე.
ღედის სული, თან რომ გაჰყვა, მთვარევ, ჩემი ჯავრი,
შაშვი, ბედზე მომჩივანი, ღმერთთან მოსაუბრე.

საყდრის ჩიტი, ბიჭო გიო იქ ჩემს ხვედრზე ტირის,
აღარა ჩანს ის ღრუბელიც, სოფელს პირს რომ ბანდა.
ცეცხლს შთაუნთქავს ქართულ ჰანგზე მოშაირე სტვირი
და თარეშობს სისხლიანი ყაჩაღების ბანდა.

მომიყევი, ცის ფუფალავ, ლიახვებზე რამე,
წყურვილი მკლავს, სათავეში მსურს მუხლჩოქვით ჩავდგე,
გვიანდება, მალე მინდა, ამ სისხლიან დრამებს,
დავეხსნა, რომ ფენიქსივით იქ ფერფლიდან აღვსდგე.

დრო მკურნალია?

თუ მკურნალია დრო, მაშინ მე, დღემდე რად მტკივა,
საძირკვლებამდე გადამწვარი ჩემი ერედვი,
სხვა ტკივილია! მე ვერ ვძლიე ასე მარტივად
და რაც დრო გადის მიმძიმდება და ვერ ვერევი.

თუ მკურნალია, მაშინ ჩემში უნდა წაშალოს
ხსოვნიდან ჩემი ბავშვობა და ყმაწვილკაცობა,
და ღრუბლებივით ჩემს გულში მან აღარ აშალოს
ტკივილების ჯგრო, დამავიწყოს მტრის ავკაცობა.

იქნებ ნახანჯლარს შეახორცებს რაღაც მალამო,
გამჭოლ ნატყვიარს შესაძლოა ეშველოს რაღაც,
ღირსებას არა! დრომ სულში ის ვეღარ წაშალოს,
თუ შეილახა, თავმოყვარეს გიღირს ის რაღად?

ათ წელს მიითვლის დრო, რაც მტერმა ჩემი მამული
მიიტაცა და გადამიწვა ბუდე, სახლ-კარი,
წამართვა ჩემი მზე და მთვარე, ცა მეწამული,
ჩემს მიწას, ვენახს, მინდვრის ბალახს ვეღარ დავხარი.

ხმა მომაწვდინე, რომელი ხარ ქვასავით მტკიცე,
ამ უსაშველო ტკივილისგან დრომ რომ გაგკურნა,
მტერმა, რომელმაც გამოგტაცა მზე, ცა და სივრცე,
მიწა, რომელსაც მამა-პაპამ სისხლი აპკურა.
ის ყოველივე, დღემდე რითაც შენ გული გიცემს,
ის ქვევრი, რაშიც საზედაშე ღვინო ჩაწურა,
შენმა ჯიშმა და ღვთის სიყვარულს ჯვარზე იფიცებს,
ის მზე, რომელიც ჩვენი ციდან ჯერ არ ჩასულა,

წაგართმევს შენ და თავის ერთგულ ჯაშუშებს მისცემს.
ასეთ ტკივილებს ვერ განკურნავს დრო ას წელიწადს,
ვინც იწვნია და რაგინდ იყოს ქვასავით მტკიცე,
ერთ-ერთი მე ვარ! მტანჯავს გულის ცეცხლით ნელი წვა,
ნოსტალგია და არ მოვრჩები, ამას ვამტკიცებ!

გამათბე შენი მზით

რა დროა გასული, რაც მე, შენ, დაგტოვე,
ველარ ვთვლი თვეებს, წლებს იმდენი დაგროვდა,
იმ შენი მზით გავთბე, იმედს არ მიტოვებს,
შენს ცაზე იმდენი ღრუბელი აგორდა.

ო, ჩემო საუნჯევ, ჩემო თვალის ჩინო,
შენს მზეს ხმით გავძახი: სადა ხარ, გამოჩნდი,
ამ ყრუ სამყაროში ვისთან დავიჩივლო,
რა ვცოდე ისეთი, მტრის ხელში აღმოჩნდი.

ის შენი ნანინა, აკვანთან ნამღერი,
გედივით ამ ტბაში დაეძებს საბუდარს,
რომ მხნედ მყოს მე და ლოცვას ცად აღვლენილს,
არ ვატან გამჩენთან ჩემს ხვედრზე სამდურავს.

მეუფევ, გთხოვ, დევნილს მიბოძო ძალა მე:
არ ვუმტრო არავის, ვიარო შენი გზით
და ნურცა ნურავინ, მე მამულს მძალავდეს,
ცა გადამიწმინდე, გამათბე ჩემი მზით.

10 იანვარი 2017 წ

წუხილი

რაც შენ დაგკარგე, გულს მიღონებს ნოსტალგია და
ჩაბუდებული ჩემში მძიმე მელანქოლია,
სულიერებას ჩემსას დარტყმა მაშინ მიადგა,
აუტანელი, ვიდრე მე, კაცს, ოდეს მქონია.

ლიახვის პირას ჩამოვჯდები ტირიფის ძირში,
ტოტს ჩამოვაჭრი, სალამური მწყემსმა გავთალო,
ზედ დავამღერო რა სიზმრებიც მინახავს ძილში,
საწუთროს ჯვარცმავ — საქართველო, მარად მართალო.
გამჯდარო ჩემში, ჩემს ძარღვებში, გულში და ღვიძლში,
ვერ ამოგგლიჯე, ნუ გამკიცხავ, კბილი ჭიანი,
კავკასის ქედთან, ჩირქიანი ფესვით მაგ ღვიძლში
და მარტო კბილი? დიახაც ვარ, მე ეჭვიანი:
რამდენი ყალბი ალმასია შენს მკერდზე მძივში,
რამდენის გამო შენს ურმის თვალს გააქვს ჭრიალი,
შენს თბილ უბეში, შენს კალთაში, შენს ნათიბ ზვინში
რამდენი თაგვი დაცოცავს და ხვლიკი ჭკვიანი...

23 მარტი 2016 წ.
თბილისი

ჭრილობა

ლიახვის პირას, ალბათ უკვე დეკა და ღვია,
ლამაზ-ლამაზი ყვავილებით ყელს იღერებენ,
მე მათგან შორს ვარ... უიმათოდ ჭრილობა ღია
არ მიშუშდება, თუ ვიკითხავ, დამიჯერებენ?

ლიახვის პირას, მტირალ ძეწნას ლამაზ ქალივით
ტოტები, ალბათ, დალალებად ჩამოუშლია,
ნელი სიო კი აამღერებს ფოთლებს ქნარივით,
ჩემს ტანზე ბურძგლი მრავალჯერ რომ წამოუშლია.

თბილ ქვეყნებიდან მოლაღური ალბათ მოფრინდა,
და ბერისაყდრის კედლებიდან — „სად ხარ“ მეძახის.
„შენი ზედაშის, საგალობოდ წვეთიც მყოფნიდა,
ასე შორს, სად ხარ? გადახმაო, შენი ვენახი“

ჩიტო მზეწვია, ყვავილებო, ლიახვის ძეწნავ,
გულის ჭრილობა უთქვენობით არ მიხორცდება,
თქვენი ფოთლების ნამი შევსვა სულ ერთი ბეწვა,
განვიკურნები და ვენახიც გამიცოცხლდება,

სალოცავებო, მნათე თქვენს შვილს ვიცი, მეძახის,
მაგრამ ჩვენს შორის უფსკრულია გადაულახავი,
ყოველ მწუხრისას ცათ მეუფეს, „მოვედ“, შევძახი,
რომ დაამსხვრიოს შემართული ჩემს წინ ლახვარი.

ჩემო ჩიტუნა, მოლაღურო, თეთრი ზამბახი
აყვავდებოდა ლიახვთან და შენს ბიჭსა გიოს,
თქვენგან განდევნილს დღენიადაგ „სად ხარ“ გასძახი:
„შვილო, შენს დედას, ცოტა მალე დაუბრუნდიო“.

ყველას ჩემსავით დევნილს

ნუ შეშინდები, ქედს ნუ მოუხრი
ამ ველურთაგან მოსულ განსაცდელს,
შენს ფუძეს მტერი ძირს თუ მოუთხრის
მიწას დაემხოს ცა, თუ დასცალდეს!

ჩემო ჯილაგო და ჩემო ჯიშო,
თავს ძირს ნუ დახრი, მხრებს ნუ ჩამოყრი,
აჭრილი ვაზი ყლორტს, როგორც პირმშოს
შენს ნაფუძარზე ისევ ამოჰყრის.

მკერდიდან ქრისტეს ჯვარს ნუ შეიხსნი,
ღმერთი სატანას შორს არ მიუშვებს.
წიწილებს, შენ რომ ფრთებქვეშ შეისხი
მეორე ლოყას ნუღარ მიუშვერ.

არ გაბოროტდე, კბილი კბილის წილ
ბევრ უცოდველ სისხლს კიდევ დააქცევს,
არც შენი კრავი ღვთისკენ ივლის წინ
და არც მტერს შენსას შორს არ გააქცევს.

თავს ძირს ნუ დახრი, ჭრილობა ღრმაა,
შურისძიებით გული აღვსილი,
უნდა გაუძლო, სამყარო ბრმაა,
დრო მუხანათი, ბედი თახსირი.

უნდა გამაგრდე, დარდს უნდა სძლიო,
როგორც ზღაპარში გრძნეულს ცისკარამ,
ყველა ვარამი უნდა დასძლიო,
ვიდრე ხიზნად ხარ, ცხოვრობ სხვის კარად.

მე ვიცი, მჯერა, შენი დროც მოვა,
ქორი დააფრთხობს საბძლის ბელურას,
შენს ცაზე მალე გადივლის გლოვა
შავი ნისლივით თავს რომ გებურა.

შენ გელოდება დამწვარი მიწა,
როგორც, შვილს, დედა, საომრად წასულს,
აკვანი შენი სადაც დაირწა,
სადაც შენ ზრდიდი ვაჟსა და ასულს.

არ გადაივიწყო

ნუ შეეგუები მტრის ასეთ განაჩენს,
ათასი წლის მერეც შენ ხიზნად რომ იყო,
ვალი გაქვს, გადასცე თაობებს დანარჩენს,
სად დაგრჩა ფესვები, არ გადაივიწყონ.

არ გადაივიწყონ პაპების, მამების,
საძვალე ვაჟკაცთა ხმალ-ხანჯლით გაჭრილი,
მხრებით რომ ატარეს ტანჯვით და წამებით,
ცოდვილი ეს მიწა შიგ გულში დაჭრილი.

ასეთ ცას, ასეთ მთებს ველარსად ვერ ნახავ,
ცისფერს და გოლიათს ზეკარას, ბორბალოს,
ვერც მიწას, გვარის და ჯალაბის შემნახავს,
შვილივით მიგიღოს, ეგ ცრემლი მოგბანოს.

იქ უნდა გაზარდო მომდევნო თაობა,
დიდი და პატარა ლიახვის წყალი სვან,
თუ გინდა ის სული, შენ იქ რომ გაომა
ჩაიდგან და ის მზე უბეში ჩაისვან.

არ გადაივიწყო ტაძრები, ციხენი,
კეხვის და ვანათის, ერედვის ძუძუს ქვა,
სადაც ჩვენ ცოდვილი სულები ვიხსენით,
საყდრები, შემვრდომნი გლახაკთა უძლურთა.

ის მიწა, ოდესღაც ღვთისაგან ნაკურთხი,
შენთვის და სათავე, ვინ გშობა, ვინ იყო,
საქართველოსთვის კი ლიობში ქვა კუთხის,
არ გადაივიწყო, არ გადაივიწყო!

ობოლის ცრემლი!

„ოდე, ოდე, მე ვიახვთან დაგინახე წამით...”

გიორგი ვეონიძე

ეს მერამდენედ, ჩემო აკვანო,
თეთრმა ყორანმა ისევ ჩაგყეფა,
ბუდეში უნდა ახლა ჩაგკლას, რომ
ფრთა არ გაშალო შენ ამა ქვეყნად.

ჩემო ტირიფო, შენს ტოტზე ბუდეს
ეს მერამდენედ ყვავი მიწეწავს,
შენი მიწა-წყლის კალთას და უბეს
ბასრი ნისკარტით კერას მილეწავს.

ჩემო ლიახვო, დღეს, როგორც ძველად
შენ ისევ ჩემი სისხლით შეგღებეს,
კვლავ რჩები ტყვედ აქ, ყვავების მძევლად
და არ ანაღვლებთ ცაში ეს ღმერთებს.

შენს მზეს ღრუბელი გადაეფარა,
მთვარეც ბნელი მხრით შენსკენ მობრუნდა,
გზად დიდი მხეცი გადაგეყარა,
ნაღალატარო ჩემო ქორბუდავ.

ტანჯულო მიწავ, დღეს შენთან იწვის
ჩემი სხეული, ფიქრი და ჯავრი,
ცოდვად ვინ ჩათვლის თუ მახვილს მივწვდი,
მტერს თუ დავადე მე ჩემი მსჯავრი?

რა უბედური ბედის ყოფილხარ,
რა საშინელი წილის და ხვედრის,
ობოლის ცრემლო ამ ცრუ სოფლისა,
ძეძვებს ვერ გასცდი, ვეღარ გახვედი.

იმედი არ მტოვებს

ხვალინდელ დღეს ვუცდი, იმედი არ მტოვებს,
ვნახავ, შენს მთა-გორებს, მთვარეს, მზეს ცხრათვალას,
ჩემს ცხინვალს, ერედვს და რაც მე იქ დავტოვე,
მას, ყოველს, რაც ტყვედ ჰყავს, გველეშაპ ცრათავას!

იმედი არ მტოვებს, წმინდანი, გიორგი
მეფე ვახტანგივით შესდგება კავკასზე,
უფალო, შუბითა და თეთრი იორღით
გვფარავდეს — ის ხომ შენ ამისთვის აღკაზმე.

იმედი არ მტოვებს, ჩემს ნესტანს, ჩემს ყამარს
ამ დიდი გველისგან ზეგარდმო დაიხსნის,
ჭრილობებს, ოდითგან მის მიერ თან მრავალს,
დაუცხრობს შეუვალ ნებითა ძალისხმით.

ქაჯეთის ეს ციხე, იმედი არ მტოვებს
დაინგრეს, დროს ალბათ ბევრი არ უკლდება,
აი, ეს მაცოცხლებს და განა მარტო ეს? —
იმედი ქართველს ხომ სულ ბოლოს უკვდება.

26.05.2016 წ.

ჯიპი — II-102-WW

მე - ♥ - ერედვი

ნათლობის დღე იყო იესო მაცხოვრის,
მივსდევდი მე ქუჩას მეფისა თამარის,
ვეძებდი აფთიაქს ექიმის თანხმობით,
ნახავო ფარმაცევტს, აქვსო წამალი,
მზე როცა გადავა, დრო მოვა სამხრობის,
ჩემს სახელს ეტყვი და...ყიდისო დამალვით.

ცა თბილისქალაქის, გამზირი თამარის,
მხიბლავდა მკრთალი მზის უნაზეს ფერებით,
შევნიშნე „ჯიპი“ დგას, რაც არის მთავარი:
ნომერზე „♥“ და მე მიყვარს ერედვი“

ტკივილმა უეცრად ახლიდან გამჭოლა,
თვალწინ წარმომიდგა მე ჩემი ერედვი,
დაჭრილი ვერძივით სისხლში რომ ჩამხრჩვალა,
ციხის ეს კუთხის ქვა, ქართლის ეს „მერვედი“.

გული ამიძგერა მე, მკვიდრსა იმ სოფლის,
ძარაზე დაწერილ საკრალურ სახელმა,
აფერუმ, შენს პატრონს, წამლადაც მეყოფის,
შვება და ნუგეში მაჩუქა რამხელა.

იმ ძველმა ფიქრმა მე, გულში რომ ჭიად ზის,
არ კვდება ჩემში, მან ცეცხლივით აღმაგზნო,
მეგონა, ამინთო სანთელი წყვდიადში,
გზა ჩემი სოფლისაკენ მშვიდობით განვაგრძო.

მივიდე, გავქექო ბუხარში ნაცარი,
სული შევუბერო გათელილ კერიას,
გული გამიმრთელოს ტკივილით ჩამწყდარი,
ერედვის ცის ნამით ჩემს სისხლს რომ ერია.

შევხარო მაღალ მთებს, ლიახვის ჭალებს და
ღედოფლის, ცხრამურის და ბერისწყაროებს,
ვეწაფო მწყურვალი მათ წმინდა ჭავლებს და
გაღეღილ გულ-მკერდით ბავშვივით ვხარობდე...

„ჯიპის“ ამ ნომერზე გული და ერედვი,
წამლად მე შემერგო, შენ კი გზა მშვიდობის,
არ დავთმოთ! არ დავთმოთ ქართლის ეს „მერვედი“,
მამული — ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონის!

ამ გულით, მსგავს ნომრით აქედან ფსოუმდე,
იქროლონ სირენით ასეთმა „ჯიპებმა“,
მტერს ჯავრს არ შევაჭმევთ, ბევრიც რომ მოუნდეს,
მგლისანი მუხლი აქვთ ლიახვის ბიჭებსაც.

შინ დაბრუნება მინდა

შინ დაბრუნება მინდა,
სახლში, სადაც მე ფეხი ავიდგი,
ჩემი ბავშვობა ფრთებს სადაც შლიდა,
იქ, სადაც, ღმერთო, სული ჩამიდგი.

შინ დაბრუნება მინდა,
მოვრჩე წოწიალს, ხეტიალს მოვრჩე,
შევსვა ბერების წყარონი წმინდა,
ვეფერო იებს, ვაზის რქებს ნორჩებს,
ის ჭირ-ვარამი, რაც შენით მჭირდა,
შინ მინდა, ისევ ჩემს სახლში მორჩეს.

შინ დაბრუნება მინდა,
იქ, სადაც ბავშვი დავცანცალებდი,
ფეხზე ჩამეცვა ნაჩრჩილი წინდა,
ძველი ქალამნით, თან ცალ-ცალებით,
სადაც მე გულის ცრემლი დამცვივდა,
ჩემი დედიკოს გარდაცვალებით.

შინ დაბრუნება მინდა,
თოთო ბავშვივით შენს ძუძუს მივწვდე,
მე, შენს გამოზრდილ, უღლის ხარს, შვინდას,
არ მყავს მეოხი და არც ვინმე მწედ,
მე ვთხოვ მეუფეს, მომღუნოს მშვილდად,
ვტყორცნო ისარი, თვით მთვარეს მისწვდეს,
ვიბრძოლო შენთვის, არ ვიჯდე მშვიდად,
მოვკვდები? მინდა, შენში დავმიწდე.

სახლში დავბრუნდე მინდა,
თუმცა წავსულვარ შენგან აროდეს,
შენი მთა-ბარი, კაცად რომ მქმნიდა
ესეც მეყოფა, რომ მიხაროდეს,
შენი ტაძარის მე, ძუძუს ქვიდან,
მასმევდი რძეს, რომ აქ ვწიქარობდე,
ადგილის დედა ჩემთვის სტვირს თლიდა,
შენგან შორს გულში, ცეცხლს რომ ვაქრობდე.

სახლში დავბრუნდე მინდა,
მავთულხლართები შავი ობობის
კბილით დავგლიჯო, მინდა!
გადავალაჯო მტრის ამ მოღობილს,
გადავაფრინდე მინდა,
ჩემს შარაგზას და ბილიკს ორღობის
გავყვე შინისკენ მინდა,
მე, დაღლილს ყოველ ამა ოხრობით
ურო, ზინდალი მაინც ვერ მფშვნიდა,
ყივილი, ფრთები მამალ ხოხობის
შემრჩა და ქედიც, როგორც ხარ შვინდას.
ვინ მყავს ზიარი? ალბათ, მხოლოდ ის,
იქ, ვინც ჩემსავით მხარ-ბეჭ-მკლავს შლიდა.

05. 06. 2016 წ.

ერთხელაც

მაისის წვიმის წინწკალო,
მინდვრად მიხარე ღიღილო,
მოვეფერო და „წინწყარო“
ერთხელაც წავიღიღინო.

ქალს შევხვდე ნაწნავებიანს,
ვეტყვი, ბალახზე ჩამოჯდეს,
თვალს მომარიდებს ვნებიანს
და იქნებ აღარც გამოჩნდეს.

ერთხელაც ვნახო სისხამზე
ცის ნამით სველი ჯეჯილი,
მწყურვალს ცვარს პეშვით მისხამდეს,
ქვეშ მეგოს ჭრელი ჯეჯიმი.

ჩუმი სიამით შევხვრიპავ
თავთავზე ნადგამ წვიმის წვეთს,
ვიხარებ, თუ მზეს შევხვდი კვლავ,
გული იქ მისთვის მიმიწევს.

ლიახვთან გამათევინე
ღამე სიზმრებით დამტკბარი,
სათიბი გამათელვინე
დავაცხრო ვნება ამტყდარი.

ამომავალი დილის მზის
ვნახო ვერხვებში ლაციცი,
იქ შევკრა კონა პირიმზის,
იქ ვნახო მკვდარი ნარცისი.

ერთხელაც გამასხვლევინე
ჩემი ვენახის ვაზები,
ბადაგი დამალევინე
მამღერე მუხამბაზები.

ერთხელაც დამაწურვინე
ყურძნის მტევნების ჯაგნები,
მოვიკლავ ძველ-ძველ წყურვილებს,
თუკი არ გამიჯავრდები.

ბოლო გზა მუდმივ მახსოვდა,
წინ წამიძღვები, ვიცი მე,
„იყო? არ იყო? რას მთხოვდა?“
იტყვი და ბევრჯერ იცინებ.

მთავარი საკითხი

ეს მერამდენედ გვიკბინა
ჩვენმა წკავწკავა მურიამ,
ქართველის სისხლი ამ ცუგას
ნეტა რამდენი სწყურია?

ეს მერამდენედ დაგვნესტრა
მწარედ პატარა კოღომ,
ჩვენი გუბისამ კი არა,
ქარს მოყოლილმა ოღონდ.

რით ვეღარ გაძღა ეს ბზიკი
ქართველის სისხლის წოვით,
გზა-ბილიკ-ოღრო-ჩოღროთი
ხოხვით ჩვენამდე მძრომი,

ნაკვები ქართულ პურ-ღვინით
დღეს სხვის სუფრასთან მჯდომი,
ჩვენს მიერ შეფარებული
დღეს მტრის ჰამაკში მწოლი,
ეს გუდა, სავსე ყელამდე
ქართველისადმი წყრომით.

ვინ აუმღვრია გონება
და სისხლი, ვიცით, ძარღვებში,
რომ დაცხრეს, კიდევ რამდენჯერ
უნდა გაგვხვიოს ძაძებში?

არ დაგივიწყებთ, წამებით
მოკლულ ჯარისკაცს გიორგის,
დედისგან გაზრდილს აკვნიდან
მამულისადმი გმირობით.

არ დაგივიწყებთ ნაწამებ,
არც ტატუნაშვილ არჩილს,
და არც ნაღმს, დღეს ანკლავს
ბოლშევიკების აჩრდილს.
არც ქართლის გულში ხიზანთა
ოლქის სტატუსით ჩაჩრილს,
ქართველთა ეტლს წინ არ ევლო
პალოდ ბორბალში გაჩრილს,
ჭრილობა ჩემი მიწა-წყლის,
ზურგში დანით რომ აჩნდის,
ჭრილობას ჩემი მამულის
ტატუნაშვილსა არჩილს.

უფალო, ნეტა რა ვცოდეთ?
ვისი რა ბრალი ვინანოთ?
თუ მართალნი ვართ, ამ მკვლელებს
წყევლა არ დაუგვიანო.

უბეში გამოგვიზრდია,
ვაჭმიეთ პური თავთუხის,
გვეგონა საქართველოსთვის
ვთლიდით გალავნის ქვას კუთხის,
ვასმიეთ ღვინო, ბადაგი,
მაცხოვრის ხელით ნაკურთხი,
მის თავზე დღემდე რამდენი
სახარებაა ნაკითხი?...
ჭაც ხომ სარკეა, შიგ მოჩანს
ჩვენს მადლზე მისი ნაფურთხი,
შევცდით? თუ შევცდით, სად? როდის?
აი, მთავარი საკითხი.

03. 03. 2018 წ.

მიწაო ჩემო!

წელიწადია, რაც ჩემი მიწის
აღარ შემისვამს ჯეჯილის ნამი,
გულს ჩემსას მისი წყურვილი წიწკნის
და შურისგების წუთი და წამი,
აღარ შემისვამს ბერისწყარონი,
ჩემს სისხლძარღვებში დღესაც რომ დიან,
აღარც ბავშვობის ის სამყარონი,
ჩემგან არასდროს რომ არ მიდიან.
არც ღამის მთვარე, ცის კამაროვნით,
ვერცხლად ლიახვში მე რომ მიგდია,
არც მცხეთიჯვარი, წინ სამაროვნით
დედის გულზე რომ ჯვარი მიდგია.

წელიწადია უკან მეძახის
მე, ხიზანს, ჩემი მამულ-დედული,
სისხლი, რომელიც მსაჯულს შესძახის
იქ დაქცეული წმინდა, მხედრული.
წელიწადია სიზმრად ვნახულობ,
მიწაო ჩემო, შენს სალოცავებს,
ფეხი დავადგა, ვნატრობ, ვმარხულობ,
გადმოყრილ მატლებს შენზე მცოცავებს.
მიწაო ჩემო, ბოროტი თესლი
ჩემს ნაფეხურზე არ გაახარო,
ძირში მოჭრილი მანდ ჩემი ფესვი
სიყვარულით რომ ისევ ვახარო.

წელიწადია, მტერმა მოსისხლემ
მოაჭრა მკერდზე ჩემს მამულს ძუძუ,
ატყვია სისხლის ლაქა ოსის ხელს
და რუსის ჩექმის გორამდე ძუნძულს.

შენი მართვე დღეს მანდ აღარ ყივის
და აღარც შენი ისმის „ჩაკრულო“,
მგალობელ ჩიტის ბუდის ბარტყივით,
ღალატითა და მტრობით ჩაკლულო.

რა დრო სჭირდება, წვერიახოზე
ოჟა-ჯურხაის ფარი დავკიდო?
ეს, შენს შვილს, მარად უნდა მახსოვდეს,
ღმერთმა სიზიფეს ქვაც რომ ამკიდოს.

28.06.2009 წ.

... გოგო-ბიჭებო, სადა ხართ?

ვისთვისღა ბრწყინავ, ცისკარო,
ორბოძელასა მთაზედა?
აქ შენით ვიღამ იხაროს
შენი ციმციმით ცაზედა?

ან მზე ვისთვისღა ამოდის,
ან მთვარე-ღამის ზამბახი?
აქ მიწის დედა გამოდის
და წასულ შვილებს გასძახის.
ვისთვის შრიალებთ, ალვებო,
პატარა ფშანის პირზედა?
თქვე მკვდარი დედის მკლავებო
გაწვდილნო შვილთა ჭირზედა.

ვისთვის მწიფდები, ყურძენო,
ვის უნდა ასვა ბადაგი?
სადა ხართ, ქალნო თუ ძენო,
სად გადაგყარეს, სადამდის?

სალოცავებო, ვის ელით,
თქვენი მრევლი აქ სადღაა?
ფუძე, მათი აქ, მტრის ხელით
ნახნავი აღმა-დაღმაა.

გოგო-ბიჭებო, სადა ხართ
ნათია, გოჩა, ლელაო,
აქ თქვენი ვარდი გადახმა,
ზედ გველმა დაახველაო.

დილით მზე, ღამით მთოვარე,
რა უსიცოცხლოდ ანთია,
სადა ხარ ცრემლით მგლოვარე,
გოჩა, ლელაო, ნათია?

მაგრამ მტერს არას შევარჩენთ,
არც გავახარებთ ჩვენზედა,
ავაფრენთ ქორს და შევარდენს
მაღლა, ზეკარას ქედზედა!

გამეცალნო

ათმა წელიწადმა განვლო, რაც მე ცოცხლად დამმარხეს!...
თუკი შენი მთების ნისლში ქარი აღარ გამახვევს,
თუ განგება მზეს და მთვარეს შენსას აღარ მანახვებს
და შენგან შორს მიმაბარებს სადღაც უცხო სამარხებს.

შენი სიო ოფლიან შუბლს თუკი არ გამიგრილებს,
ზეცა შენი ელვა-ჭექით ჩემთვის აღარ იგრგვინებს,
ვერ ვხედავდე შენი მიწის ცისარტყელის გვირგვინებს,
ვერ ვყნოსავდე შენს პირიმზეს, იასამნებს, გვირილებს.

და თუ შენზე მწუხარება ნელ-ნელ უნდა მკლავდეს,
ჯავრი მტრისა ჭიასავით ჩემს გულს უნდა ხრავდეს
და მით უფრო ჩემს მიწა-წყალს ჩემს თვალწინვე ხნავდეს,
თითქოსდა შენ ვეღარ ზრდიდე ძუ ლომებს და ხვადებს.

თუ ვერ ვნახავ მე ლიახვის ჭალებსა და ტევრებს,
ვერ დავწურავ ჩემი ვაზის ჩაშაქრებულ მტევნებს,
ვერ ავავსებ საღვთო ღვინით პაპისეულ ქვევრებს,
მაშინ ცოცხლად ვმარხივარ მე, ღმერთო, მომიტევე.

მტერი მრავალრიცხოვანი თავს უეცრად დამესხა,
ტყვია ცივად ზუზუნებდა, ლულა ჭექდა სხვადასხვა,
დამჯაბნა და ჩემს ბუდეში გუგულივით ჩასახლდა
და მერე კი, სამი თითის კონსტრუქცია მანახვა,
არ ვუწოდო ასეთ ყოფას ჩემი ცოცხლად დამარხვა?

ჩემი სოფლის სანახებს და მინდვრებს, მთებს და ზეცას,
მაისის თვის სავსე მთვარეს და აგვისტოს მზესაც,
ის ბუნაგი, სადაც გაჩნდა, რომ ახსოვს ტყის მხეცსაც
შორიდან რომ მაცქერინებს, ძმებო, გეტყვით ერთსაც:
ცოცხლად ვმარხივარ კი არა, ჩემთვის ნიშნავს მეტსაც.

ვინ ასწონის ამ ბანდების ცოდო-ბრალის სიმძიმეს?
ჩემს მიმართ ამ გენოციდს და სამართლის სიძვირეს?
განკითხვისა ნება ღმერთს აქვს და გაეროს ბიძიებს,
თუ არა და, დედას ვფიცავ, შურს მე თვითონ ვიძიებ.

ურჩევნია გამეცალნონ, მტრობა რომ არ გაღრმავდეს,
შუღლით არა, ჩვენ და-ძმობით ცამდე უნდა ავმაღლდეთ,
არ ინდომო სხვისი მიწა, იქ არ უნდა გალაღდე,
ჩვენს შორის რომ სამშვიდობო მისვლა-მოსვლა დალაგდეს,
ნუ იჩემებ ჩემს მიწა-წყალს, უბრალოდ არ დავაგდებ,
თუ გინდა, რომ საომარი ბუკი აღარ აბღავლდეს.

14.07.2018 წ.

მხარს ყუმბარმტყორცნი დამადგი

დავბერდი, მაინც ვეწევი
გუთნის ღვედს შვინდა ხარივით,
ღმერთო, იყავი შემწევნი
შენ მადლით, მზეო-არილით.
უღლის ქვეშ არ ჩავიჩოქებ
ჩემივე ნაფარცხ-ნახნავში,
შევტოპავ, თუ ავიქოჩრე,
სივრცეში ახალ-ახალში.
მუხლი ჯერ ისევ მგლისა მაქვს,
თვალი კაჟივით მკვესარი,
გული სიმტკიცით კლდისას ჰგავს,
არასდროს დარდით მკვნესარი.

თავს კი ვიტყუებ, სად მე და,
სად ბიჭი კოკობ-ულვაშით,
ცისკრისას ნამგლით ადგება,
ყანას გაკაფავს ულამში.

მტერსა მიუზღვავს მტრობითა,
გასჩეხს — წვერს უწვდენს ქვიშასა,
მოყვარეს ძმობით, ტკბობითა,
ქალიც არ წავა სხვისასა.

მხარზე მეც მაჯდა გავაზი,
მეც ვიყავ კისერმოზვერა,
მეც მყავდა ქალი ლამაზი,
ჩემთვის ღმერთმა რომ მოზელა.

ამ წლებშიც არ ვარ ჯანდაგი
და მაინც, ხომ არ ვთავხედობ?
მხარს ყუმბარმტყორცნი დამადგი,
მტრის ტანკი თუ არ გავხეთქო!

01.11.2015 წ.

ძე ჰყავდა შენი შენს მტერს ზიარად

„ძაღლ იყოს იმის სულადა,“
მამულო, ვინც შენ გაგწეწა,
ვინც შენ მოგექცა მტრულადა
და ასე დაგანამცეცა.
მიწები შენი, ძირძველი,
ვინც სამეზობლოს გადასცა,
უჭკუოდ, როგორც რამ ძღვენი,
თვით მისგან სისხლით დასაცავს.
„ძაღლ იყოს იმის სულადა“

საჯიჯგნად მტერს ვინც გადაგცა,
დანა, მოწვდილი მტრისაგან
ღედას შიგ გულში ვინც ჩაგცა.
ვინც, ოცდაერთში ბაქოდან
შემოგისია არმია,
მონაპოვარი, რაც გქონდა
შენს სისხლში არივ-დარია.
ვინც შენ კრავივით შეგწირა
რუსის ჩექმას და იარაღს,
შენს დამპყრობელს კი მეტწილად
შენი ძე ჰყავდა ზიარად,
დაგიგდო ორ შავ წერტილად
მიწა სისხლისმდენ იარად,
ვინ მოავლინა შავ ჭირად,
მამულო, ტანჯვად შენსა ზედ?
ვინც ცოცხლად ძუძუს გაჭრიდა,
ის ვინც ტაატით შენ ზარდე!
ვინ ჩამოგაჭრა კალთები
შენ ასეთ მზის და მთვარისას?
შეგეხო ბინძურ თათებით
ბეჭედს ბადახშის თვალისას.
„ძაღლ იყოს იმის სულადა,“
ვინც ასე დაგანაწევრა,
მის წინ მეუფის კრულვა და
ნეშტი ქოფაკსა, მწევარსა,
ვინც იძალადა შენზე და
შენი სისხლი ვინც დაღვარა,
ვინც შუბს ესროდა შენ მზეს და
მტერი შენს გულზე ახარა.
ვინც მიგცა მსხვერპლად მტრისასდა,
ჩემო მამულო ბაღნარა.

გამჩენს ვთხოვ: მადლით, ზეციდან
მზედ, მთვარედ გადმოგეფინოს,
ნაკბენზე ულმობ მხეცისგან,
ზედ მალამოდაც გეფინოს.

10.10.2017 წ.

მაშინ მიყვარხარ

ზურაბ ქაფიანიძეს

მაშინ მიყვარხარ, როცა არაგვში
ხარის ბეჭებით ტყლაშას მოადენ,
მომაგონდები ქვევრთან მარანში
და ნასვამს თვალზე მგლის ცრემლს მომადენ.

მაშინ მიყვარხარ, როცა შესძახებ:
„მამულს არავინ შეგვეცილოსო,“
მე, ვეძებ, რაღაც ხელის შესახებს,
მტერს დავცე, ღმერთმაც ჩემთვის ილოცოს.

მომაგონდება ჩემი ლიახვი
და გული ღელავს ნორჩი წნორივით,
შენსავით მინდა, ვარ თუმცა ამ ხნის,
შიგ ვეგდო მუხის მოჭრილ მორივით.
ჩაბარუხიდან ტალღებს გამოვყვე,
ვნახო მინდვრები, ყანა, ჯეჯილი,
ერთხელ დავხედო დამწვარ სამოყვროს
მკერდიდან მე გულამოგლეჯილი.

16.12.2008 წ.

რად დუმს ჰააგა?

სად არის, ვკითხულობ, სამართალი საით ვეძიო?
აღშფოთებული, ვცდილობ ჩემს თავს როგორმე ვძლიო,
რომ არ აღმომხდეს ხმა გულიდან, ნაწყენს მე, ღმერთო,
როდისღა დასჯი, ჩემი სისხლი ლიახვს ვინც შერთო?

ვინც უმოწყალოდ ხოცავდა ხალხს, ტანჯავდა ტყვეებს,
ვინც სწვავდა სოფლებს, ბაღ-ვენახებს, ენდემურ ტყეებს,
ვის ბრძანებითაც ათასობით ლტოლვილად იქცა,
ვინც სათარეშოდ ჯარს და ოსებს ეს მიწა მისცა?

როდის აღსდგება სამართალი, პურს როდის შეჭამს,
ბნელში დამწყვდეულ მერანივით ლაგამს რომ ღეჭავს?
როდის აიწყვეტს? გამოჭენდეს, კრემლს და მის მთავრებს
ციხის საკნიდან აჭვრეტინოს ცას, მზეს და მთვარეს.

სად მოვიძიო, ან ვინ მეტყვის, რად დუმს ჰაგა?
ბატონებო, ეს წაყრუებას ხომ არ წააგავს?
მაშინ, როდესაც უამრავი ფაქტი ღაღადებს,
როცა ჯერ ისევ ჭრილობიდან სისხლი ღვარღვარებს.

გაუგონარი ბოროტებით ეთნიკურ წმენდას,
დანაშაულის ამ სიუჟეტს პუტინი წერდა,
ამ რეიხსკანცლერს ქართველების სისხლის ტბა მართებს,
სამართალი კი, ჰაგაში, თავს ძილს ვერ ართმევს...

ეს უღმერთობა, ქართველების ეს გენოციდი,
ვინ ჩაიდინა, ბატონებო, თქვენც კარგად იცით,
რადგან დათვია, მსჯავრი დასდოთ თქვენც უფრთხით, ვიცით,
რაც იწვევს ჩემში ორაზროვან ღიმილს და სიცილს.

მოძლიერდება, სხვის მამულში კვლავაც შეტოპავს,
მის დასაფრთხობად ძალა უკვე აღარ გეყოფათ!

14.10.2015 წ.

იქ, ზეცაში ღმერთები სდუმან

„ქართველზე უფრო ახლობელი ვინ ჰყავდა რუსეთს?“
რიტორიკაა, თუ წრფელია იური როსტი?
„мне жаль грузин“— ამბობთ პუტინ, მაშ, ჯარს რად უსევთ?
„ეს მარტივია, რომ არ გახდეს „ნატოს“ ფორპოსტი“.

და როგორც მუმლი, ჯარი და ბრბო, კაზაკთა ხროვა,
„ვოსტოკ“ — „ზაპადი“ ჩეჩნებისა, რუსი და ოსი,
გამოძვრნენ ხვრელში... ბარბაროსთა, ამ მკვლელთა გროვას,
სარდლობს პუტინი — საფრთხობელა ამ სამყაროსი.

და იქმნა რბევა, გაიტაცა ვინც რა მოასწრო,
ათასი წლობით შუბლის ოფლით რაც შექმნა ერმა,
გადაიტანეს ქედის იქით. ერთ დღეს მოასპო,
ამ კაცთმოძულე, ამ ცივსისხლა ქართველის გერმა...

ბომბავდნენ სოფლებს ქვემეხებით, ნაღმებით, ტანკით,
თვითმფრინავიდან აკრძალული „კასეტურებით“,
და მამულს ჩემსას ქართველთაგან დასცლიან რაკი,
ქორის ბუდეებს შეუყეფენ, როგორც ტურები.

ბომბავენ გორსაც ჰაერიდან, სცდიან „ისკანდერს“,
აქ გამოსცადეს ხალხზე „სმერჩი“ და „ურაგანი“,
ამ წარმართებმა, ვითომ „ძმებმა,“ რაც აქ იკადრეს,
ვერ დაიტიოს ვერც პონტოს ზღვამ და ვერც გურგანის.

აქ მათ ბილწობას, ამ ჯოჯოხეთს რა ენა აღწერს,
როდესაც არ ხარ ჰომეროსი, შოთა ან დანტე,
მე ეს ვიხილე, ეს გადამხდა... გულზე ქვად მაწევს,
სამართალი რომ ვერ მისწვდება ამ ომის ამტეხს.

არა და, ერთი ნიურნბერგი ამ ორ კაცს, დუმას,
ჩემი მამულის, უკრაინის ამ მაოხრებლებს
ეკუთვნით, მაგრამ იქ, ზეცაში ღმერთები სდუმან,
არ ჰყოფნით ნება არც თვითონ და არც ტახტის მხლებლებს.

21.08.2015 წ.

„ბევრი ჯაშუში გვყავს ქართველებს“

ჯარისკაცი ნაკაშიძე

ნეტა შენს გულში ჩამახედა, რა გრძნობით ფეთქავს,
როცა მტერს აწვდი შენი ჯარის ადგილსამყოფელს,
აბო არაბი... შენ, ქართველი რად უნდა გერქვას?
შესაშურია, დასანანია ვაი, ამ სოფელს...
დაგსიზმრებოდა სული პაატა, რა უნდა გეთქვა?
ის კი, გეტყოდა: „ცოცხალს ღმერთი, როგორ გამყოფებს“?
ყოვლად მიუვალ ციხის კედლებს ღალატი ხეთქავს,
საქართველოც ხომ, ტყვეობაში ამ გზით ამყოფეს.

არ გახსენდება? მეფე დემეტრე, მღვდელი თევდორე
და წამებული ქეთევანი, საქართველოსთვის,
რის ძუძუ წოვე? ალბათ ძაღლის, ბილწო მედროვე,
შენ, გამცემელო მამულისა და ქართველობის.
ერთი ქართველი, ხმაჩახლეჩით ვთხოვ რუსის მსტოვრებს:
ციხეს შიგნიდან, ცოდვილებო, ნუღარ გატეხავთ,
მძიმე ფასი აქვს მტერთან ძმობას — სისხლის კვალს სტოვებს,
დაინგრა ციხე? მის ნანგრევებს ვეღარ გავხვრეტავთ.

26.09.2015 წ.

გულნაკლულობა

კიდევ ორიოდ გაზაფხული, ზაფხულ-ზამთარი,
შემოდგომა და, მე, სტუმარი სახლიდან გავალ,
გასამგზავრებლად ჩემი ეტლი უკვე მზად არის,
ჩემი გავლილი ცხოვრების წინ შემცბარი ვდგავარ,
ვფიქრობ: რა იყო. ამაოთა ფუჭი ბაზარი?
თუ მჭედლის ხელში, ჰგავდა რკინის ქურაში ვარვარს.

ნურავინ განმსჯის უფლის გარდა და არც საწუთრომ,
რომელმაც მშოლტა, ღვინის ნაცვლად მასვა მე ძმარი,
და რაც დრო გადის, მიმძაფრდება ეჭვი აწ უფრო,
ის იყიდება ფულზე, როგორც ღამის მეძავი,
თუმცა, რეკავდა ჩემთვის ტაძრის ზარი სამწუხრო,
თავს ვერ ვიხსნიდი ბავშვობიდან მისი მძევალი.

წრთობად მიმაჩნის უფლის ძერწვა ჩემი სულისა,
რომლის მადლითაც ვწერ ამ ლექსის სტროფებს, სტრიქონებს,
ამოვიმღერებ ღრმად ნაგუბარ სევდას გულისას,
არად ჩავაგდებ, მიძაგა თუ ვინმემ მიქო მე,
გაზაფხულით კი მოლაღურის, ხმას გუგულისას,
მინდება ავყვე, მესამე ხმა ვიყო თითქოს მე.

დრო ცოტა მრჩება, სანაქებოს ვერაფერს ვტოვებ,
ჩემი ჩინჩხვარი ათიოდე ლექსების გარდა,
გავემგზავრები, მარადიულ სიმშვიდეს ვპოვებ,
ვტოვებ ჩემს ზეცას, დილით ნამით ბავშვს პირს რომ მბანდა,
ჩემი მამულის მზეს და მთვარეს, ჩემს თანატოლებს,
პურის კუტებით, ღოლოთი და მჭადით რომ გვზარდა
და ყოველ იმას, ჩემს სულში რაც იარას სტოვებს,
მტრის ნარეკალი, ხვიარა და შხამნარი ბარდა,
ტყვედ რომ ჰყავთ დღემდე გადამთიელ სხვადასხვა ტომებს,
მაშინ მექნება მკვდარს სიმშვიდეს, როცა ეს ბანდა,
რა გზით მოვიდა, საქართველოს იმ გზით დასტოვებს.

27.03.2018 წ.

ცხინვალი

იყო აქ ოდესღაც ტევრები რცხილნარის,
ლიახვთან, ლელის და ტირიფის ჭანჭრობი,
მოვიდა ასფაგურ, დაარსა ქრცხინვალი,
ქალაქი, ნაქები ხელოსნით, ვაჭრობით.

შვიდმნათობიერი მეფე, აქ თამარი,
დაბრძანდა ლიახვთან მზით ნათელ კარავში,
განაგრძო საქმენი და ბრძანა მთავარი:
„ჩრდილოდან, ამ მთებზე, გადმოძვრეს არავინ!“

ყოველ ქვას, ყოველ კლდეს ქართველის მარჯვენა
ჩაქუჩით, საჭრელით ბეჭედად ატყვია,
ზეკარა შეუდგამს ზეცისთვის საბრჯენად,
ორთავე ლიახვი ზედ ქამრად არტყია.

ტაძრებზე ჯვარი და მტევანი ამოჭრა,
ზეცას მხრით შეუდგა მყინვარი საბრჯენად,
ლიახვში, ოდესღაც, ქამრად რომ ჩამოჭრა,
ნათლავდა შვილთა-შვილს, ჯვარს სწერდა სამჯერად,
მე, მისმა სისხლ-ხორცმა, ყელიც რომ გამომჭრან,
თუ დავთმო უბრალოდ, გამიხმეს მარჯვენა.

რა რწმენა? რის რწმენა!

ერთმორწმუნეაო, ამ აზრმა შეგვბოჭა,
მართლმადიდებელიაო, დღესაც გავყვირით,
მაშინ, რა დავარქვათ მის ქართლში შემოჭრას
ტანკებით, ქვემეხით, დოლ-დაფდაფ-საყვირით?

ამ ქრისტესმიერმა, ჩვენისა რწმენისამ,
დაბომბა ნიქოზი, მის ტაძარს, მონასტერს
ცეცხლში სწვავს, ბერი კი, ჭაღარა წვერისა
ქადაგებს: „ერთნი ვართ, ერთი წყლით მოგვნათლეს“.

როდემდე, როდემდე ეს მიამიტობა?
კადნიერს, უტიფარს, ძველ დროთა მემკვიდრეს,
სურს ფლობდეს ჩვენს მიწას და ამიტომაც,
რწმენაც და ქართველნიც სულ ფეხზე ვეკიდეთ.

ამ ჩვენს ერთმორწმუნეს ვიცით, რაც აწვალებს:
ორ ზღვათა შუა ჩვენ, რომ გზა და ხიდი ვართ,
მას სურს, ეს დაგვიხშოს, ომით სცდის საწადელს,
არასდროს დაგვინდობს, ფეხებზე ვკიდივართ.

ამ ულაყს ისეთი მხედარი აზის ზედ,
პირს შეკრავს დემონთან, ეშმაკთან წილს იყრის,
გუშინ ჩვენ გაგვწეწა? დღეს ძმა ჰყავს სამიზნედ,
რა რწმენა, ის დანას შიგ გულში გაგვიყრის.

20.09.2015 წ.

მიეც პატრუქი

შენი ხატის წინ დავიჩოქებ, წმინდა გიორგი,
რათა ჩემს მამულს განარიდო ბოროტი ძალა,
მოევლინე მას ქარზე სწრაფი თეთრი იორღით,
განაფრხე ჩვენგან, დედაღვთის წილ მიწას ვინც გვძალავს.

ჩვენო წმინდანო და მფარველო ქართლოსიანთა,
წინ მიგვიძღვოდი, სადაც ომი გადაგვიხდია,
იყო ფარ-შუბი, ხმალ-ხანჯალი, თოფი სიათა,
ვკვდებოდით, ხარკი ამ მიწისთვის სისხლით გვიხდია,
დღეს კი, ხვრელში რომ უწმინდური გამოსრიალდა,
ვერ მოვერიეთ, ცოტანი ვართ, ის კი დიდია.

პირველმოწამევ, საქართველო გზაგასაყარს დგას,
მიეც პატრუქი, განაფანტოს ბუნდოვანება,
შენი მადლი სცხე თუ მცდარ ნაბიჯს დგამს
და არ აჩვენო ძილ-ღვიძლში უნდო ზმანება.

შეხლა-შემოხლით ჯერ ისედაც ფუტკრის ნაყარს ჰგავს,
რადგან იმძლავრეს იალბუზზე უცხო ზარებმა,
მაცდური ხმაა, მიზანს აწი ნუღარ დავკარგავთ,
დრო არ დაგვინდობს, ყველა კარი ჩაირაზება.

გადმოდი ციდან, წმინდანო, და მოვედ მსაჯულად,
უცხო ტომები ჩვენს მიწა-წყალს რა გზით იყოფენ,
განაფრთხე, ვინც აქ, არ მკვიდრობდა ჯიშად და რჯულად,
საქართველო კი, ჩვენ, მის შვილებს მთლიან გვიმყოფე.

მოვედ მსაჯულად! მალე ზევსის დასჯილ პრომეთეს
და ამირანსაც, არწივმა რომ დაბმული კორტნა,
დაიჩემებენ, წმინდანო, და კუთვნი რომელ ერთს?
ჩვენ კი, მანამდე, მტრედს მოვუცდით, პალმის რტოს მომტანს.

22.11.2015 წ.

საქართველო

წმინდაო დედავ, ღვთისმშობელო, მე, შენსა წილხვედრს,
ამ ათასი წლის შემდეგაც კი მკორტნის ყორანი,
ნაყივჩაღარნი, მონღოლარნი მადენენ სისხლებს
და ჩემს ძუძუზეც ამოფორთხდა მათი ფორანი.

შემოგავედრებ ჩემს მიწა-წყალს და შვილებს ჩემსას,
გზას ნუ წაგვიშლი შენი ხატით ჩემს მიერ გავლილს,
აფხაზეთის და სამაჩაბლოს განმრიდე კვნესას
და ნუ მომწყვეტავ მკერდიდან ამ ორ ლამაზ ყვავილს.

მე, ნაცრემლარი, ნასისხლარი, ნაამაგარი,
გამოვედ ლოცვად, შენ და შენს ყრმას მოგაპყრობთ თვალებს,
რაღა ვიქნები, მკერდმოჭრილი დედა ამგვარი?
რაღა ვიქნები, თუ მომწყდება ეს მზე და მთვარე?

02.09.2007 წ.

პატრიარქი

მადლობა პატრიარქს — ილია მეორეს,
უბადლო ერის მწყემსს, ნეტარს და უწმინდესს!
ქართველთა შორის დღეს არის კი მეორე
ტოლობდეს მას საქმით აწინდელს, უწინდელს?

თვით უზენაესის ხელდასმით, ვით კრავებს,
ცოდვილებს და მაშვრალთ მეუფედ გვებოძა,
ეს მაშინ, როდესაც პირ-კრიჭას გვიკრავდნენ,
როდესაც წითელი სატანა გვებრძოდა.

თვით უზენაესმა ხელთ მისცა კანდელი,
ქართული ჯალაბი ქრისტეს გზით ატაროს,
შეივრდოს ღატაკნი, ცოდვათა ჩამდენნი,
ერი განარიდოს ავ სულს და ტარტაროზს.

ჩვენს შორის, ჩვენს ირგვლივ, ჩვენს გვერდით, გარშემო,
როდესაც ბევრია ნათხუპნი, გასვრილი,
ის, როგორც მთიები დილის ცის სამშვენო,
შორით ჩანს ნათელით და მადლით აღვსილი.

სადაც კი ერს უჭირს, მეუფე იქ არის,
ნიქოზში ჰგავდა ის მზის გამონათებას,
განათდა ბნელი და იმედი მიმქრალი,
ჰგავდა ყრმის აკვნიდან ხელთამოთათებას.

ნახა პატრიარქმა რუსის გენერალი,
როგორ დათარეშობს მარბიელ ლეკივით,
აჩუქა ჯვარი და გორში, ეს ვერანი,
კრძალვით დაჰყვებოდა ყურცქვიტა ლეკვივით.

ამ ომის დღეებში, მოწმეს ამ ვარამის,
არ დაუწყევლია არც რუსი ერი და,
არც მისი თავხედი, ბოროტი მთავარნი...
ეგზარხოზის მერე, თუმც მისი ჯერი დგას...
მაგრამ ის ბრძენია! — ეს არის მთავარი!

23.09.2015 წ.

სამდურავი

გაცნობის დღიდან, ერთმორწმუნე, ჩემს ძმად შეგრაცხე,
და მოგეკედლე სისხლდაცლილი თურქთა, სპარსთაგან,
ჩემს ორგულობას შენდამი მე, რაც კი შემარცხვენს,
ვერვინ მოძებნის ჩვენს წარსულში ცოცხალ არსთაგან.

შენს დიდ ომებში, ჩვენი ძმობის ჩემს წილ სისხლს ვღვრიდი,
ყარსის ციხე და ბოროდინო, ბრესტი, ბერლინი,
და მაინც გულით, მე არაფრად რომ არ გიღირდი,
გაცნობის დღიდან ვგრძნობდი მე, დღეს შენგან დევნილი.

არად გიღირდა ყოველივე, რაც ქართულია:
ადათ-წესები, ეკლესია, წირვა და ლოცვა,
ვხვდებოდი მე და შეეგუო ძალზე რთულია,
ჩემი მხსნელი და მოძმე ჩემი მგონიხარ როცა.

შენი მოსვლიდან ათიოდე წელს არ გაევლო,
კბილს მისინჯავდი, გინდოდა, რომ მონად გყოლოდი,
რამდენჯერ მსურდა, ხმალ-ხანჯალზე ხელი გამევლო,
რომ ისევ უკან, დარიალის გზას გაჰყოლოდი.

წლებს არ გაევლო ათიოდეს, ძმად მიღებული
ისე გაშმაგდი, ჩემს ქვეყანას თვლიდი სატრაპოდ,
თუ რამ მებადა, სულიერად რამ ღირებული,
თვალწინ მტაცებდი და გზავნიდი მოსკოვს სასწრაფოდ.

იქ, დარიალთან, სულ სხვა განახე, გენდე ბოლომდის,
ერთი შეხედვით გაზაფხულის ჰგავდით გუგულებს,
შენი შემყურე, მაშფოთებდა მერე მხოლოდ ის,
რატომ მხეცობდი ჩემზე, მე ხომ ჩემს ძმად გიგულე.

ორას წელიწადს ცდილობდი, რომ ჩემი გულიდან,
ენა რუსთველის ამოგეწვა, ამოგეშანთა,
ამომღერილი თამარ მეფის უკვდავ სულიდან,
ენა, რომლითაც მაცხოვარი მწვრთნიდა, მგეშავდა,
ფესვი რომ კვებავს უკვდავების, შორ წარსულიდან.

ბევრს გაგიხსენებ ჩემდა მიმართ უფრო საშინელ
ცოდვათა კასკადს, თუ გავქექავთ ძველთა ანალებს,
რასაც მიქადდი ერთმორწმუნეს, დღესაც მაშინებს,
ტანში მზარავს და ჩემში დღესაც ავად ვალალებს.

შენ, შორეული ჩანაფიქრი დეკაბრისტების,
მუქარა, ჩემი გასახლების სადღაც ციმბირში,
ბევრჯერ მიხსენე და ამ შენი მოძმის სიტყვებით,
ნანობდი, აქ რომ ვერ მომკვეთე ფესვით შიგ ძირში.

ოცდაერთ წელში საკუთარი სისხლით განბანილს
სამი წლით შენგან თავისუფალს ისევ მატყვევებ,
რომაელივით გალერაზე ჯაჭვით მაბამ მე,
მამულებს მაცლი, მანაწევრებ, ცოცხლად მატყავებ.

ოცდაჩვიდმეტში ერის მამებს თავი მოჰკვეთე,
ცხრა მარტის სისხლით, ცხრა აპრილის მორწყე თბილისი,
ამის შემდეგაც ბრმად გეძახი ისევ მოკეთეს,
მე გულმავიწყი, შეპყრობილი ჯადო-თილისმით.

კვლავ ამოქროლდა ქარი ჩვენში თავისუფლების,
ბოლშევიკების კერპი ერთი დარტყმით მოისრა,
შენ ჩაერიე და ქალაქი თავის უბნებით
ცეცხლში გაეხვა სამარცხვინო ძმათა ომისა.

ოსი, აფხაზი შენ ჩემდამი მტრულად განაწყვე,
ამით შენ უფრო ჩემთვის საშიშ ბადეს ხლართავდი,
ვინ-ვის, შენს გამო თოფ-ზარბაზნით უნდა გადაწყდეს?
შენ, როგორც მოძმე, სწორედ მაშინ ჩემთვის დამთავრდი.

როგორც ზღვა ნავს ან მთის მდინარე პატარა ნაფოტს,
ორას წელიწადს მანჯღრევდი და მაფარფატებდი.
ჩემს გადარჩენას გიმადლი შენ, ყოველთა ცათმფლობს,
ამ განსაცდელში მხოლოდ შენ თუ ძალას მმატებდი.

მაღალი იყო ნდობა ჩემი, მაშინ, შენდამი,
დარიალშივე, მე იმედით, ძმად რომ შეგრაცხე,
ის ავკაცობა, შენ ჩემს მიმართ რასაც ბედავდი,
თუ ნამუსი გაქვს, მომავალში ბევრჯერ შეგარცხვენს.

სულ ახლახანს კი, ათი წლის წინ ჯარით, ბანდებით
შემოიჭერი ჩემს მამულში, როგორც ჯალათი,
რომ გავჯიუტდი, შენ სურვილებს, რომ არ დავნებდი,
მომკვეთე ფესვით, გამომდევნე ჩემი ჯალაბით,
დარიალთან მე, რომ მცოდნოდა ამდენს მავნებდი,
ზურგს შეგაქცევდი, გზა გქონოდა თუნდაც ჯანდაბის.

რუსიანობა

საუკუნეა მეთვრამეტე, მამულო, შენი ყოფნა-არყოფნის,
მტერს დახვედროდი, სისხლისაგან დაცლილს
ცოტაღა გქონდა ძალა სამყოფი,
ჯვარცმული, მაინც ფეხზე დგებოდი ფერფლიდან, როგორც მითში ფენიქსი,
ახალი სისხლით, უკვდავებით და ფრთებით საომრად ასაფრენისი.

პირდაპირ ომში არ გაურბოდნენ შენი შვილები არცერთ დამპყრობელს,
ახსოვს ასპინძას, მარტყოფის მინდორს, მტერი შავ დღეში როგორ ამყოფეს,
პირისპირ ომში ერთი ქართველი მტრის ათამდე კაცს მაინც დასჩეხდა,
თავის მამულში გადარჩენისთვის ხმლის ქნევა წესად რახან დასჩემდა.

თუ საუკუნე მეთვრამეტეა ლეკიანობით შენზე სასჯელად,
მამულო ჩემო, ღმერთს შეხედე და გადაიწერე ჯვარი სამჯერად,
ბოლო ორასი წლები რა არის, გულს არ გიმწუხრებს ეჭვიანობა?
ტრაქტატის დღიდან, შენ, მარად ბედკრულს, არ მოგევლინა რუსიანობა?

მაშ, რა ვუწოდო, შენს წინააღმდეგ მზაკვრულ ნაბიჯებს,
შორს გამიზნულებს,
როცა მკერდიდან ძუძუებს გაჭრის, რომ მოაწოვოს შემოხიზნულებს,
ვერაგობით კი, ლეკიანობას, რუსიანობა ასჯერ გადასძლევს,
თუ ამ ჭირს დასძლევ, საწუთრო შენი, იქნებდა მეტად აღარ გაძაღლდეს.

ცხრას აიწონის კრემლის ბელადი, ვინც ბელადობდა ჭარში და ნუხში,
ტრაქტატის დღიდან ცხოვრობდი, ცხოვრობ მსგავს ბელადების
შიშში და სუსხში,
საქმით და მიზნით ლეკიანობა, რუსიანობა ჰგვანან ერთმანეთს,
როგორცა ფუნა გაყოს ბორბალმა — ისე მაცხონოს მაღლით ღმერთმა მე.

მტერსაც კი

ჩვენი წინაპარნი ძალზედ შორებელნი,
გულით რკინისანი, თვალნით ქორებულნი,
მტრები ჩვენს მიწა-წყალს მკალად მოდებულნი,
მრავალჯერ ყოფილან მათგან ოტებულნი.

გაქცეულთ მისდევენ, ვით მგლები ცხვრის ფარას,
ჩეხვით და „ჰკა მაგას“ გამყივან ძახილით,
რას მერჩი, დუშმანო? მოდიხარ მახვილით,
როცა მე, შენთვისაც გული მაქვს გახსნილი?

ისიც კი ყოფილა: შევბმივართ მე და შენ,
ერთმანეთს პირისპირ, ორნი და ხმალდახმალ,
იქნებ მეც ვკვდებოდე, მაგრამ შენც დედაშენს
ვერ ნახავ, თავს მოგჭრი და არცკი დაგმარხავ.

პური არსობისა ოფლითა ჩემითა,
ვპოვო მე, ვარჩინო დედ-მამა, ცოლ-შვილი,
შენ კი, მე თავს მესხმი წინაპართ ჩვევითა,
უფლისა და ჩემს წინ მარადის ცოდვილი.

მტერსაც კი, გზად გავლილს გულღიად, ალალად,
მივაწვდი ჭამადს და ღვინოსაც ბადაგის,
ტანადი ქალი მან, ჩემი თუ დალანდა
და ღვინონასვამი აკრძალულს გადადის,
რა მრჩება? ვიშიშვლო ხანჯალი ან დანა,
ვაძგერო უმადურს შიგ გულში ვადამდის.
არა და, ამ ძაღლს მე, ვგონივარ ჯაბანი,
ვიდრე არ ამშლია ტანს რისხვით ჯაგარი.

საშიშ ვარ

ალადასტურით ამივსეს ჯამი წიფელის ხისაი,
სადაფის ფერი, ჯიშით კი შიდა ქართლისა მხრისაი,
წინწკლებს ჰყრის, როგორც ნაპერწკლებს ლამაზი ქალი თვალებით,
მიყვარს და რა ვქნა, ვერ შევძლებ, ვერც ერთს ვერ დავემალები.

ულვაშზე ხელი გადვისვი, ღვინის ჯამს ფსკერზე ჩავხედე,
შიგ ჩემი სოფლის მზე მოჩანს და ლურჯა, მე რომ გავხედნე,
შიგ ჩემი მესაიდუმლე, მთვარე ჩანს შიშველ დალივით,
ზედ ჩემი სიყრმე ფუფალას აზის პატარა ხალივით.

შიგ ჩემი აკვანი მოჩანს და ჩემი მამულ-დედული,
სამყარო, მე რომ დავკარგე, სადაც დავტოვე ეს გული,
სადაც ჯერაც არ დამშრალა, ჩემი ნაწოვი ძუძუნი,
ჩემი პატარა სამყაროს დაუვიწყარი კუნძული.

ღვინო დავლიე, ჯამი ფრჩხილს, ზედ დავაწერე წვეთი-წვეთს,
დავლოცე ჩემი მამული, მის ბედს ცაში რომ ღმერთი წყვეტს,
დავლოცე ვაზი და ღვინო, ეს წმინდა სამღვთო ზედაშე,
იმ ქვეყნად სული ვუხსენე პაპას, მამაჩემს, დედაჩემს.

ჩემი მიწის და ვენახის ცრემლებმა ამაჭიკჭიკა,
თითქოსდა მხარზე დამაჯდა ზაფხულის ღამის ჭრიჭინა,
ამაღიღინა, არ ვტირი უღლის ნიკორა ხარივით,
მტერს კი ახსოვდეს: საშიშ ვარ, მოქნეულ გორდა ხმალივით.

27 თებერვალი 2017 წ.

ქართული სიხლი

ღმერთო, იმ კაცის სული მიცხონე
ვინც მე ქართული სიხლით ამავსო,
„შენი სამების რწმენით იცხოვრე,“
საფლავიდანაც მითვლის ამას რომ.

და ვინც ქართული-მაცხოვრის ენა
ბნელეთში სანთლის შუქად ატარა,
თქმულების მჯერა, რომ ცით თვით ზენამ
ჩემთვის ნოეს მტრედს გამოატანა.

აცხონე, ღმერთო, ვინც ქრისტეს რწმენა
დასაბამიდან რჯულად დამიდო,
ძმად მსურველს ვეძმო, მტრისადმი თმენა-
გზად ხიდად მათკენ ვინც ეს გამიდო.

მიცხონე, ღმერთო, ეს საქართველო,
ზღვა სისხლის ფასად ვინც დამიტოვა,
ჩემს გულის ფიცარს, მეც ვიქართველო
დავაწერე ეს, მე ამიტომაც.

განმინათლე, გთხოვ, იბერ-ივერთა
მეფეთ-მეფენი, მხედართმთავრები,
ჩემი წარსულის შორჟამიერთა
მანათობელი მზე და მთვარენი.

თავი ვინც დასდო, ათას წლის მერეც,
რომ მათმა სისხლმა ჩემში იდინოს,
ფიცვერცხლს ვუგზავნი მოლაშქრე მხედრებს-
მტერმა აქ მშვიდად ვერ დაიძინოს.

მეფეთ-მეფეებს მიცხონებს ღმერთი:
გორგასალ ვახტანგს, დავითს და თამარს,
რუსთველს, გვირგვინით, ცხრა მუზის კვერთხით
ჰომეროსის და დანტეს თანაბარს.

ცხონდნენ მამები ეკლესიისა,
ქართულ სულ ჰფენდნენ ბაღდადს, დამასკოს,
ნებითა უფლისა და მესიისა,
სულს, რომაელთა, ელინთ თანასწორს.

აცხონე, ღმერთო, ვინც შეეწირა
დიდგორს, ბასიანს, მარტყოფს, მარაბდას,
სისხლში ნავლები დროშა ეჭირა,
ხელიდან ალბათ მკვდარს თუ გავარდა.

მიცხონე, ღმერთო, სოხუმ-ცხინვალის
რუსეთთან ომში განგმირულები
და ვიდრე ვსუნთქავ, მახსოვდეს ვალი
ამ დიდ ქარცეცხლში დაკარგულების.

ქართული დროშა ძირს არ დავხარო
ქრისტეს ნაკურთხი, გორგასლიანი,
მტრის გულის ჭია არ გავახარო,
დაუნდობელი და გესლიანი.

მეც ვგრძნობ, არ სცოდავს ჟამთაამთვლელი,
მათი ძვლებისა, რომ ვარ სრულად მე,
ვფიცავ, ვიქნები სისხლით ქართველი
ქვეყნიერების აღსასრულამდე.

20 ივნისი 2017 წ.
თბილისი

ფული, ფული და შუქურა

საქართველოში, დღეს ცვენაა ფულიან კაცთა,
ბიზნესმენების, მუცელქორა მოხელეების,
ჯერ არ ნახული ხალხისა და ხაზინის ძარცვა,
ცალ-ცალ კალოშით ჩამოსულთა და კუჭხმელებით.
მათში ვერ ნახავ თუნდაც ერთ პეშვს სიქველის მარცვალს,
უქონელთ გასცეს თითო ლარი „ჭუჭყი ხელების“,
არ გაიმეტებს ობლისათვის არც ქურთუკს ნაცვამს,
ნაშოვნს, რაღაცა სოროებით, რაღაც ხვრელებით.

საქართველოში, ფული, ფული და მხოლოდ ფული,
ამ ქვეყანაში მხოლოდ დიდი ფულით მეფობენ,
ამ ქვეყანაში, ვინც კი ფულზე გაყიდა სული,
თბილ სკამებს, ვილებს, დიდ სიმდიდრეს ისინი ფლობენ,
თვითონ „განსუქნენ“, უქონელთა ზრდა არის სრული,
უსამართლობას ისინი კი ქვის სროლით სპობენ...

ასეთ საქმენით ჩვენს ერთობას, ერთსულოვნებას,
გალავნს ჩვენი, დედაციხეს ბზარი დააჩნდა,
ჩვენს ამ ბასტიონს, ჩვენს ოდინდელ ძალგულოვნებას,
„ძლევას საკვირველს“ მხოლოდ ერთი პირი გააჩნდა.

ამ ერთობის და სიმტკიცისათვის დაფს და ნაღარას,
„ლიტსაქართველო“, ეს გაზეთი დღემდე სცემს ბუკსა,
ჩვენს ამ შუქურას ასი წლისას, მხნეს და ჭაღარას,
ამ ტევრში ჩვენგან შველა უნდა, ვითა შვლის ნუკრსა,
სუსხიან წლებში ჭირ-ლხინი რომ ჩვენი ატარა,
დედამტკვარივით წინ რომ უძღვის ეროვნულ კურსსა,
პირი აუკრა რამდენ დიდ მტერს, რამდენს პატარას,
გველის წიწილებს ჩვენს უბეში, და რამდენ კრუხსა.

ამ გაზეთმა და კაცმა, ლერი ალიმონაკმა,
უგვან მეჩითოვს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა,
რადგან ამ გველმა, იმპერიის ჩუმმა მონა-ყმამ,
ამ ჭირ-ვარამში ვერაგულად დანა რომ ჩაგვცა,
სხვამ ვინ შერისხა? მაღლა, ზემოთ, მთქმელს ვერ მონახავ,
რადგან კაკალიც აქვთ მათ და სამტვრევად ქვაცა.

დღეს ეს შუქურა, მეჩეჩებს რომ ზღვაში გვანიშნებს,
ავცდეთ ხიფათებს, გემი ჩვენი არ ჩაიძიროს,
მე, მის მკითხველს და მოქალაქეს დიდად მაშინებს,
ბრალი იქნება უსახსრობით რომ გაიწიროს,
ჩვენი მწერლობის — კითხვა ჩემი არის მაშინ ეს:
უღელი, მძიმე, მის მაგიერ ვინ გაიწიოს?

ვიღამ ამხილოს მაყეფარი ჩვენი მზის, მთვარის?
როცა აღარ გყავს შენ, მამულო, ნაღდი პატრონი,
როცა აღარ გვყავს, დიდი გულით, ფხიზელი თვალით,
ხმალივით მჭრელი, კალმის წვერით, თამაზ ბატონი,

ყოველი ჯურის მოდავისგან მკერდით დაგიცვას,
შენი სიმართლე დროშასავით ქარზე გაშალოს,
ფაქტებით ნაქსოვ ჯაჭვზე მტკიცე პერანგს ჩაგაცვამს,
მეჩითოვებმა, ლავროვებმა ველარ დაშალონ,
შენზე შეტევას, ვით უხორცო დახვდეს მამაცად,
აუგი სიტყვა, მთქმელს უკანვე პირში ჩასჩაროს.

გადავარჩინოთ ერის წყლულის მოზარე ბუკით,
„ლიტსაქართველო“, ამ წყლულების მკურნალ მალამოდ
წელში გაწვეტილ მამულს ჩვენსას სჭირდება თუკი,
უნდა ვივარგოთ, ულმობელმა დრომ არ წალამოს,
ავტორებით კი, როგორც გუნდი ნაყარი ფუტკრის,
კრიტიკით, პროზით, პოეზიით გაიალაღოს.

ფრთხილად, ბიჭებო!

ძაძით მოსილი ზეცა წყნარ წვიმით,
შფოთში ჩავარდნილ ქალაქს დასტირის,
ჩაირეცხება ლაფი და მწვირი?
თმენის უქონელ კერპებს გავყვირი.
ძნელი ყოფილა ადამის ძეთა
აღზევებულთა დაღზევებანი,
ჭირივით ჩნდება ძმებისა ძმებთან
შუღლი, ქიშპობა, მტრობით ვნებანი.

ფრთხილად, ბიჭებო! ეს ახსოვთ მამებს:
იცით, რა ქორიც თავს დაგვტრიალებს,
ერთი-მეორის დამკორტნავ მამლებს.
მამულთან ერთად წააწიალებს.

375



მე, ადამის შვილს

გამოზაფხულდა, ბუნიობის დღეები სუფევს,
თოვლის ნაჟურით აიწყვიტეს ნაკადულებმა,
მგალობელ ჩიტებს ბადრი მთვარე ღამეებს უთევს,
გზა გამოიგნონ ცხრა მთას იქით დაკარგულებმა.
მოფრინდებიან, მაჩუქებენ სტვენით ტკბილ წუთებს,
გულის სიმხნევეს, სულის ცად სვლას და კარგ გუნებას.

წამოვენთები, მე, გულქართლი, ხმელი კვარივით,
სიცოცხლის ჟინი სისხლძარღვებში ჟრჟოლვით დამივლის,
შემომასკდება გაზაფხული ნიაღვარივით —
ვარდ-ყვავილებით, მგალობლებით ზედ გადამივლის,
მის მეუფებას დავუჩოქებ სამხვთო კრავივით:
აღქმის ეს ნიჭი არ წარმხოცოს მე, ადამის შვილს.

21 მარტი 2016 წ

ფლები

ცაში, რისხვით აგორგლილო ღრუბლებო,
შემოგხედოთ-ცვრიან მოლზე ვწვები,
დაიქუხეთ, გაუვალო ჯუნგლებო,
გამახსენეთ ვაჟკაცობის წლები.

ტყვეობიდან მთვარე გამოუშვით,
თორემ წვეთ-წვეთ წყაროსავით ვწყდები,
სასთუმალზე ნაწნავს ჩამოვუშლი,
გამახსენოს სიყვარულის წლები.

თიბათვის მზე ცერზე ჩამოვისვა,
ავაფრინო გნოლები და მწყრები,
დილის ნისლი მხრებზე წამოვისხა,
გადავავლო ტანს ცხრამურის წყლები,

ატენური ღვინო ჩამოვისხა,
სასმისებში დიდ ყანწს გადავწვდები,
დავლიო და ფრთები გამოვისხა,
გავიხსენო ჭაბუკობის წლები.

შვილიშვილი ზურგზე შემაცოცდეს,
აჩუ-აჩუს ძახილს დავიწყებდი,
ღმერთს გავუმხელ ჩუმად ყველა ცოდვებს,
ცის ნამად და ცვარად ავირწყვები,
ჩემს მხცოვან თავს ცოტას შევაცოდებ:
გამახსენოს სიყმაწვილის წლები.

29 აპრლი 2011 წელი.

ცალუღელა ხარ

ცალუღელა ხარ, პოეტო,
ცალუღელ ლეწავ კალოსა,
ცეცხლი, შენს სულს რომ მოედო,
ცაში უფალმა დალოცა.

შენც მიგაჯაჭვა კლდის ქიმზე
პრომეთეს რკინის პალოსა,
მარტოობაში რომ ქმნიდე,
სიმღერებს სამომავლოსა;
„შენ სხვა არწივი გიკორტნის“
მაგ მკერდს და ჯაჭვის სამოსსა
და მაინც პოეტს ის გყოფნის-
ცად მზის და მთვარის ამოსვლა.
არავის ხელს არ გაუწვდი,
ვინმემ რომ შეგიწყალოსა,
არც ჯაჭვის მსხვრევას დაუცდი,
არც უკვდავების წყაროსა,

ვერც დასძრავ ერთხელ ჩაჭედილ
შენში ღვთის რკინის პალოსა,
ღვთისავე ნალით ნაჭედი
ცალუღლად ლეწდე კალოსა.

27 ნოემბერი 2009 წელი
თბილისი

ჩემო სოფელო!

ახლაღა მივხვდი, რა ძვირფასი განძი ყოფილხარ!
ჩემო სოფელო, იძულებით როცა დაგშორდი,
როცა იქაურ წვიმის წვეთი, ჭადრის ფოთლის ხარ,
როცა იქ გზრდიდა მზე და მთვარე შენი ბავშვობის.

როგორ მომწყურდა ტოროლას ხმა, ჯეჯილის ნამი,
ჩემი ცის წვიმა, ცისარტყელა, მეხთა ქუხილი,
სულ ერთხელ მაინც გადამევლოს ტანზე, თუნდ წამით,
რომ ჩამომბანოს მე ეს წყენა და ეს წუხილი.

დრო გადის დუნედ, როგორ მინდა, ჩემი სოფლის ხალხს,
კვლავ გავერიო ტკივილების მოსაოხებლად,
დავემხო მიწას, ვთქვა ჩემთვის: „— რა განძი ყოფილხარ!“
და რა ადვილი ველურთაგან მოსაოხრებლად.
ვიცოდე მაინც, რა მომელის, ძვლებს მე სად ჩავყრი,
სად მივაბარებ მიწას სხეულს ან სულს სად ზეცას,
ფეხი დაგადგა მეღირსოს და შენს წინ თავს დავხრი,
მერე მე ვიცი, ცას ავწვდები, ავწვდები მზესაც!

1 ნოემბერი 2008 წელი
თბილისი

სიცარიელე

შავი ბურუსით შემოსილმა წუთისოფლისა,
გუბე, ჭაობი გავტოპე და გამოვიარე,
რატომ მხვდა წილად ბედი ქრისტეს უარმყოფლისა,
ყველას ჭირ-ლხინთა მონაწილეს და მოზიარეს?

გამოვიარე, ცისფერ ნისლში რომ შევრეოდი
ჯეჯილში წითელ ყაყაჩოებს, დეკა-ხვიარებს,
გზად მე, დაღლილი, მუხლს მათკენ რომ ვერ ვერეოდი,
ვთქვი: მათ ვიყნოსავ და სხვა ხმით ცა ამახმიანებს.

სურვილი მკლავდა, ამოვარდნილ ქარს შევხებოდი.
მზითა და მთვარით შორეული ბინდი გამყროდა,
იმედი მქონდა, ლურჯ ნისლისეულს მეც შევხებოდი
და შიგ გახვეულს ყვავილები გულზე დამყროდა.

აჰა, მე აქ ვარ! სად რაღაა, სიცარიელე
და მხოლოდ ქარი აქეთ-იქით დაბორიალობს,
აქ ერთი ჩიტი, მოლაღური ვიცანი მერე,
დაეძებს თავის სულიერ ძმებს და მგლოვიარობს.

30 ნოემბერი 2009 წელი
თბილისი

მუზავ, სადა ხარ?!

რა მდორედ მიედინები,
არც ლიახვს გავხარ, არც არაგვს,
დროს ასე რატომ მინებდი,
ჯიშად ხომ შენ ეს არა გაქვს.

აღარც თერგს გავხარ მქუხარეს,
არც ღრუბელს შავი მთისასა,
აღარც რას მღერი მწუხარეს
და აღარც ვაზის რთვლისასა.

მუზავ, ქართულო, სადა ხარ,
მუხრანს გამსხეპო ცხენკაცის,
დუმხარ და თითქოს გადახმა
ამ ქვეყნად ყვავის ხე რაც კი.

სადა ხარ, რომ არ ჟღრიალებ,
ოჟა ჯურხაის ფარივით,
ლომივით რომ არ ღრიალებ,
რომ აღარ რეკავ ზარივით.

როდისღა შეჰყრი ქარაფზე
ერთმანეთს ვეფხვსა და მოყმეს,
რომ შენს ჯიშს დროში დარად მზედ,
მთვარედ კი საგზლად გამოჰყვე.

სადა ხარ, მუზავ ქართულო,
ვეფხვის გამხდელო ტყავისა,
ნართო, ღვთის ხელით დართულო,
ნამო, ჩაღვრილო ყვავილსა.

2017 წ.

სამების ტაძარში

როგორც კი მზე ჩავა, ყოველი მწუხრისას
ჩურჩულით ვღაღადებ მე, ჰალლელუია,
მწედ ვუხმობ ღვთაებას, ფიალა მწუთხისა
მაკმაროს, ის ჩემგან რაც დალეულია.

მოდიან ღრუბლები გორა-გორ, მთა და მთა,
ქუხილით, ელვით და შხაპუნა წვიმებით,
ეს შენი ნებით და მე გლახა, თანდათან,
ვმკვიდრდები, უფალო, შენში მე იმედით.

მეუფევ, ცას ელვის მათრახით გაშოლტავ,
ღრუბლებს გადარეკავ, რომ გამოანათო,
გიხილო, ძრწოლვით ვარ, ნეტარ ვარ, თან ვშფოთავ,
მადლს შენი კალთიდან თუ აღარ დამათოვ.

სად აღარ დავეძებ შეუსმელ ბარძიმს მე,
სად არის, სიყრმიდან მე რომ ვერ ვპოულობ?
მას შემდეგ ქამარი, შევირტყი რაც ძმის მე,
წყალობას მხოლოდ თუ უფლისგან ვთხოულობ.

შევალ სამებაში, შევხედავ წმინდანებს,
ავანთებ სანთელს და ქედს მათ წინ მოვიხრი,
ნეტავ მას, წყალს მათი პეშვიდან ვინც დალევს,
მიწაში გამდგარ ფესვს არასდროს მოითხრის.

ღრუბლების ქუხილი მესმოდა ტაძარშიც,
ოჰ, როგორ მალამოდ გულს ეფინებოდა,
მსუბუქი წუხილით სანთელთა ხანძარში,
უტკბესი განცდები წვეთებად დნებოდა.

ღიაა სამების მთავარი კარიბჭე,
მამშვიდებს წირვა და მიმწუხრის ლოცვანი,
ავმაღლდი; მეგონა, მივაყრდნე მხარი ჭერს,
მივხვდი მე, რომ ღვთისკენ ვიარო დროც არის.

ყრუდ ისმის გარედან ზარების გუგუნი,
ეს ხმები განსაცდელს ათასჯერ ამძაფრებს
და როგორც აპრილის, მაისის გუგული,
ვგალობ და შენს მცნებებს ხარივით მაწაფებს.

ფერმკრთალი ვგავარ მე ღვთით მოსილ მღვიმის ბერს,
მარწუხით ხორცს გლეჯდე, ტკივილს რომ არ ავლენს,
ჯალათის მიმართაც, მასში რომ ღვივის ეს:
„უფალო, შეუნდე“ — ცად მაინც აღავლენს.

გამოვალ ტაძრიდან, აღარ ვგრძნობ საპალნეს,
შვებით ვარ, ლოცვამ მე წმინდა წყლით განმწმინდა,
ვლოკავდი წმინდანთა შემოყრილ საფანელს,
ვლოცავდი თბილისს და პოეტთა მთაწმინდას.

უსამშობლო

ნეტავ, ჩემს გულში ჩამოგახედა,
რა ტკივილს ვგრძნობდი, ძმაო, შენს გამო,
რა ჯავრიც შენ გჭირს, ვით მოხერხდება
სულ ცოტა მაინც მეც რომ შევჭამო.

წახვედი, უკან არ მოგახედა
თუნდ ერთი წუთით შენმა აკვანმა,
სადაც უგებდი ჩიტებს მახეს და
შენი მთა-ბარის სათიბ-სამკალმა.

ათი თუ ოცი წლების პერანგი
ტანთ უცხო მიწის შემოგეხია,
კაცს უსამშობლოდ სევდა ვერაგი
შავი ნისლივით შემოგეხვია.

ბედისწერა შენს ყოველ სიკეთეს,
ნოსტალგიის შხამს წვეთ-წვეთ ურევდა,
როცა ის გულში ბუდეს იკეთებს,
რაგინდ რა ვაჟკაცს დაგიურვებდა.

სამშობლო, გკითხა, პატარა ქალმა,
არ გენატრება? დედა, და-ძმანი,
სად ნათლისღების გაგბანა წყალმა,
სადაც დგას შენი ციხე-ტაძარნი.

შვილებს შენსას კი მზიას, ცისკარას
ქართული შერჩათ მხოლოდ იერი,
არც დედაენა, გაზრდილთ სხვის კარად
და არც სამშობლოს ამერ-იმერი.
ღვინით შეინდონ, რომ ცხონდნენ მარად,
სად წვანან მათი სისხლისმიერნი.

ატლანტის იქით, ჩემი ქართველი
თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალავდა,
ბედი, ქისაში ვერცხლის ჩამთვლელი,
დაკარგულ ძმაზე ტირილს მძალავდა.

ფოთლების პერანგი

ალისფერ, ოქროსფერ ძაფებით ნაქარგი,
ხალიჩით შემოსა ბუნებამ მთა-ბარი,
რთვლობაა, ყურძნობა, ამინდი რა კარგი!
ოქტომბრის დღეები, ბადაგით დამტკბარი.

მეც მინდა, ოქროსფერ ფოთლებით ნაქსოვი
პერანგი, ვაზის და ჭადრების ჩავიცვა,
სურვილი გავანდო, არ მყავს მე ამფსონი,
შეშლილად ჩამთვალონ, არავინ დამიცავს.

სულ მალე ზამთარი ამ ფერებს დაათოვს,
ზვრებს, ტყემლებს, ტირიფებს ფოთოლი დასცვივა,
მგალობელ ფრინველებს სიცივე დააფრთხობს,
ცის მანათობელნიც ღრუბლებში ჩაცვივა.

მალე ეოლოსი თებერვლის ქარებით
ზეციდან შავ ღრუბლებს ჯოგივით გარეკავს,
გამომზევდება და ეოსი ზარებით,
მოვკვდები, ოდესმე ჩემზედაც დარეკავს.

გაივლის ზაფხული, მოვა თვე ღვინობის,
ალუბლებს შემოსავს ნათელი ფერადი,
ვის მოაქვს? ვინ არის? ჩემთან შინ ვინ მოდის,
ჩამაცვას ყვითელი ფოთლების პერანგი?

აქ ვთქვი ჩურჩულით

ჯვრის მონასტერი მოვილოცე მე სულის ხსნისთვის,
დროში დამდნარ ქვებს მოწიწებით ბაგე შევახე,
აქ ვთქვი ჩურჩულით, რაც არ მითქვამს არასდროს სხვისთვის,
რაც გულით დამაქვს, მე ცოდვილი, რასაც ვერ ვამხელ.

უფლის კარიბჭეს დასიცხული შუბლით მივეკარ,
ვიგრძენი, როგორ დამიარა სულში მხნეობამ,
შუადღის ზარი აღსარებად თუ მე მირეკავს,
აქა ვარ, ღმერთო, შენი მზის ქვეშ, ერთი ხე, ობლად.

დაბლა ჩანს მტკვარი, არაგვი და ბებერი მცხეთა,
სვეტიცხოველი-არსაკიძის ქვაში ბალადა,
ჩემს ნაცვლად ახლა, ის სანთელიც, ხატთან რომ წვეთავს,
ხმამაღლა ჰყვება, ჩემი გული რასაც მალავდა.

გადავაფრინდე მე ამ ზღაპარს, ფრთები მომინდა,
ბღუჯა ლეგენდებს, მტკვრის მოტანილს ცისა და მიწის,
ჩემი სანთელიც ერთ-ერთია მათი კონიდან,
ცხარე ცრემლებით მონასტერში ხატთან რომ იწვის.

15 აგვისტო 2009 წელი
თბილისი

ვედრება

დედაქართველს

გამითენე ჯერ ისევ მზით ღამეები ბნელი;
ღრმად მასუნთქე შენი მიწის დამათრობელ სურნელს,
გადამიშვი ბეწვის ხიდზე, რაგინდ იყოს ძნელი,
მე მაძებარს განცდათა და ფათერაკთა მსურველს.

შენს წყაროებს დამაწაფე, როგორც დედის ძუძუს,
მომეც ფრთები ჩვენი მინდვრის ტოროლასი, ქედნის,
შორს გავფრინდე, დავესახლო უკაცრიელ კუნძულს,
ლოცვა გამყვეს და შენდობა ქვეყნის შემოქმედის.

თავს გავედრებ, შემივრდომო, მომცე ცოტა შვება,
გადაღლილი სხეულისთვის სულ პატარა მყუდრო,
აქ, სიცოცხლე, უდაბნოში ნაწვიმივით შრება
და ზედ ბინდად ეფარება ამაოთა ყრუ დრო.

კარგად ვხედავ, რას მიქადის ჩემი ბედისწერა,
საით, რა გზით მიმაქანებს ამოვარდნილ ქარით,
ჩემს გულ-მკერდზე ეს ვნებანი მაშინ დაიწერა,
როცა ხელში მომაჩეჩე პოეზიის ქნარი,

ტკივილების დაამება დროში გაიწელა,
მე რომ მჩხვლეტავს დღენიადაგ, როგორც ეკალნარი.
ყველა ნატვრა და ოცნება ცეცხლში დაიწვება
და კვალწმინდად წაიშლება ჩემი ნააკვნარი.

ცრემლს მადენდეს ღრუბლებიდან გამომკრთალი მთვარე,
ჟრჟოლას მგვრიდეს ცისკრის კრთომა, დილა ვარდის ფერი,
მიწყნარებდე სასოებით მავედრებელ თვალებს
და ტოროლა ვიყო შენი, ზეცად ასაფრენი.

დრო მოვა და გამოგზავნი ანგელოზებს ცისას,
რომ სიცოცხლის ბარძიმი მათ დავახვედრო ჩემი,
დააწერონ ყველა ცოდვა ჩემი გულის ფიცარს
და აღსრულდეს მათი ხელით შენი განაჩენი.

გზა თუ ჩემი აქამომდე ძნელბედობის იყო,
არც იმ გზას გთხოვ, გამიკაფო გაუვალი ტევრი
და თუ კი მცან, შენი ხელით და თუ ღირსი ვიყო,
მოაბნიე შენს მინდვრებზე ჩემი ნეშტის მტვერი.

სიკვდილის წინ ერთად-ერთხელ დამანახვე ზეცა,
დამაყნოსე ია-ვარდებს, ზამბახსა და შროშანს,
მე ხომ შენი მოქსოვილი მზის პერანგი მეცვა,
დამასახლე იმ ვარსკვლავზე, მთვარესთან რომ მოჩანს.

აპრილი-მაისი 2009 წ.
თბილისი

მამულის სული

გაჭენებული ცხენივით დაჰქრის მინდორში ქარი,
ჯეჯილის ყაყაჩოებში მღერის ზუზუნა ქნარით,
მე ფრთა წამომკრა, მაისი ჭიხვინით შემომახარა,
დარახტულ ავჟანდ-უზანგი შორი ჭენებით დამწყდარა,
ვიცანი, მიცნო მანაც და ამ ძუაგრძელმა ფაფარამ,
ჩემი მამული, მზე მისი, ზურმუხტის ზეცა ანკარა,
ათასი ძნელბედობის ჟამს ღრუბელმა რომ ვერ დაფარა,
ჩემს გულ-ღვიძლში რომ ყრმობიდან
ზღვა სიყვარულით გამჯდარა,
ათასჯერ ფრთებზე შემისვა, სხვადასხვა გზებით მატარა,
ამერ-იმერში, სადაც კი მტერი სოლივით ჩამჯდარა.

ვიცანი, ეს ჩემი მიწა-წყლის ქარია,
ყალყზე დგას, ბობოქრობს ფსოუდან როკამდე,
გული სად დავმარხე, იქ მიუჩქარია,
იქ, სადაც, ნამს ცისას დილისა ადრიანს,
და მარილს, ხარივით, მე იქ რომ ვლოკავდე.

ეს ჩემი მამულის ქარია, ვიცანი,
განდევნილ შვილებზე ხმამოთქმით მოზარე,
მოვა დრო, განიხვნის კარიბჭე ცისანი,
გავიგებთ უფლის ხმას: აღსდექი, ლაზარე!

ეს ქარი ენგურის, ლიახვის ჭალების
და ყოველ ქართველთა უკვდავი სულია,
ნაღვლიან „ურმულის“ სიმღერით ჭადრებში,
უფრო მეტ „ჰკა მაგას“ ძახილით უვლია.
მტერო, შენც, დრო მოვა, იქნები შავ დღეში,
ბოლომდე ჩემს გულზე ვის გადაუვლია.

არ ჩადგა ქარი და არც როდის ჩადგება,
ყელს და ზურგს მიღერებს, ზედ შევჯდე, გავჭენდე
და როცა ლაზარე ღვთის ნებით აღსდგება,
მსურს, შენი მინდვრების ფერებით ავჭრელდე,
სხვის ლუკმა მე, დევნილს, ყელზე რომ მადგება,
მახრჩობს და მინდა, შენ ოფლის პურს მაჭმევდე.

4 თებერვალი 2017 წელი.

ახალ წელს გილოცავ

ჩემო საქართველო, ახალ წელს გილოცავ,
ყველა შენი შვილით მრავალს დაესწარი,
ნათელი მიზნისკენ მაგ გზას დაგილოცავ,
დაგემარცხოს მტერი, ყველა გარეწარი.

ძველ წელს გაატანე თუ რამ ჭირი გჭირდა,
წელში გასწორდი და ყელი მოიღერე,
თავჩაღუნულისა ხმალი ვისი სჭრიდა?
„მუმლი მუხასაო“, რიხით დაიმღერე.

ხვავით და ბარაქით აგევსოს ამბარი,
თავი მოიწონე საქებარ საქმენით,
ისე აღორძინდი მაგ შენი მთა-ბარით,
მტერს ყელში ჩაუწყდეს აუგი სათქმელი.

ასობით ათასად გიმრავლოს გამჩენმა
მხარ-ბეჭით ვაჟი და მკერდსავსე ასული,
ჩემო თვალისჩინო, ნეტამცკი მაჩვენა:
ბრწყინავდე შენ, მათგან ლელოთი გასული.

ყველა შენი შვილი ახალ წლით ხარობდეს,
შენ მათი იმედით ხვადობდე ლომივით,
ბედობის ეს წლები, მოსეს კლდის წყარომდე
მიგიყვანს დიდგორის გადახდილ ომივით.

15 დეკემბერი 2016 წ.

ჩემო საქართველო!

ჩემო საქართველო, მუხავ ათასწლისა,
ლოდო ბიბლიის წარღვნით მოტანილო,
გზავ, უსამართლო მრავალ ჟამთა სვლისა,
ზამთრის ყვავილივით ძნელად მოყვანილო.

ჩემს მკერდზე ხანჯლის წვერით დახატულო,
მტრისა, შენ საკვირველ ძლევათა მჭედელო,
რაშო, უფლის კუთვნილ ვერცხლით დარახტულო,
ჩემო ტაძარო და გოდების კედელო.

გორგასლის, დავითის, დედოფალ თამარის,
რუსთველის, ილიას გამზრდელო აკვანო,
ვაჟა და აკაკი და შენი მთა-ბარი,
აი, რით ვამაყობ, რა მაქვს სათაყვანო.

შენს ცას მხარ-ბეჭშედგმულ, ამ დედაბოძებით,
მათ მხრებით ჩვენამდე ტაძრად მოტანილო,
ჯვრით ხელში, ხმალ-ხანჯლით, ქრისტესი მოძღვრებით,
ზამთრის ყვავილივით ძნელად მოყვანილო.

გამოჩნდი ვინ ხარ

შენს ლამაზ ცაზე, ძველებური სითბო-სინათლით,
მზეც არ ამოდის, რა ხანია, მიწაო, ჩემო,
არც მთავარი გყავს, გიდარაჯოს სინდის-სიმართლით,
როგორც ილიამ-ერის კაცად ვიწამოთ ჩვენ რომ.

ცისკარიც თითქოს აღარ ბრწყინავს ძველი დიდებით,
ნადირის მიერ დაგლეჯილო ჩემო მიწაო,
გამოჩნდი, ვინ ხარ1 რუბიკონზე დასწვი ხიდები,
შენზე თქვას ხალხმა: მე აკვანში ლომი მიწვაო.

მიწაო, ჩემო, ზეგარდმოის ვაზო, ვენახო,
ოდითგან შენ ხარ ქარავანთა გზაჯვარედინი,
შენს შვილთა მოდგმას ღმერთს ვავედრებ: აღარ ენახოთ
შემოსეული, სხვა, ახალი ჯალალ ედ-დინი.

1 აგვისტო 2011 წ.

სხვა სამყაროში შევდივართ

მესამე რომი დაინგრა...
რა ბედნიერი ერი ვართ!
ჩვენც დავცხეთ დოლს და დაირას:
სხვა სამყაროში შევდივართ.
დიახაც, ახდა ოცნება
ვაჟა, ილია, აკაკის,
ჩვენი თავი კი, დრო დგება
ჩვენ „გვეყუდნოდეს“ ახლა კი.
ევროპამ კარი გაგვიღო
საბა-სულხანის ბილიკით,
ლუკმა რის ფასად გაგვიყო
დგას მითქმა-მოთქმა, ქილიკი.
ატლანტის ქარი უბერავს
ჩვენს ყოფას, ზნეს და კულტურას,
ხომ არ ვთვლით ისეთ ბუმერანგს,
რუსმა რომ წაგვიტურტურა?
დრომ ერთი დარტყმით ჩამოხსნა
ფარდა რა ბილწსაცს ფარავდა,
ეშმაკის გეგმაც ამოხსნა,
სულს ვის რა დოზით ჰპარავდა.
ჩვენს ენას, ჩვენს ლამაზ დედას
ზოგი „მესიტყვე“ შვილი ჰყავს,
დაწერს და გრძნობებით ქვედა
ჭაობის გუბესავით ყარს.
ვაი, შენ, ვისაც გაღელვებს
დედის ბარკლებით გამთბარი,
თუ კი, ეს გიშლის საღერღელს,
შხამად შენ ჩვენი მთა-ბარი.

ბეჭდავენ ამბავს, მოთხრობას
შიგ სლენგი, უხვად სკაბრეზი
და კაცს გიჩნდება მოთხოვნა
დასცე ორლულა „აბრეზი“.
ამ გუბეს დიდი ხანია
მსურს, დიდი ლოდი ვესროლო,
გული ვერ მომიფხანია:
ჩვენს თვალწინ ხდება ეს როგორ?
შეტევა მიდის ეკრანით
ჩვენს ადათსა და წესებზე,
თუ ხელი დროზე ვერ ვკარით
ხმლით გადაგვჭრიან მყესებზე.
ფერუმარილით გამოჩნდნენ
გეები, ტრანსვესტიტები,
ლესბიანკებიც აღმოჩნდნენ
ჟინ-ვნებააწყვეტილები.
რუსთაველზე სურთ აღლუმი,
ჭავჭავაძეზე პარადი,
რა ვნება იპყრობთ ძაღლური
იწვიან, ბოლი არ ასდით.
თურქნი, არაბნი, ჩინელნი,
ინდონი, ტიღა ზანგები,
შორენას, ლიკას, ნინელის
კოცნიან დიდი აღგზნებით.
ჩვენ ქალმა გადაგვარჩინა
ათი შვილი და ცხრაი ძმით,
იღბლად, რომ მოგვცა გამჩენმა,
როგორც ერთგული მხარი ძმის.
რამდენი გოგო და ბიჭი
გადაგვეკარგა უკვალოდ,
ერთი შეცდომით ნაბიჯი
და წყალს ვერსაით უკვალო.

ოპოზიცია სად არის?
არის იგი თუ არ არის?
ვინ მტრის ბანაკში გადარბის,
ვინ თვალს ხუჭავს და ბრმად არის
ნავთობი, წყალი, აირი,
ჩაუგდებს კორპორაციებს,
გვახრჩობენ და ეს შაირი
წურბელებს ვერ მოგვაცილებს.
მოსამართლეებს მთავრობამ
პირში ლაგამი ამოსდო,
ამით ჩვენს ბედკრულ თაობას
გარეთა სარმა გამოსდო.
გამრავლდნენ ბოზ-ნაბოზრები,
ელიტარული კასტები,
იმპოტენტური მოზვრები,
ძაღლად ნაქცევი კატები.
რამდენჯერ, ძმათა ქიშპობამ
სამშობლოს ყოფა ანანა,
რადგან, შუაზე იპობა,
ამას მე ვამბობ თამამად.
ამ ფონზე ომის კვალი და
მრავალათასი ხიზანი,
მაგრამ აღვსდგებით ნავლიდან
ტარიელ, ფრიდონ, ზეზვანი.
თქვენ მაინც არ დაიდარდოთ,
ჩემო ქართველო და-ძმანო,
იქნება გადაიდაროს
და ჭირს ღვთის მადლით დავძლიოთ.
მესამე რომი დაინგრა,
რა ბედნიერი ერი ვართ,
დავცხოთ დოლსა და დაირას:
სხვა სამყაროში შევდივართ.

2 აპრილი 2018 წ.

თაფლის კასრი და ბუზები

წამოდექ, მეფე დავითო, დიდ საქართველოს მფლობელო,
ზეგარდმოისა მესიის მახვილის ხელთა მპყრობელო,
შენ რომ მამულში მტრის ურდო, ეკალ-ჯაგივით გაწალდე,
ნიკოფსით დარუბანდამდე, ოვსეთით არაგაწამდე,
იბარტყეს დღეს და ხმლით თუ ვერ, ფულით აღწევენ საწადელს,
ნოყიერ მიწებს გვაჭრიან, როგორც ირმის ხორცს სამწვადეს.

მაშრიყ-მაღრიბის ქვეყნები, როგორც თაფლის კასრს ბუზები,
შენს მამულს დაესივნენ და მადა მგლისა აქვთ უძღები,
ამერ-იმერში ხელთ იგდეს ის ხოდაბუნი მიწები,
სადაც ჩვენ ვიზრდებოდით და ტიკტიკს და ტაატს ვიწყებდით,
დღემდე, რომ, ჩვენო მიწაო, ქართველის სისხლით ირწყვები.

მალე მცხეთაში ვიხილავთ, წილკანთან, სოფელს არაბულს,
მუსლიმებს, ჯაჭვის რტყმით ბეჭზე, რწმენისთვის სისხლით დარაზმულს,
ათ-ათი გოგო-ბიჭები, ათ-ათ ცოლიან შეიხებს
და უბატონოდ აქ მათი. ღერი თმისაც არ შეირხეს.

ადექი, მეფე ირაკლი, ჯაჭვის პერანგის გამხევო,
კახეთის მიწა გეძახის: წნორში, ბოდბეში მნახეო,
დედოფლის წყაროს მიწები, ჯუგაანის და ხაშმისა,
რა გულცივად და რა ფასად ინდოელებზე გასხვისდა.

მადა გაეხსნათ ჩინელებს, იტალიელებს და ფრანგებს,
ქართლის, სვანეთის მიწები, აქაც უსირცხვოდ გაფლანგეს,
ტბორები, ტყე, ვენახები, საძოვარ-სახნავ-სათესი...
გლეხს რაღა რჩება? ან ქართველს, სამშობლოდან შორს განთესილს?

დავით მეფეო, თბილისში შემოაჭენე „ქუჯაი,“
დააფრთხე ქვეყნის მთავრობის კაცები ჯუჯა-ნუჯღაი,
შენი მამული, მეფეო, და მისი ზეცა ლურჯაი,
ველარ გაყიდონ, ვერ ჭამონ ფულები ბღუჯა-ბღუჯაი.

მიწებს ყიდით და არ გახსოვთ კრწანისის სისხლი, დიდგორი,
არცა ცხრაი ძმა პაატა, და არც მარტყოფის მინდორი,
აღარც ილია-მამული, მტრისგან რომ გამოისყიდა,
ვინც კი ეს განძი, თქვენსავით, სხვას ჰაიჰარად მიჰყიდა.

მამული თუ არ ექნებათ მათე ბიჭს, გოგოს, თეკლესა,
სად დავზრდით არაგველებს ან, ალგეთელ მგლისა ლეკვებსა?
ისედაც ცოტანი დავრჩით ციდან მოსული ნამივით,
ღმერთს მინდობილნი ზღვის შტორმში კიჩომოტეხილ ნავივით.

10 ივლისი 2017 წ.
თბილისი

„ძმებო, უნდა ვიყიდოთ გაყიდული საქართველო“

ზ. გამსახურდია

შენ რომ გაყიდე, ის მამული ვის მოაჯიშებს?
არ გიფიქრია?! შე, უგნურო, ერთი წამითაც?
ან ვისას ჰყიდი? ხალხის რისხვაც აღარ გაშინებს.
რიყის ქვა რაა, გავღატაკდით როცა ამითაც.

ტყვე საქართველოს მტრედისავით ისმის ფრთხიალი,
არ იქნა და არ დაილეწა რკინის გალია,
მტერი რომ წიწკნის ბუმბულებად ვერცხლის ჩხრიალით,
ჩემი მოყვასის უჭკუობის ცოდო-ბრალია.

გადაიქუხებს ყოველივე ის მონახვეჭი,
რაც კი მოასწარ, ეკალი კი, შენ რომ ახარე,
ჩვენვე დაგვჩხვლეტავს, ტომები კი აქ მონახვეტი,
გაყიდულ მიწებს ტრაქტორებით უმალ დახნავენ,

გამდიდრებისთვის თავის ხალხის ეს მონასხლეტი,
რა მონდომებით, რა აზარტით მამულს დახრავენ...
შენ კი დაჩოქილს, დასჯილს ღვთისგან ჯვრის მონასტერში,
შენდობისათვის სანთლით ხელში მალე გნახავენ.

ხედავთ? სადამდე თავს ივიწყებს ზოგი ქართველი,
გადაგვარების, გამდიდრების რა გზას დაადგა.
დაფიქრებულხართ? ცოდვილებო, დღეს რის გვაქვს რთველი?
ან ამის შემდეგ გელათში ფეხს დავითს დაადგამთ?

მარტი 1990 წ.

თბილისი

დავიგდებ წინ ფურცელს

ქალაქში წანწალით და სიცხით დაღლილი,
სახლში, მაგიდასთან, ხმელ სკამზე ვეშვები,
ვინატრე ის წყარო, აუზში ჩაღვრილი,
დედა რომ მასმევდა, პატარას, პეშვებით,
სადაც მე დავხტოდი ცხენ-ჯოხით, აღვირით,
ნამიან ბალახში შიშველი ფეხებით;
ამ წუთშიც, ის მიწა ყურებში ჩამყვირის:
„არ მოიკვეთოვო წინაპრის ფესვები“...

დავიგდებ წინ ფურცელს, წავწვდები კალამს და
ფიალის ლანდს ვხედავ ტკბილ-მწარე შარბათით,
მძულს, მაგრამ, დალევა თუ მაინც არ ამცდა,
იქნება ჩემი ეს ცისაკენ აღმართი.

ფურცელში ვხედავ მე ზღვისაფერ სივრცეს და
თითქოსდა სარკეა, ჩანს მთელი სამყარო,
არ ჩანდი შენ ერთი, ის ჭრელ ტყავს იცმევდა,

ვინც ცდილობს, ჩემგან შენ, როგორმე გაგყაროს.

ყოფილა მირაჟი, აღარ მსურს ჩაგხედო,
ჩემო მახრჩობელა მორევო, მხეცურო,
ჩემი გზა, უფალმა, შენკენ ქვით ჩახერგოს,
რომ შენში მეორედ არასდროს შევცურო.

და მაინც, მწყურვალს მე, წამიცდენს სასმისი,
შევსვამ და გავცურო, ამ მორევს ვეძლევი,
ეგება დავიხსნა ლიახვის ნარცისი,
იქნებ გამიმრთელდეს ჭრილობა მე ძველი.

10 ივნისი 2016 წ

თბილისი.

ჭიანი კბილი

ლიახვის პირას ჩამოვჯდები, ტირიფის ძირში,
ტოტს ჩამოვაჭრი, სალამური მწყემსმა გავთალო,
ზედ დავამღერო, რა სიზმრებიც მინახავს ძილში,
საწუთროს ჯვარცმავ, — საქართველო, მარად მართალო,
გამჯდარო ჩემში, ჩემს ძარღვებში, გულში და ღვიძლში,
ვერ ამოგგლიჯე, მომიტევე, მკვდრად არ ჩამთვალო,
ჭიანი კბილი, ჩირქიანი ფესვით მაგ ღრძილში.
აქ, ამ ლიახვთან ტირიფებთან გინდა, დავთვალო,
რამდენი ყალბი ალმასია შენს მკერდზე მძივში?
„ცუდას რად უნდა მტერობა“ და მზისა ცხრა თვალო,
რამდენი ხვლიკი იმალება შენს ნათიბ ზვინში?

23 მარტი 2016
თბილისი



დაუვიწყარი

ბიჭი ვიყავი მერცხალა,
კენჭს ვგავდი შავი ზღვისასა,
გოგო მიყვარდა, მთის ყვავილს
ჰგავდა შუქს მთვარის, მზისასა,
ბროლის ყელს მოიღერებდა,
გედს ჰგავდა ლურჯი ტბისასა,
წითელი კაბის შრიალით
ტირიფს ლიახვის წყლისასა.
წელში ლელივით ტყდებოდა,
ობოლ ნუკრს ჰგავდა ტყისასა,
სინაზით ია, ენძელას,
თვალ-წარბით ყორნის ფრთისასა.
წამოვიზარდე, ვეფერე
ჩემს ვარსკვლავს ლურჯი ცისასა,
ველის შროშანი ჩავაწან
ნაწნავს საცოლის თმისასა,
ნაბადი შემოვახვიე,
არ წასულიყო სხვისასა,
ტუჩ-ბაგეს ვეწაფებოდი
წყაროს, მცხეთისჯვრის მთისასა,
ნეტარების თვეს ველოდი,
დღეებს ვენახის რთვლისასა,
დეკემბრის გრძელ-გრძელ ღამეებს,
ჩემი თაფლობის თვისასა.

თბილისი

მე და შენ

მოვდივართ მე და შენ ერთი გზით, ერთ ხორცად,
რაც ბედმა უღელი დაგვადგა მე და შენ,
ნეტავი იმ დღეებს, ღამეებს, იმ კოცნას,
უხვად რომ ვჩუქნიდით ერთმანეთს შენ და მე.

ჩვენს გარდა ამ ქვეყნად არავინ გვახსოვდა,
მხოლოდღა ერთმანეთს ვხედავდით მე და შენ,
იმ წლებში, მზე შუქით პერანგს ზედ გვაქსოვდა,
ერთიანს, მუდმივად, რომ გვცმოდა შენ და მე.

იმ წლებში შენ ჩემით, მე შენით ვხარობდი,
ტრფიალით ვწვდებოდით მეცხრე ცას მე და შენ,
იქ, სადაც ადამის და ევას წყარო დის,
ვნატრობდით შეგვესვა მწყურვალებს შენც და მეც.

იქ, სადაც ტოროლა ზეცაში მღეროდა,
გვეფრინა მეც და შენც, გვქონდა ეს ოცნება,
ზენას თასს მივართმევთ ცრემლს ვაზის ღეროდან,
შევუღლდეთ შენ და მე, კურთხევას მოგვცემდა.

თვეები, თაფლობის დავმარცვლეთ მე და შენ,
ტანთ გვევლო ვნებების ალმური მხურვალი,
გულებით ვათბობდით ერთმანეთს შენ და მე,
ერთხორცად შერწყმისთვის ნიადაგ მწყურვალნი.

დრომ განვლო, მე და შენ მრავალი ვიწვნიეთ,
ორგულობანი ამ ცრუ წუთისოფლისა,
და მაინც, შენც და მეც ჭაპანი ვიწიეთ,
ერთგული ყოფითა და შუბლზე ოფლითა.

ეს წუთისოფელი, სამყარო, მე და შენ
ჩახჩახა მზის შუქით გვეგონა ბაღნარი,
სუსხი არ ვიცოდით მისი ჯერ შენ და მე.
საიდან, სადამდე ჰქონდა მას საზღვარი.

რა დასანანია, მე და შენ ჩვენს წარსულს,
ძვირფასო, იმ წლებს რომ ვშორდებით ნელ-ნელა,
შენც და მეც ვიგონებთ მას, როგორც მზეს ჩასულს,
ოცნებებს ჩვენსას კი შიგ ჩამწვარ პეპლებად.

7 მარტი 2018 წ.
თბილისი

რად მიხმე წყაროსთან...

ცისფერი გვირილა, შროშანი, ტყის ვარდი,
იცოდი, ჩემს გულში შენით რომ ყვაოდნენ,
იცოდი, ყვავილებს მხოლოდ შენ უყვარდი
და რომელს უფრო მძაფრ, ამურთან დავობდნენ.

იცოდი, მიყვარდი, რა გულით მიყვარდი,
იცოდი და მაინც გული სხვას აჩუქე,
ბედ-იღბალს, ყვავილი, სულ სხვასთან მიჰყავდი,
მე, რომ არ მეღირსა, მე, რომ ვერ გავფურჩქნე.

მაცდური ღიმილით რად მიხმე წყაროსთან,
თუ მწყურვალს წვეთსაც არ დამალევინებდი,
რად ანარნარებდი ჩემს თვალწინ საროს ტანს,
თვალს მჭრიდი, შენს იქით გზას ვეღარ ვიგნებდი.

როგორ დავიტანჯე, ოჰ, როგორ გავწვალდი,
იცოდი, დრო შენით ამ ყოფას მიქადდა.
იმ ცეცხლის ალმური, რომლითაც შენ მწვავდი,
ჯერ ისევ ღვივის და ჯერაც არ მიმქრალა.

ყმაწვილი ბრმად ვენდე ნაადრევ სიყვარულს,
ტკბილი და ამავ დროს მუხთალიც ყოფილა,
მე, მოზარდს, ვარდების კოკობთან მიპარულს,
თავგზა ამბნეოდა, დაყნოსვაც მყოფნიდა.

რა დროა გასული, შენ მაინც მახსოვხარ,
თუმცა, წარსული ხარ გუშინდელ დღესავით,
შენს ღიმილს, წყაროსთან, ვინახავ სახსოვრად
და მენანები ჩასული მზესავით.

განა სხვა რამით...

შენი ყანების დილის ცვარ-ნამით
ყოველ განთიადს მთვრალი ვხვდებოდი,
გული მიცემდა, განა სხვა რამით:
შენით ვცოცხლობდი, შენით ვკვდებოდი.

ყმაწვილობიდან ვები უღელში,
არ გამიღეჭავს ლუკმა არამი,
შენი მზის, მთვარის მქონდა ნუგეში,
ამით ვხარობდი, განა სხვა რამით,
შენი გუგული მეჯდა უბეში,
შენი ტყემლების მედგა კარავი.

მარტი, აპრილი, თვე ვარდობისა
ქალივით გულში ღრმად შემპარავი,
დრო, შენი მთების თოვლის დნობისა
და ჩემი სისხლის წვეთ-წვეთ მპარავი,
ჩემი სიცოცხლის შენთვის კვდომისა
მოწმედ, შენ იყავ და სხვა არავინ.

ღვთისმშობლის მიწა, ზურმუხტის ზეცა
ვაზი, ვენახი, ღვინო, მარანი,
შენგან ბოძებულ ფრთებს თუ არ ვკეცავ
ამით ვსულვდგმულობ, განა სხვა რამით.
ცისაფერ პერანგს, ნუ გამხდი, მეცვას,
ვიხარო მისი ლურჯი კამარით.

მადლობა უფალს, მე დროზე მივხვდი,
მამულო, რომ ხარ ჩემთვის მთავარი,
მე ქართველი, ხარკს სიცოცხლით გიხდი,
და კიდევ ლექსით, განა სხვა რამით.

22 ივნისი 2016 წ.
თბილისი

ტკივილი

გავიდა ზაფხული, ივლისი, აგვისტო,
დღეები თონიდან ავარდნილ ალს ჰგავდა,
ასეთი, უფალმა, სხვა ნუღარ მაღირსოს,
ვნებული გული ტყვედ ეშმაკს თუ ალს ჰყავდა.

მე მახსოვს მრავალი ლამაზი დღეები:
მცხუნვარე მზეების და მთვარის აგვისტო,
ამან კი, გადასწვა სოფლები, ტყეები,
თვალები მდუღარე ცრემლებით ამივსო.

მე სად აღვსრულდები, უფალს სად შევხვდები,
სამარის კარამდე ეს ფიქრი დამიგდო,
ვერ ვნახო ბავშვობის ჭადრები, ვერხვები,
აგვისტომ ისეთი ხაფანგი დამიგო.

ნაღველით სავსე მაქვს გული და თვალები,
ახალი ბადაგით მამულს რომ ვერ ვლოცავ,
მიხმება გული და მაჯა და მკლავები,
რომ ვეღარ მოგწვდი მე, ჩემო მზევ, ჩემო ცავ.

გავიდა ზაფხული, მცხუნვარე აგვისტო,
მერმისთვის მოველი სხვა ივნისს, სხვა ივლისს,
ტკივილით, ამ თვემ რომ მე უბე ამივსო,
ნეტა თუ მორჩება, ნეტა თუ გამივლის?

თუ მუზა მე ხელს არ მიქნევდა

რა ვქნა, ბულბულო, ჩემი ლექსი, თუ ჩემი რითმა,
როგორც შენ ისე კი არ მღერის, არამედ წვალობს,
თუ, როგორც ლურჯამ, შარაზე ვერ გაჯირითა,
ციდან მეტი ჩანს, ალბათ ღმერთი მეტს მე არ მწყალობს.

რა ვქნა მე, შაშვო, მოლაღურო, ჩიტო მზეწვია,
თქვენსავით ჩემს გულს თუ არ ძალუძს ამოიმღეროს,
ჩემი აკვანი მუზებს უნდა მეტად ერწიათ,
ღედოფალივით ლექსმა ყელი, რომ მოიღეროს.

ცხრამურის წყაროვ, როგორც შენ ხარ წმინდა, ანკარა,
ქართული ლექსი გულიდან მე თუ არ ამომდის,
პოეზია ხომ ღვთის ნებაა, მზეა თაკარა,
იქნებ იმიტომ, მადლი ციდან ცოტა გადმომდის.

რა ვუყოთ მერე, გული ჩემი, წყაროვ, შენსავით
მეტაფორებით და რითმებით თუ არ ჩუხჩუხებს,
თუ ტანჯვით არ ვარ ჯვარზე გაკრულ უფლის ძესავით,
რაც მინდა, რომ ვთქვა, ჩემში ცეცხლით თუ არ თუხთუხებს,
რაც ცით მომეცა, როგორც ჩვილ ყრმას ედის რძესავით,
იმით ვსუნთქავ და სამადლობელს ლექსად ვჩურჩულებ.

რა ვქნა მე, მთვარევ, ბნელს შენსავით თუ ვერ ვანათებ,
ღმერთს შეწირული სანთლის შუქი იქნებ მაინც ვარ?
რა ვქნა, თუ შაშხე, ვერ ვუგორებ მუზებს კამათელს,
ეს ბედ-იღბალიც კაცთათვის ხომ ღვთისგან გაიცა.

რა ვუყოთ მერე, თუ მუზა მე ხელს არ მიქნევდა,
თუ მისი გული ციხე არის და ბასტიონი,
ვინც ამ ფერიას გაეკიდა, ხომ ვერ იქნება,
ყველანი შოთა, ვაჟა, ანდა გალაკტიონი?

27 იანვარი 2017 წ.

იგორებს ვაშლი?

მამულო ჩემო,
ვინ აღარ გჭამა, ვინ აღარ გძიძგნა,
სულთანი მაჰმუდ, მონღოლი თემო.
სპარსი აბასი და რუსი ძიძა.

ფიქრობდი მორჩა,
შვილთათვის შენდა მშვიდობა მოვა,
მტერი აქვეა, მთის იქით მოჩანს
რუსეთის „დუმა“, დიმა და ვოვა.
მამულო ჩემო,
ბევრჯერ დაგლაშქრა შენ თესლმა სხვისამ,
მაგრამ უკვირდა ცაში ღმერთს, ზემოთ,
რაც შენ დაგმართა შენსავე სისხლმა.

რუსის ჯარს დროშით,
შემოჰყვა სოსო, ფილიპე, სერგო,
სისხლი და ნგრევა, როგორც ძველ რომში
უძღებ შვილთაგან თბილისაც ერგო.

ჯავშანში სხედან,
ვინც შენი ძუძუ ალგეთზე წოვა,
არ გადუტყდება ხმალი შენს მხედარს,
მათთვის დიდება ერთხელაც მოვა!

მამულო ჩემო,
ახლა გჭირდება ანდამატობა,
ვინც იცის შენი გულ-ღვიძლის გემო,
მასთან ბრძოლაში დღეს ხარ მარტოკა.

ახალი დროა,
დრო არც ახლდება, არცა ძველდება,
იგორებს ვაშლი? იქნება ტროაც
და ილიადა კვლავ გაგრძელდება.

მამულო ჩემო, ახლა გჭირდება დიდი ხელკეტი
და დიდი სიბრძნეც უნდა აჩვენო,
ვაჟნი ქაჯეთის ციხის შემტეხნი,
შემწევნი იყავ მათთვის, გამჩენო.

ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲨᲘ

ᲘᲚᲘᲐᲡ

ძეგლებისა და კერპთა ნგრევის ხედავ, დრო დადგა,
ირყევა მიწა, კვარცხლბეკიდან ძირს ყრის ტირანებს,
შენ, შარავანდი რომ დაგადგა ზენაის მადლმა,
ჩვენთან იქნები, ვიდრე ჩვენი გენი მდინარებს,
დროშას კი შენსას არასოდეს არ დავხრით დაბლა,
რომლითაც ქართველს აფხიზლებდი, ყურზე მძინარეს.

ძვლებზე ნაგები იმპერიის დგას აღსასრული,
გადაფასდება ძალადობით თუ რამ ქმნილია,
შენ უფრო მეტად გაგვიშუქებ, ვით მთვარე სრული,
უფსკრული რა გზით გავიაროთ ბნელში, ილია.

ცის შარავანდი, ნათლის სხვეტად ზედ რომ გადგია,
შენი ერის წინ დღესაც უხვად განფენილია,
ბევრი მედროვე დალეწილი შენს წინ აგდია,
შენ კი, იქნები და იცოცხლებ მარად, ილია.

მძიმე წისქვილის ქვა დაბრუნდა კვლავ შენს მამულში,
წამოგვეშალნენ კოღო-ბუზი, რა ვქნათ, ილია?
ჩვენ არას ვერჩით, ჩვენი სული, სინდის-ნამუსი,
ცხრა აპრილის და შენი სისხლით განწმენდილია.

როგორც დაგვლოცე, რა ცრემლითაც ღმერთს შეგვავედრე,
შენი ხმა მისწვდა ზენაარს და გზაც გახსნილია,
მაგრამ სატანა ფარ-შიმშერით წინ შეგვახვედრეს,
და საარსებო ბრძოლა ერთიც გადახდილია.

შენს წამონთებულ საერობო ცეცხლს, რომ არ ჩაქრეს,
რამდენ ერისკაცს ხანჯლის პირზე გადაუვლია,
თუ აქ, მათ, შენით საქართველო ცოტათი ჩაკლეს,
დღეს სული ჩვენი ცხრა ჰორიზონტს გადაწვდილია.

ჩვენი მთა-ბარი, ჩვენი ზეცა, ჩვენი მამული,
თავისუფლების სუნით ისე გაჟღენთილია,
მწამს, გადიხსნება წიწამურთან ცა მეწამული,
გადმოგვხედავ და ჯვარს გადაგვწერ, დიდო ილია.

1990 წ. თებერვალი,
თბილისი.

მუხრან!

პოეტს, შენ უფრო ღვთისგან მძიმე უღელი გედგა,
ვიდრე შვინდა ხარს ალიონზე გუთანში შებმულს,
საპალნით მხრებზე ბასრი სიტყვით იბრძოდი მედგრად,
ნაპერწკლებივით, რომ სცვიოდა მგზნებარე შენს გულს.

მაგ დიდმა გულმა, სამშობლოზე ტკივილით სავსემ,
ვეღარ გაგიძლო, გადმოსკდა და გადმოგეღვარა,
წამოგაჩოქა, შენი ლექსი იქვე, იმ წამსვე,
მეხგარეული სიკვდილის წინ ამოიმღერა.

წაგლეკა ლექსმა, გულს რომ მოსწყდა მთის მეწყერივით.
მუხრან, ბერმუხავ, ფესვგამდგარო ხალხში, მამულში,
იმ ღამით ღმერთმა ცაში გიხმო წერა-წერილით
და საქართველომ გაათენა ღრმა სინანულში.

24 აპრილი 2017 წ.
თბილისი

ქალი ლამაზი

ქალი ლამაზი, ყვავილს ჰგავს
ველური თაფლის სიტკბოთი,
მღელვარე ზღვაში მცურავ ნავს,
მწველს ნეტარების სითბოთი,
ბრჭყალით ვეფხვს, შამბნარში მძინარს,
მოქნილი ტანის სილბოთი,
დიანას, ცივად რომ სწირავს
რა გინდ რა ვაჟკაცს მითოსში,
ვნების ტბას, ფსკერზე რომ სძირავს
მიამიტ მამრებს თითოდ შიგ,

წყურვილის წყაროს ცით მდინარს,
ამ დროშიცა და იმ დროშიც,
სიზმრად ნახულობ პირმცინარს —
„ბედი მიღიმის“ — იტყოდი.
განგგმიროს ტყვიამ ნაწივლმა,
თქვა: „მის სარეცელს ვიყოფდი“,
ამად ღირს თავის განწირვა,
მე, კაცი ამას ვიტყოდი.

18 მაისი 2017 წ.
თბილისი

შენ აღარ მოხვალ

მოვა აპრილი, გადაიშლება ტყემლის კვირტები,
წლები გავიდა, ღრუბლებივით გადაიარეს,
ისევ დაგეძებ, არ მასვენებს შენზე ფიქრები,
ნოემბრის წვიმა ნეტა როდის გადაიდარებს,
სანთლით გეძებ და ჯერ, სანთელო, ნუ ჩამიქრები,
ვინ შემიბრალებს? ან ჩემს ბედზე ვინ დაიდარდებს?

მოვა აპრილი, ჩაიცმევენ ტყემლები კაბებს,
თოვლივით თეთრს და სურნელოვანს ცისფერ გვირილის,
მომაგონდები, გავიხსენებ ძველის-ძველ ამბებს
და ამიტყდება უსაშველოდ გულის ტკივილი,
ერთხელ შეგხედო, ერთხელ გნახო, ერთხელაც დავტკბე,
შენი თვალებით, თვალ-წამწამით, შენი ღიმილით.

მოვა აპრილი, ბაღში ტყემლებს თეთრად შემოსავს,
ააფრთხიალებს მინდვრად გნოლებს, ტყეში კი კაკბებს,
უშენოდ მცივა, ველოდები დღემდე შენს მოსვლას
და აპრილის მზეს, ცოტა იქნებ იმედით დამთბეს.
შენი თვალებით, წარბ-წამწამით, ჯადო რომ მმოსავს,
ერთხელ შეგხედო, ერთხელ გნახო, ერთხელაც დავტკბე.

მოვა აპრილი, ციდან მთვარეს ჩემთან ჩამოსულს
მტკივნეულ გულით ვეხვეწები; რამით მიწამლოს,
დამაიმედოს, განმიქარვოს სევდა მარტოსულს,
თუ სიყვარული მარადია, მეც რომ ვიწამო.

22 ოქტომბერი 2016

ვარდობის თვეში ამტყდარი ჟინით

ვარდობის თვეში, განთიადისას, ყოველ ცისმარე,
ავფრინდე ცაში მერცხალივით, მაწვალებს ჟინი,
შემიპყრობს ცმუკვა ყმაწვილივით და პირმცინარეს,
წამაწიალებს ცისკენ ჩემში ჩამჯდარი ჯინი.

მინდა, ლაჟვარდში ფრთოსანივით შევკრა კამარა,
რძისფერ ღრუბლებში მზით ანთებულ აის-დაისში,
უზენაესო, ის ბადაგი ჩემთვის არ კმარა,
წვეთ-წვეთ სასმელად, შენ რომ ყმაწვილს პეშვში ჩამისხი.

უფრო მეტი მსურს, და დღეს როცა ვარსკვლავთმისანი,
ცისკენ მიმაფრენს სეტყვის ღრუბელს ზურგზე შევაჯდე,
იქ წამიყვანოს, სადაც მიცდის ჩემი მიზანი,
ვიყო მამულის გამომხსნელის — მარსის მეაბჯრე!

ცისარტყელის თაღს ბუკით ხელში მინდა ზედ შევდგე,
მკერდმოღეღილი შევეგებო მზის ათინათებს,
გავყვირო ლაჟვარდს: ვინ, რა ვნახო, ღმერთო, შენს შემდეგ,
ვინც შენზე უკეთ მე ცხოვრების გზას გამინათებს?

ძოწისფერ ცაზე გაბრწყინებულ მთიებს მსურს მივწვდე,
ხელში მეჭიროს სავსე მთვარე, როგორც დაირა,
ცის ამ მშვენების შუქს შევერთო და შიგ დავმიწდე,
ეს ოცნებათა ბრძოლის კოშკი თუ არ დაინგრა.

აღტკინებული ჩემი გული ზღვასავით ღელავს,
ზეცის ლაჟვარდით, სავსე მთვარით, ცისარტყელებით,
ანგელოზს ვხედავ თეთრ სამოსში — ჩემს გზათა მკვლევარს
და სასოებით მას გავყურებ გაწვდილ ხელებით.

მამულში ვარ და ვერ ვიოკებ გულს ამღერებულს,
ტოროლასავით სურს ბუდიდან ამოფრთხიალდეს,
ჯერ ოდას ვეტყვი პურის ყანებს, ტანაღერილებს,
მერე, შიგ ტანით, ზენაარო, მაფორთხიალე.

სიზმრისეული ოცნებებით ამტყდარი ჟინი,
ვარდობის თვეში, დროდადრო რომ სული მიყივის,
„ენა, მამული, ქრისტეს ჯვარი“ — აი, ის ჯინი,
მომავლიდან მე, ქართველს, რომ ბუკით მიყვირის.

16 დეკემბერი 2015 წ.

ღვინის მარანში

ვაზი მახარებს მე მსხმოიარე,
დამაჭრებული ქვევრებში ღვინო,
ბიჭებო, ჩემთან შემოიარეთ,
მუხამბაზები წავიღიღინოთ.

შემოიარეთ, ჩამოვსხდეთ ქვევრთან,
მწვადი, დედალი, კახური ღვინო,
მინდა, დავლიო დღეს თქვენთან ერთად,
„შენ ხარ ვენახი“, წავიღიღინოთ.

ვახტანგურად ვსვათ, მამა-პაპურად,
ამოვიქარვოთ გულის ვარამი,
ამოვიმღეროთ ქართლურ-კახურად
„ჩაკრულო“, ჩვენი მტრის შემზარავი.

„მრავალჟამიერს“ რიხით ვუმღერებთ
ქალს ჩვენსას, ლამაზს, მინდვრის ღიღილოს.
ჩუმ-ჩუმად ნეტა ყელს ვის უღერებს?
„ვისი ხარ, ქალო“, წავუღიღინოთ.
მოყმეს ვუმღეროთ ყივჩაღის გამჩეხს,
თვალთაკვესებით ჰგავდა მიმინოს,
ასეთებს ერი დიდ ჭირში აჩენს
მტერმა, ქალი რომ ვერ შეგვიგინოს.

შემომიარეთ, ისეთ ქვევრს მოვხდი,
ყელიდან წითელ წინწკლებს ისროდეს,
დავლევთ, სიმღერის გუდას პირს მოვხსნით,
„მუმლი მუხასაო“, ცამდე ისმოდეს.

მოდით, ერთმანეთს გადავეხვიოთ,
მე ძმად მივიჩნევ თქვენგანს თვითეულს.
მამულს და დროშას ფიცით ვემთხვიოთ
დავითისეულს, თამარისეულს.

მამულს შეწირულ ჯარისკაცებზე
სადღეგრძელო ვთქვათ, შემომიარეთ,
ჩვენ ისეთ ჯავშანს უნდა ვაცმევდეთ,
დედა არ ჰყავდეთ მათ მგლოვიარე.

სული ვუხსენოთ აი, ამ ჯამით
ყველა დიდგორელს, ყველა მარაბდელს,
ვინც ძღომით ჭამა ჩვენი მტრის ჯავრი,
ვინც შეჭამს ხვალ-ზეგ, ჭამდა მანამდეც.

ბიჭებო, მოდით, იმერ-ამიერს
ძველი „ლაშქრულის“ ხმა გავაგონოთ,
მერე კი კახურ „მრავალჟამიერს“
ვუმღერებთ, მტერი რომ გავაგონოთ.

ჭირს გამაგრება შიგან უნდაო,
უთქვამს დიდ პოეტს, ბრძენ კაცს, შოთასა,
თუ ვართ ქართველნი და ვართ უდავოდ,
ნუ მივეცემით შიშს და შფოთვასა.

ბიჭებო, მუხლი მოვხაროთ მათ წინ,
მათ წინ იყოს ეს პური და ღვინო,
მათთვის დავლიოთ აი, ეს ყანწი
და „სულთათანა“ წავუღიღინოთ.

ვაზი მახარებს მე, მსხმოიარე,
დამაჭრებული ქვევრებში ღვინო,
ბიჭებო, ჩემთან შემოიარეთ,
რამე-რუმენი წავიღიღინოთ.

ალალ შენ, შაქრად შენ

მიყვარს შემოდგომა ხვავით და ბარაქით
ჭირნახულით სავსე ძარი და ამბარი,
ფაქიზო და ჭრელა რძითა და კარაქით,
ყურძენი, მზისაგან თაფლივით დამტკბარი,
ურემი გოდრებით — სოფლისკენ შარაგზით,
მოგადგეს გლეხკაცს რაგინდ რა ზამთარი
ჯავარზე კარგად ხარ? დარდი გაქვს არაფრის?
ჭინჭილა ღვინო და ერთგული ამქარი,
გაანდობ რომელსაც ყოველგვარ ჩანაფიქრს,
ალალად რომ გეტყვის, შენს პირსო შაქარი!

მოძებნი ძველ ტაბლას, სამფეხა ხის სკამებს,
პურმარილს მეუღლე ბუხართან გაგიშლის,
თუხთუხებს ქოთანი, შენ თავს ძლივს იკავებ,
სურნელი კაცს მადას ორმაგად აგიშლის,

წითელი ღვინით ჯამს ოთხსაც არ იკმარებ,
იმღერებ ამქართან „ჰარალეს“ — რა გიშლის?
ალალ შენ, შაქრად შენ ყოველი ცისმარე,
პურისა არსობის მოყვანით დაგეშილს.

მით უფრო ალალ თუ შენს მამულს, მზეს და ცას,
ვერავინ ვერასდროს ვერც მტკაველს ჩამოსჭრის,
მტერი, შენ, პირისპირ ხმალდახმალ შენ ნაცადს,
შეგხვდება ერთხელაც ვეფხვივით წამოჭრილს.

და მაშინ ღირსებას მტრისაგან შელახულს,
შენი ცის ჟუჟუნა წვიმები ჩამოგბანს,
არავის შენ არ მტრობ, არავინ შენ არ გძულს,
შორ წინაპართაგან რაც ჯიშად არ მოგდგამს,
შენს ნაიარევს და ცეცხლით გულს შელანძულს
ეშველოს, განგება სალბუნს ცით ჩამოდგამს.

საბა

თითქოსდა იყო გუშინ,
როცა შენ გაჩნდი, საბა,
გავშალეთ ჩრდილში ნუშის
სამხიარულო ტაბლა.

დავლოცე შენი მზე, მთვარე,
ჯურხა ხარის რქის ყანწით,
ღმერთო, შენ დააფარე,
კალთა ჩემს გულის ნაწილს.

განრიდე ბოროტ მაცილს,
შენი საწუთროს ქარებს,
გავედრებ ამ ჩემს ნარცისს,
მისი ზრდა დააჩქარე.

ასი წლისაც კი საბას,
ჰქონდეს ქვის კვნეტის ჯანი,
მამულის ამ ჩემს სამანს,
ეჭიროს ქრისტეს ჯვარი.

ფლობდეს ხირიმს და ქამანდს,
მტრისაც ეჭამოს ჯავრი,
გენით გასცდეს წელს სამასს,
არ შეეცვალოს მხარი,
ქართველობისთვის საბას,
არ გავარდნოდეს ხმალი.

1 მაისი 2019 წ.
თბილისი

გულს ამიჩუყებს

გაზაფხულდება, ნაზამთრალი შაშვი ჭადრიდან,
დაიჭახჭახებს, დაიჩივლებს რაღაც სევდიანს,
გულს ამიჩუყებს მგალობელი დილაადრიან,
მე, არც ვინმე მხდალს, არც იღბლიანს, არც ქუდბედიანს.

გაზაფხულდება, აყვავებულ ბლებში, ტყემლებში,
ბულბული ცხარე სიყვარულის ცრემლებს გადმოღვრის,
წმინდას, როგორც წვენს ჩაგუბებულს ვაზის მტევნებში,
როდესაც მთვარე, ციდან ვერცხლის შუქად გადმოდის.

შეაფრინდება ჯეჯილიდან ტოროლა ზეცას,
გალობით უნდა მზის ამოსვლა ქვეყანას ამცნოს,
ისიც უმადლის ამ ნიჭისთვის ზეციერ ღმერთსაც,
ცაში ნავარდის და სიმღერის მადლი რომ წასცხო.

შეიფოთლება ძეწნა, მიწის ტკბილ წვენს ჩაიდგამს,
მხრებზე გადმოყრილ დალალებით ყელს მოიღერებს,
ვაზი, კეთილი, ყლორტს უფრო შორს, ფესვს ღრმად გაიდგამს,
მინდვრიდან სიო მთვრალ კაცივით შემოიმღერებს
და გაზაფხული საქორწინო გვირგვინს დაიდგამს.

მაისის წვიმა ჩონგურივით აწკრიალდება,
ტყეში მხრებგაშლილ, ეულად მდგარ ვერხვის ფოთლებში,
გული ჩემი კი, სხვა ტკივილით აწრიალდება,
სხვა დარდით სავსე, სხვა წუხილით შენაშფოთები.

მადლს ვწირავ უფალს, თუ ჩონგურის ერთი სიმი ვარ,
თუ ნათლისღების წყლით შუბლი მაქვს მეც მონამული,
რაც მიწყალობა მან მე, მასთან იმით მივდივარ,
აღსარებითა განწმენდილი და მონანული.

მომასწრე

ნუ მითვალთვალებ, ნუ დამდევ,
სიკვდილო, ასეთ-ისეთო,
გადავხნა მიწა გულამდე,
ხორბალიც მივთეს-მოვთესო.

ალადასტური ვახარო,
ბუდეშურ — რქაწითელები,
მოვხუცდე, თავი დავხარო
უფლისკენ გაწვდილ ხელებით.

მომასწრე მამულ-დედულის
მზესავით გაბრწინებასა,
აბჯარში იჯდეს მხედრულით,
ტაიჭით ნება-ნებასა.

მომასწრე ენგურ-ლიახვში
მურწა-კალმახის ჭერასა
და მერე, შენს ბნელ წიაღში
დავფლავ ჩემს ბედისწერასა,

ისე ნუ მომკლავ, არ ვნახო,
მტერზედა გამარჯვებანი,
მეც დავცხო ჩემი შალახო
დოლით, სტვირით და ებანით.

ჯერ ჩემმა ორბმა იყივლოს,
დამიფრთხოს ყვავი, ძერანი,
მერე კი, მოდი, სიკვდილო,
მოიღე ჩემზე ძლევანი.

შემოდგომა

ოქროსფრად შეფერიანდა
ვერხვი, წიფელა, ჭადარი,
ზაფხული მიიწურა და,
ყანა სამკალად მზად არი.

დატკბა დამასხი, ოტური,
კომში, მაყვალი, ქლიავი,
ვენახებიდან უბერავს
ვაზის სურნელის ნიავი.

ყურძენი დაიწურება,
ქვევრში იდუღებს მაჭარი,
ფრონედან ამოიყრება,
კალმახი, მურწა, ჭანარი.

ქორწილი არის! ქორწილი!
ცირა, ცანგალა, ბიჭისა,
ღმერთო, ამრავლე ქართველი
რიცხვით, მკლავით, და ნიჭითა,
მოგვასწარ, შვილთა, მრავალთა,
მერცხლებივითა ჭიკ-ჭიკსა.

ათას კაცზეა ქორწილი,
„მრავალჟამიერ“ ცას სწვდება,
თამადის ყანწი ჯიხვისა
სიგრძით ერთ ადლსაც გასწვდება.
წამოდგა, წამოიმართა,
პირჯვარი გადაიწერა,
ლოცავს: აკვანში, რამდენიც
ცისკარა გადაირწევა.
ქართული ციდან მზე მათი
ვინ თქვა, რომ გადაიწვერა?

ტალიკ-ტალიკი ბიჭებით
მტერს დავუბნელოთ თვალები,
ქეთევან დედოფლისა და
თამარ მეფისდარ ქალებით,
წმინდა გიორგის თეთრ რაშით,
ოქროთი ნაჭედ ნალებით.

უფლის ნებითა და მადლით,
ქართლში ცა გადიწმინდება
და მაშინ, ჩვენი სამშობლო,
მზესავით გაგვიბრწყინდება.

5 ოქტომბერი 2018 წ.

თბილისი

ქეთევან დედოფალს!

...მიიღო ძვეკაი ხორცთა ზედა...

დედაო ჩვენო, როგორ ევნე, როგორ ეწამე,
რა განსაცდელი მოგივლინა ბედმა, რა კრული,
შირაზის ბაღში სერაფიმი იჯდა ლერწამზე,
არ გათათრდეო, შენ გეძახდა თავგადაკლული,
ქრისტეს რჯულისთვის, ხორცთა ძლევით ტანჯვით ეწადე,
რომ გარდმოგეხსნა საქართველო ჯვარზე გაკრული.

რად არ შეჰკივლე სუსტმა ქალმა უფალს ხსნისათვის,
როცა მკერდიდან აგაგლიჯეს ძუძუ მარწუხით,
თვით იესოც კი მთაზე შესდგა, ეთქვა ცისათვის,
რომ განეშორა მამას მისგან შხამი ნამწუთხი.

ჩამოგაგლიჯეს გულზე ჯვარცმა, მიწა ქართული,
შემოგაფხრიწეს ნაზ სხეულზე თეთრი სუდარა,
მარტვილობის წინ ისე იყავ ლოცვით გართული,
არ წაგცდენია ბაგეთაგან ხვეწნა-მუდარა.

ვარვარა შანთი დააძგერეს შენს ნაძუძურებს:
„უარჰყავ ერი, ქრისტეს რჯული, ქალო, უარჰყავ!
ვიღასთვის კვდები? საქართველოც დაგიუძლურეს,
აღარც ქმარ-შვილი, უფლისწულნიც, ქალო, თუ არ გყავს?!“

მაგრამ, შენს უკან საქართველო იდგა ჯვარცმული,
ფენიქსივით რომ აღმდგარიყო შენი ფერფლიდან,
მარად ჰქონოდა ქრისტეს მადლი ნინოს წარსცხმული,
და სათნოება, დედოფალო, ღვთით რომ გეფინა.

შენი სამშობლო ჯერ ასე არ გამწარებულა,
სისხლმოწყურებულ ურჯულოთა შემოსევებით,
რჯულისთვის ქალი, დედა შენებრ არ წამებულა,
რომ სულსა შენსა განესვენა ცად მოსვენებით.

სისხლით უძღები შაჰის ზრახვებს შეეჭიდე და,
ერთი ცრემლიც კი არ გადმოსკდა შენს თვალს, წამწამებს,
იცოდა მანაც, შენც იცოდი, ვის რა სჭირდება
და ამიტომაც, დედოფალო, უღვთოდ გაწამეს!

არ შეაშრება შენი სისხლი შირაზის მიწას!
არც შაჰ-აბასის ბოროტების მიშვებულ აღვირს,
შენს ნატიფ სხეულს, შენს ძუძუებს ქვაფენილს მიმწვარს,
საამაყო ცრემლს ერი შენი სამას წელს აღვრის!

არც ლეგენდა ხარ, არც ზღაპარი, ან რაღაც მითი,
ისტორია ხარ წამებული! შვილთათვის დედა,
საკუთარ ნებით ერის ხსნისთვის ცეცხლზე რომ მიდის
და არასოდეს ჟამთასვლაში აღარა კვდება!

დედაო ჩვენო, ღვთისმშობელის ტერფებთან მყოფი,
ციდან დაგვყურებ, როგორც მთვარე, ღვთის გზას არ ავცდეთ,
რადგან ჯერ წინ გვაქვს გასასვლელი ველი მარტყოფის,
ქრისტეში ვიყოთ ერთ კონად და კი არ დავცალდეთ,
რომ არ დაგვიდგეს მომავალი ყოფნა-არყოფნის,
თავგანწირვა კი, შენი, შვილებს ხსოვნად გადავცეთ.

თუნდ ერთი ბწკალი, დედოფალო, შენი ძვლებისა,
შეიძლებოდეს ჯვართან ერთად გულთან ვატარო,
იმ ტკივილს ვგრძნობდე ხორცსა ზედა შენზე ძლევისა,
ცად უფლისაკენ შენი რწმენით, მეც რომ მატაროს,
რომ მე, ქართველი, ეს ეპოქაც რყევა-ძვრებისა,
ჩემთვის საშიში მაცხოვრის გზით გადამატაროს.

მოურავო!

დღემდე მოგდევენ, მოურავო, მკვლელები კვალში,
გაწაფულები თანამოძმის ღალატით კვლაში,
ყარაის ველზე ღალატია, გამცნობს ბააკა,
უგნური მეფე ნანადირევს შენ თავს დააკლავს.

მოახტი ცხენს და მიაღწიე ბინდისას ნოსტეს,
მოგყვა ფეხდაფეხ მდევარი და რაც გქონდა მოსპეს,
ტყეში შევარდი, მხარზე გაჯდა შვილი პაატა,
პირსისხლიან შაჰს, ოდესღაც რომ მსხვერპლად გაატან.

დღემდე ძიძგნიან შენს მაშვრალ სულს, შეწირულ სხეულს,
შენს სისხლს მამულზე ზვარაკივით ზედ გადანთხეულს,
ჩაგვჩიჩინებენ ორშოლტიან მათრახზე შენსას,
არა და მხსნელად, შენ წარუძეხ სამშობლოს ბედშავს.

შაჰი ბოროტი, დრო წყვდიადი, მოძმე ცვედანი,
გებრძოდა, შური, მოღალატე, ქვეგამხედვარი.
შინ ფეოდალი, მეფეებიც სპარსი და თურქი
და წმინდა მიზანს შეაწირე, გქონდა რამ თუკი.

ერთი რამ გულს ღრღნის, გამკიცხონ და დამწამოს ვინც რა,
რომ ვერ გაბედე, ვერ აღიღე მეფური სკიპტრა
და ვისაც ჯერარს, ვისაც ადგას მწერალის მიტრა,
სიფრთხილე მართებს, მისი სიტყვა არ ღირდეს კიტრად!

რა სჭირს შენს წარსულს? შენს გმირობას საეჭვო რა სჭირს?
მსხვერპლად მისულს რომ მოძმე დანით დღესაც ხორცს გაჭრის,
ოთხას წლის მერეც, ტყვედ ბევრი ჰყავს ფიქრებს მწვალებლურს,
იმის ნაცვლად, რომ გახსენებდეთ, როგორც წამებულს —

იყიდებაო შატილი

იყიდებაო შატილი,
ეს რა გავიგე, თორღვა,
მამული, მანდილახდილი
წალეკა ზვავმა, ღორღმა.

სადა ხარ, ბერო მინდიავ,
მუხლი რომ გება მგლისა,
შენს საჯიხვეებს ჰყიდიან,
არაგვის ჭალებს გრილსა.

ქეთელაურო ალუდავ,
თქვი საფიხვნოზე სიტყვა,
ამ ბარელ ბიჭებს რა უნდათ,
მთების გაყიდვა ვინ თქვა?
სადა ხარ, გაფრინდაულო,
ლეგ-ლუგა ბიჭო, ზეზვა,
რომ ამათ სახრეს დაუვლო
უშხივლო ზედიზედა.

წამოდექ, წამოიქოჩრე
ხოგაის მინდი არხოტს,
რამდენი წამოაჩოქე
ლეკი, ამათაც გნახონ.

ლუხუმო, შედექ ლაშარზე,
მოძოვე მთების ქუჩი,
ბებერი ციხის ნაშალზე
შეიბ ფარ-ხმალი, ზუჩი.

ოჟა, შენც შეაჟღრიალე
ბეთლემის კარზე ფარი,
ისეთი შეუღრიალე
მთვარეს ეცვალოს მხარი.

მიყიდვას ვეღარ დაჰპირდეს
ვინმე, სხვას, თქვენი მხარის,
რომ ვაჟა აღარ ატირდეს,
როგორც ნიკორა ხარი.

შენზე აქვთ თვალი თურქსა და,
ჩინელს, ინდოელს, არაბს,
წინათ ომებით ვინც სცადა,
დღეს მამულს ფულით გვპარავს.

2 ივნისი 2008 წელი, თბილისი

პოეტთა ერა

საქართველოში დიდ პოეტთა ერა დასრულდა ...
თან გაიყოლა მღელვარებით იმ საუკუნემ,
ბევრმა კორიფემ, შიშის გამო, ვერ სთქვა, რაც სურდა
და რაც კი ითქვა, გავლილ ას წელს ვერ დაუწუნებ.

გადაუარა ჩვენს სამშობლოს ახალ ეპოქამ,
სიკეთისა და სისაძაგლის მღვრიე ტალღებით,
ღვთის ნება ჩვენი — პოეზიაც ისე შეთოკა,
მერცხლები ვიყათ, ახლა ვფრინავთ, როგორც ღალღები.

აგერ, ახლახანს, ცად ამაღლდნენ მურმანი, ანა,
ირაკლი, შოთა, გალაკტიონს ფერხთით დაუსხდნენ,
თან გაიყოლეს ბობოქარი ასი წლის ხანა,
პოეზიას რომ თითქმის ჯვარცმით სხვა გზა გაუხსნეს.

მათ შემდეგ ისე აღარა ქუხს დაფი, ნაღარა,
არც ერთ პოეტის — ჩაიღიმებს ალბათ მუხრანი,
ამ კაცის მერე წავიკითოთ ვისი რაღა რა?
არც ხვალ და არც ზეგ, ვიდრე დგანან დრონი მუხთალნი.

5 მაისი 2007 წელი, თბილისი

მუზას

ო, ღვთის ნებავ, ბევრი ღამე შენზე ლოცვით გატყდა,
შენს ტყვეს დღეს მსურს, წელზე ოქროს ძეწკვი შემოგარტყა,
გაგიყოლო, დავიძინოთ თეთრი ტყემლის ძირში,
რომ სიზმრები ტკბილი, ტკბილი, კვლავაც ვნახოთ ძილში.

არასდროს არ მიმატოვო ბედის ანაბარა,
ჭირვების ჟამს, რომ ჩამძახო შენი ანა-ბანა,
თორემ ჩემში იბობოქრებს უსულობა მკაცრი
და სიცოცხლის ბარძიმს ტანჯვით, ნელა, ნელა დაცლის.

ჩამოწვება ბნელი ღამე, როგორც მთიდან ზვავი,
შემძულდება ყოფა, ყოფნა შხამით შენაზავი,
ლურჯ ცას ზევსი გადააკრავს შავი ღრუბლის აფრებს,
მთვარე, ზღაპრებს რომ მითხრობდა სულაც ციდან გაქრეს.

აღარც რიჟრაჟს დამანახვებს თვალდაბინდულ მოყმეს,
აღარც მთვარეს, ჩემთვის ზღაპარს ვიღა უნდა მოჰყვეს,
დამეხშობა ყური ვიცი, თვალიც ამეხვევა,
ვერ მოვუსმენ შაშვს, ჩემი მზეც ნისლში გაეხვევა.

და მაისის ღამეებიც ბულბულებით, მთვარით,
სადღაც ქარი მიმოფანტავს, ვეღარ ვნახავ თვალით,
ტანში ვეღარ დამიაროს ჟრჟოლამ შენი ხილვით,
ვეღარ დავტკბე, ადამივით, აკრძალული ხილით.

სტრიქონს უხვად, ცვარ-ცვარ, წვეთ-წვეთ, აწონილი მისხლით,
შენით თუ არ დავაწურე გულის ძარღვის სისხლი,
რა ვიქნები მე, უშენოდ, თუკი მიმატოვებ?
ხე, მოჭრილი, უნაყოფო, მკვდარი სიმარტოვე.

სწორედ ახლა, მუხლწარკვეთის როცა დგება ჟამი,
მინდა, რომ შენ მომაწოდო ღვინით სავსე ჯამი,
შემართო და გამამხნევო, როგორც ერთხელ, ძველად,
ბულბულებს და ღამის მთვარეს როცა ვყავდი მძევლად,
მე, ჭაბუკი, როცა შენ და მთვარემ დამატყვევეთ,
როცა შენით მონად ვყავდი ჭრელ მინდორს და ტყე-ველს.

ახლა, როცა მუხლწარკვეთის მიდგას ძნელი წლები,
აყვავებულ ტყემლების ქვეშ ღამით წამოვწვები,
ცას ავხედავ, პირბადრ მთვარეს, ვიცი, იქაც სახლობ
და გინატრებ სიკვდილამდე ჩემთან იყო ახლოს,
მანუგეშო, შემივრდომო, დამაფარო კალთა,
დრო რომ მოვა, მშვიდად დავდგე, მე სამარის კართან.

25 იანვარი 2008 წელი
ერედვი

„მო, მთვარეო, შემიბრალე...“

მამღერე შოთას ავთანდილივით,
სმენად მოვიდეს ტყიდან ნადირი,
ამაფრიალე ცად მანდილივით,
ოღონდ მაჩვენე უფლის ნადიმი.

ვერცხლით დარახტულ რაშზე შემომსვი,
ჩემი სიმღერა ქარს დავაწიო,
აწმყოსა ამას ბინდით შემოსილს,
როგორმე თავი მეც დავაღწიო.

ჩემთან იტირონ ტყის ირმებმა და
ლიახვის პირას თეთრმა ნარცისმა,
მოსთქვან: თუ ასში, მზე პირს, მე, მბანდა,
რატომ გამწირა ბედმა კაცისამ?

მოფრინდნენ ჩემთან ბულბული, შაშვი
მომიალერსონ და მანუგეშონ,
იქნებ, აპრილში ატმების ბაღში
პატარა ბუდე მეც ამიშენონ.

ცრემლი სდიოდეთ ვერხვებს და ჭადრებს,
მხრებზე მაფენდნენ ფოთლიან ტოტებს,
მე კი, შენ და სხვა ყვავილებს, ვარდებს,
გულით ვაღვრიდე სხვადასხვა ხოტბებს.

მამღერე, მთვარევ, ავთანდილივით,
თორემ სიბერის მსხვერპლი გავხდები,
ამაფრიალე ცად მანდილივით,
ვიდრე დავჭკნები, ვიდრე გავხმები.

30 სექტემბერი 2009 წელი

ცამდე მართალს

საქართველოს ბედს დასწივი,
წივწივაძე თამაზ,
როგორც ქორი თავის ბუდეს
და ასაფრენ მართვეს,
კანით რომ გრძნობ, რა მოელის
ამ ჩვენს მამულს ლამაზს,
რა მოელით ყურდახშობილ
გამდიდრებულ მთავრებს...
მოუსმინონ შენს, ბრძენკაცის
რჩევას, სიბრძნით ნაზავს,
თორემ ყველა, ტახტზე მჯდომი
ცუდად დაამთავრებს.
ვიცი, შენთვის ღვთის ჯილდოა

წინათგრძნობის მაგია,
იმიტომ, რომ ზეციერის
ტახტის ჩრდილი გადგია,
ამიტომაც, შენი სიტყვა
არაგვივით შმაგია,
რომელიც რომ დღეს ჩვენს მამულს
წამალივით არგია.

30 მაისი 2017 წ.
თბილისი

ერთსა ისეთსა ამოგთქვამ

„ᲓᲣᲥᲡᲝ, ᲐᲛᲝᲥᲗᲥᲝᲛ, ᲝᲮᲣᲠᲝ"

ერთსა ისეთსა ამოგთქვამ,
შენი ხმა მთებს რომ გადასწვდეს,
ტანში კი ისე ჩამოგქნავ,
წელში არასდროს გადაწყდე,
გუთნის ღვედივით ჩამოგწნავ
ხარმა გაგწიოს, არ გაწყდე.

შეგმოსავ ცისფერ გვირილით,
შემოგსვამ დილის ნიავზე,
მესმოდეს შენი ყივილი
ცისკრის ვარსკვლავის ციაგზე.

ზედ მყინვარწვერზე აგიყვან,
კლდე დაგანახვო ფრიალო,
შენ ბეწვის ხიდზე გამიყვან,
მე რომ ცად აგაფრიალო,
მინდორში უბით წაგიყვან
მტრედივით აგაფრთხიალო.

ერთ კონად შეგკრავ, ცეცხლს მოგდებ,
იწვოდე, როგორც წალამი,
ბნელში ნათლისთვის გამოდგე,
იყვე მაშვრალთა წამალი,
საყვარლის ცრემლად ჩამოდნე,
ატირო გული ალალი.

ერთსა ისეთსა ამოგთქვამ,
ვაჟკაცს ტანთ ბურძგლი აჰყაროს,
როგორც ხანჯალზე კაჟის ქვამ
ბნელში ცეცხლები გაჰყაროს,
რომ შენმა ერთმა კარგის თქმამ
ვეფხვი და მოყმე შაჰყაროს.

ვაზს ჰგავდე ოქროს მტევნიანს,
შიგ გედგას თასით ბადაგი,
ახალისებდე სევდიანს,
ათბობდე, როგორც ნაბადი,
ვაჟს ფიცხელს, ასულს კდემიანს
დაეგო, როგორც ხაფანგი.

ერთსა ისეთსა ამოგთქვამ
ქარბუქი დაატრიალო,
ისეთი თასმით ჩამოგწნავ,
ლექსო ოხერო, ტიალო,
ისეთ თიხაში გამოგწვავ,
დრომ რომ ვერ გაგატიალოს.

შვილო, ზურაბ, სადამდის?

დრო მოჭიხვინდა ცხენივით,
როგორც ულაყი ურა,
ძველს თიბავს სპარსულ ცელივით
რით ხვდებით, შვილო, ზურაბ?
თქვენ აღარ გინდათ არც ლექსი,
არც წამკითხველი, გურამ,
ახლა ქეიფი და სექსი,
„სადამდის, შვილო ზურაბ?!“
დაჭენაობენ ჯიპები,
მოგვპარეს გვქონდა თუ რამ,
ღიპზე ასკდებათ ჭიპები
„სადამდის, შვილო ზურაბ?“
ვინ ბუდეშურს და საფერავს,
ვინ კი ჭანჭყატას წურავს,
კასრებს შამანით გაბერავს
„სადამდის, შვილო ზურაბ?“
ბევრს აღარ გახსოვთ წარსული
ძაღლი რომ უყეფს მურა,
უცხო ქონი გაქვთ წამული?
„სადამდის, შვილო ზურაბ?“
ვერ იქნა ჩვენი ერთობა,
ველარ გამოსწვა ქურამ,
სკამი არავის ეთმობა
როდემდე, „შვილო ზურაბ?“
ქექავენ მეფე დავითის
დიდგორს იყო ის თუ რა,
ძლევა თუ იყო ნება ღვთის
თქვენ რა გრჯით, „შვილო ზურაბ?“

ვაი, რომ ჩვენში რამდენი
მოზვერი იქცა ფურად,
უწესო საქმის ჩამდენი,
„სადამდის, შვილო ზურაბ?“
ვინ არის ნარკობარონი,
ვინ დუდუკი და ზურნა
და ვინ მენავე ქარონი
იციან, „შვილო ზურაბ?“
„კოკასა შიგან“ — როგორ ვთქვა?
ბადაგიც ხომ გვაქვს, ზურაბ?
რაც წინაპარმა მოგვართვა
ადინოს, შვილო, სურამ!

ძე უფლისა

ქრისტე ღმერთი დაიბადა იუდეას ბეთლემშიო,
მეფე გაჩნდა! ხმა დაირხა ახლო-მახლო ქვეყნებშიო,
ვარსკვლავი გაბრწინებულა იმ დღით ცაში ღრუბლებშიო,
ნიშნად ჩვენი მხსნელის შობით, იმედი და ნუგეშიო.
მოგვებიც შორით მოსულან ჩარდახიან ურმითაო,
თაყვანი სცეს ყრმა იესოს გუნდრუკით და მურითაო,
იოანემ განანათლა წყლითა იორდანესიო,
უფლისაკენ გზა და ხიდი, შუქი ბნელი ღამისაო,
ცა გაიხსნა, გარდმოეშვა მასზე სული მამისაო,
იმედი და სასოება, ჩვენი, ყველა ჟამისაო.
„მას უსმინეთ, ჩემი ძეა, გზა, ცად სასუფევლისაო,
იწამეთ და მთასაც დასძრავთ მისი სასოებითაო,
იწამეთ და შეგეძლებათ ერთმანეთის გატანაო,
იწამეთ და შეგეწევათ დაამარცხოთ სატანაო.“
„ურწმუნოებს თვალს აუხელს სილოამის აუზითო,
ქრისტეში მყოფ დედ-მამებს კი სათნო შვილებს გაუზრდისო,

თქვენი სულების ხსნისათვის ვწირავ საყვარელსა ძესო,
აწამებენ, გაშოლტავენ, გააკრავენ ჯვარის ძელსო.“
„შეიპყრობენ, გოლგოთაზე ჯვარს თავისას აიტანსო,
ჩემს წინ ყველა მონანულთა და ცოდვებსაც წარიტანსო,
ბრბო მის სიკვდილს პილატეს სთხოვს, შეწყალებას ბარაბასო,
მე კი, მისთვის გავხსნი ზეცის ყველა კარს და დარაბასო.“
„მოსეს რჯულის ყველა წესი, რაც წერია აღსრულდესო,
ქრისტე, მხსნელი კაცთა მოდგმის, ჯვარზე უნდა დასრულდესო,
მერე, ის ცად ამაღლდება ცოცხლად მყოფი ამჯერადო
და ჩემს გვერდით, უკვდავებით, ტახტზე მარჯვნივ დაჯდებაო.“

მარადი ფიქრი

აივნიდან ცას გავყურებ, ჯერ არ გათენებულა,
ჰორიზონტი ალიონით ჯერ არ დამშვენებულა,
გალობს შაშვი ჭადრის ხეზე, ნიავი ქრის გიჟმაჟი
და ნელ-ნელა ჩნდება მთებთან ვარდისფერი რიჟრაჟი.

გაზაფხული მოსვლის დღიდან სხვა სიცოცხლით მავსებს,
რადგან მინდვრის ყვავილებში ჩაღვრილ ცის ნამს მასმევს,
დამათრობს და შემომისევს ფიქრებს ჭინკის მსგავსებს,
რომ ავცმუკდე, გასაფრენად ფრთა გავშალო წამსვე,
რიჟრაჟს შევხვდე, ყრმობიდან რომ პირველ ფერად მწამს მე.

მინდა, ველი აყვავილდეს აპრილის მზით გამთბარი,
იქნებ მალე დამავიწყოს გამოვლილი ზამთარი,
მინდა, ფეხით მოვიარო ჩემი ქვეყნის მთა-ბარი,
მოვილოცო მცხეთიჯვარი, ძველი ბერისაყდარი,
ვნახო, ჩემი, მზის და მთვარის, ცის და მიწის ჯავარი.

შაშვი გალობს, დილის ნიავს მივსდევ იქით, იქით,
სადაც გულით ვიმყოფები და მარადი ფიქრით,
სადაც ჩემი მზე ამოდის, მთვარე ცხრილისტოლა,
თვით სიკვდილიც ვერ დააცხრობს მათკენ ჩემსა ლტოლვას,

იქით, იქით, სადაც ვწოვე დედის ძუძუს ხსენი,
რომ ამავსო სიყვარულის განუკურნავ სენით,
სადაც მისვამს ჩემი მიწის ვაზის მტევნის წვენი,
სადაც მე, კაცს, გამითეთრდა თმა, ულვაში, წვერი.

შაშვი გალობს, მზე ამოდის, სიო დაქრის გიჟმაჟი
და ნელ-ნელა ქრება ციდან ვარდის ფერი რიჟრაჟი,
გაზაფხული, მოსვლის დღიდან ცის მანანას მასმევს,
განა მათრობს? სხვა სიცოცხლით, სხვა იმედით მავსებს.

11 მარტი 2018 წ.
თბილისი

რა მალე

რა მალე დამწიფებულა ბაღში ლეღვი და ატამი,
რა მალე დაქალებულა მეზობლის გოგო, ფატმანი,
რა ცის ლაჟვარდის თვალები, რა ძუძუ-მკერდი, რა ტანი.

მეზობლის ბიჭი, იმედა, რა მალე დაკაცებულა,
გუშინ ჯერ ისევ მაჭარი, რა მალე დაღვინებულა,
რა მალე, კოკობ-ულვაშით, მხარ-ბეჭით დამშვენებულა.

რა მალე დაფრთიანდნენ და ფრთები რა მალე გაშალეს,
გუშინ არ იყო? აკვნები ლერწმის გაჩარხეს, გათალეს,
დღეს კი, მაყრები ანთებენ მათ საქორწილო მაშხალებს.

მაისის ღამე მთვარით და ვარსკვლავით დამძივებულა,
მეზობლის გოგო იმედას მკლავებში დაძინებულა,
აყვავებული ატმის რტო ნაყოფით დამძიმებულა...

გუშინ არ იყო? მათსავით მეც ვღუღუნებდი აკვანში,
გუშინ არ იყო? გუთნის ხარს მეხრედ მივსდევდი ნაკვალში,
ნაწვერალში მწყრებს დავსდევდი ყმაწვილი ყანის ნამკალში.

რა მალე, ვერც კი გავიგე, ჭაღარამ როდის დამთოვა,
ჭაბუკობის დრომ რა მუხთლად, როდის და რა დროს დამტოვა,
ასე მგონია, მე, ბეჩავს, გუშინ ვიყავი მათ ტოლა.

რა მალე, ვერცკი გავიგე, სხვა გაზაფხული დამდგარა,
მინდა გავხედო სამყაროს, მინდა გავაღო ფანჯარა,
თურმე იმ გოგოს კალთაში ბიჭი და გოგო ჩამჯდარან,
ღმერთო, ასი წლით იფეთქოს მათმა გულმა და მაჯამა!

ცეკვავდა ვარსკვლავთან

ცეკვავდა „ვარსკვლავთან“ რკინისფეხება და
კლდისა ნებისყოფის ქართველი სამხედრო,
„არ მჯერა!“ შესძახებს, ვინც მას შეხედავდა?
მაშინ, მან შორეულ მის ფესვებს გახედოს!

ნისლივით მსუბუქი, ცეცხლივით გოგონა
ევლება ჯარისკაცს ზედ თონის ალივით,
შემიპყრობს განცდა მე, თითქოს ცით მოგორავს,
ქალ-ვაჟის ერთობა ღვთით და მზის არილით.

ქალწული ხატულა, მომნუსხი, როგორცა
მითიურ დიანას შიშველი მკლავივით,
ამ ორ მტრედს, მზიანი ჰქონოდეთ ოღონდ ცა
და გული ეწვოდეთ ტრფობისთვის კვარივით.

სულს კბილით ვიჭერდი, არ წაქცეულიყო
ნაჯახშემოკრული მუხლებში ეს მუხა,
მის ტანზე უფლისგან ოდითგან კრულ იყო,
მუმლი მისეული — მინდა, ეს მტერს ვუთხრა.

მუხლებწარკვეთილი, პირსახის ღიმილით
ცეკვავდა „ვარსკვლავთან“ ქართველი სამხედრო,
აღზრდილი მხედრობით, „ჰკა მაგას“ ყივილით,
სული ჩვენც რომ გვმართებს მასავით გავხედნოთ.

ცეკვავდა „ვარსკვლავთან“ ქართველი სამხედრო,
დარბაზში მუსიკას ტაშის ხმა ახშობდა,
ეს ბიჭი დღეგრძელყოს-ცად, მსურს, ღმერთს ავხედო,
შემინდოს, ამაყი ცრემლი თუ მახრჩობდა.

2 მაისი 2016 წ
თბილისი

უფალო იესო!

ყრმობის წლებიდან მოვსდევ ფეხდაფეხ
წუთისოფლის გზებს, დაუსაბამოს,
ვეფარებოდი, ღმერთო, შენს სახელს,
განა რამ შიშით, ან უსაბაბოდ?
რომ არ დაეგო ჩემთვის გზად მახე,
არ გავეწირე მე, უსამართლოდ.

შენი იმედით, შენი ნუგეშით
გამოვაღწიე შუქზე ბნელიდან,
კალოს ხარს ვგავდი შებმულს უღელში,
დრო მდენდა სახრით თხილის წნელისგან,

მე შენი ჯვარცმა მედო უბეში,
არ ჩამემუხლა, მუდამ მშველიდა,
იმ წლებში, როგორც შუქი ღრუბელში
ნათელი შენი ჩემში შევიდა.

მე შენმა რწმენამ გამომატარა,
შიშისმომგვრელი ბეწვის ხიდები
და თუ ერთიც კი არ ჩამომწყდარა
შენით, ციდან მე, რომ მამშვიდებდი,
შენით მზე ჩემი ცას არ მომწყდარა,
შენკენ მევლო მას ბნელში ჰკიდებდი,
ჰეროდეს გუბემ თუ ვერ მომწამლა,
იმიტომ, ღმერთო, ბრმას ხელს მკიდებდი.

დღემდე დავეძებ, იესო, ვარსკვლავს,
შენი შობა რომ ამცნო სამყაროს,
სად ციმციმებს და ზეშთას სად ახლავს
შენი მეორედ მოსვლა გვახაროს,
ვსდიო მარადის, მართალს, შენს გზას კვლავ,
მე, გლახამ, შენით გული ვახარო.
საწუთრო, შენი რწმენით ჟამთა სვლამ
განწმინდოს, შენს წინ თავი დახაროს.

უფალო, შენი ცად ასვლის დღიდან
ჩემს მამულზეა შენი სუფევა,
შენი სახელით მართალ სისხლს ღვრიდა,
ჰქონოდა ცის ქვეშ ყოფნის უფლება,
დღესაც მტრით მოცულს ყოველის მხრიდან
ვავედრებ, ღმერთო, შენს მეუფებას,
ქართველს, აქ გაზრდილს ადამის ხნიდან
ვინმე ოდეს თუ დაემუქრება,
ვერარამ იხსნას შენი რისხვისგან,
ვინც ჩემს მზეს, მთვარეს დაეუფლება.

გადამარჩინა შენზე ლოცვებმა
ამ საწუთროსგან მარად ბედკრული,
არ ვენახეთ მტერს, ჰქონდა ოცნებად
ერთად, ვით ისრის კონა შეკრული.
„ნუ იყოფინ“ და მეტ მადლს მოგვცემდა
ძე ღვთისა, სიტყვა, ნათლით შემკული.

იესო, კვლავაც მადლში გვამყოფე,
ქალ-ვაჟი ბევრი დავაფრთიანოთ,
მტერი, რომ ასეთ ცეცხლში ამყოფებს
მათ მამულს, იქნებ ააფხიანო,
მათი სამკვიდროს სამად გამყოფელს
მტრედი ნოესი აუფრთხიალო,
ტყის ტახივით რომ ჯაგარს აფოფრებს
მშვიდობის დროშა აუფრიალო,
ჩემს მოყვასს მტრობით მასთან არმყოფელს
მალე სამშობლო გაუმთლიანო.

28 დეკემბერი 2017 წ.
თბილისი

სვეტიცხოველი

კიდევ ათას წელს შენს ბებერ ფუძეს
პატარა კენჭიც არ აატყდება,
იმ დრომდე, ვიდრე მცხეთაში ყურძენს
ბოლო მარცვალი ჩამააწყდება.

კიდევ ათას წელს მაგ ქვების ღაღადს
გულით უსმენდეს მოყვასი ჩემი,
შევიდეს ლოცვით ქრისტეში ლაღად,
განწმინდოს აწმყო, მყოფადი ჩვენი.

დრომ შენს ლოდებთან, შენს ცხოველ სვეტთან
წამოიჩოქა სამხვთო ხარივით,
ვერ შეგმუსრა და სისხლივით წვეთავს
შენი ოსტატის მოჭრილ მხარივით.

დაბერდნენ ცაში თვითონ ღმერთებიც
ამ ათასი წლის შორი მანძილით,
შენკი, ქართული სულისკვეთებით
უფრო აღმოჩნდი მათზე ხანგრძლივი.

შენი კუთხის ქვა ზეციერ მამის
კურთხევითა და ნებით გათლილა
და ათასი წლის სხვა დრო და ჟამი
ზეცაში, თურმე, შენი ათვლილა.

ჩვენი ერთობის ცხოველო სვეტის,
კიდევ ათას წელს მოგვეც ჩვენ მადლი,
ავლოკოთ ჯვარცმის ცრემლების წვეთი
და შევეფაროთ ღვთისმშობლის მანდილს.

27 აგვისტო 2010 წ.
თბილისი

დაგვლოცე, დავით!

ხმლით შემოხაზულ საქართველოს შენს მიერ, დავით,
ვერ გავუფრთხილდით, განახევრდა საქმენით ავით,
ზოგმა გავყიდეთ, გავაჩუქეთ უჭკუო თავით
მიწა, მეფეო, შენ რომ გეპყრა ლომური მკლავით.

შენს დარგულ მუხას მკბენარივით კვლავ უთვალავი
მუმლი ეხვევა, და განდევნის არა გვაქვს თავი,
მუმლი რა არის, უფრო დიდი სულთამხუთავი,
მტერი მოგვადგა ერთმორწმუნე, ერთობ მუხთალი.

თუ გამოგვიჩნდა კურთხეული, მეფევ, შენსავით,
ორმოს გავუთხრით, ცილს დავწამებთ, დავკბენთ გველსავით,
უმწყემსოდ ბრბო ვართ, ჭეშმარიტ გზას ვპოვებთ ვერსაით,
დაფანტულებს კი, მტერი თითოდ დაგვჭამს მგელსავით.

ერი, ჩემიო, ვაცოდვეო, ჩივი, დავითო,
დიდი ჭირისგან ნუთუ გვყავდა მხსნელი სხვა ვითომ?
ყოფნა-არყოფნის წლები ჩანდა შენი თვალით, რომ
ერი, მეფეო, გიხსენიებს მადლით ამიტომ.

ასეთ ღვთისნიერს გღალატობდნენ შენც კი, მეფეო,
ამიტომ რისხვა მათსა ზედა დაატეხეო,
არა და შენს ერს ფესვებიდან ელოდა მოთხრა,
თურქ-სელჩუკთა წინ დაცემულს კი მუხლებზე ფორთხვა.

ღმერთიც აღარ გვწამს, მაცხოვრისკენ მხარი აგვექცა,
მუხა, შენს მიერ ნახარები, ლამის წაგვექცა,
ვინც შეიფარე „განსუქნენ“ და ყველა მტრად გვექცა,
მათგან სიმშვიდე შენს მამულში არ არის დღესაც.

მაგრამ ვინ არის სრულყოფილი მზითა და მთვარით?
დღეს კი, როდესაც ვიბერტყებით ახალი ქარით,
იქნებ გვეშველოს და დაგვლოცე,
დაგვლოცე, დავით!

სტუმარს გავყვები

მეუღლეს

მოდის გულდაგულ ამოვარდნილ ქარიშხალივით,
როგორც ზღვის ტალღა მიწისძვრისგან წამოქოჩრილი,
დაუნდობელი, მოქნეული, გორდა ხმალივით
და აქლემივით, ყველას კართან წამოჩოქილი.

მოვა და ჩვენი საძინებლის კარს შემოაღებს,
უზენაესი განმკითხველის აღმსრულებელი,
მე ხელს გადამხვევს, შენს თეთრ მანდილს შავს შემოავლებს,
ყოველთა არსთა სიცოცხლისა დამსრულებელი.

სტუმარს გავყვები, ნაცნობია, შენ არ შეშინდე,
დამაღონებელ ფიქრებთან რომ რჩები ეულად,
ცალად დარჩენას, ბრალს ნუ დამდებ, გულით შემინდე,
თუ ჩვენი თასი ჯერ ბოლომდე არ დალეულა.

მარტო მოგიწევს შეეგუო ბედის განაჩენს,
არ გეყოლები გვერდით მე, რომ ჩემს მხრებს დაეყრდნო,
ეხვეწე გამჩენს, თმენა შესძლო, ტანჯვას გადარჩე,
შემოგეშველოს თუ ამისთვის ძალა არ გეყო.

არ გათენდება დღე არც ერთი არ გამიხსენო,
ოჯახის ალბომს გადაშლი და ჩემს ლანდს დახედავ,
მაცხოვარს შესთხოვ: მის ფერხთაქვეშ მეც განვისვენო,
პირჯვარს გადიწერ და ვედრებით ზეცას ახედავ.

მზეწვიასავით სული ჩემი სიზმრად გეწვევა,
რომ განუგეშოს, ძალა მოგცეს, რომ დაგაწყნაროს.
ღვთისმშობელს სთხოვე, შემწევნია, შენც შეგეწევა,
ვინც წამიყვანა მასზე ფიქრმა არ გაგაწვალოს.

მაისის მთვარეს მოიგონებ, ციცინათელებს
და ალუბლებში ცეცხლისმომდებ ჩვენს პირველ კოცნას,
წუხილით, ცრემლით, ვიცი, დღეებს ბევრს გაათენებ,
იმ სტუმრის გამო, არასდროს, რომ არ იცის მოცდა.

გავყვები მე მას, შენ კი, ჩემო, ერთხელ და ერთო,
სიზმრად თუ ცხადში ბოდვითა თუ ლოცვით ნანატრო,
თუ რამ დამაკლდეს სიცოცხლე მე, შენსას დაერთოს,
რომ უფრო დიდხანს გახსოვდე და გულით მატარო.

ღმერთო, რაც სხვას არ...

მთვარე ამოდის ქედს იქით
ვარდისფერ შუქთა ნათებით,
ღამის ღვთაება ძველ მითით,
დალი, შიშველი ქალღმერთი.

მთვარეს უღუის ლოყები,
ჩუმად ნაკოცნი ქალივით,
ცოტაც და ბოდვას მოვყვები
ნაღალატარი ქმარივით,
სად წახვალ, მთვარევ, მოგყვები
ბორბალა ხორშაკ ქარივით,
თვალს მიეფარო, მოვკვდები,
ყელგამოჭრილი ხარივით.

მთვარე ქედს იქით ამოდის,
დალის ჰგავს დალალიანსა,
ვეძახი, ციდან გადმოდი
მეფერე მე, დარდიანსა,
წყალობა მიყავ მადლობით
მე, გულით ალალიანსა,
მომეცი ძალა აქ დგომის,
გიყურო თვალადიანსა.

მთვარეო, ჩამომიშალე
ოქროსფერ შუქთა ნაწნავი,
ამოვალ, ამოვშრიალდე,
გკითხო, ვისი ხარ წაწალი,
ცა თუ არ ჩამომიშავდეს,
თუ არ იქნები გამწყრალი,
ალმასის ბეჭდით გნიშნავდე

მე, შენი ტრფობით დამწვარი.
ამოვალ, ღამის მშვენებავ,
რა მტკივა, გულში ჩამხედე,
რა ცეცხლის ალი მედება,
რა უწმინდური მამხედრებს,
ამოვალ, თმენა მელევა,
სამშობლოს გადმომახედე.

ყველაზე ლამაზს მეჯლისში
მსურს ვაშლი ამოგაწოდო,
რჩეულნი დგანან შეჯიბრში
მე თავი რით მოგაწონო?

რომელ მთას შევდგე, მასწავლე,
მთვარეო, ხელით გწვდებოდე,
მაგ ხიბლს, ასე რომ მაწვალებს,
არასდროს რომ არ ვწყდებოდე.

მთვარეო, ხვალის მიმწუხრიც
როგორც დღეს, განმაცდევინე,
შენგან სიამე იმ წუთის
ვსვა, წვეთ-წვეთ დამაცლევინე,
მაგ ლოყისფერი პერანგი
ჩემს მუზას ჩამაცმევინე,
შენს დალალებში ფერადი
ვარდები ჩამაწვნევინე,
ლექსი რამ წამცდეს ჟღერადი,
შენს კალთას ჩამაცლევინე.

ღმერთო, რაც სხვას არ, რატომ მწადს,
რად მაცოდვილებ ვიცოდე,
ვიცოდე, რატომ ვნატრობ წამს
მთვარის ძუძუსთან მივცოცდე.

ცივ წყაროსთან

ღმერთო, რატომ შემახვედრე
ცივ წყაროსთან ლამაზ ქალსა,
დილის მზეს რად შემახედე,
ვეღარ ვაშორებ რომ თვალსა,
რა მინდოდა, რად შევხედე,
მთვარეს და ცისკრის ვარსკვლავსა?

მინდვრის ნელი სიო ქროდა,
მუხლს ფარავდა კაბის კალთა,
სურას შენი ყელი ჰქონდა,
თვალთა მნუსხვა ბროლის მკლავთა,
ყორნის თვალ-წამწამი გქონდა
თამარ მეფის ფრესკის მსგავსთა,
ჟუჟუნით და ვნებით კრთოდა
მაყვლის ფერი შენი თვალთა,
გული, გული ვეღარ გთმობდა
აბნეული გზა და კვალთა.

ღმერთო, ნეტა, წყალი სურით
ვისთვის მიაქვს ლამაზ ქალსა?
ვის აუხდენს ნება-სურვილს,
ვინ დაყნოსავს ამ თეთრ ვარდსა?
ღამით ლოგინს ვის გაუშლის,
ვის დაუდებს თავქვეშ მკლავსა?

20 დეკემბერი 2017 წ.
თბილისი

ერთი ნახვით შემიყვარდი

აყვავებულ ალუბლებში
თეთრი კაბა ტანს გემოსა,
მთვარეს ჰგავდი ღამის ბნელში,
ჰგავდი უფლის ანგელოზსა.

იმ დღეს იყო, მაშინ, როცა
გამიჩინე გულში დარდი,
იმ დღეს იყო, რომლის დროსაც
ერთი ნახვით შემიყვარდი.

ერთი ისარი ამურის
შენი, მე რომ გულში მომხვდა,
ნანატრი და საამური,
ალბათ, უფლის ნებით მოხდა.

ალუბლებს და იმ დღეს ვლოცავ,
მიზეზს შენზე ჩემი დარდის,
წუთი, წამი, რომლის დროსაც,
ერთი ნახვით შემიყვარდი.

17 დეკემბერი 2017 წ.
თბილისი

თამადამ ხელი გაშალა

მწვადის სურნელი მოჰქონდა
მტკვრიდან წამოსულ ნიავსო,
სად ჭამონ, დავა რომ ჰქონდათ,
კოპაძემ მაშინ მიასწრო.
უთხრა: ვეწვიოთ, ოღონდაც
საგურამოსა მზიანსო.

ბევრს აღარ მიედ-მოედვნენ,
თოხლი, ბაზარში ავჭალის,
მწყემსმა-ვიდრე გონს მოეგნენ
დაუკლა ნასუქ-ნაჭამი.
ტიალო ელიავაო...
მუცელო ცარიელაო,
ტარიელ ბიჭმა ფულები
ჰაერში აფრიალაო,
კოპაძემ, თოხლის მწვადები
მაყალზე ატრიალაო,
ჯაყომ თქვა: რბილ ხორცს წავწვდები,
კბილები დამეცალაო,
ცვრიანი ხორცი, საწებლით,
სულ თეფშზე გადიცალაო.
მურმანმა: მეც არ გავცდები,
მშია, მეტ არ მაქვს ძალაო.
რიჟამ-ცხელს არ ვჭამ, ღაწვები
დამეწვის, ცივს ვჭამ, ძამაო,
ჩუმ-ჩუმად ყლაპა ნერწყვები,
ვიღამ აცადა ჭამაო.
მახრამ თქვა: მწვადსა ვერ ვწვდები,
ყველ-პური შემეჭამაო,
სად დგას, ხვალ დავჯდე, ვეცდები
ტაფა და სოკო ქამაო.
ეს მშივრებს ლუკმად არ ეყოთ,
ბური ადინეს სუფრასა,
ხილ-ბოსტნეულსაც დაეტყო:
ნესვსა, ბოლოკსა თუ პრასსა.
ჩამაარიგეს ხაშლამა,
ჩაქაფული და ქაბაბი,
თამადამ ხელი გაშალა:

„-აჰა, დალევის საბაბი!“
ღაჟღაჟებს, როგორც მაშხალა,
ლოყებით, გულ-მკერდ, ღაბაბით.
— „დავლიოთ, ყელი გამშრალა,
ყანწებით, ჯამით, ლამბაქით,
ლამპის შუშითაც, მაშ არა?
შესვით? შეგერგოთ! დაბრძანდით!“
თქვა და სუფრა დაამშვენა
ლექსით: „ვაზის სიმფონია“,
— „ცხონდეს, ვინც შენ გაგაშენა,
უკეთესი ვის ჰქონია?“
ღვინოთი ყანწი ჯიხვისა,
ჩამოატარეს, დალიეს,
ყურძენი ურწყავ ჯიშისა,
დაუწურია ტარიელს,
ყანწებს ესროდნენ ვინ, ვისა,
ფრჩხილზე დაბერტყილს, ცარიელს.
„სმა-ჭამა დიდად შესარგი,“
უთქვამს ბრძენთა ბრძენს შოთასა,
სუფრა აღვსილი მესამგზით
იწყებს ხელახლა შფოთვასა.
ძვლებს მაგიდის ქვეშ ფანტავდნენ,
აზარტი სმის არ განელდა,
იქით ნესვს დანით ფატრავდნენ
აქეთ ღვინოს ვინ დალევდა.
ლოცავდნენ მეინახენი,
მასპინძლობისთვის ტარიელს,
ასეთი სუფრის მნახველნი
შენც გაგიშლითო, ხვავრიელს,
მზის ჩაწვერამდე ნალხენნი
ისროდნენ სიტყვებს ცარიელს.

15 იანვარი 2017 წ.

მიყვარხარო, იფიცებდი

მიყვარხარო, იფიცებდი
ცაში ღმერთსა მზეს და მთვარეს:
„შენ ერთი ხარ ქვეყანაზე,
ვინც მე გულით შევიყვარე“.

სიყვარულით თავბრუ მესხა:
მეც შეგფიცე: — „გულის კარებს
არ გავუღებ არავის სხვას,
სხვას ვერასდროს შევიყვარებ.“

ველარ გნახე მაისობას,
ჩემო მზევ და ჩემო მთვარევ,
თითქოს თოფმა გაისროლა,
გავთხოვდიო-შემოთვალე.

ნეტა საით, რომელ მხარეს
მოეფარე ჩემს თვალს, ქალო,
შენს მერე რა გამახარებს,
ვიღამ უნდა შემიბრალოს.

წლები გადის, კვლავ მახსოვხარ,
მახსოვს შენი კოცნა, ფიცი,
ვიცი, ჩემთან აღარ მოხვალ,
მე კი, დღემდე გიცდი, გიცდი.

7 იანვარი 2018 წ.
თბილისი

გიორგობა

გიორგობას ვზეიმობთ
ქრისტე ღმერთის მხედრისა,
წამებული წმინდანის
მფარველს ჩვენი ერისა.

რქაწითელი კახურით
ფიალები ივსება,
დიდება ღმერთს, ეს ნადიმი,
მისი მადლით იწყება:

მწვადი, თევზი, ჩაქაფული,
გული რას არ მისწვდება,
დოქი, ყანწი, ჯამი, ვაზა
და ღვინის სმა ფიცხდება.

დოლ-გარმონზე მღერიან
ვასიკო და თამაზი,
მეგობრები ოჯახის,
ტარიელა თამადის.

„ჩვენო ტკბილო თამადა,
ღვინო მოგვიცანცალე,
ეგ ყანწი კი ჯიხვისა,
მიდი, ჯერ შენ დაცალე,
შეახურე სტუმრები,
ჩვენ სიმღერა გვაცალე:

„ბავშვობიდან მიყვარდა,
გოგო თვალებხატული,
ველარ ვხედავ, ჩემი მთვარე,
ციდან გადაკარგულა.

ვეღარ ვხედავ ჩემს ფერიას,
თქვით, სად უნდა მივაგნო,
ჩემს პატარა ანგელოზს და
ჩემი გულის იადონს.

ბავშვობიდან, რომ მიყვარდა
გოგო თვალებხატულა,
თურმე სხვა ჰყვარებია და
ერთად გადაკარგულან.“

27 დეკემბერი 2017 წ.

თბილისი

თუ გულში არ გიზის ვინმე

ერთხელ მაინც მოიხედე ჩემსკენ, ქალო, ლამაზო,
მომანათე შენი სახის შუქი მზის და მთვარისა,
მიყვარხარ და მინდა, ჩემი გული შემოგთავაზო.
ქალო, ჩემო წუხილო და ჩინო ორთავ თვალისა.

დამანახვე ეგ თვალები, ცის ლაჟვარდის ფერები,
დალალები გიშერისა, ყელი თეთრი გედისა,
განა რამეს ცუდს გაკადრებ? ჩუმად მოგეფერები,
თუ გულში არ გიზის ვინმე, არ ხარ სხვისი ბედისა.

ბევრი არაფერი მინდა, მხოლოდ შენი ღიმილი,
სანუგეშოდ გულში ჩამრჩეს ნაჩუქარი განძივით,
სიყვარულით გვქონდეს ჩვენ ორს სევდა, გულის ტკივილი,
გზა ორთავეს ერთ უღელში და მთვარემდე მანძილი.

22 დეკემბერი 2017 წ.

თბილისი

შენი დრო მიდის

აპრილი მოდის, გულო ჩემო, რა გიხარია?
რა არის შენი იდუმალი ღელვის საგანი?
ამოვარდნას ხარ ბუდიდან და დიდი ხანია,
ვცდილობ ამოვხსნა ფიქრთა შენთა სიგრძე და განი.

მიერეკება ციდან ღრუბლებს თებერვლის ქარი,
დრო კი ქორივით ჩემს წლებს თითოდ მიაწიალებს,
შენ იცი, მალე გაზაფხულის დარეკავს ზარი,
ის შენც გიხმობს და ვერ ისვენებ, შფოთავ, წრიალებ.

შენი დრო მიდის, გინდა ნახო სოფლის ბაღებში
როგორ იშლება ალუბლების, ნუშის კვირტები,
ერთხელაც ნახო შეფრენილი ზეცის თაღებში,
ქორით დამფრთხალი ბეღურები, მინდვრის გვრიტები.

ამოვარდნას ხარ მკერდიდან, რომ დრომ უმოწყალომ
ყვავილოვანი ბაღის კარი არ ჩაგირაზოს,
შენი დრო მიდის, გულო ჩემო, ამიტომ წვალობ,
იქ შენთვის ია, თუნდაც ერთი, რომ გაიზარდოს.

მეტი და მეტი გინდა ნახო მინდვრის სოსანი,
გაღიმებული ღამენათევ პატარძალივით,
დილის ცისკარი, ვარსკვლავები, მზე სხივოსანი,
ატმის ყვავილი მოდებული ბაღს ხანძარივით.

გინდა შეხვრიპო, ყვავილებში ჟუჟუნა წვიმის
ღრუბლების ნამი, ძუძუსავით შიგ ჩაწველილი,
თრობამდე, გულო! ეს ხმა ყურში ქარივით წივის,
ვიდრე მზე შენი კიდევ ბჟუტავს, მზე ჩაწვერილი.

გინდა, უსმინო ღამით ბულბულს, დღისით მზეწვიას,
შენი ყრმობიდან გულისგულში ბუდე რომ ჰქონდათ,
დრო გამკითხავი, როგორც ყველას შენც დაგეწია,
შენი საკმევლის ლურჯი კვამლი ცად რომ აჰქონდა.

მეტი და მეტი გინდა ნახო დედაბუნების
გამოღვიძებით სიხარული და იხალისო,
დრო დგება შენი წასვლისა და არდაბრუნების
და აპრილით გსურს არავსილი, იქნებ აივსო.

შენი დრო მიდის, ჩუმად მაინც თვალს გააყოლებ,
შენს სიახლოვეს ჩავლილ ლამაზს, „ტანსა ტატანოს“,
ამოიოხრებ და ერთ ნატვრას თან მოაყოლებ:
წვეთი ნამი ცის, ცრემლად ღმერთმა თან გაგატანოს.

7 მაისი 2017 წ.

ვისაც გულის კარს გაუღებ

ნეტავი იმას, ქალო, შენ,
ვისაც გულის კარს გაუღებ,
გეძახდეს, შენით წვალობდეს,
უკვდავების წყალს წაუღებ.

მზის ჩასვლას დაეჩქარები,
დაღამდეს, გვიან გათენდეს,
დედ-მამას გაეპარები,
ღამეს სატრფოსთან ათევდე.

ქათქათა ზეწარს გაუშლი,
ჩაქრება ჭაღი ჭერისა,
ძოწის ბალიშზე ჩაუშლი
ნაწნავებს გიშრის ფერისა.

მკერდს გადაუშლი ბროლისა,
ტუჩ-ლოყას საკოცნელადა,
ყელსა-ყელყელას გნოლისა,
ჯადო რომ ადევს მცველადა.

ასეთი ქალის მყოლისა
მხარ-ბეჭი ჰქონდეს გრძელადა,
ცხენ ჰყავდეს ფერით ყორნისა,
ფარ-ხმალ-ხანჯალი ძმებადა,
ამჩეხი ბარე ორისა
ყივჩაღის, ხორც-ჩლიქ-ძვლებადა.
ცხენზე მჯდომს ორთაბრძოლისას
მტრის შუბი მისწვდეს ძნელადა,
იყოს ალუდას გორისა,
მუცალი ჰყავდეს მძევლადა,
ეხვიოს ყელსა ცოლისა
დალალ-ნაწნავი გველადა,
ყაყაჩო მწვანე მოლისა
ვაჟკაცის სამშვენებლადა.
მის სასთუმალს კი მოვისა
ფხიზელი თვალი მცველადა
ჩვენ ვართ ასეთი მოდგმისა,
ეს გვქონდა სისხლში ძველადა!

ქალაუ!

ამ ქვეყნად ერთი, ქალაუ,
შენ მომიხვედი თვალშია,
ცოლად მსურს წამოგიყვანო,
ჩემი მაყარი გზაშია.

მეც მოვალ, ვერცხლით დარახტულ
ფაფარწამოშლილ ცხენითა,
გვირგვინით ღიღილოების
დაკრეფილს ჩემი ხელითა.

მოგიტან საქორწილოსა
მძივსა, ფატასა, კაბასა,
მოგახვევ ტანზე ნისლივით
თოვლივით თეთრსა ნაბადსა,
მინდვრის ყვავილებს გაგიშლი
ჟუჟუნა წვიმით ნაბანსა.

ნიშნობის ბეჭედს მოგიტან,
ოქროს, ფირუზის თვალითა,
ცხრა ყივჩაღი გზად შემომხვდეს,
არ დაგთმო ცოცხალ თავითა.

მოვალ, ცხრა მაყარ ვაჟკაცით,
ქალაუ, თუკი მინდომებ,
შემოგსვამ შავრა ცხენზე და
გადვივლით ქართლის მინდორ-ველს.

მხოლოდ შენ ერთი, ქალაო,
შენ მომიხვედი თვალშია,
მინდა ამოგწვდე ცისკარსა,
თვალებციმციმას ცაშია.

9 იანვარი 2018 წელი.
თბილისი

ყვავილო!

ყვავილო მცხეთის ბაღისა,
სანამ დუღს გულში ჟინი,
ვიფაროთ ბნელი ღამისა,
ლოგინად თივის ზვინი.

გნახო, თუ ზენამ მაღირსა
საკინძე გადახსნილი,
ველარ ვიჭერდე აღვირსა
შენს ყელზე გადასკვნილი.

აღარ მახსოვდეს არავინ,
აღარც მზე, აღარც მთვარე,
თითქოს მწყურვალმა ქარავნის,
წყლით სურა მოგიპარე,
გმალავდე სოსანს არაგვის,
ძლივსღა რომ მოგიკარე,
ველოდო ეტლით შარაგზის
მოლექსეს, მოგიტარეს.

მზე ჩადის, შენ მაგონდები,
ღამე და თივის ზვინი,
ყვავილო, გულს აღონებდი,
გულს, რომ უდუღდა ჟინი.

11 მაისი 2011 წელი
თბილისი

მომიკითხავენ

როცა იქნება, შენ, ჩემო წიგნო,
შენც წაგიკითხავს ვინმე ჭკვიანი,
მომიკითხავენ მე, გული მიგრძნობს,
მაგრამ იქნება უკვე გვიანი.

იხეტიალებ, როგორც უცნობი,
როგორც ობოლი სხვათა კარდაკარ,
ვიღაც შეგნიშნავს, ვარდის ფურცლობის
და იასამნის ფერი რომ დაგკრავს.

შენ მათთან ჩემი სული იქნები
და მიუვალი ციხის გოდოლი,
ამოუცნობი მძაფრი ფიქრებით,
გამოკეტილი შიგნით ობოლი.

19 მაისი 2011 წელი

თბილისი

ვიცოდი?

ამ ქვეყნად ბადაგი, შარბათი ბევრი ვსვი,
ყანწიდან, ფიალით, თუ ქალის ბაგედან,
ერთი დღით დავბრუნდე, ქუდს ჭერში შევისვრი,
იქ დრო, ჩემთვის რომ ბროლის კოშკს აგებდა.

სად დამრჩა, ვიცოდე, რომელი მთის იქით,
სიკვდილის გზაც იყოს წავალ მე იქ ნებით,
ხელით რომ ვერ ვწვდები და ვეღარც მისტიკით,
მხოლოდ თუ ქარივით აშვებულ ფიქრებით.

ნუკრივით ვწოვე მე ქართული ვაზის და
ჩემი ცის შავლეგა ღრუბლების ძუძუნი,
ვიცოდი? მე ობოლს თუ ასეთს გამზრდიდა
მათი რძე და ქარის ჭადრებში ზუზუნი.

იდინოს ასე

ამ ხანჯლიანის გეშინოდეს, ამ ხანჯლიანის,
ცერზე რომ ცეკვავს და აკვესებს თვალებს ქორივით,
ჯერ პატარაა, შეიქმნება ის ჯანიანი
და თუ სამშობლოს შეუგინებ, დაგჩეხს მორივით.

შეხედე, როგორ ჩანჩქერივით მოედინება,
ჩემი ძმის არის, ის ბუდეში ნაბოლარაა,
მაღლა, ზეცაში თვით უფალმა ასე ინება,
რომ ის ჯერ ნორჩი უკვე ველის ქარბორბალაა!..

მოიღე მადლი, გამჩენო, და ამ პატარა ბიჭს,
მგლისფერი ჩოხა, ხანჯლიანი, არ შემოაცვდეს,
იდინოს ასე, თორემ ლელოს შორს გატანა ჭირს,
რომ მის მიწა-წყალს ყვავ-ყორანი არ შემოაჯდეს!

ნუში

ავლაბრის კლდეზე, მაღლა,
უკვე აყვავდა ნუში,
მაგრამ ჯერაც არ გალღვა
ზამთრის ნათოვი გულში.

მარტი ჩამოდგა მზით, მთვარით,
თბილი დღეებით მაცდური,
ნორჩ ყვავილებთან მიპარვით,
თვითონ ჭრელკაბაჩაცმული.

ასე მალ, იმ ნუშს გულმკერდი,
რად გადუფურჩქნე, მარტო?
სად გადაკარგე ის მტრედი,
რად დაიობლე ტატო?
რატომ ასეთი წილ-ხვედრით
რატომ აწამე, რატომ?

ქვებზე ცრემლებად ჩამოდის
გულის წუხილით ნადენი,
მთვარევ, ზეციდან გადმოდი,
გკითხო, რად ცოდვა ამდენი?

ტატო, წყვდიადში კანდელით,
ღვთის მადლით ცხებულ-შემკული,
ღმერთო, რად ურვა ამდენი,
რად, აბელივით ბედკრული?

ავლაბრის კლდეზე, მაღლა,
უკვე ყვაოდა ნუში,
ვისთვის თოვლივით გალღვა,
ვისთვის კი, დანა გულში.

16 მარტი 2017 წ.

ტატო

განჯაში, დღესაც, აშოლტილი დგას კვიპაროსი,
როგორც ოცნება, კენწეროთი მეცხრე ცას სწვდება,
„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ შეაფრინდა ვით იკაროსი,
პოეტის სული იმ ხიდან და ცას აღარ სწყდება.

ჩემი ფანჯრის წინ კვიპაროსი დგას ტანმაღალი,
ზედ შაშვი ჯდება საგალობოდ ყოველ ცისმარე,
ცად მთვარე მოჩანს ალიონის ნათლით გამღვალი,
აპრილ-მაისი ალუბლებით, ნუშით მცინარე.

პოეტის სული უბედობით ცრემლად ნაღვარი,
შაშვის გალობით, მეჩვენება, აღებს ცის კარებს,
მეუფე ხვდება ოქროს ტახტზე, თმა-წვერ ჭაღარით,
უცოდველ მგოსანს მოუშუშებს სულის იარებს,
მოეფერება და შერისხავს ბუკით, ნაღარით,
ამ წუთისოფელს, სადაც ჩვენი ბედი ტრიალებს.

ვიხსენებ განჯას, მგალობელი შაშვი, ჩიორა,
სული მგონია პოეტისა ცით გადმოსული,
რა ანაღვლებდა? რა სტკიოდა? რას უჩიოდა?
გამორჩეული ყველასაგან და მარტოსული.

19 იანვარი 2016 წელი

თბილისი

ცხრა მუზა

დღესაც, სევდისა და ჭირ-ლხინის წუთებში,
მესტუმრნენ ლამაზი ქალწული მუზები,
შუქს მფენენ მზესავით, იმედით, ნუგეშით,
ჩემთვის ბნელ ღამეში ბილიკით თუ გზებით.

სულის შფოთვის დროს და გულისყრის მიხედვით,
დები, ქალწულები, მსტუმრობენ მუზები,
ვმასპინძლობ. ჩემს ჭერქვეშ, ფერიებს იქ ვხვდები,
ყმაწვილს რომ მტანჯავდნენ ტკბილ-მწარე სიზმრები.

მე, მათ ძმას, უმრწემესს, ჭაღარით შემოსილს,
წყარო ცრამურისა ფიალით შემასვეს,
გავცოცხლდი, მუზებო, მადლს ვწირავ თქვენს მოსვლას,
მე გულქართლს ახალი სისხლით თუ შეავსებთ.

ოდესღაც, ყმაწვილი, ლიახვის წმინდა წყლით
განმბანეთ, მომნათლეთ, მაყლაპეთ, ჩამყვინთეთ,
რომ ჩემში რაობა მშობელი მიწა-წყლის
სამარის კარამდე შუქურად განივთდეს.
მტირალი ტირიფის, ფოთლები შინდაწლის,
მომხვიეთ და ტანი მზესავით გამითბეთ.

მოზარდს კი ჩამჭიდეთ ხელი ძმას, დებმა და
ზეკარის პიკიდან ლურჯ ცას შემახედეთ,
ედემის ბაღის, თქვენ, ღუღუნა მტრედებმა,
ღვთაებად ამოსულ მზესთან შემახვედრეთ,
ასეთი სამშობლო მარგუნა მე ბედმა,
ძმისთვის გულს მიჩუყებს, მტრისთვის კი მამხედრებს!

ალპური ველების ცვარ-ნამი შემასვეს,
გრძნობა, მათკენ ლტოლვის ჩემში რომ გამძაფრდეს,
მიბრძანეს: ამოთქვამ გულიდან შენ მასვე,
რითაც ჩვენ დაგმოძღვრავთ, რასაც ჩვენ ჩაგძახებთ!

თუ რამე გულს მაჩნდა ავი ზნე, განმრიდეს,
ხელთ მომცეს ებანი ცხრა წვერა სიმებით
და ნიჭი, ჩამოვკრა — ეს არსთა გამრიგეს
ნებაა და დღემდე მის მადლით ვივსები.

თვალი ამიხილეს მე, ყოვლად უმეცარს,
მაჩვენეს სამყარო სიგრძითა თუ განით,
დამდაღეს, ჩამძახეს ცხრათავემ უეცრად:
ნებაზე ვიარო თვითეულ მათგანის.

სტუმრობის მიზეზი ლამაზი ნიმფების,
სურვილი და ნება, რაც შევძელ აღსრულდა,
ჩემს წილად, რაც მერგო მათგან მე იმ ფრთებით,
ჩემი ხეტიალი ჯერაც არ დასრულდა.

ვიმღერე ყველა ის, დღემდე მე, კირთებით
ცხრა მუზას, ცხრა სიმზე, ცხრათავეს რაც სურდათ!
სამარის კართან ვარ აუხსნელ კითხვებით
ეს არის ის შვება, მე ცოცხალს რაც მსურდა?

აგვისტო 2018 წ.
თბილისი

თავისუფლების სურნელი

წლებია, მე კაცს მაწვალებს ფიქრი:
შევაჯდე ტაიჭს, სადღაც გავქუსლო,
გადამატაროს მინდორ-ველები,
თავისუფლების სურნელს მასუნთქოს.

ჩემში ქვითკირის სულის გოდოლი
გამოვანგრიო, თავი დავიხსნა,
გადმოვაფრინო, თვით ზენაარმა
რაც ბარტყებივით გულში ჩამისხა.

შემოვაჯდები ფაფარწამოშლილ
შავრას, მინდა დროს სადღაც გავექცე,
მივუშვებ აღვირს ტაიჭს ნებაზე
თუნდაც მკვდრეთისკენ მხარი ამექცეს,
და თუ პირქარში, კოკისპირულში
მხედარს დაღლილი ცხენი წამექცეს,
მიზანს ვეწიო: მეოხად ჩემდა,
მოგიხმობ, ღმერთო, ძალა მომეცეს.

მოვიკრებ ღონეს, გზას გავაგრძელებ
ზღვაში ჩამავალ ალისფერ მზისკენ,
როგორც პეპელა მთვარიან ღამის,
შიგ ჩასაწველად ვისწრაფვი მისკენ.

ჩემი ბავშვობა, მამით ობლობა
უმოწყალოდ დრომ მათრახით შოლტა,
მაქცია კაჟად, ცრემლი გამიშრო,
მაგრამ მე, დღესაც იმ წლებით ვშფოთავ.

სიყრმიდან ტვირთი მხრებით ვატარე,
უფალო, მე ბავშვს რაც მომისაჯე,
ოფლის დენამდე ხელში მეჭირა
ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, საჭე.

არ მაკლდა ლხენაც სევდით ნაზავი,
არც სიყვარულით ნეტარებანი,
რაც თავს გადამხდა, ლექსად რომ მეთქვა
შენ გადმომიგდე, ღმერთო, ებანი.

ბედ-იღბალს ჩემზე, აქ, ამ წუთამდე
უბეში უძევს დანა ნალესი.
მახსოვდა ეს და ცის ლაჟვარდიდან
ვკრებდი ჩემს ფარად სიტყვებს გალექსილს.

თვალზე მე ბევრჯერ ცრემლი მომსვლია
წყენის, ამაყის და ჭირ-ვარამის,
და განსაცდელიც გამომივლია
მსგავსი, სამუშში მავალ ქარავნის.

სულით, გონებით მე, თავისუფალს
მხოლოდ სიკვდილი თუ დამაჩოქებს,
ის შორს არ არის, ის ჩემში ზის და
მისდამი შიში ვერ ამაქოჩრებს,

ვნატრობ მე, ვიდრე თვალს დავხუჭავდე,
ერთხელ იმ ზეცის მზე დავინახო,
სადაც დამბადა, გამზარდა დედამ,
მოვკვდები? მინდა, იქ დავიმარხო.

იქ დავიმარხო მე, დედის გვერდით,
სამარეშიც, რომ გულით მათბობდეს,
იქ, ტყემლის ბუჩქში მაისის ღამით,
ჩემს სულს ბულბული სტვენით ართობდეს.

მიზანს ვეწიო, მეოხად ჩემდა,
უფალო, გიხმობ ძალა მომეცეს.
იქ, ამოვმზევდე ჩემი ჯალაბით,
მე, ბალახივით სადაც მომცელეს...

განმინათლე მე მამა-პაპანი,
ღმერთო, ვისითაც მარად ვამაყობ,
წვრთნას ნუ მომაკლებ მე, ქართველს, შენსას,
არ დავიჩივლებ ჯვარზეც გამაკრო,
რომ შენს ალუდას, მუცალის ტყვიამ
ცხრაჯერ მესროლოს, ვერრა დამაკლოს.

არის კი ვინმე სააქაოში?
ვინც საკუთარმა სულმა შეიპყრო,
გამოანგრია ცხრაკლიტული და
თავისუფლების გემო შეიტყო?

გახარებული, დროს და ბედ-იღბალს,
საკუთარ თავსაც თუკი გაექცა,
ამ თვალთუხილავ ჯინთან ბრძოლაში
ალალ მას, ცხენი თუ არ წაექცა:
დაჰყრის ბორკილებს, სულს ცად ააფრენს,
გაენათება მთვარით ღამე ცა.

მე კი სიცოცხლის აღმართ-დაღმართი,
გადაფენილი ძეძვით, ნარეკლით,
თითო ღერ ვძირკვე, ჭიატს ძლივს ვხედავ,
გატეხილ სარკით მზის შუქს არეკლილს,

ღვთის მოზომილი ჩემთვის მინდორი,
ბევრი არ მრჩება გადავიარო,
განკიცხულივით, მგზავრს ამა სოფლის
ცას ვუხმობ, ცოტაც გადამიდაროს,

იქნებ ბოლომდე გზა გავიკაფო,
ჩემს ბედისწერას გავცდე, გავქუსლო,
გადამატარე მინდორ-ველები,
შენ, ჩემო შავრა, ქერით ნასუქო,
რომ საკუთარი სულის ტყვე, იქნებ,
თავისუფლების სურნელს მასუნთქო.

მიყვარდა ჩუმად

ჩემი კლასელი გოგო, ნარნარი,
ყორნის თვალ-წარბით, მთვარის ღიმილით,
ველურ თაფლივით უკვე დამტკბარი
მიყვარდა ჩუმად, გულის ტკივილით,
ჩემში ჯინივით იყო ჩამჯდარი,
მწვალებლად, სევდით და სიმძიმილით.

სკოლამდე სოფლის ერთი გზა გვქონდა,
დღეები, წლები რა უდარდელი,
წვიმდა თუ თოვდა, თუ ქარი ქროდა,
სათუთი გრძნობით სულ თან დავდევდი,
ვერ გავუმხილე, რაც გულში მქონდა,
ვერ მივუტანე თეთრი ვარდები.

მისი მზესავით გამონათებით
უეცრად გული იწყებდა ფეთქვას,
ღამეებს ფიქრში თეთრად ვათევდი:
თუ სად, ან როდის, „მიყვარხარ“ — მეთქვა.

მაგრამ ვერ ვძლიე ჩემში აღმართულ
უჩინარ ზღუდეს, არ მეყო ნება,
მე ბედს ვემდური, ჩემთვის წართმეულს,
ყვავილი დღემდე რომ მენანება.

დღემდე იმ გოგოს აჩრდილი დამდევს,
რომ ვერ შევბედე, „მიყვარხარ“ — მეთქვა,
მახსენებს სკოლას, სექტემბრის დამდეგს
და გული ძველი ტკივილით ფეთქავს.

2 სექტემბერი 2016 წ.
თბილისი

ცვარი ნამისა

გაზაფხულ იყო, იდგა აპრილი,
ბაღებში ატმებს ცეცხლი ეკიდა,
ყელმოღერებულს, შუა გაჭრილი
მთვარე თილისმად გულზე გეკიდა,
ამურის ისრით გყავდი დაჭრილი.
ტყვედ გყავდი კაცი, გოგოს ერთ ციდას.

ვერ ვაშორებდი თვალს ასე შემკულს,
მომჯადოებელს, როგორც ზღვის ნიმფას,
მისი თილისმის ძეწკვით ფეხშეკრულს,
მჯერა, ბედს შევხვდი, ზენაარს ვფიცავ.

თვალებჟუჟუნა, პატარა გოგო,
თვალებმაყვალა ლერწამტანისა,
ერთი ნახვითაც ჯადოდ რომ მომდო
ეშხი, გიშერა წარბ-წამწამისა,
როგორ მინდოდა, ოჰ, როგორ, როგორ,
ეს ვარდი ფურცლის ცვარი ნამისა,

ღვთის ნებით უარს ნუ მეტყვის ოღონდ,
იყოს ჩემი მზე, მთვარე ღამისა,
უარს ნუ მეტყვის, ნუ დამაღონებს,
მიყვარდეს, მყავდეს ჩინად თვალისა.

ბუნიათიშვილო ხატია!

ბარაქალა შენს ყმაწვილქალობას,
ბუნიათიშვილო ხატია,
ნიჭი, რაც უფალმა შენ გიწყალობა
და მუსიკოსის ჯილდოდ მანტია,
სამშობლო, როგორც ღვთისთვის გალობა,
პატარა ქალო, გულს გახატია,
ვისი გორის ხარ, გახსოვს, მადლობა,
ლამპარივით რომ შენში ანთია.

ბარაქალა შენს ქართველქალობას,
ბუნიათიშვილო ხატია,
შენში რომ გიზგიზებს, როგორც რამ სალმობა
სული პატრიოტის, ურყევი ფაქტია,
პარიზში გამართულ კონცერტის დაგმობა,
შენგან საამაყო ღირსების აქტია.

ოკუპანტ პუტინის მეხოტბე მაესტროს,
ქართველმა გოგონამ ესროლე თათმანი,
წყნეთელი მაია მგონიხარ ასეთ დროს,
მტერს ებრძვი ამ ხერხით ლაღი და თამამი.
ჩვენს შორის ყველამ გულს საკუთარს ჩახედოს,
ვის გვიზის შიგ სული, მყივარი მამალი...

12 ოქტომბერი 2017 წ.
თბილისი

პატარა მოცეკვავე

წამოიზრდება ეს გოგო, ტანად იქნება ალვისა,
პირ-ბაგე მარჯნის ფერების, ლოყები ლალის თვალისა,
კენარი, ლერწმის წელით და ჩამოთლილ ბროლის მკლავისა.

გადიყრის მხრებზე ნაწნავებს უმსხვილეს გუთნის ღვედისა,
მოახვევს უსურვაზივით ყელ-კისერს თეთრი გედისა,
ქალწული, კდემით მოსილი, აჩრდილი უფლის დედისა.

ჟუჟუნა მაყვლის თვალებით, წარბ-წამწამ ყორნის ფერისა,
ია, ენძელა, პირიმზე ველების ალპურ მთებისა,
ნიავი, დამათრობელი, სურნელით მისი თმებისა.

წყარო ჯერ დაულეველი, ჯერ კვირტი თეთრი ვარდისა,
გაიშლება და სალბუნი მკურნალი გულის დარდისა.
გულის ტკივილი მრავალთა, უსუპისა და ბადრისა.

გაიზრდება და მტრედივით ბუდეში ჩაგიფრინდება,
ისარს გესროდა ამურის, თუკი შენ ჩაგიფიქრებდა,
თუ გნახა ღირსი, შეგერთოს, თუ კი გულის ხმას მინებდა.

ღამეებს ბნელსა, მრავალსა, უძილოდ გაგათევინებს,
ყოველსა გასათელველსა ალერსით გაგათელვინებს,
ენებების ძილ-ბურანში მყოფს, ღვთისთვის მადლს ბევრს გათქმევინებს.

გაჩუქებს სამ-ოთხ ბიჭსა და ერთს თავის მოსახელესა,
ძუ და ხვადები, დათვისას ემგვანებოდნენ ბელებსა.
ისეთი მომავლისანი, ჩვენს მტერს თვალს უბნელებდესა.

ასეთი ანგელოზები, ღმერთო, უმრავლე ქართველსა,
ქვევრს ხდიდეს საქორწილოსა, ას კოკიანსა სარქველსა,
მამულს უზრდიდეს დამცველად „თვალნით ქორებულ“ მართვესა.

წესი აქვთ იბარტყონ

ის დროც კარს მოგვადგა, ყოველთა ქართველთა
ძილქუშით შემპყრობი ძველ დარდიმანდობით,
მყიდველი ოქროთი ფულის ხარბ მმართველთა,
ხოდაბუნ მიწების საკარმიდამონით.

ხვალ თუ ზეგ, სულ მალე, თბილისის უბნებშიც
დრო მოიკალათებს დიდად რამ საშიში,
ბედკრულ მამულისთვის განა რამ ნუგეშით,
პლანით, ჰეროინით, კანაფით, ჰაშიშით,
პირმშონი, ქალ-ვაჟი ჩაგვიხრჩოს გუბეში
და რაც მეტს ჩაითრევს მოდგმითა და ჯიშით,
ის ქვა, რაც ამ ვერანს უმალავს უბეში,
გვესროლოს, ჩვენგან დგას რაღაც ორ ნაბიჯში.

დრო შემოდრიგინდა ჩვენს სახლში ფერადი,
მარშიყით, მაღრიბით, აზიით, აფრიკით,
როგორც ის - მოსული წითელი პერანგით...
ხვალ და ზეგ შედეგზე არასდროს ნაფიქრი.

სულ მალე, თბილისში, ვიხილავთ არაბულ,
ირანულ ამალას ჩადრიან ქალების,
ქმრის უკან მიმდევართ ოთხ ან ხუთ დარაზმულს,
ორსულებს, ოთხსულებს, შეიხის ჰარემის.

წლები წლებს შეცვლის და ჩალმებმა, ჩადრებმა,
წესი აქვთ, იბარტყონ ნარივით ყანაში,
სხვა ღრუბლებს წამოშლის, ქარი არ ჩადგება,
ეს ცეცხლთან უფროა უჭკუოდ თამაში.

ვერცერთი ხიზანი მოყვრად არ გვადგება,
მიწა სურთ ჩვენი და პურ-ღვინო, ლავაში,
ჯოგად დროს უცდიან, დრო როდის დადგება,
ჩვენივე მიწიდან წიხლი გვკრან გავაში.

როცა დრო ულაყის სადავეს გაგვტაცებს,
მას ვიღა დაბორკავს მხედარით შორს წასულს?
შიგნიდან, გარედან ღალატით ზარს დაგვცემს,
მხარსაც აუბამენ უმადურს, მურწასმულს.
ყველა მტრად შემოსულს, ბოროტ სულს და გამცემს,
ღმერთო, ნუ მოასწრებ ქართველთა მზეს ჩასულს.

არ გაუყიდო შვილს მიწა

საქართველოა, ლამაზი,
მაისის თაფლის კასრი,
სტუმრებთან რიდით, თავაზით,
შეუფასებელ ფასით,
ზოგჯერ ქორი და გავაზი,
ზოგჯერ დაცლილი მასრით,
გამარჯვებული მრავალგზის
დიდგორისეულ ასით,
ქრისტესკენ ბნელში მავალს გზით
ხელში გრაალის თასით,
ლამაზი, მთვარის, თვალად მზის,
მეფე თამარის მსგავსი.

ჩემო სამშობლოვ, ლამაზო,
თაფლის გემოთი მიწის,
მაგ მიწის ყიდვას სთავაზობ
უცხოს, ტყეებსაც წიწვის,
ფასია, ჩალის, საბაზრო,
ვინ სად და როგორ გწიწკნის,
შენ, ბრმას, იმ მამულს აგაძრობს,
რაც მდინარენით ირწყვის,
დოლარის სუნით დაგათრობს
ვერ იგრძნობ კბენას რწყილის,
რაც უფრო მეტი გავა დრო

ველარ დაიწყებ წიკვინს,
არ ჩაგისახლდეს კარად, რომ
ეველრე ჯვარს და ყინწვისს,
შენ ამითაც ხარ ავად, რომ
მე, შენს შვილს, გულზე მწიწკნის.

მიწაა ჩვენი ქონება,
კასრი მაისის თაფლით,
ბუზი ვინ აღარ იქნება,
ზღვაში ქვიშას ვინ დათვლის...
მიწავ, დედაღვთის წილხვედრო,
ვინ აღარ მოდის გიყიდოს,
არა! ჩვენ უნდა მივხედოთ,
მამალმა ჩვენმა იყივლოს.

უცხო, პურს, თავის ჯალაბით
ნაყიდ მიწაზე მკიდეს,
ცოტა თუ რამით გაჯავრდი
აგიჯანყდება კიდეც,
მიწას მის ხელში ჩავარდნილს
ზურგზედაც მოიკიდებს,
გაზიდავს გემთა ქარავნით,
არას აკითხავს მკვიდრებს,
მადლს, თავადისა, მაჩაბლის
ფეხებზე დაიკიდებს,
გენით და მადით ყაჩაღის
შენს სახლს ცეცხლს წაუკიდებს,
მიწის პატრონად არ ჩაგთვლის
ის თუ შვილს გაუყიდე,
ველარას გახდე სამართლით
გინდ ცას შეუდგი კიბე.

2 აგვისტო 2017 წ.
თბილისი

თამაზ!

აღარ გყავს, ჩემო მამულო,
მოზარე დარდის, ტკივილის,
მესიტყვე, ხირიმის თოფის
ტყვიით მიზანში წივილის,
კაცი, ფოლადი სხვა წრთობის,
კაცი, სხვა სულის ყივილით.

აღარ გყავს ხმალშემართული
გუშაგი, ბუკის დამცემი,
შენს მკერდზე მომრავლებული
ნარეკლის, ძეძვის გამცელი,
შენი აწმყოსი, მომავლის
სიკვდილ-სიცოცხლით დამცველი.

ენა, რწმენა და სამშობლო,
თამაზ, შენს დროშას ეწერა,
ეს საკრალური სიტყვები
გულ-მკერდზე შანთით გეწერა,
როგორც მაისის ტიტები,
როგორც ნიკალას ფერწერა.

ბასრი სიტყვებით ებრძოდი
მტრებს ბოლო ამოსუნთქვამდე,
საკადრის პასუხს გასცემდი,
არც დაითვლიდი ხუთამდე,
მამულს თორ-აბჯარს აცმევდი,
ისეთს, მტერს ჯავრი ხუთავდეს.

მუხლჩაუხრელი მოღვაწე
ილიას ლაბა ხარივით,
შეუვალ-გაუტეხელი

ბახტრიონ ციხის კარივით,
მრავლის მოწმე და მხილველი
ბარათაშვილის მტკვარივით.

სამშობლოს სიტყვით უქსოვდი
ჯაჭვის პერანგს და გალავანს,
სად ბუდობს მტერი, იცოდი,
სცნობდი მის სოროს, სამალავს,
სად გაყუჩდება, როდის და,
თავს დროებით სად წალამავს.

ასეთს, ღრმად ქართველს მამული
დაგიტირებდეს მოყმესა,
ყველა შენს ნაოცნებარსა
ღვთით აღსრულება მოჰყვესა,
ყველა შენს მოყვასს ცხონება,
ვინც შენი გულით მოკვდესა.

17 ივლისი 2018 წ. თბილისი

საფიქრალი

შენი სიცოცხლის ბოლო წლებია,
გაგისტუმრებენ, ეს იცი, სადაც,
იქ არა, მთები, ცას რომ სწვდებიან,
დაიმარხები თბილისში სადღაც,
ღმერთები ცაში როდი სცდებიან,
თუ ღირს ხარ, ნათელს დაიდგამ აქაც.

შენ კი, იქ გინდა, შენი ვენახის
ვაზის ფოთლები გულზე გეფინოს,
ის მხარე მკვდარსაც იქით გეძახის
სული შენი იქ ზეცას შეჰფინო.

შენს სამარეს კი, ორბოძელასთან
მზე ამოსული ათინათებდეს,
ბადრი მთვარე კი, ბნელის მძევალთან,
გინდა ღამეებს შენთან ათევდეს.

რატომღაც შიშობ, თბილისის მიწა
და სამარის ქვაც უფროა მძიმე,
ველარ ივიწყებ შენი მზის იმ ცას,
რაც ბავშვობიდან ღრმად გულში გიძევს.

ეგ ხნოვანება და მხცოვანება
შენს სოფელში გსურს ბოლოს დავანდეს
და უფლის, როცა ცით მოვა ნება,
დღე შენი, გინდა, იქ რომ დაღამდეს.

იქ მიებარო მიწას, იქ გინდა
ხორცით და ძვლებით, სულით კი ზეცას,
სადაც შენ, დედის მანდილი წმინდა
ბოროტ თვალთაგან გარიდებს დღესაც.

შენ ისიც იცი, არ აგიხდება
მონატრებული ერთიც მათგანი,
რადგან მკვდარსაც კი წინ დაგიხვდება
სტეპის ურჩხული — ლევიათანი.

თუ შემოქმედის განაჩენია,
რომ დაიმარხო თბილისში სადღაც,
ბედს სად წაუხვალ? რა დაგრჩენია,
მისი მსაჯული თავთით თუ გადგას?

26 ივნისი 2017 წ.

ძმის ხსოვნას

უკვე რამდენჯერ ვკითხულობ
შენს ფრონტულ წერილებს, ეფრემ,
სულ დედას, საბრალოს კითხულობ,
წინდებს და ხელთათმანს თეთრ ფერს.

რუსეთის სასტიკი ზამთარი
ყინავს პატარა ბალაშოვს,
ქარი, როგორც ტყის აფთარი,
არყებში ღმუის და თარეშობს.

საფრენი ბილიკი მზად არის,
წმენდავენ პილოტის კაბინას,
ტრიალებს დღე-ღამის რადარი,
ხედავენ მტერი სად დაფრინავს.

გადასცდი საზღვრებს და ვარშავა
გელოდა ქორივით აფრენილს,
ასევე უტევდი შარშანაც
მინსკის ცას, სისხლივით გაფერილს.

ღრუბლიან ცასავით ქუხდნენ წინ
ქვემეხი, ნაღმტყორცნი „ზენიტკა“,
დედ-მამა, ოჰ, როგორ წუხდნენ შინ,
ეფრემ, რა ძნელია ენით თქმა.

რის ფრთები გესხა ჯერ ყმაწვილ კაცს
შევარდნის, მერცხლის თუ არწივის?
პოლონურ სისხლიან ნაწვიმ ცას,
ასე რომ ებრძოდი განწირვით.

ქარმა სად გაფანტა შენი ხმა,
სიყრმე და ოცი წლის ქოჩორი?

ეგ ცხელი სისხლი რას შეახმა,
სად გახმა ალვის ხის კოკორი?

წუხილით ვივსები, ეფრემო,
და შენს ბედს დავტირო მომინდა,
ნუგეში ისღაა, ვეფერო
შენს სურათს დარჩენილს ომიდან.

თვითმფრინავს ვხედავ და შენს ლანდს მე,
იმ წლების სიზმრებიც გრძელდება,
შენს იღბალს ცრუ სოფლით ნაბლანდევს
ვხედავ და ტკივილი ძნელდება.

ქარს ვუსმენ, ალვების ხეებში
რა მოთქმით ტირის და ზუზუნებს,
ვიხსენებ დედას იმ დღეებში,
იგლეჯდა თმებსა და ძუძუებს.

ტოროლა

გოგო მიყვარდა შავთვალა,
ტანად ალვისა, ლერწმისა,
ჯადო დამიგო, გამთვალა,
მატარა ხიდზე ბეწვისა.

ქორფა, უბიწო, ნატიფი,
მკერდზე თმებგადმოფენილი,
ტოროლა, ჩემზე ნაფიცი
ბუდიდან ამოფრენილი.

ჩემი მწყურვალი გულისა
ჩუხჩუხა წყარო ანკარა,
დარდი, ტკივილი სულისა,
ჩუმად რომ შემომაპარა.

გულს ჯავრი შემომაწოლა
ჭრელ-ჭრელა კაბის შრიალით,
დამწვა შვლის ძუძუნაწოვმა
ჟუჟუნა თვალთა ცქრიალით.
ია-ვარდებთან ნაწოლმა
ღიმილის შუქთა ციალით,
ამურის ისრით განწონა
ეს გული ცრემლით ცვრიანი.

გულზე თილისმა დამკიდა
და ლამის დამასამარა,
„შენი ვიქნები“-დამპირდა,
მაგრამ ჩიტივით გაფრინდა,
ვეძიე, სადღა, სად არა,
თურმე, ხელი სხვას ჩაჰკიდა,
დამტოვა ბედის ამარა.

მას შემდეგ მთვარეს ვნახავ და
მაწვალებს ფიქრი სამწუხრო:
ნეტა რად ცოცხლად დამმარხა,
ღალატიანმა საწუთრომ.

21 მაისი 2017 წ.
თბილისი

ქალი

განგების ნებით შეხვდები
ერთხელ ქალს, ღიმილმოფენილს,
ედემის ბაღის ვარდს რომ ჰგავს,
მტრედს, უცხო მხრიდან მოფრენილს,

ნარნარს, ტანკენარს, ხიბლიანს,
გიშრისფერ თმების ჩანჩქერით,
წარბნი, წამწამნი, თვალები —
თითქოს ღრმა უფსკრულს ჩასცქერი.

თუ მისი ძუძუთა უბე,
კოკობნი, ხელთაუხლები,
თვალს გტაცებს, უცაბედობით
თუ გეკვეთება მუხლები,
შეგიჩნდებიან მაგიით
ჭინკები და დემონები,
ერთხელ მან გაგიღიმოს და
ერთ წუთში დაემონები.

თუ შეგიყვარდა ის ქალი
და ცად ვერ მისწვდი ვარსკვლავსა,
დარდი გულს დაგისნეულებს,
რომელიც ჰკლავს და არც ჰკლავსა,
ნელ-ნელ გახმები ვაჟკაცი
მოცელილ ბალახივითა,
თან ღმერთს უმადლი იმ ქალის,
თუნდ ერთხელ დანახვისთვისა,
ბოლო სუნთქვამდე გიყვარს და
არ გემეტება სხვისთვისა.

5 ივნისი 2017 წ. თბილისი

ანდერძი

იმ ბოლო საათს,
როდესაც ბნელი
ჩამოაწვება ჩემსა სამყაროს,
თხოვნა მექნება უკანასკნელი,
რომ დამაწაფოთ ჩვენს თხილის წყაროს.

იმ ბოლო ერთ წუთს,
იმ ბოლო საათს
ჩვენი მინდვრების მასუნთქეთ ყვავილს,
იქ ხომ ყვავილებს ბიბინი გააქვთ,
იქ ხომ ცისფერი გვირილა ყვავის...

ნუ დაიზარებთ,
გთხოვთ, მცხეთისჯვრის ტყის
ნოტიო მიწის სურნელს მამთხვიეთ.
ლიახვის ძეწნის — უარს ნუ მეტყვით,
რტონი, ფოთოლნი ტანზე მამხვიეთ.

ხოლო, როდესაც
ის წუთიც ერთი,
გაივლის ჩემში, ვით ცაში მეხი,
ბერისწყაროდან, გთხოვთ, ერთადერთი
გულზე დამადოთ მე კლდის ნატეხი.

საფლავთან მინდა,
ახაროთ იქნებ,
გულით მიყვარდა — ცაცხვი და ვერხვი,
მათში გარდავალ და ვიფოფინებ
ბედით და იღბლით მე ღამის მეხრის,
თეთრი ვარდები გულზე მომფინეთ,
გვირილები კი დამიწყეთ ფეხთით,
მშვიდი ძილისთვის მათ ვიმყოფინებ
და თუ ნათელიც მექნება მე ღვთის.

იმ წელიწადს კი,
სამშობლოს ცა რომ,
დაიწმინდება, ერთიც მომნახეთ,
ამ ბაბილონის, იქნებ მეც ვცნა, რომ
იწყება ნგრევა, შიგ ჩამომძახეთ.

1978 წელი

ილუზია

“Неподражаемо лжёт жизнь”

Марина Цветаева

დაიბადები და პატარა ანგელოზს
დედიკო ძეწნის ხის აკვანში ჩაგაწვენს,
ავ თვალთა ამრიდედ დაჰკიდებს აგვაროზს,
გიმღერებს ნანას და ღუღუნით დაგარწევს.

წლები გაირბენენ დოღის ცხენებივით,
ვიდრე შენ, პატარას, თვალთაგეხილება,
ზღვებს გადაიფრენენ კუდა მერცხლებივით,
შენ ვეღარ მოგაგნონ ცით დამეხილებმა.

წლები გაირბენენ, ტანად აიყრები,
ლაღ გულს სურს ცად ფრენა, ზღვაში კი აფრები,
მიზნისკენ გზას, ვიცი, ბრძოლით გაიკვლევდი,
მაგრამ არც ზღვა ჩანს, არც გემი, არც ფრთები.

თვალთ აგეხილება, მიმოიხედები,
მიხვდები, შენს თვალწინ სულ სხვაა სამყარო,
ზღაპრისას, სიზმრისას ცხადში ვერ შეხვდები
და შენც გაიძულებს ფარ-ხმალი დაჰყარო.

რაღაცა დროით შენც ეს კითხვა გაწვალებს:
რატომ ჰგავს ცხოვრება უღრან ტყეს, ნისლიანს?
სად არის ის, რაც შენ ზღაპრებმა გასწავლეს-
ედემი, ტკბილ ვაშლს რომ ღობიდან ისვრიან?

თვალებს გადმოკარკლავ, პირსაც ღრმად დააფჩენ,
ლეკვებით რომ ნახავ ძუ მგლებს და დიდ ხვადებს,
მათ შორის ფოცხვერებს, დათვებსაც გაარჩევ,
დაგბურძგლავს სხეულში, რომ ნახავ სიცხადეს.

შემცბარი უყურებ, ლიხს აქეთ, ლიხს იქით,
მუცელქორება და მამონას მონები,
ძიძგნიან ირმის ხორცს, ვის სუკი, ვის ჩლიქი,
ჭამენ და გადმოსდით პირიდან ქონები.

ლიქნობით, ლირწებით და აღებ-მიცემით,
ნახულობ მამულში ეკლიან კაკტუსებს,
ამ ოჯახქორებმა, მავანთა მტკიცებით,
მამული, სწორედ მათ გაბდღვნეს და გატრუსეს.

ნელ-ნელა ხვდები, რომ მირაჟი ყოფილა
და წარმოსახვანი და სული გაბუნტებს,
თითქოს სინამდვილე გესროლეს თოფიდან,
დამფრთხალს, გსურს უკანვე — ზღაპრებში დაბრუნდე.

25 დეკემბერი 2015 წ.

არ გაცთუნოს

კაფეში ზის თვალხატულა, ყელყარყარა ქალი,
ღია მკერდით, როგორც ბროლის თეთრი ფილაქანი,
სიგარეტი, კონიაკი, წრუპავს დინჯად ყავას.
ფეხი-ფეხზე შემოუდევს, ათამაშებს გავას.

ტლოკებამდე მოკლე კაბით, თეძო, ჭიპიც უჩანს,
აწმყო ტანზე მოირგო და დროს არ ფლანგავს ფუჭად,
ზედ ეტყობა, მიმწოლია, რაც სურს აისრულებს,
საქმიანი ქალი ჩანს და სულაც არ ჰგავს სულელს.

ახოვანებს, ტალიკ ბიჭებს ჩუმად უთვალთვალებს,
ერთ-ერთს შორით, შეუმჩნევლად უჟუჟუნებს თვალებს,
მიანიშნებს დაქალს: „აგერ, ჩემი ბოიფრენდი“,
„მერე ქმარი“?
„იცის“,
„მე კი, ასეთს, იქით მოგიფრენდი“.

„რატომ, ქალო? ფული, „ჯიპი“, სხვა დრო არის, გენცვა,
შენც მოძებნე, არ ინანებ, არ მომიკვდე შენმცა,
ლამაზი ხარ, ჩაიტარე ერთხელ ფოტოსესია
მეორადიც გყავდეს ვინმე — ევროპული წესია“.

გოგო, ფრთხილად, არ აჰყვე მაგ, ჭაკ ცხენს ადვირმიშვებულს,
ანგელოზი შემოგხედავს, ბრმას ტანგაშიშვლებულს,
არ გაცთუნოს, იასამნის გაუშლელო კვირტო,
სხვის ბუდეში ჩასაფრენო მოღუღუნე გვრიტო.

ვაი, დედა, დედაბოძო ცხრა ძმა ხერხეულიძეთა,
სად შენა და სად ეს ქალი, დედავ გმირთა ძეთა,
ასეთ ქალში, რომლის გავა ბოიფრენდმა ხედნა,
მე ქართველთა ამოსულ მზის ჩამავალსაც ვხედავ.

22.12.2017 წ.

არ მავიწყდება

არ მავიწყდება ცხრა აპრილი,
მიტინგი, რბევა,
მხუთავი გაზი, ნიჩბები და
პროსპექტის ნგრევა,
ის იყო უცხო, დამპყრობელი,
ელოდი სხვას რას?
ნაჩვევი იყო შენი სისხლით
ხელების გასვრას.

არ მავიწყდება ცირკის გორა,
დიდუბის მეტრო,
ასე სასტიკად ძმას ოდესმე,
ძმისთვის რომ ემტროს,

ნაწყევლი ჯაბა, შევარდნაძე,
ხე — კიტოვანი,
კიდევ რამდენი დაგეშილნი
რუსის მსტოვარნი.

ჩემს თვალწინ მოხდა ცოდვიანი
ძმათა სისხლისღვრა,
თითქოს გადმოსკდა ჩვენსაზედა
ზეცით ღვთის რისხვა,
დაუნდობელი შეტაკებით
რიყის ნაპირი,
უფრო სასტიკი, ვიდრე იყო
ის ცხრა აპრილი.

მე გაუხარელ თვალებს ვხედავ
ქუჩაში ათასს,
ხოლო მთავარი, ვინც ჩვენს ხალხს და
ქვეყანას მართავს,
ვალი აქვთ: ცხვარი, თუნდაც კოჭლი,
არ მოსწყდეს ფარას,
სიმართლით მწყემსოს და ვარგოდეს
ჯურხაის ფარად.

07.11.2007 წ.
თბილისი

მჯერა

„ჩემო თვალის სინათლევ,
რაზედ მოგიწყენია?"

იელია

მჯერა, ფენიქსივით, ჩემო საქართველო,
აღსდგები ფერფლისგან, მჯერა,
ზეციდან ღვთისმშობლის არილით ნათელო,
შენც გაგიმძლავრდება კერა.

ჩემო საქართველო, აგვისტოს იარას
მალე მოიშუშებ, მჯერა,
გეჭიროს პალმის რტო, უარი იარაღს
და ომის დაფდაფთა ჟღერას.

ჩემო მზევ და მთვარევ, მალე თავს დააღწევ
რუსეთის კლანჭებს, მჯერა,
ბუნდოვან გარემოს გასცდები, გააღწევ,
შენთვის აქ საშიშსაც ჯერაც.

ჩემო მამულო, ჩემო დედის ძუძუ,
ევროპა სანამ გზვერავს,
რუსეთი არ ცხრება, შენ მისთვის უძლურს
ჩექმებით, რქებით გჩხვერავს.

არც ისე შორეულ, მინავლულ დიდებას
ქრისტეს გზით აღიდგენ, მჯერა,
გოლგოთა რამდენჯერ? თუ ერთიც გჭირდება
შერჩე ამ ათას წლის ერას.

შენთვის გულანთებულ ქალ-ვაჟთა სიმრავლეს
სათავეს დაუდებ, მჯერა,
მჯერა მე, ასეთს შენ, ასეთად ბრწყინვალეს
ვეღარ დაგძიძგნის ძერა.

ყოველთა ქართველთა სევდავ და ნაღველო,
პოეტთა გულის ძგერავ,
აკაკის ცრემლებით „სულიკო“ ნამღერო,
ორბივით ფრთებს გაშლი, მჯერა.

მჯერა, შვილნი შენი, შენს მთა-ბარს, მინდორ-ველს,
დაუბრუნდებიან კერას,
მათ კუთვნილ მიწა-წყალს ჩინელს თუ ინდოელს
არ გადააძოვებ, მჯერა.

ჩემო თვალისჩინო, ორწყალშუა ხარ და
შესცურავ იქ, სადაც ჯერ არს,
შესცურავ იმ ღლავთან, ვინც ცოცხლად გხრავდა?
ვაი, მაშინ შენს კერას.

ჩემო აკვანო და ჩემო დედის ნანავ,
ჩემო ორთავთვალთა მზერავ,
სანამ დედაღვთისა წილხვედრს ცრემლით გნამავს,
მარად იცოცხლებ, მჯერა.

აგვისტო 2015 წ.

ორწყალშუა

ჩვენი ცხოვრება მიდის და მიჰქრის,
უკან არასდროს არ იხედება,
მას წუთით დროც კი არა აქვს ფიქრის,
ვინც მისი წესით არ იხედნება.

თავის დროზე ვინც ფეხს არ აუბამს,
ჩამოიტოვებს კოჭლი ცხვარივით,
საპალნე ურემს უღელს ჩაუბამს
და შიგ შეაბამს შვინდა ხარივით.

დრო, როგორც შტორმი, თავზე დაგვატყდა
კიბერნეტიკით, ანდროიდებით,
მე კი, ბერმუხას ჯერ არ ამატყდა
ნაფოტი ტანზე, სხვა დროინდელი.

განტოლებებით, ლოგარითმებით
დროს გაჭნებულს, ვცდილობ, მეც მივყვე
ამოვხსნა, ჩემთვის მძიმე კითხვებით
სავსე, ეს ძნელად სავალი სიბრტყე.

ციფრული ყოფა და ალგებრული
სიმეტრიებით, აიფონებით,
კლდე გამოთხრილი, შიგ აგებული
ქალაქი ცივი, მკაცრი ფორმებით.

მაგრამ მას ყოველს, რაც უკან დარჩა,
ძველს აღარაფერს მოვისაკლისებ,
მხოლოდ მას, რაც გულს ტკივილად მაჩნდა,
მხოლოდ მას, რასაც ხსოვნა მაკისრებს:

ეს ის მთებია, მზე და ცისკარი,
ლიახვი, მთების წყლები ანკარა
და დედაჩემის კუბოს ფიცარი,
ბედმა უღვთოდ რომ მასთან გამყარა.

27.03.2016 წ.

საბოლოო გზა

დუდუკის ხმა ნაღვლიანი,
ქარს მოჰქონდა შორი მხრიდან,
ღვინით თრობა სამდღიანი
მქონდა ჭაბუკობის ხნიდან.
სევდით გული, დაღიანი,

საარს დახშულ კარს უხსნიდა,
შემოდგომა დარდიანი,
ციდან მწუხრის ცრემლებს ღვრიდა.
კაეშანი, დაღიანი,
ჭიასავით გულს მიღრღნიდა.

სიყრმის მეგობარს გარდაცვლილს
წუხილით მივაცილებდი,
თან გულში იმ ჭირს ვმარცვლავდი,
ერთად რომ ვინაწილებდით,
ფეხზე რომ გვეცვა ცალ-ცალი
ქალამნები და წინდები.

ზაფხული, ტყე-ღრე ცანცალი,
სოფლის შხაპუნა წვიმები,
კალოდან მუჭა მარცვალი
დედისგან მკაცრი სიტყვები,
დღეს კი ცრემლებით, ბანცალით,
მის ცხედარს უკან მივყვები
და როგორც მუჭა ნაცარი
ვინ სად მიწაში ვიყრებით.

ვიღას გავუმხელ ჩემს გუმანს?
ჩემს ჭირ-ლხინს ვისღა გავანდობ?
საწუთროს? რომ ჰგავს მგლის ბუნაგს
და არა ბაღსა სავარდოს,
წყლის დოლაბივით რომ ბრუნავს,
შავ ღრუბელს რომ ჰგავს საავდროს,
ყმაწვილს, მზის შუქით რომ ბურღავს,
მოხუცს თოვლივით დაადნობს.

მოჰქონდა ხმები საარის
ქარს, იქ დუდუკი ტიროდა,
ეს ჩვენი ყველას გზა არის,

ძმობილზე გული მტკიოდა,
ფიქრი სიკვდილზე სხვა არის,
სულში ჭოტივით კიოდა,
მტკივნეული და ღრმა არის,
ძახილს ჰგავს საიქიოდან,
მოჰქონდა ხმა ქარს საარის.
დუდუკი თითქოს ტიროდა,
ეს საბოლოო — გზა არის
და გული ამით მტკიოდა.

27.02.2018 წ.

იმ ლამაზი დღის გახსენებას

„ქვეყნად შევრია, შეჩავი,
შევრია შესაწყაღებში"

ვაყა

გარეთ გამოსულს სინანულით გული მევსება,
ქარი, ქორივით როცა დაჰქრის ქუჩაში ალვებს,
მაისამდე ცა ელვით აღარ დაიკვესება
და წეროებიც თბილ ქვეყნებში ყივილით წავლენ.

ზამთრის პირია, ქარბორიო ალვის ხის ფოთლებს,
ჰაერში მინდვრის პეპლებივით მიაფარფატებს,
ვუყურებ მოხუცს, ნაგვის ყუთში დაეძებს ბოთლებს,
ჰაი, დედასა?! საწუთრო კაცს რას არ დამართებს?

ნეტავი იმ დროს, როცა ბიჭი სასიძოდ მოგრთეს,
როცა მაყრებით საცოლისკენ მიიჩქაროდი,
როცა იხსენებ ნეტარების თაფლობის ორ თვეს,
როცა სისხლსავსე, სიყვარუ;ლის თრობით ხარობდი.

ვინ იცის, იქნებ, ყინჩი იყავ, ძალგულოვანიც,
ერთმოყუდებით ლიტრიან ყანწს სცლიდი ნადიმში,
დღეს კი, იმედი ფუჭი არის და ნულოვანი,
ხვალ მაინც ვინმე ძველებურად სუფრას გაგიშლის,
სუფრა კი არა, ჩაჩანაკი, თმა-წვერ მხცოვანი,
არ გაიცვლები ვიეთთაგან არც ტყის ნადირში.

სასიხარულოს მოველოდით ახალ ეპოქას,
მაგრამ ურემმა, ჩვენმა, მგონი, ლაფში შეტოპა.

ზამთარი დგება, სად წაუხვალ, მოხუცო, ყინვებს,
ასე უმწეო, უიმედო, ყოვლად ეული,
ცოტასღა ნახავ, ათი თეთრით ქუჩაში მწირველს,
შეგიმსუბუქოს ცოტა მაინც ხვედრი წყეული.
მე იმ დღეს ვნატრობ, იმ ლამაზი დღის გათენებას,
პური არსობის ნაბოძები უფლისმიერი,
ჭამოს ყველამ და არა მარტო ფენა-ფენებმა,
არა თუ მოძმე, არა გვყავდეს ძაღლიც მშიერი.

ნოემბერი 2015 წ.

რა მიხარია, რა გამახარებს?

იცით, ბიჭებო, რა მიხარია?
ჩემი სამშობლო როგორც არის,
რაღაცით ხარობს, თუ მწუხარია,
თუ ფრთებს შლის, როგორც ველის ციცარი.

ვხარობ მე, როცა ქართველი დედა
ძუ ლომივით ზრდის ხუთიოდ ბოკვერს,
მამულში ფესვით, მუხის ხედ რომ დგას,
რომ მისი გენი არასდროს მოკვდეს.

რომ შემოერტყან მამულს გალავნად,
ჯაჭვის პერანგად, ციხე-კოშკებად,
შემოსეულ მტრის შეძლონ ალაგმვა,
დადგნენ სამშობლოს გაშლილ დროშებად.

ბრძოლის ველია ოლიმპიადაც,
ჩვენი სახელი, საზღვარს რომ გასცდეს,
ვაჟი მახარებს, ეგზომ, დიახაც!
თავის მეტოქეს, ბეჭზე რომ დასცემს.

ერთ სიცოცხლედ ღირს, შენი სახელით
ჰიმნი აჟღერდეს, დროშა გაშალონ,
იაროს შენმა ჯიშმა ამ ლხენით,
რომ მისი კვალი დრომ ვერ წაშალოს.

ტანზე მეშლება ბალანი, როცა
ოქროს მედლით შენ კვარცხლბეკზე დგახარ,
ახარტში მყოფი დედაშენს ვლოცავ,
ალგეთის მგლების ლეკვი რომ ჰყავხარ.

რა გამახარებს? ქალს, რომ შევხვდები,
თვალგაბრწყინებულს, ტუჩმომღიმარეს,
რატომ მავიწყებს სევდას ვერ ვხვდები,
რატომ ჰგავს მზის შუქს ცით მომდინარეს.

იცით, ბიჭებო, კიდევ რით ვხარობ?
იმით, რაც ჩვენს მტერს არ უხარია,
ჰოდა, არასდროს არ გავახაროთ
და ნურც ნურასდროს გაუხარია.

03.10.2016 წ.

იმედი

გაზაფხული მალე მოვა მარტ-აპრილით, მაისით,
ოქროცურვილ ალიონით, ალისფერი დაისით,
ატმებს ცეცხლი მოედება, ტყემლებს თეთრი ფარჩა,
მოფრინდება წერო, გნოლი, ყელყარყარა ყანჩა,
იგალობებს ბულბული და მომჩივანი შაშვი,
მოლაღური, -ტოროლა კი ლაჟვარდოვან ცაში.

ეს თვეები, მზე კაშკაშა, ზეცა ლურჯი კამრით,
მდელოები წითელ-ყვითელ ყვავილების ამალით,
გაზაფხული ქალწულივით გულმკერდს გადაიღეღავს,
იასამნის ვარდის ფერით კაბას გადაიღებავს,
რა დაიჭერს გულს, მკერდიდან რომ არ ამოფრთხიალდეს
იდუმალი სურვილები, რომ არ წამოშრიალდნენ.

მზეთუნახავ ქალივით გაიღვიძებს ბუნება,
მის მკლავებში გავეხვიო გამიტაცებს ცთუნება,
აღელვებულ ლიახვივით მოვარდნილი სიცოცხლე,
მაიძულებს, მწყურვალივით, მის ძუძუსთან მივცოცდე,
დავწყურდე და გარდავიქცე ალვისა ხის ნაფოტად,
მადლით შევხვდე, ასეთად რომ მომავლინა ამ სოფლად.

რომ არავინ გამთვალოს და არ ჩამთვალონ შეშლილად,
ღამღამობით შენს წიაღში ჩუმად ვივლი მე ხშირად.
მოვეფერო კვლავ გაფოთლილ მუხებსა და ჭადრებს,
დავეყნოსო შენს გვირილებს, იასამნებს, ვარდებს,
ფეხშიშველმა გავიარო ველი დანამული,
რომ ჩურჩულით გაგიმხილო გრძნობა დამალული,
მეც შევხვრიპო, როგორც ვაჟამ, ბალახების ცვარი,
შენი იდუმალებანი დღემდე რომ ვერ ვცანი,
ნამი გულზე მტლედ დამედოს, თვალი ამეხილოს,
მგალობელთა გალობანი ჩემთვის გაგემხილოს,

ღამით ბულბულს, შეყვარებულს, ტკბილად აამღერებ,
აამღერებ წყაროებს და ნაკადულებს, ღელეს,
აამღერებ ღობე-ყორის იებს, ველურ ვარდებს,
დამაწყნარებ და ქარს მივცემ ჩემი გულის დარდებს.

მალე მოვა, საქართველოვ, მარტ-აპრილი, მაისი,
დიდ თაიგულს შევკრავ შენთვის ფერით ცის და დაისის,
ჩემი სიყვარულის მოწმედ ციდან მთვარე მეწვევა,
ჩემო გოდების კედელო, დრო თუ გადამეწევა,
გული შენთვის ჯერ მფეთქავი თუ არ გადამეწვება,
ძოწის ზანდუკს გავხსნი, ლექსებს ვაზის ლერწზე ავასხამ,
დავწურავ და ღვინოს ქვევრში შენს სახელზე ჩავასხამ,
დაგლოცავ და შეიძლო, რომ თევზნი უცხო, სხვადასხვა
დავითივით, ლიახვიდან, ვოლგა-დონში გადასხა!

08.02.2016 წ.

მე მხოლოდ ასეთს

შაშვის, ბულბულის ვიცი ენა მე,
ისიც, რას მღერის ქარი ალვებში,
იქნებ, იმ დროსაც მქონდა სმენა მე,
როცა მეძინა დედის მკლავებში,
იქნებ, მაჩუქა ციდან ზენამ მე,
ამ ნიჭით ვძოვდე ველს მის კრავებში.

ვიცი, გულს რად შლის ველის ზამბახი,
სიყვარულისთვის — ეს კარგად ვიცი,
ჭოტი ღამის ბნელს რასაც გასძახის,
მზის ამოსვლამდე ვიცი, რად იცდის,
ვაშლის ყვავილი მარტის ძანძახში
შემცივნულ ფურცლებს ვიცი, რად მიწვდის.

გაზაფხულის მზით დამდნარი თოვლის,
მთის ნაკადული, ვიცი რას მღერის,
ვიცი, რად სძოვს მოლს შვლის ნუკრი თრთოლვით,
რად აწევს გულზე დედის ნაღველი,
რად ტირის ძეწნა ქარიშხლის ქროლვით,
რა სჭირს ბერ ჭადარს ცამდე აღერილს.

რად ტირის, ვიცი, ობოლი ვაზი
და რას ბუტბუტებს ქვევრში ბადაგი,
ეს ნაჟური კი შესმული ვაზით,
და თუ ულვაშზეც ფერით გადაგდის,
ვიცი, შეგისხამს ფრთებს ჭრელ გავაზის,
და მოგინდება ვაშლი ადამის,
მოგაწვდის ნაყოფს ევა, ლამაზი,
შეჭამ? წაგიყვანს თოკით ბაგამდის.

აპრილში გული გარეთ რად იწევს?
პეპლებთან, ბლების, ატმის კაბებით,
ვიცი მე, ეს და, თუნდაც გადიწვეს,
ღირს მათი ხილვით თუკი დავტკბები.
ეს ტკბობა შორით, ვიცი რას იწვევს,
რას იწვევს ატმის კაბით კაკბები.

ეს ყოველივე კაცმა ვიცოდე,
უნდა ვიყო მე ვაჟას მინდია?
თუ, რაც ვთქვი, ამით უნდა ვიწვოდე
ქვეყნად ერთი ხეც თუ დამირგვია,
თუ მათზე ძალით არსად ვიცოდვე,
და ერთი ლეკვიც თუ გამიზრდია,
ვიყო მათში და მათგან ვიწრთოდე
რა სეტყვა, დელგმა თუ ამინდია,
მინდა მე, მხოლოდ ასეთს მიცნობდნენ,
მე ასეთს, მათგან სული მიდგია.

გული

გული არ არის არც სარკე
და არც რამ კარაბადინი,
არც ველი, მდელო — ცალ-ცალკე
ვარდებით გადაბარდნილი.

ერთი უღრანი რამ არის,
თვალთა-ხელთ მიუწვდენელი,
უკიდეგანო ტრამალი,
ფიქრითაც მიუდევნელი.

ღრმა, როგორც ზღვისა მორევი
იდუმალებით მბორგავი,
ხან სავსე ცრემლის ტბორებით,
ხან ზევსის ცეცხლის ბორბალი.

ღრმა სიყვარულის ვნებებით
ხის ფოთლებივით მთრთოლავი,
დნება, უხილავ მშვენებით,
ვით მთვარე შუქთა მთოვარი.

ზოგჯერ მაისის ბულბული,
ზოგჯერ კი ჩიტი მზეწვია,
ხან გაზაფხულის გუგული,
თუ სიყვარული ეწვია.

წუხილს და სევდას მის ოდენს
ნეტა რა სივრცე დაიტევს?
მის ფსკერს, ვინც, რაც გინდ მხნეობდეს,
ვერ ჩასწვდეს, ვერას გაიგებს.

იდუმალების ზანდუკი,
ტკბილ-მწარე წლებთა ზარდახშა,
ჩუმი ცრემლების ზარ-ბუკი,
თუ შიგ რამ სევდა ჩასახლდა.

სამოთხის ვაშლის ნაყოფი,
ეს გული — კარაბადინი,
ასეთს მაცოცხლებს, ამ ყოფით,
ჭირ-ლხინში გადავარდნილი.

29.11.2015 წ.

ᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ 1

მისვენებულს სავარძელში,
შავ ფიქრებში ჩაძირულს,
დედაჩემი გამახსენდა
სასიკვდილოდ განწირულს.

და შვილები, ბეწვის ხიდზე
სად, რით, როგორ გადავლენ?
მე კი, რა ვქნა, სიმწრის თასი
შემისვამს და კვლავ დავლევ.

ვის რა ჰქონდა დაფლეთილი —
ფეხი, მკერდი თუ მხარი,
ზოგს კი აჩნდა სასიკვდილო
სისხლი, შუბლზე შემხმარი.

ფუსფუსებდნენ დასტქრები
ვინ, ვის საფენს აფენს,
ფანჯრიდან ჩანს ვიღაც ბიჭი
სტვენით მტრედებს აფრენს.

აქ ერთი ძმა სულსა ღაფავს,
იქ მეორემ ნიღბით,
ორმოცი სხვა ავტომატით
დააჩოქა იმ დღით.
რა შეგცოდეთ ნეტა, ღმერთო?

ეს რა მეხი დაგვეცა?
ძმის მაგიერ მახვილი რომ
მტრისთვის უნდა ჩაგვეცა,
დავბრმავდით და გზადაკვალი
სატანისკენ აგვექცა,
უღლის ხარი ნიკორაც ხომ
შიგ სახნავში წაგვექცა?!
დაჭრილი ვარ... ტვინში სისხლი
რა დონემდე ჩაგვექცა?

05.01.1992 წ.

შობის დღეები 2

ღამე ვანაცვაში

შობის ნაზი დღეებია,
მზე ცას მკრთალად ანათებს,
როდის, ღმერთო, იქნება რომ
ჩვენი სული განათლდეს.

მივიჩქარი დიდუბისკენ,
მივსდევ ხალხის ტალღას,
შინდისფერი დროშა ჩვენი
აუწვდიათ მაღლა.

„შველა უნდა საქართველოს“,
ყვირის ქალი პატარა,
„საქართველო, დავითმა რომ
დიდგორს გამოატარა“.

ამ შეძახილს სროლის ექო
მოჰყვა ქარის სისინს,
ვიღაც ნიღბით, მუხლისჩოქით
ხალხში ტყვიას ისვრის.

სისხლი, სისხლი, ირგვლივ სისხლი,
ჩემს უკან და ჩემს წინ,
ვინ სად გდია დაჭრილი და
მეც თეძოში მეწვის.

„ძმას როგორ კლავ, ცოდვის შვილო“,
ზარებს რეკენ ზეცაში,
ნეტა შეგხვდე, შეგაფურთხო,
ნეტავ სადმე მეცანი.

შობის ნაზი დღეებია,
მზე ცას მკრთალად ანათებს,
როდის, ღმერთო, იქნება რომ
ჩვენი სული განათლდეს?

04.01.1992 წ.

შობის დღეები 3

ღამე პალატაში

ცივა, ცივა პალატაში, გარეთ ქარი ზუზუნებს,
ერთი მკრთალი შუქი აპობს ზამთრის ღამის უკუნეთს.
ჟამიდანჟამ მთაწმინდიდან ქვემეხის ხმა მოდის,
აღარ ტყდება შავი ღამე, მზეც ამოვა როდის?

საიდანღაც ყრუდ მოისმის მშიერ ძაღლის ყეფა,
გადავყურებ ბნელ სივრცეს და წამომტკივდა კეფა.
თვალი მოვკარ ცის გადამკვეთ მანათობელ ტყვიებს,
და უეცრად ფეხს შევეხე, როგორ შემიხვიეს.

უძილოდ ვარ, გულს აღონებს დაჭრილების კვნესა,
საზიზღარი ღამე არის ქვას გაადენს წვენსაც,
დერეფანში ვიღაცა და რაღაც ჩექმა დადის,
მე კი, თეძოს ჭრილობიდან სისხლი შავად გამდის.

ბიჭი მოჩანს ავტომატით, ვინ რა არის ნეტავ?
ჩოჩქოლობენ, სანიტარი პალატის კარს კეტავს,
ღვთისმშობლის ხატს ევედრება: მოგვხედეო, დედა,
გონება აქვს ამღვრეული, ძმა ძმის ხელით კვდება.
მტრის წისქვილზე წყალს ასხამენ, დოლაბს აზის ეშმა,
საქართველო, რომ მიუგდონ პირდაღებულ ვეშაპს.

06.01.1992 წ.

ძმათა ომი

ჩამოირეცხავს საქართველო ემაგ სირცხვილსაც,
დღეს რუსთაველზე ჭრილობიდან ჩირქივით რომ სდის,
ამ ლაფის შესხმა ესეოდენ უნდოდა ვისაც,
ჩვენითვე შეძლო, წილი უძევს კაცს ჩვენი მოდგმის.

მაგრამ სირცხვილი ბაზალეთის, ილიას სისხლი,
მესამე სირცხვილს, საქართველოვ კიდევ აიტან?
ჯერ მქრალად მოჩანს უცხო ქვეყნის ისეთი წიხლი,
თუ ამოგარტყა, ბეწვის ხიდზე თავს ვერ გაიტან,
არავინ არ ჩანს ამ დარტყმისგან თუ ვინმე გიხსნის
და არც არავინ შენს სამართალს ცად არ აიტანს,
დედისერთას შენ ნუ გექნება იმედი სხვისი,
ძმათა ომი კი კარგად იცი მოდის საიდან.

ღმერთია ჩვენთან, კლიმატი კი არის საჩვენო,
ქვიშის ქარივით შენს მიწაზე აშლილ ამ ქაოსს
ერთსულოვანი ერის ძალა უნდა აჩვენო,
თუ გინდა გიცნოს, უკუღმართმა, ამ სააქაომ.

1991 წ.

ქართული ჭიდაობა

ათ თითზე ჩამოითვლება
ჭიდაობანი ხალხური,
საჯილდაო ქვად ითვლება,
რაც ხალხს აქვს შემონახული,
პატრონი ვისიც არ თვლემდა
მსოფლიოსა აქვს ნახული.

სუმო, რომაულ-ბერძნული,
ძიუდო, თავისუფალი,
ვინ, ვისით არის ძლეული,
ვის კი, მფარველობს უფალი.

სად არის ჩვენი ქართული
სარმით, კისრულით რკინება
და ზედ დოლის ხმა დართული
რაც ციდან ღმერთმა ინება?

ათასი წლების წარსულით
მათ გამო რატომ კნინდება?
შვილს გვირჩევნია ნათლული?
ეს კითხვა გულში მიჩნდება.

როდისღა ვნახავთ ჩვენს ქართულს
გასულს დიდ არენაზედა?
სამშობლოს ჰიმნით ზედ დართულს
სიმღერით ამ ენაზედა?
ვარდს ვკითხოთ, იქ ჭვრეტით გართულს
ვის უფრო გაენაზება.

ათასწლეული, მესამე,
ჩვენთვის ეპოქა საშიში,
განა ზამბახი, კესანე?
ჰეროინით და ჰაშიშით!

რამდენ ნორჩ ყვავილს მოცელავს,
ამოაფარებს მიწასა,
ჩვენს იმედს, ლაციცს, ოცნებას
შეხვრეპს, როგორც ნამს ცისასა.

რამდენი ცირა, ცანგალა
თავს შეაფარებს სხვა მხარეს,
მათი მზე, მიწა, ცარგვალა
ვის გაზრდის, ვის გაახარებს?

რქაწითელით არ, სხვა ჯიშით
დაგვეხუნძლება ვენახი,
ჩვენს ღვთის ნერგს ეტყვის არც შიშით:
„მე მოვშენდები, შენ გახმი.“
დრო დგება ჩვენთვის საშიში...
მის კვანძს იოლად ვინ გახსნის?

თუ თითოდ შემოვეცლებით
ჩვენს კოშკებს, ციხე-გალავანს,
ქართულ ცას უცხო მერცხლებით
დრო ღრუბელივით წალამავს,
ვერ გავზრდით, ტყვილად ვეცდებით
ხალიჩის ვერცერთ ფალავანს,
თვალით ჩანს, ნუღარ შევცდებით,
ჭირი თავს აღარ დამალავს.

ჩვენი ღირსება დაიცვას
ვიღას ჩავაცმევთ ჩოხასა?
მალე მჯიღს გულში დავიცემთ,
მოვყვებით ვიშვიშ-ოხვრასა.

მუცელქორობით, მაძღრებო,
თქვენს ხელში — მინდა გაკადროთ,
რა ჭიდაობა, და-ძმებო,
სამშობლოც ლამის დავკარგოთ.

13.05.2018 წ.

გზა საით მიდის?

ვინ გააბრწყინებს მამულსა ჩვენსას
თუ არა ჩვენვე, მისი შვილები?
სახვალიოს დღეს, აბა, რა ვთესავთ
რითაც ვიქნებით მხარგაშლილები?

რას დავუტოვებთ შემდეგ თაობებს,
როგორ ქვეყანას, რა მიღწევებით?
ისეთს, ქართველნი ერთხმად გალობდნენ
თუ თითო კაცად დანაწევრდებით?

გვირაბის ბოლოს, თითქოს ვირაჟი
გამოჩნდა ჩვენი ერთსულოვნების,
მაგრამ ყოფილა თურმე მირაჟი...
უნდა ველოდოთ ზეცით მოვლენილს?

უფრო გამძაფრდა პირისპირ დგომა,
უფრო გამრავლდნენ ფულის მპარავნი,
ჩვენს მიწებს, რომ ფლობს მტრის სამი მოდგმა,
გავწმინდოთ მათგან, იბრძვის არავინ.

ბრძოლა და ომი პარლამენტშია:
ბილწისტყვაობით, მუშტით და წიხლით,
სიბრძნით არავინ, ბევრი ლეშია,
არვინ ენამზე, არც გონით მკვირცხლი.

ჩვენმა შვილებმა, ვისგან აიღონ
ჯოხი მრავალგზის ესტაფეტისა?
რა მოსწონთ ჩვენი, შორს რომ წაიღონ,
ძმა ძმის მტრობა და ხრილი ფეტვისა?

გზა საით მიდის? მივალთ ტაძართან
თუ ამაოთა რაღაც ბაზართან?

13.11.2015 წ.

დრო

დროს, ყოველთა და ყოვლის მეუფეს,
აღმგველს ყოვლისა პირისგან მიწის,
მიდის-მოდისო, მითი შეუქმნეს,
სად მიდის, სიდან, არავინ იცის.

გაჩნდა ჭოგრიტი, გალილეი და
დრო დაიყოფა წლებად, წამებად,
ბრუნავს — იტყოდა? დაილეოდა
მისი სიცოცხლე ცეცხლზე წამებად.

დრო არის მხოლოდ მზისა და მთვარის
ჩასვლა-ამოსვლა, ასე მგონია,
დრო, დაყოფილი ვარსკვლავთ თვალთვალით
მიდის-მოდისო, მონაგონია.

ვარდ-ყვავილობა, ზაფხულ-ზამთარი,
თვე ღვინობისა, გიორგობისა,
დრო ვისთვის ლაღი, შაქრად დამტკბარი,
ვისთვის კი ცხარე ცრემლი ობლისა,
ვიღაცისთვის ის ბნელში ლამპარი,
ვისთვის კი სუსხი კომბლეს კომბლისა,

დრო ბეწვის ხიდი, ისიც ჩამწყდარი,
გაჩენის დღე კი არის გმობისა.

ბევრ მწყურვალთათვის წყარო დამწყდარი,
ზოგიერთისთვის ფრთები ორბისა,
ვისთვის ვადაში ხმალი გამტყდარი,
ბრალი რომ არის ცოდნა, წრთობისა.
ვისთვის დრო, ქალის ჟინით ამტყდარი,
ვისთვის სმა-ჭამა, დღენი თრობისა.
ვიეთთა შავრა ყალყზე ამდგარი,
დრო ნახელთები მიზნის წვდომისა,
არ იყოს თუნდაც ჭკუადამჯდარი
შორს გააჭენებს დიდის ნდომითა,
სხვა, კურდღელზედაც ადრე ამდგარი,
მწევარს ვერ ასწრებს ათი წლობითაც.
წუთისოფელი არის ამგვარი
უსამართლობით ძირში ლპობითა.
ვისთვის ხაშლამის ქვაბის სადგარი,
თითქოსდა ზენაც სწყალობს ლმობითა,
დრო მზის და მთვარის, ვარსკვლავთ საყდარი
ბუდას, მაჰმადის, ქრისტეს შობისა,
რწმენისთვის ფუჭად ხალხი გამწყდარი,
ერთი ზეცის ქვეშ ნაცვლად ძმობისა.

მარადიული ყოვლის მეუფე,
დრო, სინათლე და ბნელი მგონია,
მიდის-მოდისო, მითი შეუქმნეს,
ღიმილმომგვრელი მონაგონია.
დრო, არც მოდის და არც სადმეს მიდის,
ეს ჩვენ მივდივართ, ის არის მარად,
წაგვშლის ჩვენც და ჩვენს თუ რამეს ვქმნიდით,
არავის, არრას არ ექმნის ფარად.

აგვიკრავს ნიკაპს, გუდანაბადს და,
სუდარა, ეტლი შმაგი ცხენებით...
დრო მეეტლეა, იცით? — ხაბარდა!
დროს არ ანაღვლებს მოსეს მცნებები.

19.12.2017 წ.

რაც დედის ძუძუს აღარ ვწოვ

რაც დედის ძუძუს აღარ ვწოვ, ოთხმოცი წელი გავიდა,
ნიბლია ჩიტის ბარტყივით, რაც დედის კალთას მოვცილდი,
იქ, სოფლად, ცაზე მზე ჩემი, რამდენჯერ ავიდ-ჩავიდა,
იმ დღიდან, როცა პირველად, ჩემს კლასელ გოგოს ვკოცნიდი.

ოთხმოცი წელი გავიდა, რაც დედის ძუძუს აღარ ვწოვ,
დღეები ცრუ იმედების ოცდაცხრაათას ორასი,
ნუგეშით, უნუგეშობით ჩემი წარსული და აწმყო,
ჩიჩახვით ველის არწივის, კლანჭით მტაცებელ ბორასი,
თუმცა, ჩემს თავზე დღესაც კი დაუნდობ ქარად ქროლავს ის,
რადგან, მცხო ნიჭი, კალამი, იის ცის ნამში ჩავაწო,
მე რომ მაცოცხლებს, თანაც მკლავს და ზოგჯერ ქვებით მქოლავს ის.

მე, ასე მოვსდევ ამ წლების ჩემსა ასავალ-დასავალს,
ღრმა სიყვარულით ავსებულს ჩემი ზეცის ლურჯ კამარით,
თმენით მივყვები საწუთროს ძნელსა ეკლიან გზას სავალს,
და მივადექი, დროც არის კარსა საჩემო სამარის.

ვემშვიდობები მშვიდად სიცოცხლეს. დედაბუნების ამ მისტერიას,
მარადისობის ბნელ უკუნეთში წუთით ანთებულ კაჟის ნაპერწკალს,
არ მიპყრობს შიში, არც მწუხარება, ღმერთთან მონანულს,
არც ისტერია,
რადგან ვიცი მე, დრო მეუფებს და ხსოვნის ჩემს სამანს
ელვით დალეწავს.

ყველა სამანი, კერპი, ბომონი, მონუმენტები მარად ხსოვნისა,
მოხვეჭილი და მოსახვეჭელი ძლიერთა მიერ რაც კი ქუჩდება,
დრო წარიტაცებს, მიწა ჩაითრევს და იმათ შორის ჩვენს საცხოვრისსაც,
გაავერანებს დედამიწასაც, მასაც ხომ ჩვენით ბზარი უჩნდება.

თვით ღმერთებიც კი, ცად მეუფენი, მარადისობას ვერ შერჩებიან,
უფრო უმეტეს ადამის ძენი, სიცოცხლის კაჟის ერთი ნაპერწკლით,
წინა თაობა იმათ არ ახსოვთ, ვინც კი ასი წლის შემდეგ ჩნდებიან,
ათასის მერე, ყოველთა ხსოვნას დრო ამოშანთავს ცეცხლის ნაკვერჩხლით.

ყოველ სიცოცხლეს თან სდევს სიკვდილი გარდაუვალი და შეუცვლელი,
ეს სინამდვილე ჩემს წინაშეა და არ მეცემა შიშით თავზარი,
ნელ-ნელა ვწყდები მოზომილ ჩემს დროს,
როგორც ვარდს ზამთრის ყინვით ფურცელი,
ჩემი ოთხმოცი წლის წყარო წყდება და რეკავს უკვე ჩემთვის ცად ზარი,
მე წავალ, მოვლენ, მოსულნიც წავლენ,
მხოლოდ სამყარო რჩება უცვლელი,
თაობათა ცვლა არ რჩება ხსოვნას, არ დააჩნდება ელვით ცას ბზარი.

23.10.2017 წ.

მიყვარდი, ვიყავ შენი მსურველი

წვიმიან ღამით მეჩვენე სიზმრად,
სიცოცხლით სავსე, როგორც რტო ალვის,
ისევ ის ქარი დაგვქროდა მინდვრად,
ის სითბო მწვავდა მე, შენი მკლავის.

მოღეღილ მკერდზე, ვითა ღრუბელი
მეფინა შენი თმების სურნელი,
მეკიდა ცეცხლი ძუძუთ უბენით,
მიყვარდი, ვიყავ შენი მსურველი.

ალმურმოდებულს, ნეტარებით ბრმას
შენი ალერსით, შენი სიმშვენით,
მითრევდა ვნება მორევივით ღრმა,
მწვავდა მე შენი მკლავი შიშველი.

ეს იყო და ეს, ქორმა, ალალმა
დააფთხეს ცაში გუნდი ქედნების,
მე აქ ლიახვმა სადღაც წამლამა,
შენ გაგიტაცა ქარმა ქედების.

სურა, ბადაგით ჯერ არ დაცლილა,
შენ რომ მომყუდე ტუჩზე ალერსით,
მტკივა, მე და შენ, რომ არ აგვცილდა
საბედისწერო დანა ნალესი.

ახლა თუ მხოლოდ სიზმრადღა გხედავ,
როგორ გეხვევა ტოტები ალვის,
ნეტავ, ქედნები ახლა სად სხედან,
ნეტავ, ვისა სწვავს ეგ შენი მკლავი.

როგორც ცრემლები, წვიმა წვეთებით
სიზმრად დიოდა ნაღვლის ნაკადად,
მეღვიძება და თვალთაფეთებით
ვკითხულობ: ქარმა სად გადაგკარგა?

18.06.2006 წ.

აი, შენი საქართველო

ქართლი, რაჭა, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი,
ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთი, კახ-სვანეთი და ლაზეთი,
იმერეთი და გურია, საინგილო, ბელაქანი,
კოლხეთი და მთათუშეთი, სამაჩაბლოს ლურჯი მთანი.

კლარჯეთი და ჯავახეთი, ლეჩხუმი და დვალეთ-ფხოვი,
სამცხე, მესხეთ-არტანუჯი, ვით ზეცაში ვარსკვლავთ ხომლი,
დავით მეფის დროინდელი ნიკოფსია, დარუბანდი,
მეფე, სიბრძნით, მკლავით, ნიჭით, რისხვა თურქთა-სელჯუკთ ბანდის.

დიდმეფენი, ფარნაოზი, გორგასალი, მირიანი,
ბრწყინვალე და დიმიტრი და თამარქალი პირმზიანი,
კახთა მეფე, ერეკლე და პაატა და სააკაძე,
და თევდორე, სიცოცხლე რომ, მამულს მღვდელმა დააკლა ზედ.

რუსთაველი, ილია და რწმენა, ენა და მამული,
წამებული ქეთევანის თვალთა ცრემლით დანამული,
ბასიანი, დიდგორი და ასპინძა და მარტყოფი,
არც ერთ ომში რომ არ გვყავდა ჭირ-ვარამის გამყოფი.

ვარძია და უფლისციხე, გარეჯი და მოწამეთა,
ბაგრატ მეფის სამლოცველო, გელათი კი მოსწავლეთა,
გერგეთი და ალავერდი, ჯვარი, სვეტიცხოველი,
დიდ-პატარა მათ კედლებთან მუხლს რომ იხრის ყოველი.

შუამთა და ნიკორწმინდა, ბანა, ოშკი, ხახული,
სამება კი ელიაზე თვალით ჯერ არნახული,
ილორი და ბოლნისისა და ატენისა სიონი
და ტაძრები ერედვისა, არბოს წმინდა გიორგი.

გორისჯვარი, საბაწმინდა, ყინწვისი და ატოცი,
ჯვარი ტაძრის ღვთაებისა თამარ მეფის ნაკოცნი,
ციხეები: უჯარმა და გორისა და კეხვისა,
ხორნაბუჯი, ციხეგოჯი, რომ ჰფარავდათ ძე ღვთისა,

იმდენი გაქვს სათაყვანო და იმდენი საამაყო,
სრულად მაინც ვერ ჩამოვთვლი, ზედ ტვინიც რომ დავანაყო,
ცათამბჯენი მთებითა და, რომ ჰგავს იით ნაქარგ ველობს,
აი, შენი წინაპრებით მოტანილი საქართველო.

შენ მიდიხარ, ვის უტოვებ მამულს, პაპის, ბაბოს საფლავს?
რა გგონია, მათ ძვლებსა ზედ კვერცხს არაბი გააგორებს?
ის აქ მოდის, დაეუფლოს რქაწითელის ვენახს, თაფლას,
დაეუფლოს ქართლ-კახეთის ცვრიან მინდვრებს და მთა-გორებს,
თავისი მან თუნდაც ერთი მკვდარი აქ თუ სადმე დაფლა,
იცოდე, რომ პაპაშენის ქვას ღრმა ხევში დააგორებს.

11.12.2011 წ.

წიგნები

დილაადრიან ქუჩა-ქუჩა დავდივარ როცა
და დამაქვს სახით ქალაქური სიცხე და მტვერი,
მომენატრება შეწუხებულს საავდრო ზეცა,
ჩემი მცხეთიჯვრის მუხისა და წიფლის ტყის ტვერი.

მივდივარ სახლში, დავეშვები ტახტზე დაღლილი,
გულს გადვიღეღავ, თვალს მივაპყრობ წიგნის თაროებს,
მინდა გავიხსნა ჯინსის შარვლის დუგმა და ღილი,
რომ მეტი შვებით შევხედო ამ ცოდნის წყაროებს.
ვიხსენებ ნაცნობ, ამ წიგნებში დამწყდეულ გმირებს

მეფეებს, მხედრებს,
გზირებს, ვეზირებს,
ბანდიტებს, მკვლელებს,
გამცემებსა და გაიძვერებს,
ტირანებს, ხარბებს,
ქორებს და ძერებს,
დასჯილ, დახოცილ
მწერლებს, პოეტებს,
დედოფლებს, მხევლებს,
ობლებს, ყაჩაღებს,
ქალებს ლამაზებს,

შეყვარებულებს.
ჯაშუშ რეზიდენტს,
მოკლულ პრეზიდენტს,
ერის სამწყემსოდ გამორჩეულებს,
ჩემს გმირ წინაპრებს მირონცხებულებს
და ისეთებსაც, ვინც გადასცა მორალის მიჯნას,
ისეთ ძუნწსაც კი, ქათამს ნეკით კვერცხს რომ უსინჯავს.

მარტო მყოფს, თითქოს წიგნებიდან ვიღაც მეძახის,
ვიღაც აშარი, ყაჩაღი ან ვინმე მეძავი,
ხან მესმის ცხენთა თქარა-თქური, ხმა ოროლების,
ორბის ყივილი, ბულბულის ხმა, ხმა ტოროლების.
მკვლელი დანტესი, მეჩვენება — დუელში მიწვევს,
თითქოსდა გვერდით მისი ტურფა ლოგინში მიწვეს,
დამბაჩით ხელში გულმოსული ხტება თაროდან,
თორ-აბჯრით, ჩაჩქნით, შპაგით წელზე მოჰგავს ჯვაროსანს,

ღრმად ჩაძინებულს სული მქონდა ხორცთან გაყრილი,
მაისის დამდეგს, ჯერ ყვაოდა თეთრად აპრილი.

ვეღარ დავშორდი, ვეღარ გავცილდი

ვეღარ დავშორდი, ვეღარ გავცილდი
წყვდიადით მოსილ მძიმე ბავშვობას,
მსურს ეს, თან არც მსურს, რადგან დავცლიდი
არსისგან, რამაც ამ იღბლით მშობა.

აჩრდილად მომდევს დუხჭირი წლების
მგლებივით ხროვა, ყორნების გუნდად.
ნაბიჯით წინ ვარ, მაინც ვერ ვწვდები
სულის მოსათქმელს ერთ მტკაველს თუნდაც.

დროდადრო, სევდა მტკივნეულ გულში
შემომეჭრება, როგორც ბორბალი,
მტანჯავს, მაღონებს დღესაც, წარსულშიც,
ვით ტყვე მეზღვაურს ზღვის ამორძალი.

ცულით დაჩეხილ მორს ვგავარ მაშინ,
ყოვლად უსახო, არაფრის შემძლე,
თითქოს დუელში მკლავენ მე დაშნით,
ხალხისგან შორს მსურს —სიმშვიდეს ვეძებ.

გამივლის სევდა გულისყრასავით,
უმალ სხვა კაცად გარდვისახები,
მაშინ მერცხლის ფრთებს ვნატრობ ყრმასავით,
გულში მზეს, მთვარეს ჩავისახლებდი,
დავივიწყებდი განვლილ გზასავით,
ძველს აღარაფერს ხელს არ ვახლებდი,
მხოლოდ საღვინე ერთგულ ძმასავით,
სადღეგრძელონიც ახალ-ახლები,
სატრფო და ფიცი მტკიცე, ქვასავით
და მის მკლავებში დავიმარხები.

გაქრება სევდა, დარდი, ნაღველი,
და რაღაც-რუღაც სენტიმენტები,
ალერსით, როგორც თოვლი — გავლღვები,
არ იქნება თვლა: ლუწი, კენტები,
ისრები, ტრფობის ნერწყვში ნავლები,
ამურმა დამცეს რიცხვით მეტები,
აყვავილდება ძველი ბაღ-ველი,
სადაც ბრმად დღემდე დავეხეტები.

გამივლის სევდა გულისყრასავით,
მაშინ მინდება ნავსი გავტეხო,
რა ჩრდილიც დამდევს შორი სათავით
თვალს ავიხვევ, რომ აღარ გავხედო.

18.06.2006 წ.

მწუხრის ზარი

მწუხრის ზარის ხმა მიხმობს სამების
ცოდვილი სულის განწმენდისათვის,
ვისმინო ლოცვა წმინდა მამების,
ამღვრეულ ფიქრთა დაწმენდისათვის,

და იქნებ, ჩემგან, ღვთისგან გაძევდეს
ადევნებული ჩრდილად მაცილი,
მეოხად ჩემდა იმედს მაძლევდეს,
არ შეხვდე სიკვდილს ძალებდაცლილი.

ბედმა მატარა დანის პირზე და
ბევრი ვათენე შფოთის ღამენი,
მარტოსულს, ცოტას მზე, მეც მიმზერდა,
ტურფა მთიები, ნაზი მთვარენი.

მცირედი სითბო მზის და მთვარისა
ჰყოფნიდა ჩემს სულს — ალვად ეხარა,
მწუხრის ზარის ხმა, ცრემლი თვალისა,
შანსს არ მაძლევდა, მეც გამეხარა...

31.12.2015წ.

მელანქოლია

გარეთ გამოსულს სინანულით გული მევსება,
ქარი, ქორივით როცა დაჰქრის ქუჩაში ალვებს,
მაისამდე ცა ელვით აღარ დაიკვესება
და წეროებიც თბილ ქვეყნებში ყივილით წავლენ,
თითქოსდა ქვეყნად მარტო ვრჩები, რაღაც შიშს ვავლენ.

ზამთრის პირია, ქარბორიო ოქროსფერ ფოთლებს,
ჰაერში მინდვრის პეპლებივით მიაფარფატებს,
მოწყენილი ვარ, აბეზარი ფიქრი მაშფოთებს,
ვნახავ კი, მერმის, მაისობის მზიან ჩარდახებს?
გაზაფხულიო, მოვიდაო, მოლაღური კიდევ ჩამძახებს?

ზამთრის პირია, ნეკერჩხალი, ქარი, ჭადრები,
ფეხქვეშ ფოთლების შარიშური, მელანქოლია,
მოჭრილ მორივით ძველ ფიქრებში გადავარდები,
ყმაწვილკაცობის დღიდან მე, რომ თანდამყოლია,
გულიდან ოხვრად, ათასჯერ, რომ ამომყოლია.

განვმარტოვდები ყოველ ამას შეგუებული,
დავჯდები სკამზე, ვცდილობ, ძალა თავს დავატანო.
ვცდლობ, ნაღველი ჩემს გულში ტბად შეგუბებული.
ზამთრის მაცნე ქარს ცოტა მაინც თან გავატანო,
მეც გამიყოლოს და გოლგოთას გადამატაროს.

13.11.2017 წ.

ზმანებანი

ყოველდღიურ დარდს, სევდას და ჩემს ფაციფუცს.
ღამით ძილში ემატება ზმანებანი,
გავიღვიძე, ვგავარ ზოგჯერ ძმად გაფიცულს
ტოლბიჭებთან, ოდეს ვიყათ თავნებანი.

მოულოდნელ ხილვით ზოგჯერ თავსაც ვერ ვცნობ,
თვალს ვაცეცებ, მინდა, ყველა ცოცხლად ვნახო,
ფიქრთა რემა ჰგავს შლეგიან ზვავს და ღვარცოფს,
გზად ყოველის წამლეკავს და სავაგლახოს.

თვალს აცეცებ, სად ვინ არის ძილბურანში,
მელიმება, თუ რამ ვნახე აკრძალული,
მაგრამ ზოგჯერ სიზმრისეულ ამ სურათში,
მეჩვენება ჩემთვის რაღაც საკრალური...

გონს მოვალ და რეალობა თვალწინ მიდგას,
სარკმელს ვაღებ, ცხადს თუ სიზმარს შფოთით ვხვდები,
მთვარე ციდან ღვინოს ვერცხლის თასით მიდგამს,
ისიც თვრება და სატირლად ერთად ვსხდებით.

0.06.2016 წ.

ყვავილებით წალეკავს

ეს ზაფხულიც მიინავლა
ცხელ-ცხელ თვეთა დღეებით,
მთვარეც სადღაც მიიმალა
ღამეებნათენები.

შემოდგომაც მალე მოვა
მოსაწყენი წვიმებით,
დაიბუდებს ჩემში გლოვა,
სევდა, ცოტა იმედი.

ჩამობარდნის ნოემბერი
თოვლით მთებს და ველობებს
და მეც, როგორც ნოე ბერი,
თეთრ მტრედს უნდა ველოდე.

უნდა ვთვალო თითო-თითოდ
ზამთრის ცივი თვეები,
მთვარეული ვიყო თითქოს
ღამის თეთრად თენებით.

დღემდე ვცდილობ, არ ვნებდები
ჩემს არაერთ განსაცდელს,
სულის შფოთვით და ვნებებით
გზას ტაძრისკენ არ ავცდე.

ჩემი გაზაფხულიც მოვა,
მომიკითხავს, მომხვევს მკლავს
და ჩემს ყველა წუხილს, გლოვას,
ყვავილებით წალეკავს.

28.06.2008 წ.

პური არსებისა

ყოველ ზაფხულში, მკის დროა როცა,
მათრობს ივლისის ცხელი ფერები,
გავდივარ მინდვრად, სიცოცხლეს ვლოცავ
და ბავშვობის ძნელ წლებს ვეფერები.

ყოველ ზაფხულში, როცა მკის დროა,
მინდვრად ვარ, ვუსმენ მწყერების „ქვითკიროს“,
ხვავს აუვსია ჩვენი სამკვიდრო,
ასმა ბელლმაც ვერ დაიტიოს,

ცისკრის, მზისა და მთვარის აკიდო
ვერცერთმა ქვევრმა ვერ ჩაიტიოს.
როცა ვუყურებ ურმების აღალს,
მწიფე ყანებით ავსებულ მინდორს,

შორეულ წლებით ვგრძნობ გულის დაღლას
და მძიმე ფიქრებს ვეძლევი იმ დროს,
ცრემლებს მახსენებს ბავშვობის ნაღვარს,
დარდს მოვერიო, დევეძებ მყუდროს.

ვიხსენებ დედის ღვთისადმი ლოცვას,
„გვყოს ნათელითო და პურის მადლით“,
ლუკმას, მიწიანს კოცნიდა როცა,
და მე მაწვდიდა, შიმშილით გაზრდილს.

როცა ღმერთს სთხოვდა ჩემს გადარჩენას,
ომში დაღუპულ შვილის სანაცვლოდ,
„ღმერთო, ამ ბიჭის იყო გაჩენა,
ნება შენი და გაზრდა აცადო,
შენ დაიფარე, ლუკმა სარჩენად,
პოვნა ოფლითა თვითონ ეცადოს“.

ყოველ ზაფხულში, მკის დროა როცა,
დედის სულს და იმ ლუკმა პურს ვლოცავ,
გადავრჩენოდი მე დედას და
იმ დუხჭირ დროსაც,
შვილს, მე მან, რწმენა, ძალა რომ მომცა,
ნეშტს აქ, სულს ცაში ვუგზავნი კოცნას.

უნდა აღვსდგეთ

დრო არ ითმენს, უნდა აღვსდგეთ,
გავაგრძელოთ საქართველოს შენება,
დიდ-პატარა მწკრივში ჩავდგეთ,
რარიგ დაგვამშვენებდა?!

ძმებო, დებო, დავირაზმოთ,
საქართველო მხრებზე უნდა შევიდგათ,
დროა, აწმყო გავიაზროთ
რა ფაზაში შევიდა.

რუდუნებით, შემართებით,
წინ-წინ, მარშით საქართველო ვატაროთ,
არწივის და ორბის ფრთებით
ლაღი ფრენით ვახაროთ.

ვინმე გვჯობნის ამა ქვეყნად
ფერით, ხორცით, ჯიშ-ჯილაგით ან თვალ-ტანად?
მაშ, რა გვიშლის ერთხმად შეყრად,
მკლავით ლელოს გასატანად?

თავი უნდა გავუტოლოთ
ფრანგს, ინგლისელს, გერმანელს და იაპონელს
შვილებს გემი დავუტოვოთ,
ზღვას იმათკენ მიაპობდეს.

ოჰ, ეს აწმყო... მაგრამ მე მწამს,
დავმშვიდდებით ქვევრში მბორგავ ბადაგივით,
მაშინ მტერი ვერ გაგვწეწავს,
ჩექმით ვეღარ გადაგვივლის.

ღრუბლებიდან მზეც გამოვა,
ამოუშრობს ჩემს მამულეთს თვალში ცრემლებს,
გაზაფხული კვლავაც მოვა,
აგვიყვავებს ბლებს და ტყემლებს.

15.10.2015 წ.

გვერდს არ ამივლის

ივლისის ცხელ ქარს პეპლების გუნდი
მოსდევს გადამწვარ ახოებიდან
და ჭრიჭინებით, სოფლად ბინდ-ბუნდი,
შემოდის მინდვრის კალოებიდან.

საღამოა და ივლისის ცხელ ქარს,
მოაქვს გაბმული მწყრების „ქვითკირო“,
დასავლეთის მზეს ოქროსფრად ჩამქრალს,
ვუყურებ და მსურს წარსულს მივტირო,
მარტის თოვლივით დამდნარს და გამქრალს
ბავშვობაში მსურს გადამითრიოს,
მსურს გავყვე პეპლებს, გავყვე ხორშაკ ქარს.

თვალწინ დამიდგა მე სიყმაწვილე,
მინდორი, ხორბლის ნაწვერალები,
ვებრძოდი შიმშილს, შავ სინამდვილეს,
სუსტი მხრებით და ნაწევარებით,
ვეძებდი თავთავს, ბალბას, ღანძილებს,
უბეს ვივსებდი ნამცვრევარებით.

შუა ზაფხული, ივნის-ივლისი,
მინდვრის ხორშაკი, გუნდი პეპლების
თვალს მიეფარა, ვგრძნობ გულის ტკივილს,
ჩხვლეტას, თითქოსდა ბასრი ეკლებით,

წარსული მიწყებს ყურებში წივილს,
როგორც ზღვის ქარი ბებერ ეკვდერში,
როგორც დღეს, ხვალაც გვერდს არ ამივლის
ცხრაკლიტულისაც ვიჯდე კედლებში.

ნარიყალადან

თბილისო, ნარიყალადან, მე გადმოგყურებ ამაყად,
ჩემი ქალაქი რომ ხარ და, მე შენი იეთიმ გურჯი,
შიგ ამოვეწვო, ფერად ქვებს საღებავებად დავნაყავ,
და ვიყო ბედკრულ ნიკალას ხელში მე მხოლოდ ფუნჯი,
მაშინ მე, ჩემო ქალაქო, ისეთ ფერებით დაგხატავ,
როგორც სიზმარში მინახავს ზეცად მფრინავი ფასკუნჯი.

გაშლიხარ აღმაშენებლის დავითის დროშასავითა,
მოჩითულ-მოფარდაგული ყელივით მამალ ხოხბისა,
ნესტანს ვინ აღარ გიმღერა დიდ მგოსან შოთასავითა,
თბილისო, ჩრდილო ლამაზო, ღვთისმშობლის ტახტის ნოხისა.

აქედან ავჭალებამდე, თითქოსდა მეფე თამარის,
ზეცით ნაკურთხი ძოწისა მანდილი გადაგფენია;
მარად სიცოცხლით შენი და საქართველოსი მთა-ბარით,
ოდესღაც, ერთხელ უკვდავი ფენიქსი გადაგფრენია,

გუშაგად დგანან შენს ირგვლივ მთები: მთაწმინდა, მახათა,
მოწმენი ვახტანგ გორგასლის ხოხობს ნასროლის ისრისა,
დიდ მეფემ, დრომ კი მათ შორის ასე მშვენებით ჩაგხატა,
ქართველთა დედაქალაქად, კურთხევით ნებით ღვთისისა.

მადლით დაგყურებს მთაწმინდა გულში ჩაკრული შვილებით,
ცა ნისლით გადაგწმენდია მადლით სიონის, სამების,
შენთვის და საქართველოსთვის გზის ძებნით გარდაცვლილები,
პოეტები და მწერლები, შენი და ერის მამები.

ზურგს უკან ტურისტების ჯგრო, ნახევრად შიშველ-ტიტველნი,
შვილთა-შვილები შენი მტრის, სპარსი, თურქი თუ არაბი,
თავდასხმებით რომ ამტვრიეს შენი ტაძრების კლიტენი,
ამათგან, კეთილი თვალით არ გადმოგხედავს არავინ.

გულანთებული გიყურებ და დიდი გულით ვამაყობ,
ამ ქედებს შორის მგონიხარ უფლის ზედაშის ბარძიმი,
მსურს, ახლა, ღვინით ხელთ მომცა ყანწი, დედოფლის სამაყრო
დავლიო, გითხრა წინ გედოს, საუკუნენი ხანგრძლივი.

აგვისტო 2018 წ.

ჩემი ალუბალი

აპრილი დგას, ჩემს ალუბალს
თეთრი კაბა აცვია,
ვის აწონებს თავს მალულად
ჩემი თეთრი გრაცია?

დღისით მზეს თუ ღამით მთვარეს.
ამ წუთს წვიმა ჟუჟუნებს,
ვის გაუღებს გულის კარებს,
თვალს ვის ჩაუჟუჟუნებს?

ვინ გადახდის თოვლის მანდილს,
კაბას თეთრად ელვარეს,
მხოლოდ ძალუძს მოყმეს, ნამდვილს,
ფურის ხმობით მღელვარეს.

ჩემს ალუბალს ის მამაცი
თავის ბაღში გადარგავს,
ცხრა მეტოქეს არ დააცდის,
ყველას მათრახს გადაჰკრავს.

შემოდგომით კი დაისხამს
ღვინისაფერ კუნწულებს,
უბე-კალთაში ჩაისხამს
გოგო-ბიჭებს ცუნცულებს.

ალუბალი, ჩემი, ღმერთო,
სულ ტყუპებით მიმრავლე,
ჩაუმქრალი კერა ენთოს
და არასდროს მინავლდეს!

08.03.2016 წ.

მითებში შევალ

ამ გაუტანელ წუთისოფლის ლაბირინთებში,
დავეხეტები, იქნებ სადმე მყუდროს მივაგნო,
მზისა ქვეშ ჯერ ვერ, ახლა შევალ ზღაპარ-მითებში,
ჩემი ქუდბედი ცაში ღმერთებს იქნებ მივანდო.

ოდისევსივით ზღვას გავცურავ ქარტეხილიანს,
ზევსის წყალობით დავუსხლტები სკილას, ქარიბდას,
მივაღწევ მათთან, რადგან ნავსი გატეხილია
და ვნახავ მეოხს, იქ ხომ მათი მთელი ჯარი დგას.

პოსეიდონი ჩემს გემს მბორგავ ზღვაში ჩასძირავს,
ხელში ჩამიგდებს ტყვედ ლამაზი ნიმფა კალიფსო,
ოღონდ მფლობდეს და ამ ჯადოქარს ღამით არ სძინავს,
მპირდება, გული, მარად ნორჩი სისხლით ამივსოს.

ქალღმერთ ათენას ვუმადლი მე, მიხსნა მისნისგან,
აღარ მინდოდა, მოკვდავს, ნიმფას საძინებელი,
გზასაცდენილი, რას ველოდი ჩემი მიზნისგან?
ვპოვებდი იმას, რისაც ვიყავ მაძიებელი?

გემზე შემომსვა ათენამ, გადარჩენისთვის ვიბრძოდი,
სირინოზების კუნძული ანძას მიბმულმა გავცურე,
არ დამიხშვია ყურები, ვუსმინე მათ ხმებს ბოლომდის,
მზის ამოსვლიდან, ჩავლამდის პერანგი ცხრაჯერ გავწურე.

მე, მყოფმა ზღაპარ-მითებში, ითაკა ზღვაში მოვნახე,
იქ, ოდისევსის მშვილდია, მწივანი ფრთოსან ისრებით,
მედეა ბერძნებს თვალებზე ჯადოს ნისლივით მოახვევს,
მომატაცინებს მშვილდ-ისარს ქართველ ქალობის თვისებით.

ზევსი პეგასზე შემომსვამს, ფრთებით შემმოსავს არწივის,
ისეთი ნალით დაჭედავს — კლდეს ფეხს დაჰკრავს და წყარო დის,
ღმერთი ეოლოს, დამიცავს, დღეს ამარიდებს ქარ-წვიმის,
გამოვფრინდები მითიდან, აქეთკენ, ჩემს სამყარომდის.

ოდისევსის მშვილდს გადავცემ დარეჯანის ძე ამირანს,
რომ სასიკვდილო ისარი ბაყ-ბაყ დევისკენ მიმართოს,
ქრისტეს ნათლული ბოროტ დევს, ერთი გასროლით განგმირავს,
მაშინ, მეც ვპოვებ სიმშვიდეს, მყუდროც მექნება იმავ დროს.

01.04.2016 წ.

ბუნიობა

ჟუჟუნა წვიმა, გაზაფხული, დგას ბუნიობა
მზე პირს იბანდა,
ცხრაფეროვან ცისარტყელით ვჯადოვდებოდი,
აყვავებული ალუბლების, ტყემლების, ნუშის
სურნელით იყო გაჟღენთილი ცა, დედამიწა,
შაშვის გალობა ლოცვასავით მწვდებოდა გულში,
მეყნოსა მეტი, მეტი და მეტი მკლავდა სურვილი,
ღრმად რომ შევრწყმოდი დედაბუნებას,
შევჭიდებოდი მისტერიებს დაგროვილს სულში,
შიგ შემეცურა, მქონდა ცთუნება,
ქვეცნობიერი ჩამძახოდა: წყარო, წყურვილის
და შენი ბედის, ამ ტყემლებთან ამოჩქეფდება,
ეს მაშინ მხოლოდ თუ აქ სადმე ჩამოვჯდებოდი

და თუ ეს ცაში ღმერთმა ინება...
ცნობის წადილმა, გაზაფხულით გულის ფეთებამ
მაიძულა მე, ღვთის სასწაულს დავლოდებოდი.

გადაიარა წვიმის ღრუბელმა და მზე კაშკაშა,
ზეცის ტატნობზე კოცონივით დაკიდებული,
შუქით, სითბოთი ჩაეღვარა ბაღებს, ვენახებს,
ატმების ცეცხლი, ფრინველთ ჭიკჭიკი,
ხეხილის ყვავილს მიხვეული თაფლის ფუტკარი,
ღობე-ყორეში ჭრიჭინების ამო ჭრიჭ-ჭრიჭი,
მთიდან მონადენ ნაკადულის ხტუნვა-შხუილი,
თითქოს მალამოდ ჩემი სულისა,
ცა მიგზავნიდა ამ ჯადოსნურ ხმებს.
იდილიური სუფევდა წუთი,
დამათრობელი, სულის შემხუთი
და შენც გამოჩნდი წყლის სურით ხელში,
მოუყვებოდი ორღობის ბილიკს,
ტანს მოარხევდი, ვით ლერწამს ქარი,
თვალ-წარბ-წამწამით მომდები ცეცხლის.
მთვარე მეგონე მნათობი ბნელში,
ჩამიარე და დამიტოვე ელვა ღიმილის,
ჯადო, მნუსხველად რომ ცოცხლობს შენში,
ფიქრების ჯგრო და სამუდამო გულის ტკივილი.

მე, რეტდასხმულმა, შენი ხილვით გაოგნებულმა,
ტანკენარ გოგოს თვალი მალვით გამოგაყოლე
და სუნთქვაშეკრულს მსურდა უკან აგდევნებოდი
და მარტო სუნთქვა? იდუმალ ძალამ ფეხიც შემიკრა,
მუხლთ წარმეკვეთა, დაბნეული ნაბიჯს ვერ ვდგამდი,
წამიერად კი ორთავ თვალზე ბინდიც გადმეკრა,
ცაზე უეცრად გაბრწყინებულ მზით დარტყმულს ვგავდი.

შენ, თითქოს ტანზე ჯადო შემაგდე,
თითქოს ბაგეზე ღვინის ჯამით ბანგი მომყუდე,
ველარ გამეგნო, მთვრალს, გზა შენამდე,
გული კი შენით ერთხელ უკვე ისარდაკრული
მკერდში მითრთოდა ამოფრენამდე.
იქნებ თავის სწორს წამოგწეოდა,
წამოგწეოდა ბუნიობა ყვავილნარებით,
ბაღის ატმებით, ალუბლებით, თეთრი ტყემლებით,
მგალობელ ხმათა სინარნარეთი,
ზეცა წვიმებით, ცისარტყელებით,
ფუტკრებითა და ჭრელი პეპლებით,
რომელიც შენმა ხიბლმა, სიტურფემ
დაჩრდილა ყველა მზე და მთვარენი,
აღარ მახსოვდა, შაშვი რას უსტვენს,
არც მოლაღურის სევდით ნამღერი,

არც თეთრ კაბებში ბლები და ნუში,
იქ, ერთ ჭადრის ხეც, ცამდე აღერილს
ველარ ვხედავდი, ხომ იდგა გუშინ?
გადამავიწყდა ირგვლივ ყოველი,
რაც ყვავილობდა მარად ჩემს გულში
და რაც სულდგმულობს,
რაც ყრმობიდან შევიყვარენი.

შენი თუნდ ერთხელ მთვარესავით გამონათებით,
ის ერთადერთხელ ჩემს წინ გავლა კაბის შრიალით,
ღიმილი შენი, რომ მიწყალობე
ჟუჟუნა თვალთა ციალ-ცქრიალით,
ნუთუ მიმიყვანს მე იმ წყარომდე
დავწყურდე ერთი ამოსუნთქებით.
მაღირსებ? შენზე ფიქრით ვწვალობდე
მთელი სიცოცხლე ტრფობის უფლებით?

ო, ზეციერო, ნუთუ ეს ის ბედის წყაროა?
ცეცხლით და წყლულით ტანზე ელვად რომ გადამევლო,
ეს ის გოგოა? ჩემი სული, გული, არსება,
ყურძნის წვენივით ღიმილით რომ წამოადუღა?
ამ წყაროსავით ცხრა ზღვა, ცხრა მთა მეც გადამევლო
სიცოცხლით ვზღავდი სხვა წყურვილით თუ ამავსებდა,
რადგან სიტურფით, ეშხით გული ჩემი დამდუღრა,
მიძინებული ჩემში მამრი გამოაღვიძა,,
და ამ წყაროსკენ, მწყურვალს მძაფრი ლტოლვა აღმიძრა.
და მე, იქ თითქოს ბლის ტოტზე დაბმულს,
ენა წართმეულს, ხელ-ფეხშეკრულს
დადუმებულს ცისმეხდაცემით,
ჯერ განუცდელი გრძნობით გულშეძრულს,
მოულოდნელი მოვლენილი თავსატეხებით,
მაგიურ ძალით შეპყრობილს და ბადეში გაბმულს,
წინ ჩამიქროლეს ჭახ-ჭახით და ფრთების ტყლაშუნით
დამფრთხალმა შაშვმა და მიმინომ თვალთა კვესებით...

შენი ღიმილი წვიმასავით გულში ჩაღვრილი,
არ მასვენებდა მე, შებოჭილს, შენით თვალნაცემს,
ბორგავდა მკერდში, როგორც ზღვის ზვირთი,
ვთქვი: შაშვს მიმინო ვიდრე გამტაცებს,
ჯერ, ვიდრე სხვისთვის არ გაშლილა ეს ატმის კვირტი,
ყველა გრძნებანი, თუ რამ მჭირდა განვდევნე უმალ,
მსწრაფლ მივატოვე ორღობე და ფეხაკრეფით,
მორცხვად, კრძალვით, ჩრდილივით, ჩუმად
შენს კვალს გამოვყვე შენით გულში ისარდაკრული,
ღვთის მადლით მოსილს — ცით მონადენი ურყვნელ,
ანკარა, სათუთ გრძნობებით.

მოგსდევდი შვლის ნუკრს, განუზომლად ნაზს,
ქურციკს, ჯეირანს ყელმოღერებულს,
მტყორცნელს ისრების ამურის მშვილდით,
ყვავილს ჯეჯილში ამოღერებულს.

შენკი სოფლისკენ განაგრძობდი გზას,
ჩანჩქერა შავ თმებს მაცდურად შლიდი,
და ჩემს გულს უფრო უჩენდი ღრმა ბზარს
ორღობე მორჩა, ნაბიჯებს ვთვლიდი,
რომ დაგწეოდი ვარდივით მწყაზარს.
შარაგზა, ავტო და შენც გაფრინდი,
საით? ეს კითხვა მცემდა მე თავზარს,
თითქოსდა მკლავენ, ვიღაც კი მშიგნის,
ვიღაცა მასმევს თაფლს შხამით ნაზავს,
გულს, თან რომ გაჰყვა, ეჭვები მძიძგნის
და ჩანგზე გაბმულ სიმივით მძაბავს.
საით გაფრინდი? გზა რაგინდ სიგრძის
მოვძებნი, ჩიტი მომიტანს ამბავს...
შარაგზით საით,
რომელ მხარეს მიჰყავდი ავტოს?
ხმაგაკმენდილი, სინანულით თვალს გადევნებდი
გულისწუხილით, გულში ცეცხლით და არა მარტო:
ქადილიც ამყვა, ვთქვი: ასეთ ხვედრს არ დავნებდები,
რისთვის და რატომ დამსჯის ღმერთი, არ შემახვედროს,
შენს დამაბნეველ სისავსეს და შენს თვალთა ციმციმს,
მზად ვარ ვეხვეწო, მუხლისჩოქივით ხატზე მავედროს,
ამიხდეს ნატვრა, მაშინაც კი თუ ტანჯვას მაცდის.

თვალს მიეფარა ავტო, მე კი, იმ გზას და სივრცეს
დიდხანს ვუყურე სინანულით, წუხილით სავსემ,
თავს რა დამატყდა? გული ასე შფოთვით რად მიცემს?
წყაროს მაძებარს ბედ-იღბალი ნაღველს რად მასმევს?
რატომ ჩამიგდო გულში ეს გოგო
ღმერთმა, თუ ჩემგან გადამალავდა?
დღე მიინავლა, ფირუზი ზეცის
წითლად ღუოდა დასალიერი,
გული მეწვოდა ალმურით ცეცხლის
გზნებებით სავსე, თან ცარიელი
მეწვოდა ჩემი თვალსაწიერი.

ასეთი მწველი განწყობით და მღვრია გუნებით,
იმ ღამით გულზე ჭინკებივით ფიქრი მეხვია,
მანამდე მშვიდი, აუჭრელი, წყნარი ბუნების,
არავის მიმართ ლტოლვა გულზე არ დამტეხია,
წრფელი გულიდან მე, ძახილით, არა ცდუნებით,
ხარირემივით შენს საძებრად ვიწყებ ხეტიალს,
ჭირვეულ მარტის ეს ღამე კი ნუგეშად ჩემდა
და გუშაგივით ქარის სტვენა გულით მაწყნარებს.
ჩემდა საოცრად წუთით მთვარე ღრუბლიდან ჩნდება
და ერთად ვუსმენთ, წვიმა ბნელში როგორ წანწკარებს,
ბუნიობა და გაზაფხული ტკივილად მრჩება
და შენი ლანდი ამ ღამით რომ ასე მაწვალებს.

ვისი ხარ, გოგო, სტუმარი, ვისი ხარ მინდვრის პეპელა?
საიდან გადმოფრინდი აქ, ჩემს თვალთა დასაბნელებლად?
დაგდევნებოდი, გზად სადმე რომ მოსახვევში მეყელა,
ერთხელაც შემომხედა მე, გულის გასანელებლად,
მაყვლის თვალება შროშანსა, თეთრი გედივით ყელყელას,
მიზეზს მრავალთა ღამეთა, თეთრადა გასათენებლად.

მძიმე ფიქრებით ვატარე მარტის თვის ყვავილნარები,
ჟუჟუნა წვიმის ღრუბლებით ვარდებზე ცრემლდაღვრილები,
ბუნების გამოღვიძებით ხალისი ნაღველნარევი,
ბედ-იღბლის ანგელოზების ამოუცნობი ნიღბებით.
წლები მხარ-ბეჭზე დამადნა მარტში მოსული თოვლივით,
შენთვის რომ უნდა მესროლა, გალღვა, ლამაზო, ის გუნდაც,
მეც დავჭკნი მზისგან დასიცხულ, ყვავილოვანი მოლივით,
როგორ არ დაგიდარდები მქონოდა გული ქვის თუნდაც.

დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, შესრულდა სამოცდაათი,
დაბერდნენ ბლები, ტყემლები, გახმა ნუში და ატამი,
შენ მაინც დღემდე მახსოვხარ, ის დღე, წუთები, საათი,

ჩემი მეგონე, დაგკარგე რა მზე, რა მთვარე, რა ტანი,
ჩემი წიბო და უღელა, გოგო ჭირთაგან ხსნა ათი,
ჩემი ჭირის და ვარამის, გულით ბოლომდე გამტანი.

ხავსი მოედო იმ ჭადრის ხესაც, ნიავზე წელში რომ ირხეოდა,
ამ ხნის მანძილზე, ჭიასავით ღრღნეს წლებმა
და ტანი ექცა ფუტურად,
ღრუბლებთან ახლოს და მაშინაც კი, ცა
ელვა-ჭექით რომ იხეოდა,
ამაყად იდგა, დღეს კი ამ ბებერს, წაქცევა
ელის ქარში უთუოდ.

გული კი სხვა რამ ყოფილა, სხვა თვალუწვდენი სიღრმისა,
ქალზედა შეყვარებულსა, სხვა სატკივარიც სცოდნია,
ველარ ივიწყებს ნორჩ გოგოს, ვერც მის ნაჩუქარ ღიმილსა,
უმწიფარს ჯერ რომ ბაგენი, სატრფოსი არ უკოცნია,
სიტკბოთი თავბრუდამხვევი, თრობით ძველ ბადაგ ღვინისა,
დაკარგულისთვის ბრალსა სდებს წუთისოფელსა ცოდვიანს.
ასეთი ვიყავ ყმაწვილი, ასეთი ბედის, იღბლისა,
ბიჭი, მხრებწამოჩიტული, ბევრის არაფრის მცოდნისა.

19 სექტემბერი 2018 წ.



ეძღვნება ლოდო ხსოვნის დაბადებიდან მეასე წლისთავს.



ლადო

ვარდობის თვეა, შაშვი ჭადარზე ზის და რაღაცას ჩივის,
ნეტა რას? ალბათ საწუთროს უმოწყალობას დასტირის,
ჭაბუკობის წლებს შენსას, როგორც ძმა შენი მარჩბივი,
ნაადრევად რომ დადუმდნენ შენი ებანი და სტვირი.

მაისობაა, სიცოცხლე ხარირემივით „ნავარდობს“,
შენი საფლავის ქვაზე კი ერთი ყვავილიც არა ძევს,
ხვამლის შავ ღრუბელს რომ ჰგავდი, ღრუბელს ჟუჟუნას, საავდროს,
„სალაღობონით“ რომ ქუხდი პოეტი კუბოს კარამდე.

რა ჰქენი, ბიჭო, ლადო, ნახე სამოთხის მთვარე?
თუ შეხვდი თორ-აბჯრიანებს მეომარ არაგველებსა,
როგორც შენ, პოეტს, გინდოდა, მუხლი თუ მოუხარე,
სამასსა, სამიათასის მტრისა ხმლით გადამგველებსა.

სისხლისფერ ყაყაჩოების თუ ნახე ცეცხლი კრწანისის,
თუ კიდევ ისმის ჟღრიალი ოჟა ჯურხაის ფარისა,
ლურჯაზე ამხედრებულის „ჰკა მაგას,“ მეფის ხმა ისმის?
და გულანთებულ მხედართა მჭამელთა მტრისა ჯავრისა.

მათმა ყიჟინამ შენც ხომ არ შეგძრა და გულით მოგინდა,
ფეხმარდმა კავშამ, ჭიხვინამ, ჩამოგიქროლოს ტაიჭმა,
აჰყვები სისხლში წინაპრის ჟინს, გამოყოლილს ოდითგან,
მტერთან საომრად უშიშრად მათთან ერთად რომ გაიჭრა.

გიჯობს მტერს ომში შეაკვდე, ვიდრე სენს, შენ რომ გაწამებს,
ფილტვებს რომ გიღრღნის, დღითი-დღე შენს მზეს,
მთვარეს რომ აბნელებს
და მაინც ცრემლი რომ არ სდით შენს თვალებსა და წამწამებს,
რაგინდრა გულის ტკივილებს რომ ამშვიდებს და ანელებს.

რამხელა გულით დადიოდი ოცდაექვსი წლის ბიჭი,
თმა-წვერ ჭაღარა მახვშვივით სამშობლოს ბედზე წუხდი,
წმინდა, ამაყი სულით და ზენაის მადლის ნიჭით,
კვესივით ნაპერწკლიანი ლექსით მამულს ვალს უხდი.

სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ

ტანად ახოვანს, შავთვალებას, ცოტა შავგრემანს,
სიყრმიდან მძიმე წლები გქონდა კაეშნიანი,
ავადმყოფობით გულში სისხლი იწყებს აღრევას,
ნელ-ნელა ქრება, შენი მზე და ცა ეშხიანი.

ხალიბურ ფოლადს დაემსგავსე ოცი წლის ვაჟი,
შენი სიცოცხლე, როცა მიხვდი, როგორ მყიფდება,
შენს შიგნით სენი არის ცხადი, განა მირაჟი,
შენი ფერ-ხორცი, როგორც მკვდრის მზე, როცა ყვითლდება.

გაფითრებული წინ უდექი ბედის განაჩენს,
რაც ძალა გქონდა ერთიანად მის წინ დარაზმე,
ებრძოდი მედგრად, ვაჟკაცურად, იქნებ გადარჩე,
მოახლოებულ განსაცდელით მდგარი წარაფზე,

ვერც მაცხოვარი ჩაურაზავს კარს, სიკვდილს, ლადო,
ის და სიცოცხლე ერთად ძოვენ ბალახს ძმებივით,
ის დაძრწის ჩუმად, მსხვერპლს არ ირჩევს, რაც გინდა სცადო,
ვერ დააფრთხობს და ცხვრის წინ ივლის ბებერ ვერძივით.

მაგ სნეულებამ შეაძრწუნა რომი, ელადა,
ბებერ ევროპას სამუმივით გადაუარა,
არ იყო ციდან, არსაიდან მისგან შველა და
ქვეყნებს, ქალაქებს დააფარა შავი სუდარა.

სად შეგხვდა, ლადო, ეგ მულიდი, სად შეგეჩეხა,
შავი პირბადით, შავ ნაბადში, შავტარა ხანჯლით,
შენს მგოსნის ფილტვებს, დღენიადაგ რომ ჭრის და ჩეხავს,
ჭაბუკ პოეტს რომ ნაადრევი სიკვდილით დაგსჯის.

გრძნობდი შენს ხვედრს და შენ იქეცი შეუვალ ციხედ,
მელანქოლიის გულჩვილობის, უიმედობის,
უფრო მქუხარე საზეპირო ლექსებად იქეც,
უმძიმეს ომში, ნაცვლად გლოვის, ნაცვლად გოდების.

ტკივილი იყო შენთვის ლექსი, თანაც მალამო,
სულით მტკიცედ გყოს და მზეს კიდევ რამდენჯერ ნახავ,
ზეცამ, ჭაბუკი, სიკვდილისგან უნდა დაგმალოს,
რომ ამოხეთქო გულმკერდიდან უფრო რიხით ხმა.

შენ სიკვდილს სძლიე ნაადრევად დამსხვრეულ ფრთებით,
ვერავინ შეძლო შენოდენი დამწყებ პოეტმა,
ეცდია ბედს და შორს არ იყო პარნასის მთები...
ვინ იცის იქნებ დაგეწერა ვეფხვის პოემაც.

ქარი, ქარბუქი

სხვა ვინ ჩამოჰკრავს აპოლონის ჩანგს,
თუ არ ჭაბუკი, თანაც ქარბუქი,
აამღერებს ვინ შადიანის ჰანგს,
თუ პოეზიით ჭკუა არ უქრის.

ვინ დაწერდა სხვა, თუ არ ქარბუქით,
პოეზიისა არწივთ ასაფრენს,
მაჩაბელს ომში სტვირით ბამბუკის,
ხანჯალს ბრძოლისთვის მჭედლის გაფერილს.

შენს „სალაღობოს“ ვინ ამოთქვამდა,
ამ კორიანტელს სულის ღელვისა
და როცა გული სევდით მოთქვამდა,
მძიმე ფიქრებით სისხლის მღვრევისა,
ცის ანგელოზი შენი შფოთავდა:
დრო დგება შენი ძვლების რღვევისა,
მაშინ, მუზა შენ დაფნით გფოთლავდა,
ნიშნად აწმყოში აღზევებისა.

მაგრამ ის სენი, უკურნებელი
ჩააფრინდა შენს ფილტვებს ბრჭყალებით,
ხველება, სიცხე უნელებელი,
დღე-ღამის თევა ტანჯვა-წვალებით,
შენს სასთუმალთან მსჯავრისმდებელი
დროს გიდგენს ჭაბუკს გარდაცვალების.

ფილტვებდაფლეთილს, უკვე განწირულს,
თვით აპოლონი გეწვია ალბათ,
რა ჩაგძახა მან ბინდში ჩაძირულს?
თვით სიკვდილმაც რომ ვერ დაგცა დამბლა.

და შენ ლექსები, სარეცელიდან.
ტოროლებივით გადმოაფრინე,
მთვარე ხვამლის ნისლს შენთვის წველიდა,
თასით ჩამოდგმას წამლად აპირებს,
იქნებ დაუსხლტე სიკვდილს ხელიდან,
წამებას, ტანჯვას, ლეთას ნაპირებს,
მუხლები სუსტი, მჭკნარი მხრები და...
ლექსისთვის ავლენ ძალას საკვირველს.

პოეტი, სხვა ვინ! სიკვდილს ებრძოდა,
თან თხზავდა ლექსებს სტვირით ბამბუკის,
ძალა და ნიჭი, ცით რომ გებოძა,

ეს შენ ხარ, ლადო, „ქარი ქარბუქი“,
შარავანდედით შუბლი გემოსა
და ჩვენთან დარჩი მარად ჭაბუკი.

ბარდნალასკენ გამოჰყვები ხაბარულას

გაზაფხულის მზე ჩახჩახებს, შენს ბარდანალას,
ალუბლები ყვავილებით თეთრად ბურავს,
ვარდიგორა ენძელებით დაბარდნილა,
დოლაბები ნამკარშურზე კვლავაც ბრუნავს.

თოვლი დნება ხვამლის ქედზე, ნაკადულით,
ღელეებით ცხენისწყალი აირწყვება,
სიცოცხლე კი, შენი „უღვთოდ დაკარგული“,
მაისობას „ნავარდობით“ დაიწყება.

ამწვანდება გუმარეშის ჭალები და
დაუბერავს რიონიდან ხაბარულა,
ცეცხლზე ქოთნის ქოთქოთი და
მაჭრით მთვრალი ძმაბიჭებიც გაპარულან.
აფრენილი მგალობლები ჭადრებიდან,
შენ გიცდიან, განა სადმეს დაკარგულან?
ერთხელ მაინც ალიონზე ადგები და
ბარდნალასკენ გამოჰყვები ხაბარულას,
ბულბულებთან, შენმა სულმა ვარდებიდან,
იგალობოს, ჯერ მთლად ხომ არ დახარჯულხარ.

გამოივლი ლაჯანურს და სარეწკელას,
ციხე-კოშკებს: მურის, გვესოს და ორბელის,
ნამკაშურის წისქვილების სარეკელას,
ყურს დაუგდებ, რა ხანია რომ მოგელის.

მამაშენი, დამმარხველი შენი, ლადო,
სამოთხეში მთვარის შუქზე სანთლით გეძებს,
დედაშენი ცრემლიანი დღემდე დარდობს
და სულეთშიც დაატარებს შენზე ძაძებს
და კითხულობს: სად, ვისთან ხარ, ღმერთო, ამ დროს?
რად ჭაბუკი, სიკვდილი მათ რად დაეძებს?

ჯარში

თბილისის ცაში დენთის სუნი უკვე ტრიალებს,
დასავლეთიდან მოტანილი ქარით, ღრუბლებით,
კაცთაკვლის ბორბალს ანტიქრისტე დაატრიალებს
და მთელ ევროპას მოედება რუხი ბურძგლებით.

შენს სამშობლოსაც შიგ ჩაითრევს მისი მორევი,
როგორც ნაფოტს და მოვა ჩვენში სისხლის წვიმებად,
ჯარში მიდიხარ, გაიწვიეს შენი სწორებიც
და ვერ შეიტყობ, ვინ როდის და სად დამიწდება.

შენ ბაქოში ხარ, ჯარისკაცი, ახალწვეული,
მატარებელი გადასერავს თოვლის ტრამალებს,
გარეთ ყინვაა, თავს გახსენებს სენი წყეული,
ახველებ, მინდვრებს გადაჰყურებ, წუხილს არ ავლენ,
სარკმელთან ზიხარ მედიდურად, თავაწეული.
ფორმიან ბიჭებს რომ უხდებათ შენებრ ტანმაღლებს.

ოსტროგოჟსკამდე ჩააღწიე ხველებ-ხველებით,
ყაზარმებისკენ მწყობრს მიუძღვი დიდი ნაბიჯით,
ყველა დიდგულა, ახოვნები და პირხმელები,
შუბლზე გეწერათ: მტერი უმალ რომ ვერ დაგჯაბნით.

ფანჯრებამდეა ჩაძირული თოვლში სახლები,
დასრიალებენ მარხილები ურა ცხენებით,
მთვრალი მეეტლე, დუქნები და ლუდის დახლები,
ქალაქი ომის მოსალოდნელ ციებ-ცხელებით.

ინახულე ვორონეჟის პროსპექტი და ქუჩები,
პოეტების საფლავები: ნიკიტინის, კოლცოვის,
მათ სტრიქონებს ჩურჩულებდი გაფითრებულ ტუჩებით,
იქარვებდი მძიმე ნაღველს, სევდას გულზე მოწოლილს.

ამაყობდი: მიხდებაო, ფორმა, რუხი მაზარა,
მტერთან მარჯვედ ვიომებ, არ შევარცხვენ არმიასო,
ვინ გეტყოდა, როგორ ღმუის ჭურვი გულის საზარლად,
როგორ ანგრევს ოდა-სახლებს, სპობს ჯეჯილის ცვარ-ნამსო.

მწუხრის ზარის ხმა ოსტროგოჟსკის ეკლესიისა,
შენს სმენას იპყრობს, თავდახრილი უსმენ მის გუგუნს,
იგონებ ქაშვეთს, ჯვარზე გაკრულ ტანს მესიისა,
უსმენ ქარიშხლის არყის ტყეში ზუზუნს და ბუბუნს,
რომ ჰგავს ხმას ქვაზე გულმოდგინედ ალესილისა,
ხმას სასიკვდილოდ, მსახვრალ ხელით მოქნეულ ჩუგლუგს.

გულმა რაღაცა ჩაგჩურჩულა და შენ დამწუხრდი,
თავს მოგეხვია ნოსტალგიის მძიმე ფიქრები,
კონსილიუმი იკრიბება შენთვის ამ წუთში,
რას გადაწყვეტენ? ნუთუ, მალე სახლში იქნები?

...და განმკითხველი მოვა თუ მაინც

ისეთი სენით, ულმობელით ხარ შეპყრობილი,
ვისაც პირს უმალ არიდებენ ქალიშვილები,
დაუმარცხებელ ძალით არის ის შემკობილი
და მის ბრჭყალებში წყაროსავით წყდები, ილევი.

ორის, სამი წლით გააგრძელოს წყარომ დინება,
აბასთუმანში გამოგიყვეს თეთრი პალატა,
გცნობენ შენ, პოეტს და კვლევებით მალე დგინდება,
შენი სიცოცხლე ამდენსაც კი ვეღარ გაატანს.

გცნობენ შენ, პოეტს, ბაგეებზე ჯერ რძეშეუმშრალს,
და სიბრალურით, შენ ვერ ხვდები გული ევსებათ,
განა შენ არ გრძნობ? ჭირი რაც გჭირს დევსაც შემუსრავს,
შენს შიგნეულში რომ გამჯდარა ძეძვის ფესვებად.

თავს გევლებიან მაყვლისთვალა ექიმ-ექთნები,
გულს გიხალისებს შენს საწოლთან მათი რონინი,
ხარობდი, თითქოს მოგევლინენ ცით ქალღმერთები,
აღარ მოგიწევს, კარგად გახდე წლობით ლოდინი,
და ჰა, კვირტივით ალუბლისა ლექსად ფეთქდები
და თუ ღვთის ნებით არ ალაგდა შენი ლოგინი,
ვაჟკაცის გულით, ფრინველივით არ დაფეთდები.

მსუყე ჰაერი, გრილი ჰავა, ნაძვნარ-ფიჭვნარი,
რწმენა მოგეცა გაუმკლავდე ავადმყოფობას,
ფიქრი სიკვდილზე აღარ გსუსხავს ხმელ ჭინჭარივით,
ნატვრად რომ გექცა ერთი დღეც კი კარგადმყოფობა.

მკერდგაღეღილმა მოიარე აბასთუმანის
შემოგარენი, ბილიკები, ციხე თამარის,
არ გეშველება, გრძნობდი მაინც ამას გუმანით,
ოღონდ, არ შედრკე, არ გაგტეხოს არის მთავარი,
და ნაადრევად განმკითხველი მოვა თუ მაინც,
ჭაბუკი, ბევრი შენამდეც და... და არც თვლა არის...

ჩემი აღმასვლა იწყება

დედა, დედილო, სალამს გიგზავნი,
შენ და „ბარდნალას“, ლამაზ ხვამლის მთებს,
თქვენით განკაცდა ჩემი მიზანი,
ჩემი მუზა რომ ლექსად განივთდეს,
გული, ვნახე მე, ბავშვმა სიზმარი,
პოეზიით რომ უნდა გამითბეს.

მე „სტალინელში“ ლექსი დავბეჭდე,
მის ამონაჭერს გიგზავნი, დედი,
ასე მგონია, ჰუნე დავჭედე,
ზედ მოვახტი და უხედნელს ვხედნი,
შორს გამიტაცოს, შორს მსურს გავჭენდე,
თუნდ განწირულის მარგუნოს ხვედრი,
არ დამეღალოს, სულ ქერს ვაჭმევდე,
გადამატაროს ტყე-ღრე შემხვედრი,
ჩემს ლექსებს წითელ პერანგს ვამცმევდე,
ყაყაჩოს ფერი შენც გიყვარს, დედი.

შენ, თურმე, დედი, ავად ყოფილხარ,
ვწუხვარ, შორს ვარ და ვერაფრით გწამლობ,
მე, ბიჭი, ლადო. ნურცა ვყოფილვარ,
არ დაგიფასო, ასე რომ წვალობ.

მე გაგახარებ ისეთ ლექსებით
ყველა შენს ტკივილს მოესალბუნოს,
არცერთ პოეტს არ დავესესხები,
მხოლოდ შაშვს, ბულბულს მოვესაუბრო.

დედი, შენ ჩემზე აღარ იდარდო,
ჩემი აღმა სვლა ახლა იწყება,
ჩემო დედილო, თანაც იმავ დროს
ლექსით მექნება თავდავიწყება,

რაგინდ ცამ ჩემზე შავად იავდროს
ეს გული ჩუმად არ დამიწდება,
ვიდრე მე, შენი ბაღის იადონს
მკერდში სისხლძარღვი არ ჩამიწყდება.

მეგობარო

ნელი ღუმბაძეს

მეგობრებშორის, მეგობარო, დაიკო, ნელი,
მხოლოდ თუ შენთან ტკბილ ბაასში ვმშვიდდები სულით,
არავინ ახლოს, მარტოობა ყოფილა ძნელი,
ხვალ რა მომელის? ამ კითხვებით სავსე მაქვს გული,
და მახსენდება ჩვენი წმინდა და-ძმობა ძველი,
აწმყო-წარსულზე, ჩვენ რომ გვქონდა თანხმობა სრული.

დაცარიელდა გული ჩემი, თუ მეჩვენება?
გამოიწაფა, როგორც ღვინით სავსე სასმური,
შავ სიზმრებში ვარ! დე, იცოდნენ ყველა ჩემებმა,
ჩემი სამანი, ვიცი სადაც არის დასმული,
წვიმამ გადიღო, მზის სხივებზე მათრობს მშვენება,
ნორჩ ყლორტებზე ბლის მძივებივით ნამი ასხმული,
მახარებს, ნელი, ჩახჩახა მზით დღის გათენება,
და გაზაფხულით მოტირალი ვაზი გასხლული.

გამოზაფხულდა, ხვამლის ქედის ციცაბოები,
თოვლის ნაჟურის და წვიმებით აწანწკარდება,
სიცოცხლე ჩემი ზენაარის ცით ნაბოძები,
ვიდრე არ დავდნე მეც თოვლივით არ დაწყნარდება,
ავადმყოფიც კი, მწამს მე ძალას ისეთს მოვძებნი,
ჩემში იმედი მთის კაჟივით რომ გამყარდება.

თავთით რომ მადგეს უფსკრულების შავი აბადონ,
იმას ვიმღერებ, რასაც ჩემი გული მკარნახობს,
ბედს არ შევტირებ! და არც ჩემს ხვედრს, კუპრშიც ჩამაგდონ,
არც მეგობრებმა თვალზე ცრემლით არასდროს მნახონ;

უზენაესს ვთხოვ: როგორც სურდეს ისე განაგოს
ჩემი სიცოცხლე და კრავივით მეც მაბალახოს,
რომ ჩემმა ჩანგმა ცოტა მეტ ხანს ჟღერა განაგრძოს,
რომ აბადონმა ჩემთან ერთად ის ვერ დამარხოს.

სიცოცხლეა, სიცოცხლეა და სიცოცხლე მხოლოდ,
ტკბილი, როგორც დედის ძუძუ, თაფლი ველურ ტყისა,
შენ ერთადერთს გიმხელ, დაო: მე, ნატვრა მაქვს ბოლო,
მოვკვდები და ხედ ვიხარო სადმე ნოყოს პირსა,

ვიშრიალო ჭადარივით, ვირჩევ ასეთ ბოლოს,
რომ ასეთიც ჩემი მიწის შუქს მთვარის და მზისა,
გახმობამდე ვუმღერო და მერეც არ მიგლოვონ,
ჭადრის ხედაც გარდაქმნილი, მგზავრი შორი გზისა,
კენწეროდან ვამღერებდე მის შაშვს, ბულბულს, ოლოლს.

პონტოს ნაპირზე სეირნობ და ზღვის თბილი ქარი,
გიჩეჩავს, დაო, გიშრის თმებს და ლამაზ დალალებს,
მწერ, ჩამოდიო, გულისწორი შენი აქ არის,
ეჰ, გული, ნელი, სხვა რამით კი უფრო ვალალებს...

ლექსად ვარ-მეთქი ქცეული

ნელი ლუმბაძეს

ლექსად ვარ-მეთქი ქცეული მე, სტროფი, სტროფს შევრთო,
წყაროდ ვაქციო, ბოლთასა ვცემ, ვეწევი თუთუნს,
ნელი, მსურს ვკითხო ცათ მეუფეს შენ, ჩემო ღმერთო,
პოეტს, სიკვდილი ნაადრევი მომიზღე ნუთუ?

ცივი ნისლია, ნაცრისფერი დღეს ქუთაისში
და ჩემს სულშიც წევს მსგავსი ნისლი ფენა-ფენებად,
დაო, მიწყნარებს გულს შორიდან ეს მუსაიფი,
მიადვილდება ხველებაც და ღამის თენებაც.

მელანქოლიის ტყვედ ვიქეცი, ჩემო დაიკო,
მარტვილობა მსურს უდაბნოში წმინდა მამებთან,
მოვკვდები? ნეშტი, ლუციფერმა დეე წაიღოს,
სული ჩემი კი აღორძინდეს ცაში მთვარესთან.

ქალაქის ბაღი ვინახულე ამ ყიამეთში,
სკამზე დავჯექი ჩემს საყვარელ ნაცნობ ჭადართან,
ქალი გამეცნო, თვალი მომჭრა, ვთქვი: მზეა-მეთქი,
პატარა, თეთრი, ბანტიანი ცუგა ახლდა თან.

ხელში მეჭირა ხელთათმანი ლამაზ ქალწულის,
მისი საცხებლის სურნელება თავს მიბრუებდა,
გადავეცი და მისი ეშხით მე სულწასული,
ჭკუას ვკარგავდი ლამაზ ღიმილს რომ მიბრუნებდა.

მან აღელვება შემატყო და ფაფუკი ხელი,
ვინ იფიქრებდა სამეგობროდ გამომიწოდა,
ჩემს გულში მაშინ რა ხდებოდა ვერ ავხსნი, ნელი,
რა ცეცხლი ენთო, შიგ რა ეგდო, ან რა იწვოდა.

შავი აბადონ, იმ წუთიდან მთლად ჩამომშორდა,
როგორც კი მტრედი სიცოცხლისა ჩემთან მოფრინდა,
არ მეგონა თუ ბრძოლის სურვილს ის ჩემში შობდა,
რისთვისაც, ნელი, ძალა უკვე აღარ მყოფნიდა.

მიყვარს ჭადარი, ის ხის სკამი, ის მზეთვალება...
მიდიოდა და ლერწამივით წელში ტყდებოდა,
მას აქეთ ჩემი გული დარდობს და ეწვალება,
მაგრამ სიცოცხლით დღევანდლამდე ათმაგ ტკბებოდა.

მარტვილობა მსურს, იქნებ ვპოვო სულის სიმშვიდე,
რად გავჩნდი, ღმერთო, მეოცნებე და ურვიანი?
რადგან საწუთროს ჭაობს ვხედავ, „მეფის სიშიშვლეს“,
მე ამისთვის ვარ შერისხული და კრულვიანი?“

მალე დავტოვებ მე ქუთაისს, მის ყვითელ მზესაც,
ნისლში სიკვდილის ამაზრზენი შუქის ფერებით,
გავცდე ნაცრისფერ ამ გარემოს — ვიგრძენი დღესაც,
აღარ მოვკვდები, გეტყვი, ნელი, თავდაჯერებით.

მე გაუღიმარი დავდივარ უშენოდ

ანიკო ძვირფასო, თბილისში დავბრუნდი,
მთვრალი ღვინითა და შენი სიყვარულით,
შენ კი არ შეშინდე, ცოტათი გავბრუვდი,
როგორც ფუტკარი ყვავილზე მიპარული.

სიახლე არა ჩანს, გარემო ძველია,
სადაც კი, აქ ფეხი დამიდგამს მეცნობა,
ლუკმის გაღეჭვაც კი აქ ჩემთვის ძნელია,
რადგან ის უშენოდ მე ყელში მეცობა.

ფოთლები დასცვივდა ჩვენს ნაცნობ ხეებსაც,
რადგანაც, ძვირფასო, შენ ვეღარ გხედავენ,
ჩამოდი, ამწვანდნენ, ჩემს ნათელ დღეებად,
მხოლოდ თუ შენს გვერდით, ანიკო, ვხედავ მე.

თუკი უშენობით ხეებსაც მოსწყინდათ,
მაშინ, მე, ეს კვირა ნაღველით ამავსებს,
მაშინ, მე ეს კვირა გულსაც კი მომწყვიტავს,
აი, შენს გამო ღვინოს მე რა მასმევს.

ცოტასღა თუ ნახავ მომღიმარ სახეებს,
თითქოსდა ქალაქში შიშია რაღაცის,
ის ჯარში ყოფნისას რუსეთში ვნახე ეს,
იგივე განწყობა, მსგავსი რაც აქ არის.

ბევრი რამ აწუხებს შენს პოეტს, ანიკო...
მეც გაუღიმარი დავდივარ უშენოდ,
ნეტავი იცოდე, როგორ მსურს აქ იყო.
საწუხარს, თუ რა გვჭირს ჭუკჭუკით ვუშველოთ,
ჯერ შენ, რაც დავწერე კალთაში ჩაგიწყობ,
ლექსებს და, მერე კი „თაობას“ ვუჩვენოთ.
ზოგიერთს, იცი შენ, ჩონგურზეც ამიწყობ,
სიცოცხლის სიმღერას დაუკრავ საჩემოს.

უშენოდ ვეღარ ვძლებ

ჩემო ანიკუშა, ჩემო ერთადერთო,
წერილი მივიღე შენი, საყვარელო,
ხელისგულისტოლა, სიტყვაძვირი ერთობ,
ნუთუ დაგიშავე რამე, სანატრელო?

იცი შენ, როგორ და რა ძალით მიყვარხარ,
სული მიგუბდება, როცა კი გახსენებ,
ამ გრძნობას გზად შენსკენ შვიდ ცამდე მივყავარ,
უშენოდ ვეღარ ვძლებ, გული არ მასვენებს,
სიზმრებში ვგავარ მე ირმებში მყვირალ ხარს,
მწყურვალს რომ მდედრები წყაროს წყალს ასმევენ.

ჩამოდი, ანიკუშა, აბასთუმანში,
შენც გარგებს, ფეხმძიმედ ხარ, მეც გამახარებ,
საყვედურს გეტყვი მე, აბა, თუ მაშინ,
მოვრჩები მთელს შენს ძალას თუ მომახმარებ.

ჩამოდი ცოტა ხნით, აგვისტო აქ დავყოთ,
ერთად ჩვენ, ერთი თვე, სისუსტეც გაგივლის,
ძვირფასო, შენით მე, ტყუილად ვამაყობ?
ფიჭვნარებს, ნაძვნარებს სულ ფეხით დავივლით.

შენც მოკეთდები და ცოტას მეც შევიძლებ,
მერე კი, ერთად ჩვენ თბილისში წავიდეთ,
მიდი „თაობაში“, ამას თუ შემიძლებ...
დამბეჭდეს? ეჭვი მე, რად უნდა მწამლიდეს?

ვალიც კი მაქვს სამი თუმანი

შენი წერილი, ჩემო ანა, დილით მივიღე.
ყურძნის წვენი და ჩემი ლექსით, „ჩვენი თაობა“,
მე შიგ სიკვდილის სიცოცხლისგან ძლევას ვღიღინებ,
რატომ ამდენ ხანს? ქაღალდიც კი ლამის დაობდა,
რას უწუნებდნენ? ამ ჟინით მე მძინავს, ვიღვიძებ
და ვწერდი იმას, რასაც ჩემი გული გალობდა.

აქ მეტს ვერ გავძლებ. მე საშინლად მოწყენილი ვარ,
ძალიან მიჭირს, უშენოდ აქ ვეღარ დავრჩები,
თბილისურ ამბებს, შენს სითბოსაც მოწყვეტილი ვარ,
ადგილის ტკეპნას, რა ვქნა, ანა, არ ვარ ნაჩვევი.

მწერ: ლადო, შენი დარდი მაქვსო, მძიმე დარდიო,
ნუ გეშინია, ჩემო გოგო, ჯერ არ მოვკვდები,
მე ჭაბუკს ხელი, სნეულებამ ჯერ ვერ დამრიოს,
ოჯახს, მეგობრებს ნაადრევად არ მოვაკლდები.

ნეტა ჩემს გულში ჩაგახედა, შენზე მე, მწუხარს,
მსურს მოგეფერო, დაგავიწყო დარდი, ნაღველი,
წაგიყვან ლეჩხუმს, ვნახავთ ცაგერს, რიონსაც მქუხარს,
ნახე ბარდნალა, გუმარეშის მწვანე ბაღ-ველი.

„ჩვენს თაობაში“ ნახე, ნიკა, ანიკო ჩემო,
თუ დაბეჭდავენ „სასაფლაოს“, „ასათიანურს“,
ტექსტს არ შეეხონ, მერე სხვებიც იქნებ აჩვენო,
ნუ დაუტოვ თუ არ გეტყვიან რამე ჭკვიანურს,

შენ მე მთავაზობ, ჩემო გვრიტო, დავრჩე ზამთარშიც,
ოღონდ მოვრჩე და შენ ყოველგვარ ტანჯვას აიტან,
მადლიერი ვარ, შენი, ანა, მაგრამ ამ მთაში,
მკაცრი ყინვები იცის აქ და თავს ვერ გავიტან.

სულ მარტო ვარ და მოწყენილი ობოლ ბავშვივით,
აღარც ფული მაქვს, ვალიც კი მაქვს სამი თუმანი,
ფეხსაცმელებიც დამეხა და დაბმულ რაშივით
მსურს ავიწყვიტო და დავტოვო აბასთუმანი,
დროს ვკარგავ მხოლოდ, სნეულების ვარ მე არჩივი,
გული მიგრძნობს და, და მკარნახობს ამას გუმანიც.

შენ არ იდარდო, ჩემო გვრიტო, არავინ იცის,
ბედის ნასროლი ქვა აღმართში სად დაეწევა,
სიცოცხლე, ანა! სიკვდილი კი თუ არ დაიცდის,
ის გადამხდება, ციდან შუბლზე რაც დამეწერა.

დღეს მე კარგად ვარ, მაგრამ ჩვენი ია და ვარდი,
ავად მყავდაო, მეუბნები, ჩვენი მანანა,
უგვან ფიქრთაგან შეპყრობილი მე შეშლილს ვგავდი,
ამ ცნობამ ჩემი გაჩენისა დღეც კი მანანა.

ჩემი მზე, დილით, მხოლოდ თქვენზე ამოდის, ანა,
არ გადვიჩეხო სადმე ბნელში, გზას თქვენს შუქს ვანდობ,
თქვენ ორნი მარად და ლამაზი ჩემი ქვეყანა,
გაფიქრებითაც სიყვარული ფიფქივით მადნობს,
იღბალს ვუმადლი, ამ ხვედრით რომ თქვენს თავს შემყარა,
რომ განაცვალოთ თავი ჩემი, ხმამაღლა ვამბობ,
გულს რომ მითრთოლებს ზეცა ლურჯი და პურის ყანა,
მამულს ვემთხვიო, თქვენ კი მაგრად გაკოცოთ ლადომ.

ჩვენს მანანას მე არ დავაობლებ

ჩემო ანიკო, წამოსვლამდე მე,
ერთხელაც არჩილს გავესინჯები,
წამოვალ თოვლის პირველ მოსვლამდე,
მეყო სხეულის ნემსით ჯიჯგნები.
ერთ ყლუპ წყალს შენი პეშვით მოვსვამდე,
მიჯობს, წამლებით ფუჭად ვირჯები.

გაჯანსაღების დიდ იმედს მაძლევს
ჩემი ექიმი, ძია არჩილი.
„შენ ისეთი ხარ, მტკიცე და გამძლე,
შენთვის ეს, როგორც ჭია და ჩრჩილი,
ახალგაზრდა ხარ, სენს მალე დასძლევ,
ფილტვებზე ჩანსო აქა-იქ ჩრდილი“.

მჯერა ექიმის, მჯერა სიცოცხლე
გაზაფხულის მზით სიკვდილს ამარცხებს,
ღვთის მადლით ის მე, დედა მიცხონდეს,
ადვილად მიწას ვერ დამანარცხებს.

პირობას გაძლევ, ანიკო, ჩემო,
ჩვენს მანანას მე არ დავაობლებ,
მისთვის ვიცოცხლებ, გავზრდით საჩვენოდ,
სიტურფით, ნიჭით რომ გაგვაოგნებს,
დრო რომ მოატანს, სარძლოდ ვაჩვენოთ,
ისეთს, ცხრა ყივჩაღს რომ გააგორებს.

ივლისის ბოლოს, ალბათ, წამოვალ,
სადგურში დამხვდი, საღამოს, ანა,
მე მცირე ბარგით გარეთ გამოვალ
იქ, სადაც რიგში სვეტები დგანან.
ჩვენთვის კი დილით სხვა მზე ამოვა,
ჯერ მხნედ მიწაზე ვდგავარ მე რადგან.

სამი თვე ხდება

ნიკა აგიაშვილს

სამი თვე ხდება... უფრო მეტიც, რაც, ჩემო ნიკა,
აღარ მსმენია შენზე რამე დღევანდელ დღემდე,
მოკითხვას გითვლით მე და ანა, პატარა ჭინკა,
გადავიკითხე, რასაც მწერ და დავწყნარდი შემდეგ.

ფრონტზე ხარ, ნიკა, მე უსაზღვროდ ვწუხდი შენს გამო,
რადგან ომში ხარ, შენი ხმა კი ჩვენ არ გვესმოდა,
ვაი, თუ რამე მოგეწიოს, ეს ფიქრი, ძმაო,
წერილის მერეც ეკალივით გულში მესობა.

მიხარია, რომ მეომარი შემართებით ხარ,
„ჰკა მაგას“, ომში, მტერს ქართველურ რისხვით შესძახებ,
მე კი, ეს ჭირი ფილტვებისა აქ ანთებით მხრავს,
მე შენთან მინდა ალალ გულით, ვფიცავ შენს სახელს.

მე დაწყევლილი, ეს-ეს არის აბასთუმნიდან,
თბილისს დავბრუნდი... მე სიკეთე ჯერ არ მიგრძვნია,
თუ არ გინახავს, ჩემთან ნახავ ამას თუ გინდა,
ჩემში სიცოცხლე და სიკვდილი როგორ იბრძვიან.

ვგრძნობ, აღსასრული, ჩემი მალე დადგება ალბათ,
ლექსებს მაინც ვწერ სიცხიანი ხველა-ხველებით,
თბილისის მზის შუქს და ჰაერსაც ვყლაპავ მე ხარბად,
ცისკენ გაწვდილი, გაყვითლებულ დამჭკნარ ხელებით.

ძმაო ნიკოლოზ, შენ თუ ცოცხალს მე ვეღარ მნახავ,
საფლავთან მოდი, მოაბნიე მიწა ბარდნალის,
იქ მამაჩემის ერქვანით ველს მოძებნი ნახნავს
და ერთი ვარდი ჩემს ქვას დასდე მისი ბაღნარის.

სიჭაბუკეში, როცა უნდა ფეხი შემედგა,
ზეცაში მაშინ დამიწერეს ეს განაჩენი,
როგორც ძმას გთხოვ მე, იმ დღიდან და მის შემდეგაც,
ჩემი მანანა ანუგეშო და ანა ჩემი.

ძმაო ნიკოლოზ

ნიკა აგიაშვილს

ძმაო ნიკოლოზ, შენთვის შორით მსურს შემახედა,
შენს სიჩაუქეს, იარაღით მარიფათობას,
ნეტა მენახე, მტერს როგორი თვალით შეხედავ,
როცა დახედავ თანამებრძოლს მისგან ნათოფარს.

მშვიდსა და კეთილს, ალბათ დაგძლევს შენც მრისხანება,
შურს იძიებ და შენს მოსისხარს ხიშტზე ააგებ,
ვიცი მე კარგად, როგორ იცი კალმის ხმარება,
მაგრამ ვინტოვკა? შენს ხასიათს როგორ მაარგებ?

ჩემს ასავალსა და დასავალს გეტყვი ახლა მე,
ბალადა, ნიკა, „ბასიანი“ ხალხს წავუკითხე,
რადიოთი და ძლივს მივედი ხვნეშით სახლამდე
და ჩემს სალმობას ერთი მაგრად გადავუკურთხე.

დამპირდნენ, ძმაო, მომცრო წიგნი იქნებ გამოვცე,
ნარჩევ ლექსებით: „წინაპრები“ მინდა დავარქვა,
ჩვენს წარსულს, იცი, ვითავისებ, როგორც სამლოცველს,
მქუხარ ლექსებით, მათი ჯიშის მეც ვარ და არ ვთქვა?

გამახალისოს ცოტა იქნებ მისმა გამოსვლამ,
გამიხანგრძლივოს სიცოცხლე მან ორი, სამი წლით,
ჩემთვის იქნება, როგორც ბნელში მთვარის ამოსვლა,
იმედით კი ვარ, მაგრამ, ძმაო, თუ არ გავწბილდი?!

ჩემო ნიკოლოზ, გულით მინდა შენი ჩამოსვლა,
მე გნახო შენ და შენ კი ჩემი ლექსების წიგნი,
ძლიერ დავსუსტდი ხველებისგან, დღეს ან, ძმაო, ხვალ
თბილისთან ახლოს, მე ბედკრული თუ არ დავმიწდი.

აბასთუმანში გადმომცეს მე შენი წერილი

ნიკა აგიაშვილს

აბასთუმანში გადმომცეს მე შენი წერილი,
მისადგომებთან კავკასიის მეომრობ თურმე,
მე, ჯარისკაცი, ოსტროგოჟსკში ჩამოწერილი,
გამოკეტილი ვარ ოთახში და შენი მშურს მე.

თენგინკაში ხარ, ლერმონტოვის პოლკიც მანდ იდგა...
ფიცხელ ბრძოლებში ჩემთვის იცლი, რომ მომიკითხო,
გიმადლი, ძმაო, ჩვენს შორის რომ ძმობაა წმინდა,
შენ ერთი შემრჩი, სად ვინ ვნახო, ვინ მოვიკითხო?
შემომეფანტნენ თითქმის ყველა მეგობართ წრიდან,
მითი ყოფილა ძმაბიჭობა, დღეს, მე რომ მკითხო.

მარტოდ-მარტო ვარ, მგონია, რომ სული ამომძვრა,
ჩრდილიღა დამრჩა საკუთარი ერთგულ მეგობრად,
თითქოს ტყვედ ვყავდე ძუძუმოჭრილ კოლხელ ამორძალს,
რად დავისაჯე? მე ეს ხვედრი რატომ მერგო ბრმად?

აქ, ცხელ წყალს, თურმე განუკურნავს მაკედონელი,
ჩემი ყოფნა კი უნუგეშო ჩანს, ჩემო ნიკა,
არ მყავს ექიმი? ვერ ვიტყვი, რომ მაკლდეს მომვლელი,
რაც დამითესა ბედმა მე, ის უნდა მოვიმკა.

ჩემო ნიკოლოზ, უსაზღვროდ ვარ გულდაწყვეტილი,
ყანობის მთაზე დღესაც რომ ვერ შევძელი ასვლა,
ახლოს მენახა მზე, — სამყაროს ნათლის წერტილი,
აის-დაისში მთებთან მისი ამოსვლა-ჩასვლა.

როგორ მინდოდა, ჩამეხედა ცის სიღრმეებში,
დედამიწისთვის სიმაღლიდან გადამეხედა,
მაშინ ათმაგად და მეტადაც ჩემს სიმღერებში,
ლექსი გულიდან ამოსკდება და გამეხდება,
სიცოცხლის ჟინით შევტოპავდი ოძრხეს ღელეში,
და იყოს ნება განგებისა, რაც გადამხდება.

როგორ მინდოდა შემომევლო ქვეყნიერება,
მენახა რომი, პარიზი და იქნებ მადრიდიც,
ეს იქნებოდა ჩემთვის დიდი ბედნიერება,
ამ ჭირში მყოფი ზენას გულით დავუმადლიდი.

მაგრამ ჩემს თბილისს მთაწმინდიდან როცა დავყურებ,
ტანში მბურძგლავს და ჟრჟოლვა მიპყრობს
და გულს მიძგერებს,
თითქოს ვუყურებ თამარ მეფის ლამაზ საყურეს,
ბრწყინვალებით რომ თვალებს მჭრის
და სუნთქვას მიძნელებს.

ჩამოდი, ნიკა, ძმაო, ცოცხალს მომისწრო იქნებ,
ვიხეტიალოთ ქვეყნად გზებით სულხან-საბასი,
წითელი ღვინით ვუჭახუნოთ ყანწებს და ჭიქებს,
დარდი მოვიკლა, ნუ დამინდობ, თრობამდე მასვი.

ნიკა

ნასა აგასშვილს

ნიკა, თბილისში მარტმა ფეხი უკვე შემოდგა,
გაზაფხულია, თან როგორი, ნეტა იცოდე,
ნუში, ტყემლები, ბარდნალას რომ თეთრად შვენოდა,
მათი სურნელის ერთხელ ყნოსვა ღირდა სიცოცხლედ.

სულ თვალწინ მიდგას უცოდველი ბრმა სიყმაწვილე,
თეთრი თიკნების თუთის ჩრდილში ხტუნვა-კიკინი,
ყველა სიზმარში ანგელოზი იქ მიმაცილებს,
გავიღვიძებ და სული უხმოდ მკერდში მიკივის.

თვალნათლივ ვხედავ გუმარეშის გასათიბ ველებს,
როგორ დავტოპავ ფეხშიშველი ცვრიან ბალახში,
როგორ ვეწაფვი ნამკაშურის კამკამა ღელეს,
პატარა ბიჭი, მუხლებამდე ლაფში, ტალახში.

გაზაფხულია და ბუნებამ გამოიღვიძა,
ახალ სიცოცხლით, რაც მე, ძმაო, გულით მახარებს,
შინაგანმა ხმამ წინათგრძნობის გამო მიბიძგა,
რომ ამ სიცოცხლეს დავეწაფო, ერთობ მახარებს,
რადგან ვატყობ, რომ ჩემი უკვე იქით მიდის გზა,
სხვა გაზაფხული, სხვა სიცოცხლით ვერ გამახარებს.

მზის ამოსვლა და ჭადრის ხიდან შაშვის გალობა,
ჩემი მანანა, ჩიტუნია, ჩემი მზეწვია,
ვნატრობ სიცოცხლის გაგრძელებას, ღვთისგან წყალობას,
აკვანი მისი ძმისა ან დის გადამერწია.

ძმაო ნიკოლოზ, რომ იცოდე ძლივსღა დავღოღავ,
თავს არ გაცოდებ, არ ვწუწუნებ, მიცნობ შენ კარგად,
ლოგინად მწოლი ლექსებსა ვწერ, გულით ვლაღობ და,
სამარის კართან მდგომი მაინც იმედს არ ვკარგავ.

ნიკოლოზ ჩემო

ნუკა აგიაშვილს

ნიკოლოზ ჩემო, დიდად გმადლობ რომ არ მივიწყებ,
მკითხულობ მე და ჩემს მანანას, და ჩემს ანიკოს,
მატყობინებ რომ ტამანისკენ ბრძოლით მიიწევთ,
ვინც ჩაუქია გამარჯვებაც უნდა მოიმკოს.

მე კი, ბოლოჟამს სნეულებამ ერთობ დამჯაბნა,
სიზმრებმა, რაღაც საშინელმა ლამის ჯვარს მაცვან,
ვნახულობ რაღაც კუდიანებს, ეს ვთქვათ ჯანდაბას,
შავოსან ქალებს, შავ ვარდებით, შავი ჩამაცვან...
კაცს, ერთს, შავგრემანს ბრძანებლობენ ახმახს, ჯანმაგარს,
შავ კუბოში მან ჩამაწვინოს ცოცხლად, მამაცად.

ჰოდა, შენი ძმა, ჩემო ნიკა კუბოში ვწევარ,
ჩემს გარშემო კი კელაპტრების რიგი ანთია,
მოჩვენებები როცა სიზმრის მიაღწევს მწერვალს,
კუბოსთან მოდის ჯგრო კატების, ჯერი მათია,
კუბო, კნავილით გამოაბეს კუდზე შავ მწევარს,
მან ყეფით, თითქოს კურდღელს მისდევს ტყე-ღრე მათრია,
მეღვიძება და ოფლში ვცურავ, ვახ! ბედისწერას!
გათენებულა, სარკმელში მზის ათინათია...

რაც მე ავად ვარ, ტანში მზარავს კუბოს დანახვა,
ხვალ, ზეგ ჩემს თავს რომ, მე ჭაბუკი შიგ წარმოვიდგენ,
პასუხს დავეძებ, ასე ბედმა რატომ დამლახვრა,
გმობა მისდამი პირიდან მე არ წარმომდინდეს?
სიცოცხლის წლები გაფურჩქვნისა მხრებზე დამახმა,
ვეღარ ვახარო, რაც არ უნდა გულით მინდოდეს.

სიცხით გათანგულს უძილობის ღამენი მიდგას,
თუ წამთვლემს უმალ საზიზღარი სიზმრები მტანჯავს,
გულით ვგრძნობ უკვე თავთით უფლის მსაჯული მადგას,
მხარზე კვერთხს მადებს და დაჩოქილს მიკითხავს სამსჯავრს.

თუ ასე ადრე დავტოვებდი მე სააქაოს,
თუ ბედ-იღბალი მე განაჩენს ასეთს მიქადდა,
ცხოვრებისადმი ჩემი რისხვა რამ განაქარვოს?
მოსიყვარულე გული, ნიკა, რად გამიქვავდა?
რად სურს, მე, ჭაბუკს, მკვდრის სუდარა გადამაფაროს,
სიცოცხლე, ღმერთო, ნაადრევად რად ჩამიმწარდა?

ჩემო ნიკოლოზ, ამ ჩემს ვარამს მხოლოდ შენ გიმხელ,
ჩემს აღსასრულზე სიტყვა სხვებთან არ წამცდენია,
ცოცხალს მომისწრო, ჩამოდი-თქო იმიტომ გიხმე,
ვიდრე ფოთლები ჩემს ჭადრის ხეს არ დასცვენია,
ვიდრე დარდიმანს, შენს უმცროს ძმას შემორჩა სიმხნე,
ვიდრე ბარძიმი სიცოცხლისა არ დამიცლია.

სოფო მგელაძეს

გაზაფხულია, გაზაფხული სიჭაბუკისა,
გულში სისხლი დუღს მაჭარივით ახალგაზრდული,
მეგობარს ეძებს გულისცემით ხმით ზარ-ბუკისა,
გაშლილ ფურცლებით, როგორც ვარდი შარშან დარგული.

გაზაფხულს მოჰყავს მერცხლები და გუნდი ფრთოსნების,
შესაძლო არის ამ დროს პირველ სიყვარულს შეხვდეს,
თქვენი ლიანა, იმ მამაკაცს თავის ოცნების
ვერ პოულობს და არ უღიმის პირველსავ შემხვედრს.

ლიანა, ნაზი, ლამაზი და ტანად კენარი,
ყოვლად შემკული, მაგრამ ამ დროს ჭარბად ამაყი,
თუ რაინდს ეძებს, უნდა ნახოს მისი მერანი
და რამდენი აქვს მოგებული ჯილდო ყაბახის.

გამოგიტყდებით: მეც ვეძებ ქალს ჩემი ოცნების,
მეგობარს, ჩემი ჭირ-ვარამის გამზიარებელს,
ერთადერთს თხოვნით უფლისადმი, ხატზე ლოცვებით,
ისეთს-სიყვარულს მარადიულს მაზიარებდეს.

ეს თქვენი წიგნი, სიყვარულის, უბეში მიდევს,
შინაგან გრძნობებს მიმძაფრებს და იმედებს მაძლევს,
ნუკრი შევნიშნე ერთი მე და ნაფეხურს მივსდევ,
ცხრა მთას გადვიდეს, მას არ დავთმობ, ყველა ზღვარს დავძლევ.

ჯერ ბავშვი ხარო, სოფო, მწერთ მე, იქნებ ასეა,
ალბათ თუ გულით ოცნებებით და აღტაცებით,
ამგვარ გრძნობების ცეცხლის ღველფით მკერდი სავსეა,
იმ დღიდან, როცა მუზის ღმერთებს ლექსებს ვტაცებდი.

არ მოვხუცდები! ახალგაზრდა ვიქნები მარად!
დრო ჩემს გულს, სოფო, ვერასოდეს ვერ დააბერებს,
გრძნობებით სავსე, შფოთიანი ქარში ზღვის დარად,
ბევრჯერ ჩამითრევს შიგ მე, პოეტს და ამამღერებს.

მადლობელი ვარ, ქალბატონო, დარიგებისთვის,
მაგრამ რა ვუყო ოლიმპოს მზეს, მალე მსურს მივწვდე,
თქვენი რჩევები, როგორც ზურგის ქარი გემისთვის,
წინ მიბიძგებს და ვივლი, რაგინდ თოვდეს და წვიმდეს.

სიკვდილთან ლადო ორ ნაბიჯშია

ომი მძინვარებს, კითხვა ისმის ქალაქში, ვინ-ვის?
მტერი ვოლგასთან დგას ჯარით და სტალინგრადს უტევს,
მკაცრი ზამთარი, ოცდაათი გრადუსი ყინვით,
მძიმე ჭურვებით ვოლგის ქალაქს კარიბჭეს უმტვრევს.

ომში წავიდნენ თბილისიდან დიდი, პატარა,
ლადოს კურსელი მეგობრები, პოეტ-მწერლები,
ვისთანაც დღემდე სანუკვარი წლები ატარა,
წუხდა ძმაბიჭთა დაფანტვით და დანაწევრებით.

ყოფა ბედითი, მარტოობა და სიმძიმილი,
ცოლ-შვილზე ფიქრი გულზე აწევს ქვა და ლოდივით,
არაფერს იმჩნევს, არ განუკრთა პირზე ღიმილი,
დაღლილს ხვალინდელ უკეთესი დღის მოლოდინით.

იცოდა, მალე განკითხვის დღე დაუდგებოდა
და მაინც შიშის თავზარი მას არ დასცემია,
იცოდა, მალე სამარის გზას გაუდგებოდა
და მაინც ცრემლის წვეთი ერთიც არ დასცვენია.

დაუჯერებელ ნებისყოფას, რკინის სიმტკიცეს,
ფლობდა პოეტის ცეცხლოვანი სულიერება,
ხელში მანანას ჩუპლაობით როცა გიმტკიცებს,
ამ მაღალ ვაჟკაცს ვინ იტყვის, რომ სული ელევა.

მხოლოდ მეუღლე, ვაჩნაძეანთ ქალი, ანიკო,
ხველებით, სიცხით, უძილობით, ჭლექით წამებულს,
ხვდება, რომ ცრუობს, რომ ვერავინ ვერ მიმხვდარიყო,
სიკვდილთან ომში მის სიცოცხლეს უკვე წაგებულს.

გულით შეჰხარის აყვავებულ ალუბლებს, ნუშებს,
მეზობლის ბაღში ატმის კვირტი წითლად ყვაოდა,
იხსენებს პოეტს[1], ავადმყოფი ეძებდა ნუგეშს.
იდგა აპრილი, ის ლოგინში ჭლექით კვდებოდა.

ის ახალგაზრდა ღამით ძილში სიზმარში ნახა,
მცივაო, ლადო, ეგ ქურთუკი დამაფარეო,
ვკვდებიო, ბიჭო, მიშრებაო პირი და ხახა,
ქრებაო ჩემი სანთელი და მზე და მთვარეო.

გამოიღვიძა, ცივი ხვითქით სველმა და „ანა“...
ცოლისთვის უნდა ეხმო, მაგრამ შეშინდებაო,
გარეთ გავიდა, მერამდენედ ძილში სატანამ,
ყურში ჩასძახა: ახლა ჯერი შენი დგებაო,
ჯოჯოხეთური წამების და ტანჯვის ამტანმა,
ზეცას შესძახა: მოდი, წინ ვინ დაგიდგებაო,
ჩემი წილ-ხვედრის გოლგოთაზე ჯვარის ამტანმა
არ გთხოვო შვება, ვაჟკაცი ხომ ერთხელ კვდებაო.

1. ლადო იხსენებს, ასევე ჭლექით გარდაცვლილ ახალგაზრდა პოეტს, ვასო ლომიძეს.

მეუღლე ანას, ფეხაკრეფით გარეთ გამოსვლა,
სნეული ქმრისა წუთითაც არ გამოჰპარვია,
ტყდებოდა ღამე, აპირებდა მთვარე ამოსვლას,
სულეთის მაცნე, ცხადლივ ჩანდა, კარს მომდგარია.

იმ ღამით იგრძნო, რომ სიკვდილი ორ ნაბიჯშია,
ჭლექით გარდაცვლილ იმ პოეტის ბედი ეწევა,
ფიქრი გაურბის ცოლ-შვილისკენ, მათი შიში აქვს,
რა ელოდებათ? ვინ დაიცავს, ვინ შეეწევა?

...და ვინ იცის, შიგ რა ჩარჩა...

მალე მიხვდა, ვერ უშველის წამლობა და ექიმობა,
ყოველი დღე, ხვალინდელი, უფრო საშიშ შეიქმნოდა,
ამიტომ მან, დარჩენილი რაც ძალა და ღონე ჰქონდა,
სულ ერთ მუშტში მოაქცია და ცრუ იმედს განეშორა.

სისხლიანი ნახველით და სიცხით სახეშელანძული,
სარეცელი, სასთუმალი მუდამ წოლით შესაძული,
ყურთან შავი ანგელოზი შავ ნაბადში, შავი ნიღბით,
პოეტი კი, მთლად ჭაბუკი შავი ბედით, შავი იღბლით.

მის უძირო, კეთილ გულში დაგროვილი ზღვა სათქმელი,
როგორც ღვინო ქვევრში დუღდეს და ეფაროს ზედ სარქველი,
ამოხეთქოს და შეავსოს ჭიქა, ყანწი და ფიალა,
ისე ლადომ, ავადმყოფმა ლექსი ბევრი აფრიალა,
შედევრები ძარღვიანი: „ხარაბულა“ ფაფრიანა,
და „ბარდნალა,“ ვით ყვავილი გულში ჩაღვრილ თაფლიანა.

რომ მოესწრო თქმა, ჩქარობდა, ქარს ემსგავსა ხარაბულას,
თითქოს უნაგირი ედგას მის ცხენს, ლურჯას „არაბულას“
წერდა, წერდა დაუღლელად „სალაღობოს“ და „ასპინძას“,
ფიროსმანზე და გრანელზე სევდის ლექსები აკინძა,

„ცხრა ძმა ხერხეულიძე“ და „სასაფლაო“ და „სარწყული“
და შიგ თვითონ მთელი გულით მტევანივით ჩაწურული,
ბოლომდე ვერ გადახადა მომაკვდავმა გულს სარქველი
და ვინ იცის, შიგ რა ჩარჩა და რამდენი რამ სათქმელი.

მზე მინდა ვნახო

გადაიქროლეს გაზაფხულის თბილმა ქარებმა,
დააწმინდავეს ღრუბლებისაგან თბილისის ზეცა,
„ჩვენ ვიმარჯვებთო“! და ჩამოჰკრეს ტაძრის ზარებმა...
სულ სხვა სითბოთი გაანათა ივლისის მზემ ცა.
და არც მთვარე შუქს ბნელ ღამისთვის დაიზარებდა,
ცნობა მოჰქონდა ბრძოლებიდან მოფრენილ მერცხალს,
ომში წასულის დედ-მამას რომ გაახარებდა.

ლადო, გრძნობდა რა, აღსასრულის მოახლოებას,
ჯავშანში მჯდარი მხედარივით მუზას ებრძოდა,
არ დაუკარგავს ბობოქარი სულის მხნეობა,
დაბადებიდან ბარდნალაში ბავშვს რომ ებოძა,
ძალას აძლევდა გუმარეშის მწვანე ხეობა,
ადგილის დედა ჰყავდა მას მწედ და დედაბოძად.

ეს ის ძალაა: ნამკაშურის წყალი ნასვამი
მამა-პაპური, თეთრნისკარტა, ლურჯი სარწყულით,
გამაგრებული ჭირსა შიგან სიპი ქვასავით,
შეკრული შუბლით, მტკიცე სახით, არა საწყლურით.

როცა ბოდვამდე აგიჟებდა სიცხის ალმური,
თავით მდგარ სკამზე მშვიდად დებდა რვეულს და კალამს,
მეუღლე, ანა, სათნო, ნაზი და ღრმად ქალური,
ქვითინებს ჩუმად, სიბრალული ცრემლებს ვერ მალავს,
ღამეებს თეთრად, სასთუმალთან ათენებს მრავალს,
ღმერთსა სთხოვს: ჭირი, მის ოთახში შემოპარული,
მოსპოს და ქმარი გამოგლიჯოს სიკვდილს — შავ მტარვალს.

ხატებთან ჯვარცმის, ღვთისმშობლის და ყოვლადწმინდისა
სანთელს ანთებს და ქმრის სიცოცხლეს ზენას ავედრებს,
მანანასაო, ჩემს პატარა ყვავილს მინდვრისა,
ნუ დამიობლებთ, ნუ ჩამაცმევთ მე შავ ხავერდებს,
არ შევღებოვო შავად კაბა, ფერად შინდისა
და გაცვეთამდე ქმრის სიყვარულს მოვახმარებდე,
რატომ, ჭაბუკი მსხვერპლად ლეთას შავი ბინდისა?

ანა, სიცხიან, მომაკვდავ ქმარს თავთით დაუჯდა,
ცივი წყლით სველი პირსახოცი შუბლზე დაადო,
ხედავს: პირ-ბაგე, თვალთა უპე მთლად გაულურჯდა
და გრძნობამ ერთმა, შეშზარავმა გულით დაადნო,
სიკვდილი იყო და შიშისგან ლამის დამუნჯდა,
ცივ, გამჭკნარ ხელებს ეამბორა, ლოყა დაადო,
და გულჩაწყვეტილს ხმით ტირილის ნდომა გაუჩნდა.

ლადომ, მეუღლეს შუქჩამქრალი თვალი მიაპყრო
და შვილთან ერთად თავის გვერდით წარმოიდგინა,
„თავს ვერ გევლებით, ფუჰ! ჩემს იღბალს, — საწოლს მიმაკრო“,
თქვა ხმამაღლა და ერთი მწარედ ამოიგმინა.

„შენ არ იტირო, საყვარელო, ეს ხვედრი მერგო,
ჩემს თავს არ ვჩივი, თქვენზე დარდით გული აქ მრჩება,
ჩემი მანანა, გამეზარდა არ მომცა მე დრო,
ბუნების ძალამ, არც სვე-ბედმა და არც გამჩენმა“.

„მგონი თენდება, გარეთ მინდა, მინდა მზე ვნახო,
ცისკრის ვარსკვლავი, განთიადი, ზეცის კამარა,
ჩვენი მზეწვია გამიღვიძე, ცოცხალი მნახოს,
ხელში ავიყვან, დამაწყნარებს მე სხვა არა რა,
ჩემს გაყინულ გულს ღიმილით რომ ათბობს და ალხობს,
ვნანობ, რომ გტოვებთ, რომ დარჩებით ბედის ამარა,
მინდა, მე კრძალვით უფლის კალთას ხელი რომ ვახლო,
ვკითხო: რა ვცოდე, ჭაბუკი რად დამასამარა?“

ᲐᲦᲐᲠ ᲐᲛᲝᲮᲕᲐᲚ ᲨᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ, ᲛᲖᲔᲝ

თენდებოდა დღე მიწურული თვისა ივლისის,
თაბორის მთიდან უბერავდა გრილი ნიავი,
ვარდისფერებით შეიღება ზეცა თბილისის,
ბეჭედივით კი ზედ ცისკარი ვერცხლად მბზინავი.

მზეც ამოვიდა სანატრელი ცოცხალთა არსთა,
შუქით თანაბრად სამყაროზე გადმოიღვარა,
ლადომ, თითქოს დგას სიცხიანი წყლით სავსე კასრთან,
სურს გაგრილდესო და გულ-მკერდი გადაიღეღა.

მნათობს შეხედა: „ო, ნათელო, სიცოცხლის წყაროვ,
აღარ ამოხვალ დღეის შემდეგ, შენ ჩემთვის, მზეო,
ეგ შუქი უხვად მაფინე მე, გულში წვა მაქვს რომ
გამინელებდეს, დღეს სიკვდილი ჩემზე რომ ზეობს.“

„ო, ღმერთო, რატომ, რატომ ვკვდები, რად არ დამცალდა,
ზეშთაგონებულს, მე სიცოცხლე, ლექსი მეწერა,
მხცოვანებისა, ჭარმაგრობის, ღმერთო, ნაცვლადა,“
საიქიოსკენ მოციქული, შენი, მეწევა.

„შეუბრალებლად, დაუნდობლად, ვით პოეტ გრანელს,
შავი აბადონ დაღუპვისკენ მეც მიმაქანებს,
მათ შევნატრი ვინც, გზა პოეტის ბოლომდე განვლეს
მე, ახალ მგზავრს კი, დამადუმებს და გამაქვავებს.“

„ჩემო ლამაზო საქართველო, შენ გიმღეროდი,
ფიცხელ ბრძოლების მაჩაბელის მყივარ შადიანს,
ცაო, ღრუბლებით ჩემსა ზედა რად იმღვრეოდი?
მზენი, მთვარენი ჩემნი ადრე რატომ ჩადიან?
პაპის ჩონგურით, რუჯით მორთულ ლერწმის ღეროთი,
ვკვდები და მაინც აგიმღერდე დღესაც მწადია.“

„მზეო თბილისის, მზეო ჩემო, ხვალ ვეღარ გნახავ,
გარდავიცვლები, ვეღარ ვნახო ზეცა და მიწა,
წამოგყვე მინდა, იქ ჩავიდე, სადაც შენ ჩახვალ,
ჩემს ჭლექთან ერთად ცოცხლად მინდა შენში ჩავიწვა,
ალი მოედოს მის უჩინარ ბოროტ ხელს მსახვრალს,
ჩვილის აკვანი ამ სენით რომ არსად დაირწას!“

ვკვდები მე, მაგრამ არც ვკვდები

„ვკვდები მე, მაგრამ არც ვკვდები, ცოცხლად ვიქნები მანამდე,
ვიდრე ჯეჯილის ყაყაჩოს ჟუჟუნა წვიმა ნამავდეს,
ვიდრე ამ ყვავილს კრწანისის სხვა უკეთ წარმოაჩენდეს,
თავს მორცხვად ჩემს წინ რატომ ხრის, ვიდრე არ აღმოაჩენდეს.“

„მე არ მოვკვდები, ვიდრე ჩემს ლექსში არაგველების ყიჟინა ისმის,
ვიდრე კრწანისში პატარა კახის ბერდენკა ტყვიას გრიალით ისვრის,
ვიდრე აღათანგ ხერხეულიძის რაში ჭიხვინებს ველზე მარაბდის,
რას მოასწავებს თუ გვეხსომება, მე არ მოვკვდები ვიცი მანამდის.“

„თუ პოეტობა შენი ნებაა, შენი არილი და შარავანდი,
თუ პოეზია ხან ცეცხლია და ბოლოგაშლილი ხან ფარშევანგი,
მეტიც არის და რად არ დამცალდა, უფალო, ფრთები მეც გამეშალა?
ნაოცნებარი ბროლის კოშკები, მე, ჭაბუკს, ღმერთო, რად დამეშალა?“

„მშვიდობით, მზეო, მკათათვის, თაბორის მთაო, მთაწმინდავ,
თბილისის ზეცავ — ეს თქვენით, ჭლექმა სულით ვერ წარწყმინდა,
შენდობას ვითხოვ, სამშობლოვ, ჩემო ხალხო და ქვეყანავ,
რომ ვერ მოვასწარ მომეცა რაც მარგალიტი მეყარა.“

ჩაიბუტბუტა პოეტმა, ცალი მხრით ბოძსმიყრდნობილმა,
ავადმყოფობით შუქჩამქრალ თვალებით ცასმიპყრობილმა,
მობრუნდა, მხრებჩამოყრილი სახლში შევიდა ხანხალით,
გამოფიტული სხეულით, ცივი, ძვლებამდე გამხმარი,

ტახტზე გულაღმა დავარდა მოჭრილი ალვის ხესავით
და უმალ სული აღმოხდა, წამებულს, უფლის ძესავით,
ცხრაას ორმოცდასამის ოცდასამი იდგა ივლისი
ოცდაექვსი წლის ლადოს აცილებდა დედათბილისი.

ძეგლს დაგიდგამდი ქაშვეთთან ახლოს

რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი,
ნაადრევად მოგიშალა ღმერთმა,
ცვედნობა იღბლისა, ოხერ-ტიალის,
იწვნიე განა შენ ერთადერთმა?

იმ დღისით, შენზე, ცა იყო მტირალი,
როცა შენ გიხმო ჭაბუკი ზეშთამ,
რამდენი მგოსანი მთვარედ, მზედ მზირალი,
შენსავით მოჰკლა ჭლექმა და კეთრმა.

შენ პოეზია ვინც შთაგაგონა,
ისიც შენტოლა გარდაიცვალა,
„მერნის“ ჭიხვინის ხმა გაგაგონა
და მერე ცაში გადაინაცვლა,
სურამ შარბათით, შენ დაგაღონა,
გატყდა ხმით, რადგან არ დაიცალა.

თქვენი ხანმოკლე სიცოცხლით ჰგავდით
ცაში კომეტის გაელვებასა,
ჭაბუკობის წლებს ლექსებით სწვავდით
და იქარვებდით სულის ვნებასა.

ორთავ რა ერთი ბედის ყოფილხართ,
შენ, ლადო, ტატო ბარათაშვილო,
სიცოცხლით ჰგავდით ერთხელ თოფის ხმას
და ისიც მარად საშვილიშვილოდ.
ჭაბუკ პოეტებს არც ერთს გაღირსათ
ტკბილი სიბერე ბოროტმა ძალამ,
რა ჯავრი სჭირდა? რატომ დაგრისხათ?
ნორჩი სიცოცხლე რად გამოგძალათ?

უნდა ეცოცხლათ, ღმერთო, ამ ბიჭებს.
ბევრს მოწველიდნენ ღრუბლებს ჯიქნიანს,
ოლიმპოს მთისკენ დგამდნენ ნაბიჯებს,
რამდენს დაწერდნენ ლექსებს ფიქრიანს?

დღეს რუსთაველზე, რა საწყენია,
თქვენი ბადალი ცოტა თუ დადის,
არა და, ლექსი დასაწერია
ვეფხვის და მოყმის მომავლისადმი,
წინ წასული დრო დასაწევია
დრო, მუხანათი სწრაფი და ცვლადი.

მერანიც, კვლავაც გასახედნია
ბრძოლის ყიჟინით და შადიანით,
სამშობლო მტრისგან დასახსნელია
მარად ბედკრული და შავდღიანი,
რატომ დუმს მუზა? ასახსნელია,
ეს ნიმფა ჭრელი, დღეს დაღიანი.

ძალა შემწევდეს, ლადო, მე ნაღდად,
ძეგლს დაგიდგამდი ქაშვეთთან ახლოს,
ფეხთა წინ ასფალტს ვაქცევდი ბაღად
ყაყაჩოებით, გამვლელმა ნახოს,

ქვაშიც ჭაბუკი თავს გრძნობდე ლაღად,
მხიარული და ამაყი გნახონ,
ლექსს სჭირდებოდი, არ გრძნობდი დაღლას
და მტკიცე სულით სენს კალმით ამხობ,
ამოვა მთვარე, დაიწყებს ღაღადს
და ლექსს „ბარდნალას“ შენის ხმით ამბობს.

2018 წ. დეკემბერი — 2019 წ. მარტი, თბილისი

ნაყოფს ვერ ვწვდები

მე ვერ დავტკბები იმ ბლის ნაყოფით
ბაღში, რომ დავრგე, გულით ვახარე,
კენწეროს მივწვდე ძალა არ მყოფნის,
არადა, მინდა, დღესვე, ახლავე
ვიგემო ჩემი კუთვნი აწმყოში,
ვიდრე მატლები ნაყოფს დახრავენ.

ბლებმა, წვეროში, ქალი ლამაზის
ტუჩის გემოთი ტკობა იციან,
იმ ვნებით მინდა თუნდაც სამასგზის
ლექსი მეც მწერდეს, როგორც ტიციანს,
პეპლების, მერცხლის, ფრთებით გავაზის,
მწერდეს გონზე მყოფს, ისე სიცხიანს,
იის სინაზით, ბრჭყალით ავაზის,
მე ასე მინდა, ასე მიცვნია!

ბლის კუნწულები, წვერში რაც უფრო
მზესთან ახლოა, ტკბობა იციან,
მეც არ დამინდობს ვიცი, საწუთრო,
ლექსით დაწერილს, როგორც ტიციანს.

თუ არ ჩამოჰკრავს ჩემზე სამწუხრო
ზარებს, არავინ განიკიცხვიან,
ღმერთმა ისინიც ციდან აკურთხოს,
ვინც მე არ მიცნო — არც მე მიცვნია!

ვნანობ — ვერ ვწვდები ჩემი ბლის ნაყოფს,
ვიდრე მკვდარს ხელში კალმით მნახავენ,
ვიდრე ჩემს სხეულს და ჩემს წილ აწმყოს
რუხი მგლებივით წლები დახრავენ.

29. 05. 2016 წ.



ჩემს წინ ბნელ ფარდას...

შემომეფანტნენ მეგობრები, როგორც მეცხვარეს
მგლისგან დამფრთხალი თხა-ცხვარ-ბატკანი,
დრომ იძალადა! ეულივით დავრჩი ერთ მხარეს,
იქით მხარეს კი, თითო კაცად ყველა მათგანი.
რა მანუგეშებს? მათ გარეშე, რა გამახარებს?
ისედაც მწუხარს, რით მექნება გული გამთბარი?

ჩვენ შორის ჩადგნენ ძნელი წლების ქარტეხილები,
ყრმობის მეგობარს, რას არ ვცდილობ, ერთს მაინც შევხვდე,
ფიქრები ჩემში, ყეფა-ყეფით ატეხილები,
ნისლით ბურავენ ჯერ ისედაც ბუნდოვან ჩემს ხვედრს.

„ვაჰ, დრონი, დრონი“... ჩამოშვებულ ჩემ წინ ბნელ ფარდას,
საით „წარილტვნენ“ — კითხვად აზის შანთით ტვიფარი,
წარსული ჩემი, არა ჰგავდა მზით ნაქსოვ ფარდაგს
და მაინც სული მას მიჰყივის, როგორც ციცარი!
„მტკბარად“ თუ „მწარად“, დრო, „ნაგემნი“ თუმც მხრებზე მადგას,
ვერ გავწვდი თვალით; მან ვერ მიცნო, მე კი ვიცანი...

15 დეკემბერი 2019 წ. თბილისი

მომასწრე

ნუ მითვალთვალებ, ნუ დამდევ,
სიკვდილო, ასეთ-ისეთო,
გადავხნა მიწა გულამდე,
ხორბალიც მივთეს-მოვთესო.

ალადასტური ვახარო,
ბუდეშურ-რქაწითელები.
მოვხუცდე, თავი დავხარო
უფლისკენ გაწვდილ ხელებით.

მომასწრე მამულ-დედულის
მზესავით გაბრწყინებასა,
აბჯარში იჯდეს მხედრულით
ტაიჭით ნება-ნებასა.

მომასწრე ენგურ-ლიახვში
მურწა-კალმახის ჭერასა
და მერე, შენს ბნელ წიაღში
დავფლავ ჩემს ბედისწერასა.

ისე ნუ მომკლავ არ ვნახო
მტერზედა გამარჯვებანი,
მეც დავცხო ჩემი შალახო
დოლით, სტვირით და ებანით.

ჯერ ჩემმა ორბმა იყივლოს,
დამიფრთხოს ყვავი, ძერანი,
მერე კი მოდი, სიკვდილო,
მოიღე ჩემზე ძლევანი.

უცნობ ქალს

რა ვნებიანი ბაგე გაქვს,
გიშრისთმიანო ქალაო,
ლიახვისა და ალაზნის
ღელე-ღულების ქარაო.

მაღელვებ, როგორც ნიავი
მოტირალ ტირიფს ჭალაში,
ვენაცვლე მაგ შენს საროს ტანს
წელის მიმოხრა-გავლაში.

ნეტავი ცხადლივ თუ არა,
სიზმარში მაინც გეტრფოდე,
შენს ელვარე ტანს, ძუძუ-მკერდს
მხოლოდ და მხოლოდ მე ვფლობდე.

ვინ არის შენი პატრონი,
რა განძს ფლობს, ნეტა, თუ იცის?
დღემდე როგორ არ მოუკლავს
მაგ შენს ღიმილსა და სიცილს.

ნეტა მაჩვენა სიზმარი
ცხენსა საღარას ვხედნიდე,
ლაგამს კვნეტავდეს იაბო,
ვდგებოდე ბეწვის მე ხიდზე.

შემოგისვამდი, ქალაო,
მორახტულ უნაგირზედა,
შენ გახდებოდი, ვიცი მე
ჩემი დაღუპვის მიზეზად.

ჩემმა ძზემ, მოგიტაცებდი,
აღარსად შემხვდე, ქალაო,
ლიახვისა და ალაზნის
ღელე-ღულების ქარაო.

ლაზარობა

სხვაც მახსოვს ზაფხულის ასეთი გვალვები,
ასეთი სიცხე და ხვატი,
ლამის ჩამოგვიჭკნა თუთები, ალვები,
თითქოს გაგვიწყრაო ხატი.

თვეები დიოდა, წვიმის ერთი წვეთიც
არ ვარდებოდა ციდან.
ძლივს მოწანწკარებდა ხევის დანაწრეტი,
ერედვის მცხეთისჯვრის მთიდან.

მახსოვს, წარმართულად, თამამი ქალები
დაშლიგინობდნენ ხევ-ხევ,
ღმერთს ავდარს შესთხოვდნენ ცრემლიან თვალებით,
გვერდებში ირტყამდნენ ხელებს.

აღარ გვინდაო, უფალო გოროხი,
მოგვეცი ახლა ტალახი,
ველ-მინდორს გვალვისგან გადამწვარს, მოგოხილს,
ფარავდეს ყანა და ბალახი.

კაცები, მწნილით და ღვინით და არაყით
ეკლესიაში თვრებოდნენ.
სალოცავს გარშემო უვლიდნენ მალაყით,
მერე კი წყალობას ღმერთს სთხოვდნენ.

ქალები სველ კაბებს მზის გულზე იშრობდნენ,
გულ-მკერდს არიდებდნენ კაცებს,
და-ძმობით იყვნენ და მაინც შიშობდნენ:
იცოდნენ მათ ქალის, რაც კაცს თვალს სტაცებს.

ივლისი-აგვისტო 2005 წ.
ერედვი

ჩემი ლექსები

ვიცი, ვერ დავტკბები იმ ხილის ნაყოფით,
ბაღჩაში რომ დავრგე, გულით რომ ვახარე,
ვფიქრობდი მაშინაც, ახლაც ვარ ამ ყოფით,
ნაყოფს მე ვიგემებ? ჭიები დახრავენ?

მთვარიან ღამეში ვეძებდი ჩემ ვარსკვლავს,
მაგრამ ვერ მივაგნე სად კრთოდა, სად ენთო.
აქ, დედამიწაზე, მე მხოლოდ ესა მკლავს:
სული მომებრუნა და გული გამეთბო.
ვერ მივაკვლიე იმ მღვიმის ვერსად კვალს,
სახელზე ღვთისადა სანთელი დამენთო.

ყველა კაცს ფორტუნა არ სწყალობს, ვიცოდი
და მაინც ვიბრძოდი მეპოვნა მე, სადღაც,
ღვთაება ყოფილა, მე კი არ ვიცნობდი,
არ შემიწყალებდა, რაც უნდა მეცადა.

სევდას და სინანულს ეს წიგნი მომგვრის მე,
ბაღში ალუბლის ხედ გულით რომ ვახარე,
ერთხელ, ღმერთს შევძახებ ხმამაღლა, როდისმე,
„უფალო, მის ნაყოფს გემოთი ვნახავ მე?“

04.12.2005 წ.

ნეტა თუ ახსოვთ

ნარიყალადან, კრწანისის ველი
და არაგველთა კოჰორტა მოჩანს,
ყივილი მესმის ძარღვებში ძველი:
„ფიცი ითქვა და აქ ვკვდებით, მორჩა!“

იქ ყველა არის ჭიუხის ვეფხვი,
წამოფრენილი მოყმე სამასი,
მტერს თავს დაატყდნენ, ვით ციდან მეხი
და გასჭრეს ცხენ-კაცს სამჯერ ას-ასი.

საჭურისი, აღა-მაჰმად-ხანი
წინ მოუძღვის ირანელთა ურდოს,
ვაი თბილისს — იქ ვეღარ სჭრის ხმალი,
სად ღალატი ასპიტივით ბუდობს.

ნარიყალადან მეტეხი მოჩანს
და მტკვარი სათქმელს ბევრს რომ მიმალავს,
ხანი სვამს სისხლით ავსებულ ტოლჩას,
მთვრალი ღმერთს უხმობს: „ალლაჰ, ილალლაჰ“.

მეფის აშუღი, საიათნოვა
მონღოლურ მშვილდის ისრით განწონეს,
ნახევარმთვარე ღამით ამოვა
და მკვლელი მაჰმადს თავს მოაწონებს.

ჯერ კი, ერეკლეს, ამოწვართული
გველისპირული ელვით ელავდა,
„ჰკა, წუნკლებს!“ ყივის მეფის ქართული
და მტერს, ვით ძეძვს და ეკლებს ცელავდა.

მაგრამ აღმართი, მხოლოდ თუ ძალით,
მხოლოდ თუ ჯურხა ხარებით იხვნის,
ერთად დააცვდა რკინა თუ ძვალი
მეფეს და მიხვდა: თბილისს ვერ იხსნის.

ძლივს აკავებდნენ, ერთი ასისა
გამჩეხი მეფე, სიკვდილს ეძებდა,
ღმერთო, ვინ სჯაბნის? ფასი ხანისა
ძაღლები ჰყავდა მწყერზე მეძებრად.

„ჰაი, დედასა!“ ვინ საჭურისი
და ვინ მე, ეს კი ღმერთმა განსაჯოს,
ისიც: მამულის შვილი, უღირსი
ვინც განერიდა ამ ომს — დასაჯოს!

მეფემ გულ-მკერდზე მჯიღი დაიცა,
სასოწარკვეთილს გმინვა აღმოხდა,
ჭვრეტდა: მამული, დღეს ვერ დაიცვა?
ხვალისთვის ელის სულის ამოხდა.

დედა-თბილისი, კრწანისის ველი,
ჟუჟუნა წვიმაით ცამ დაიტირა.
ციხე დაეცა გამცემლის ხელით
და სისხლი მტკვარმაც ვერ დაიტია.
ტრაქტატს ხელს აწერს მეფე კახეთის
და საქართველო ზღვამ აიტივა.
უფრო ვერაგმა ქრისტეს სახელით:
„აი, შენ შოლტი, აი, შენ თივა!“

16.08.2016 წ.

საწუთრო

ტყე-ღრე გაუვალი ყოფილა საწუთრო,
სად, გაუმაძღარნი, დაძრწიან ნადირნი,
უფრო საშიში, ღრმად შეხვალ რაც უფრო,
მხარდამხარ თუ არ გყავს მეგზური ნამდვილი.

აკვნიდან არ დამყვა ქუდბედი, ყისმათი,
ჩემს გზას ამ ბაღნარში ეულად მივათრევ,
ჩემს ჭირთა ზიარი, მთვარე მყავს ცის მნათი,
არ მტოვებს, ერთად ვჭამთ საწუთროს თივა-ქერს.

იგი, რაც მეუფის ბაღად ჩანს გარედან,
მჯეროდა, ეკალი არ უნდა ერიოს,
რამდენს შევხვედრივარ გზად, მე ღვთის გარეგანს,
სიმღერა უთქვია: — „ჰერიო, ჰერიო...“
ასეთი ჰყავდეს ძე, ზღაპრებში დარეჯანს?
ნუ გიკვირს, თმებში რომ ჭაღარა გერიოს.

19.06.2016 წ.

ზამთარი მიდგას

ზამთარი მიდგას, ცივი ზეცა, მზე დაშრეტილი,
ბუხრის კუნძივით მხრჩოლავ ფიქრებს ვეღარ ვიშორებ,
ცა, ნისლიანი, მზე, შიგ ცივი ნათლის წერტილი,
ხილული, მაგრამ მიუწვდომი, მკაცრი სიშორე.

მინდა, თან გავყვე მზეს, მარადის ნათლის მწყურვალი,
როგორც სოდომის აუზის წყლით თვალახელილი,
მე, აბნეული — დე, კაცთაგან განმსჯის ნურვინ,
ამ ცივი მზითაც ნებიერ ვარ და დალხენილი.

ეს ცეცხლის დისკო მალე ბნელში ჩამეძირება,
მე კი, აღარ მსურს, მთვარის შუქზე ჭოტმა მიკივლოს,
ჩემ ჭრელ აკვანთან ტკბილი ძილით ჩამეძინება,
ვერ გავიღვიძებ, ცხრა მამალმაც ერთად მიყივლოს.

13.06.2016 წ.

ჩამითრიოს მაშინ ლექსმა

ვცადე და ვერ დავანებე,
ჩამითრია ისევ ლექსმა,
ჩემი გულის სავანებელს
ერთხელ ღვინის თასით შესმაც
მე გამიხდის სანანებელს —
გაჭენებულ რაშზე შემსვამს
და ვინ, ან რა გაანელებს
ჩემ ცხელ გულს და ჟინსა ჩემსას?

დეზს ვკრავ ულაყს, გავაქროლებ,
გადავირბენ მტკვრისპირ ჭალებს,
გულში ცეცხლის ჩამაქრობელ
თუ მივაგენ ბაკქელ ქალებს,

ნაბადიც რომ არა მქონდეს,
ერთს, მკერდსავსე, ცისფერ თვალებს
გავიტაცებ, თუ დაღონდეს,
გაწვალდება, გამაწვალებს.

სანანებლად რა გახდება,
ნუთუ ღვინის ჯამით შესმა?
თუ ოცნება არ ახდება,
ჩამითრიოს მაშინ ლექსმა.
ჩემი გული განახლდება,
კვებოს სისხლით ყრმობის ფესვმა
და რაც სულში ჩასახლდება,
გამინათოს ელვით ზევსმა,
ლექსით, ქალით, რაც თავს მხდება,
იცის მხოლოდ მკვდარ ორფესმა.

27.11.2015 წ.

ერთადერთს

გროვდება წლები და დრო, თითო დღე-ღამით
სიცოცხლეს, ვერ ვიგებთ, ქურდივით იპარავს,
ხვიმრა მარცვლებით, დოლაბი მღერღავი,
ჩვენი და იმათიც, ვინც დღემდე გვიყვარან.

შემოგვეპარება, მხარ-ბეჭზე მოიგდებს
ერთადერთს და ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეს,
არ გაცდის, ილოცო, გულით რომ მოგინდეს,
ხატის წინ, იმქვეყნად, სული რომ გიცხონდეს.

გროვდება წლები და თანდათან ცივდება
სისხლი და სხეული, გრძნობები, ვნებები,
როგორც შენ, შენს თვალწინ სამყაროც იცვლება,
ბედს შენსას და წილ-ხვედრს მორჩილად ნებდები.

ყრმობის დროინდელი ლოყები ღაჟღაჟა,
საწუთროს ემდური, რა მალე ჩამოჭკნა,
ის ხმალიც ქარქაშში დაბლაგვდა, დაჟანგდა,
ალუდამ მუცალს რომ მხარ-მკლავი არ მოსჭრა.

დაგროვილ წლებში შენ თვალის ჩინს ემდური,
ერთ დროს რომ ცეცხლივით ენთო და ბრწყინავდა,
ჯანიდან იცლება ტანი ეგ მხედრული
და ცეცხლიც ნელ-ნელა ჩაქრა და მინავლდა.

ყოველ მზის ჩასვლისას, წამლეკი ფიქრებით
უყურებ მნათობს და ხვალ შენთვის ამოვა?
თუ სულით ცად ახვალ, ღვთის სტუმრად იქნები,
გიშუქოს გზა, მთვარეც ღრუბლიდან გამოვა.

სიბერე საზვარე ხარივით დაგაბამს,
ელოდო დღითი-დღე სიცოცხლის დასასრულს,
მაცილი სადგარზე ხაშლამის ქვაბს დადგამს,
მოთმენით დაუცდის შენს ბოლო აღსასრულს.
იცი ეს კარგად და გავლილ გზას გაჰყურებ,
წაკითხულ წიგნის ბევრ ფურცელს ვერ იხსენებ,
დღემდე რომ ვერ ჩაწვდი, დღემდე ვერ დახურე,
სამანთან დგახარ და ბედს უნდა მინებდე.

ასი წლის მოხუციც ხალისით არ დათმობ
სიცოცხლეს, ერთ ჯერად, ერთხელ რომ გეძლევა,
მით უფრო, თუ გული ქალ-ღვინით კვლავ გართობს,
ღმერთს სთხოვ ცოტა კიდევ მოგეცეს შეძლება.

15.08.2018 წ.

დაო, ციცინო!

შემოესივნენ შენს აფხაზეთს სტეპის ხვლიკები.
გადამთიელთა ურდოები რუსთა, ჩეჩენთა,
დედაღვთის მიწავ, ბატკანივით როგორ იკვლები,
მოსკოვში კრემლის კედლებთან და გროზნოს მეჩეთთან.

დაგბუგეს ცეცხლით, იავარგყვეს მონღოლებივით,
საკინძე ბევრ ქალს ააგლიჯეს ბარბაროსულად,
მოედვნენ სოფლებს ციმბირული კოღოებივით,
შეხვრიპეს სისხლი — ესეც თქვენი ძმობა რუსულად.

ათას ხუთასი წლების ყოფა აფხაზ-ქართული
გათელეს, სტეპში ამოსვრილი ჩექმის ტალახით.
ცოდვა ესოდენ ჩადენილი კრემლის მართული
წყევლად მიუვათ მამაღმერთის, ქრისტე-ალაჰის.

შენი მიწა და ცა სწყურია ორთავა არწივს,
ცისფერი მთები, ზღვა ლურჯი და ოქროს ნაპირი,
მისი ბრჭყალებით, შენს სამშობლოს რაც სისხლად აწვიმს,
არის სოხუმი, სამაჩაბლო და ცხრა აპრილი.

შენ კი ათასგზის ნაწამებო, დაო, ციცინო,
შეუნდე შენს ძმას, სიკვდილითაც თუ ვერას გახდა,
სხვა გორისაა, ყოველივე მტერმა იცის, რომ
არ დაჩოქილა, არ დამფრთხალა, სულით არ წახდა.

ლუხუმი შესდგა ლაშარზე და სხვა მთებზეც ავა,
იმედი გქონდეს, კოლხის ქალო, დაო, ციცინო,
შენი მიწიდან ბევრი მტერი დრომ გადაგავა,
გადაგვის რუსსაც, „ერთმორწმუნეს“ — ვაი, სირცხვილო!

08.05.2008 წ.
თბილისი

ომის ვეტერანი

სამშობლომ გიხმო და, შენ, ერთი წუთითაც
არ დაფიქრებულხარ, აისხი აბჯარი,
მტერს როგორ დაუხვდი, მოწმეა გუმისთა,
როგორ გადაქელე ჯავშანში ჩამჯდარი.
მეომარს თან გსდევდა უტეხი გულისთქმა,
დაგეცვა მამული, ძვალ-რბილში გამჯდარი.

ვითარცა უხორცო, ტანკების, ზარბაზნის,
სანგარში ჩამჯდარი მტერს იგერიებდი,
იცავდი დიდ მეფის, დავითის საბრძანისს,
ყივჩარის ამჩეხი, შენ იბერიელი.

იბრძოდი ლომივით, სამარეს უთხრიდი
მტერს, საღვთო, საფიცი შენი რომ შელახა,
მუმლივით მოჯრილ მტერს, ქედს როდი უხრიდი,
რომ მათი მხეცობა თვალით არ გენახა.

გულმკერდით იდექი, ზურგი არ აჩვენე,
მამულს მოდებული სტეპების კალია,
ძოვდა ბალახივით მეომრებს ნარჩევებს,
გძლია და ენგურის წყალიც კი დალია.

როდესაც გეძახდა აგვისტოს ომი შენ,
სამშობლოს დაფდაფი, ბუკი და ნაღარა,
მახვილი შენი აქ მტრისა არმოშიშე
ცის ელვად ექცა მტერს — ზღვა სისხლი დაღვარა.

ამ ომშიც დამარცხდი, მაგრამ ვერ გაგტეხა
მტერმა და, დროს უცდი, იყარო მტრის ჯავრი,
რამ უნდა შეგაკრთოს? ისეთმა რა მეხმა,
კვლავაც არ მოირგო ის შენი აბჯარი.

ნათელი იმ ბიჭებს, მამულში სახელი
ვინც, მტერთან სიკვდილით, დატოვა სახსოვრად.
იქნებ შენ მეტის ხარ შავ დღეთა მნახველი?
მაგრამ, ვეტერანო, ცოტას თუ ახსოვხარ!

21.02.2016 წ.

ვიხსენებ რთვლობას

წარსული წლების, მე, ვენახის ვიხსენებ რთვლობას,
გაწამაწიას, მღელვარებას, სიხარულს, ხალისს,
მე იმ დღეებში უჩვეულო გრძნობები მფლობდა,
როგორც უეცრად გამოჩენა საყვარელ ქალის.

მწიფობა ყურძნის, შემოსული ნოემბრის თვეში,
გამონათებას რომ წააგავს ღრუბლიდან მთვარის,
მონატრებული სტუმარივით რომ მოდის ჩვენში
აკიდოებით, ჯაგნებით და ბადაგით მგზავრი.
მოვხდიდი სარქველს, როცა ცისკრის მიხმობდა ზარი,
სასოებით მყოს, უფალს ვთხოვდი ფიალით ხელში,
ვხარობდე გულით, ჩემს სიცოცხლეს ჰქონოდა აზრი.

ვიკარწახებდი შარვლის ტოტებს, ვიბანდი ფეხებს,
პერანგს ღიღინით იდაყვამდე ვიკაპიწებდი,
ვდგებოდი ნავში, თუნგში წვენი ისროდა შხეფებს,
მაწვდიდნენ ჯამით, იმ საათში თავს ვგრძნობდი მეფედ.
ვლოცავდი პროცესს: ნაჟურო, შენ ნუ დამიწყდები,
სულის ცხონებას დედ-მამისას ვთხოვდი ცად ღმერთებს
და შენ, მამულო, არასდროს რომ არ მავიწყდები,
ჩემი გაჩენით, წვეთ სისხლად რომ შენს წიაღს შემრთეს.

წურვის დროს მხრებზე სიყრმის შვილი შემომაცოცეს,
მრავალჟამიერ! ის ძველი დრო დღემდე მაცოცხლებს,
დღემდე იმედით და ალალი გულით მაცხოვრებს.

14.11.2018 წ. თბილისი

მყეფარი

შენ მე ვერ მხედავ
და არც ის იცი,
შენს კარიბჭესთან რომ ვაბივარ
ერთგულ ძაღლივით.
ვითმენ და გიცდი,
ველოდები შენგან ნათლის წყალს,
ვით პურის ყანა წვიმის მოსვლის
ცდაში დაღლილი.

ნეტა იცოდე,
რა ღვედით ვარ გამობმული
შენს ეზოს კარებს.
რა ხმით ვუყეფ ცხვრის ტყავში მგლებს,
ერთგულ ძმებად რომ შემოგვაპარეს,
შენზე, მამულო, აუგის მთქმელებს,
ზორბა ბულდოგებს,
ლეკვებს პატარებს,
ზოგ-ზოგ ქართველებს, არაფრისმქნელებს
და იმათ, გულით ვინც არ გატარებს.

განა ქარავანს გააჩერებს ერთი მყეფარი?
ერთმა კი არა, უნდა ათმა, ასმაც უყეფოს,
ადგილს მიუჩენ ელვასავით სიტყვით მჭექარით,
რომ ვერას გახდეს, მურასავით, რა გინდ გიყეფოს.

1990 წ.

შობა-ახალი წელი

შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩემს მამულეთს, დედულეთს,
ყველა ქართველს, არაქართველს სამშობლოსთვის ერთგულებს,
ყველას, ვინც არ დაიშურებს მისთვის სისხლს და სიცოცხლეს,
ღმერთო, ყველა მიდღეგრძელე, ას წელიწადს მიცოცხლე.

მივულოცავ ქრისტეს შობას სხვა ქვეყნებში წასულებს,
ყველა ქართველს, მათ მონაგარს, პატარებს და ზრდასრულებს,
იქ ხალიჩებს ვინ დაუგებს? იცხოვრებენ ავ-კარგად,
აფერუმ, მას, დედაენას, ვინც შვილს არ დაუკარგავს.

მივულოცავ ყველა სპორტსმენს, დიპლომატს თუ ჯარისკაცს,
მინისტრს, მწერალს, ღვთის მსახურებს წმინდა ნინოს ჯვარითაც,
მას, ვინც საქართველოისი ღირსება რომ დაიცვას,
მუზარადს ხელს წამოავლებს, ჯაჭვის პერანგს ჩაიცვამს.

ყველა დევნილს აფხაზეთის და ცხინვალის ომისა,
მივულოცავ ამ ახალ წელს, დღეს, მაცხოვრის შობისა,
დაუბრუნდეს მათ ეზო-კარს დაკარგული მერცხლები,
რომ შეაშრეთ თვალ-წამწამზე შეუმშრალი ცრემლები.

შობა-ახალ წელს ვულოცავ ლიახველებს, ფრონელებს,
ბზიფ-კოდორელ, ენგურელებს. გული ჩემი რომელ ერთს?
მეც დევნილი მყინვარწვერის მთაზე მინდა ავცოცდე,
ცას შევძახო: ღმერთო, მათი ჭირით, ლხინით მაცოცხლე.

03.31.2018 წ.

მეტროში

მეტროს ვაგონში შემოვიდა ქალი ფანდურით,
„ამოდუღდიო, შე ოხერო, ბედის წყაროვო,
ბრმას მზე მაჩვენე, მიუსაფარს მომეც სადგური,
რომ ცის ქვეშ ყველა ერთნაირად გაახაროვო!“

ის საყვედური დაშრეტილი უპეებიდან
ქალმა სიმღერით, ცრემლი ფანდურს რომ დააღვარა,
სვე-ბედს სწყევლიდა ღილშეუხსნელ უბეებიდან,
ხმა კი, თუმც ნაზი, თითქოს დასცეს ბუკს და ნაღარას.

რა ბრალი ჰქონდა? ამ საწყალმა ვის რა შესცოდა?
რატომ ზის ბნელში, კაეშანი ვის გაუმხილოს?
უფალიც არ ჩანს, იგვიანებს, იქნებ მან ცოტა
მოზილოს მიწა, დანერწყვოს და თვალთ აუხილოს.

ამ უსინათლო ქალბატონის სიმღერამ შემძრა,
ლამის ვიყვირე: შორს კაცთაგან ეს სნეულება,
ლოდივით მძიმე, ისეთი, რომ ტიტანიც ვერ სძრავს.

ლამაზ თითების პეშვში კრძალვით ჩავუდე ხურდა,
იქ ერთი გოგო ბიჭს შავ თვალებს უჟუჟუნებდა,
ლოყები ისე ალანძოდა, ჩანდა, რომ ხურდა.

03.04.2016 წ.

სპირალი

დავბერდი, მაგრამ გული მაქვს
ისევ მგალობელ ჩიტისა,
სათქმელი რაც მაქვს, ის რომ ვთქვა
ჩემი და არა სხვისისა,
რაც განმიცდია, მინახავს
და ის, რაც გადამხდენია,
თუ გაუმხელელს იმარხავს,
თუკი რამ დამილხენია,
გულსა, უთქმელსა, ჭია ხრავს,
ჭირისგან არდამხსნელია.

იყო დრო სისხლის გამშრობი
ნაქორალ-ნაარწივარი,
მე, იმ მკაცრ დროში ნაშობი
ბარტყი, შიმშილით მწივარი,
სიშიშვლე, ყინვა, მლაშობი
მიწა, გარემო მძვინვარი.

თმაჩამოშლილი, მტირალი,
დედა, ქმარ-შვილზე ძაძებში,
ობლობა, გულში მყვირალი
შიშს სთესდა ჩემში, და-ძმებში,
ნაღველი, ოხერტიალი
მსჭვალავდა სულში და ძვლებში.
ომი, ქვემეხთა გრიალი
და ლუკმა პური საძებნი,
ამ უსასრულო სპირალით
დღემდე გული მაქვს ნაძენძი,
ჭიანჭველები სიმრავლით
სულში და გულში ნაძვრენი.

მგალობელია შაშვი და,
მოლაღური და ბულბული,
ვერც ერთი ფრთებს ვერ გაშლიდა
სტკიოდათ რამით თუ გული.
თუ რამ მათ ბუდეს დაშლიდა
ქორი, ან კაცი უგნური,
მათში ჟინს რაღა აშლიდა,
რა ცეცხლის ალის გურგური?

ვისაც ნაწვერალ-ნაცელი
ფეხზე უჩენდა ღუდუდებს,
ობლობის ლუკმა ნაცრემლი
ვინც ჭამა, როდი ღუღუნებს,
არ არის ბავშვი, არც ერთი,
გული არ ამოუდუღდეს.

ვაზი ღვთის ნებით, ჯაგებში,
ობლად რომ ამოიღეროს,
ბედი, ძაღლივით ნაგეში
უყეფდეს, ცრემლად იღვაროს,
ვინ განსჯის? მყოფმა ამ დღეში
წუხილით ამოიმღეროს.

17.02.2017 წ.

მთებო, თქვენს შვილსა...

მთებო, თქვენს შვილსა მცხეთისჯვრისა და,
ჩაბარუხის და ორბოძელასი,
სილაღით ქედნის და მერცხლის ფრთისა,
ხმებით „ჩაკრულო“-„ოროველასი“.
თქვენს კალთებზე რომ ქუჩი კრთის სადღაც,
მისი ყვავილის ნამი შემასვით,
ვფიცავ ზენაარს, ჩემზე მის მადლსაც,
არავინ გნატრობთ, მთანო, ჩემსავით,
რომ ტვირთი ვზიდო მხრებზე რაც მადგას,
გული მიძგერდეს თქვენით, მკვნესარი.

განა მარტო თქვენ? ქართლის მინდვრები,
მე რომ ლექსის თქმის მადლი მაჩუქეს,
მე ისე გნატრობთ, ისე მინდებით,
გული ჩემი რომ ლამის აჩუყდეს.

ისე მინდება თქვენი წყარონი,
როგორც პირგამშრალ მგზავრს უდაბნოსი,
ველარ ვიგუე სხვა სამყარონი,
არ ვარ მე მათი ვარდის დამყნოსი.

როგორ ვნატრობ მე აგვისტოს თვეში,
ჩემო ლიახვო, როგორც კალმახი,

შევცურო შენი ტალღების თქეშში,
თოფს შევუყენო გნოლზე ჩახმახი.
ვაქუხო ერთიც, ადათით, ჩვენში
სუფრასთან ჩემნო, უფლის კარნახით,
სათქვენო შევსვა ღვინო მე პეშვით.

შენს მეტი, ღმერთო, ვინ ჩაიხედავს
ჩემს გულში, როგორ ვნატრობ იმ ზეცას,
ღრუბლიან კალთებს რომ ჩაიხევდა,
ელვით, ქუხილით აფრთხობდა მხეცსაც.
გადიწმინდება? გაიხედავ და
გაბადრავს მთვარეს, აბრწყინებს მზესაც.

ვიდრე გადვივლი ბოლომდე მინდორს
და მივადგები სიცოცხლის სამანს,
თუნდაც ჯანდაგი ვიყო მე იმ დროს,
ამიხდეს ნატვრა, მოვკვდები სანამ.

სიცოცხლეს დავთმობ, ოღონდაც გნახო
ვარდ-ყვავილებით გადაბარდნილი,
არ გყავდეს მტერი საზღვართან ახლოს
ბოროტებაში გადავარდნიილი,
მისგან ჭრილობა შენი მენახოს
ღვთისმშობლის ცრემლით გადაბანილი,
მზე დაგნათოდეს შენ, ჩემო სახლო,
ჟუჟუნა წვიმით პირდაბანილი.

19.01.2015 წ.

წუთისოფელი

ძნელბედობისა რა დიდხანს
ვიარე აღმართ-დაღმართი,
არ დავყრდნობილვარ გზად სხვის მხარს,
თუ რამ ღირს ის ვერ წამართვი...

სისხლის, რაც ძარღვში გადმისხა
ცამ, მართლის, განა წარმართის,
არც მრწამსის დვრიტა გამიხმა —
ჟინით მაცოცხლებს, განა თრთის.
ღირების ყოფნით ძალის ხმა,
კაცურ კაცობის სანათი,
ჩემი, ღვთის ნების მადლის ხმაც
სცადე, მაგრამ ვერ წამართვი.

თუ ჩავჩოქილვარ ხარივით,
სდექ! რიხით შემიძახია,
სტვირით, ჩონგურით, დაირით
მითქვამს, რაც ჩემში მარხია;
თუმც მჩხვლეტდი ეკალ-ნარივით,
წყენა არ შემინახია,
შენი გზად შეყრა შარივით,
ხაფანგია და მახეა.

უწყინარ ჩანდა ცხვარივით,
არადა, ზურგში სახრეა,
უნდოა ბოროტ ქარივით,
ღმერთ იანუსის სახეა,
ვისთვის ანათებს კვარივით,
ვისთვის კი ძმარი მჭახეა,
ზოგისთვის, უფლის ჯვარივით
დედაბოძი და თავხეა.

ამ რუბიკონის გალავნებს
მეგონა, გადავლახავდი,
ცა დილის ნამში გამავლებს
ანგელოზებსაც ვნახავდი,
ერთი ხელს ხელში ჩამავლებს,
პირჯვარსაც გარდვისახავდი,

არ ახდა? არცა ვვალალებ,
გორდა ხმალივით ავფხავდი:
დრო სხვა ომს, ბრძოლას მავალებს,
გულო, შენ თუ არ დაფხავდი,
ყველა მწვერვალზე ავალ მე,
წიქარა ხარით დავხნავდი
მამულს, კვალს ცამდე გავავლებ,
თუ ვერ შევძელ და დავხანდი,
ვალალ მე, მაშინ, ვალალ მე.

13.06.2017

სიკეთე პეშვით

წუთისოფელი მხრებით ვატარე,
ავად თუ კარგად, თეთრად თუ შავად,
არ ამხდენია ერთიც ნატვრა მე,
ამ ილბლით ვიყავ მე ჩემდა თავად.

მხრებით ვატარე წუთისოფელი,
ტკბილ-მწარედ, უნდო, ბალღამნარევი,
ამ ცხოველს, ხუჭუჭ ბეწვით მოფენილს,
ვყავდი კლანჭებში, როგორც კრაველი.

ხორშაკი ქარით, ტოტებხმელ მუხას
დამქროდა, მაგრამ ვერ წამაქცია,
ერთი რამ შემრჩა მე, მისგან მწუხარს:
წვრთნა! — ყრმობიდანვე ქვად რომ მაქცია.

წლები დახვავდნენ, ქვას სიზიფესი
მე ჩემს აღმართზე დღესაც მივათრევ,
ვინ შემიცოდებს? რაც მიზის ფესვში,
ბნელში იმ ჟინით ვეძებ სინათლეს.

ამ დაუნდობელ, ღვარძლიან დროში
სიკეთე მოჩანს პატარა პეშვით,
ის ერთი ბეწვაც თუ გადის დოღში,
ცხენი უკვდება კერატის ეშვით.

25.08.2019, თბილისი

„ოდესმე დიდი“

მურმან ლებანიძეს

შენს ნაფეხურს და ნაკვალევს
დღესაც მე დინჯად მივყვები,
მე, კაცს შენსავით მაწვალებს,
რასაც შენ ლექსად მიყვები.

ტყე-ტყე ძეძვში გზას მივსდევდი,
ტანზე მთის ნისლი მეხვია,
შორიდან შენს ხმას ვისმენდი,
რომ არსად გადამეხვია.

ღრუბლები მოსჩანს საავდრო,
ქედს აქეთ გადმოსულები,
ყორნების ხროვაც ამავდროს,
ჩადრებით გარსმოსილები,
ქრისტეს ჯვრისანიც... რაა, დრო!
გაცოცხლდნენ მკვდარი სულები?
ღმერთო, ამით ვარ ავად რომ
განმრიდე ეს ძაღლგულები.

აღარ მსურს რუკას შენსას დავხედო,
თვალს მეკვრის ლიბრი, გონებას — ბინდი,
ფინიკი გვსურდა, გვექცა შხამ ხედ რომ,
გაიძვერა და უნდობი, ფლიდი,
ეს მერამდენედ? წარსულს გავხედოთ,
დღესაც დაგამცრო „ოდესმე დიდი“.

თუ იყო მონღოლი, თურქი და სპარსელი,
დღეს ჩვენთვის რუსია, მურმანო, „სასჯელი“.
გუშინ აფხაზეთი, ცხინვალი დაუპყრია,
ტურფა საქართველო სამად გაუყვია.

01.09.2019 წ.
თბილისი

ᲨᲔᲜᲪ ᲗᲣ ᲩᲔᲛᲡᲐᲕᲘᲗ

თუ შთამაგონა ლექსი ცის მადლმა,
თუ აკვანივით ჩემში არწია,
ხელგყო ჩემსავით ფიქრმა და დარდმა?
ჩავთვლი, რომ ფუჭად არ მიღვაწია.

თუ ზენამ, ჩემში რაც ჩამაგონა,
ალვის ხესავით ჩემში არხია
და შენც ჩემსავით თუ გაგაგონა,
ლექსში უფლის რა ნება მარხია,
ან აგიტაცა, ან დაგაღონა
ზეცას შესძახებ: „ეს ის მახეა?“
„ალიგიერი, ტიციანი რომ მომაგონა!“
„ხან დაფნის რტო და ხან რომ სახრეა?“

ცით წამოსულმა თუ ჩემმა ლექსმა
შენც სატრფოსავით გული გაგითბო,
სხვა რაღა მინდა? მე, მათმა მწყემსმა,
ველი ამარტის თივად გავთიბო.
ვკვებო, გამიძლო თუ გულის მყესმა,
თეთრ გვირილებით მოვაქათიბო.

თუ ლექსმა, ციდან ნაკარნახევმა,
ჩემმა, შენც ბრძოლის ჟინით აგანთო,

დავიხარჯები განა ნახევრად?
რომ შიგ მე მეტი ცეცხლი დავანთო,
რომ ღირდეს წრთობად, ღირდეს გახედნად,
ზარს სცემდეს, რაც კი მეტი გავა დრო.

თუ მამულისთვის ციდან ღვთის ნებით
მომესმა ლექსი „ქუდზეო კაცი!“
ჩემსავით, თუ შენც, ვით სისხლით ძმები,
მოვახმართ მამულს, ძალა გვაქვს რაც კი,
თუ შევიკვრებით ვით ხორბლის ძნები,
„ჰკა მაგას!“ ჩვენ მტერს დააფრთხობს ხმაც კი,
მაშინ კი, ძმებო, არ არის ძნელი,
დავძრათ მყინვარი, ზეკარის მთაც კი.

სარჩევი

ავტორისაგან. 3

გულიდან ამოძახილი 4

თუ კვლავ სისხლს დაღვრი (პუტინს, ბიძინას) 7

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლო! 11

პრომეთეს ყვავილი 11

ადგილის დედა 13

ვიცი ვიტირებ (ერედვს). 15

მინდა ავმხედრდე 16

მიწიდან აღგვილ ერედვს 17

მე დავბრუნდები 18

მე, მგლოვარს შენზე 20

გინდა, გადარჩე, ძამიკო? 21

ყველა ბრმად ვიძმე 22

მე შენით მაშინ გავწბილდი. 23

კავკასიონზე გადმოფრენილანო, გვირაბითაც გამოფენილანო . . . 24

არ შემხსნა რკინის კარები 26

ეღირსებაო ლუხუმსა

ეღირსებაო ლუხუმსა. 29

ჩემსას რად ეპოტინები? 30

დამწვარი მიწა 32

ჩემო ლიახვო! 33
დუშმანო!. 34
,,და უყურეთ, რომ ქართლში ოსები აღარ შემოიპაროონ‘‘ 36
მე და შენ ბიჭო, ალან! 38
ჯარო, ჰეი, ჰაიდა!. 39
ჩვიდმეტი შინდისელი. 41
მაოხრებელ სტუმარს. 42
მოროდიორთა არმია. 43
ბოროტი ძალა 44
დარეჯანის ძე 46
შენ დაჭრილი ხარ 47
გიორგი ანწუხელიძეს (ცხინვალში ოსი სეპარატისტების მიერ წამებით მოკლულ ქართველ ჯარისკაცს) 48
9 აგვისტო (წვერიახო, თლიაყანა) 49
საფლავს გიტოვებ. 51
მორიელი ("მისაგებელი ცოდვილთა იხილო შენ") 52
ჟურნალ ,,გზის‘‘ გარეკანზე 53
2008 აგვისტო (პუტინს) 54
ოკუპაციის ხაზთან 55
ვინ განმსჯის? 56
ცის ფუფალავ! 57
დრო მკურნალია? 58
გამათბე შენი მზით. 59

წუხილი 60
ჭრილობა. 61
ყველას ჩემსავით დევნილს 62
არ გადაივიწყო 63
ობოლის ცრემლო! 64
იმედი არ მტოვებს 65
ჯიპი – II-102-WW (მე - ♥ - ერედვი) 66
შინ დაბრუნება მინდა 67
ერთხელაც 69
მთავარი საკითხი 70
მიწაო ჩემო! 72
... გოგო-ბიჭებო, სადა ხართ?. 74
გამეცალნონ 75
მხარს ყუმბარმტყორცნი დამადგი 76
ძე ჰყავდა შენი შენს მტერს ზიარად 77
მაშინ მიყვარხარ (ზურაბ ქაფიანიძეს) 79
რად დუმს ჰააგა?. 80
იქ, ზეცაში ღმერთები სდუმან 81
„ბევრი ჯაშუში გვყავს ქართველებს“ (ჯარისკაცი ნაკაშიძე). 82
გულნაკლულობა 82
ცხინვალი. 84
რა რწმენა? რის რწმენა! 84
მიეც პატრუქი. 85

საქართველო 86
პატრიარქი 87
სამდურავი 88
რუსიანობა. 90
მტერსაც კი 91
საშიშ ვარ 92
ქართული სისხლი. 93
ფული, ფული და შუქურა 95
ფრთხილად, ბიჭებო! 97

ვედრება

მე, ადამის შვილს. 99
წლები 99
ცალუღელა ხარ. 100
ჩემო სოფელო! 101
სიცარიელე. 102
მუზავ, სადა ხარ?! 102
სამების ტაძარში 103
უსამშობლო 105
ფოთლების პერანგი 106
აქ ვთქვი ჩურჩულით 107
ვედრება (დედაქართლს) 108
მამულის სული 109
ახალ წელს გილოცავ 110

ჩემო საქართველო! 111
გამოჩნდი ვინ ხარ 112
სხვა სამყაროში 113
შევდივართ 113
თაფლის კასრი და ბუზები 116
„ძმებო, უნდა ვიყიდოთ გაყიდული საქართველო“ 117
დავიგდებ წინ ფურცელს 118
ჭიანი კბილი 119

დაუვიწყარი

დაუვიწყარი 121
მე და შენ 122
რად მიხმე წყაროსთან... 123
განა სხვა რამით.... 124
ტკივილი 125
თუ მუზა მე ხელს არ მიქნევდა 126
იგორებს ვაშლი? 127
წიწამურში (ილიას) 128
მუხრან! 130
ქალი ლამაზი 130
შენ აღარ მოხვალ 131
ვარდობის თვეში ამტყდარი ჟინით. 132
ღვინის მარანში 133
ალალ შენ, შაქრად შენ 135

საბა 136
გულს ამიჩუყებს 137
მომასწრე. 138
შემოდგომა. 139
ქეთევან დედოფალს! 141
მოურავო! 143
იყიდებაო შატილი 144
პოეტთა ერა. 145
მუზას. 146
„მო, მთვარეო, შემიბრალე...“. 147
ცამდე მართალს. 148
ერთსა ისეთსა ამოგთქვამ 149
შვილო, ზურაბ, სადამდის? 151
ძე უფლისა. 152
მარადი ფიქრი. 153
რა მალე 154
ცეკვავდა ვარსკვლავთან 155
უფალო იესო! 156
სვეტიცხოველი. 158
დაგვლოცე, დავით! 159
სტუმარს გავყვები (მეუღლეს) 160
ღმერთო, რაც სხვას არ... 162
ცივ წყაროსთან 164

ერთი ნახვით შემიყვარდი 165
თამადამ ხელი გაშალა 165
მიყვარხარო, იფიცებდი. 168
გიორგობა 169
თუ გულში არ გიზის ვინმე 170
შენი დრო მიდის 171
ვისაც გულის კარს გაუღებ. 172
ქალაუ! 173
ყვავილო! 175
მომიკითხავენ 176
ვიცოდი? 176
იდინოს ასე 177
ნუში 177
ტატო. 178
ცხრა მუზა. 179
თავისუფლების სურნელი 181
მიყვარდა ჩუმად. 184
ცვარი ნამისა 185
ბუნიათიშვილო ხატია! 186
პატარა მოცეკვავე 187
წესი აქვთ იბარტყონ. 188
არ გაუყიდო შვილს მიწა 189
თამაზ! 191

საფიქრალი 192
ძმის ხსოვნას 194
ტოროლა 195
ქალი 196
ანდერძი 197
ილუზია 199
არ გაცთუნოს 200
არ მავიწყდება 201
მჯერა 203
ორწყალშუა 204
საბოლოო გზა 205
იმ ლამაზი დღის გახსენებას 207
რა მიხარია, რა გამახარებს? 208
იმედი 210
მე მხოლოდ ასეთს 211
გული 213
შობის დღეები 1 214
შობის დღეები 2 (ღამე პალატაში) 215
შობის დღეები 3 (ღამე პალატაში) 216
ძმათა ომი 217
ქართული ჭიდაობა 218
გზა საით მიდის? 220
დრო 221

რაც დედის ძუძუს აღარ ვწოვ 223
მიყვარდი, ... 224
ვიყავ შენი მსურველი 224
აი, შენი საქართველო 225
წიგნები. 227
ველარ დავშორდი, ველარ გავცილდი 228
მწუხრის ზარი 230
მელანქოლია 231
ზმანებანი. 231
ყვავილებით წალეკავს 232
პური არსობისა. 233
უნდა აღვსდგეთ. 234
გვერდს არ ამივლის 236
ნარიყალადან. 237
ჩემი ალუბალი 238
მითებში შევალ 239
ბუნიობა 240

რუსთაველზე მოხეტიალე პოეტი

ეძღვნება ლადო ასათიანის დაბადებიდან ას წლისთავს

ლადო. 248
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ 249
ქარი, ქარბუქი. 250
ბარდნალასკენ გამოჰყვები ხაბარულას. 252
ჯარში. 253

...და განმკითხველი მოვა თუ მაინც 255
ჩემი აღმასვლა იწყება 256
მეგობარო (ნელი დუმბაძეს). 257
ლექსად ვარ-მეთქი ქცეული (ნელი დუმბაძეს) 258
მე გაულიმარი დავდივარ უშენოდ 260
უშენოდ ვეღარ ვძლებ 261
ვალიც კი მაქვს სამი თუმანი 262
ჩვენს მანანას მე არ დავაობლებ 264
სამი თვე ხდება (ნიკა აგიაშვილს) 265
ძმაო ნიკოლოზ (ნიკა აგიაშვილს) 266
აბასთუმანში გადმომცეს მე შენი წერილი (ნიკა აგიაშვილს) 267
ნიკა (ნიკა აგიაშვილს) 268
ნიკოლოზ ჩემო (ნიკა აგიაშვილს) 269
სოფო მგელაძეს. 271
სიკვდილთან ლადო ორ ნაბიჯშია 272
...და ვინ იცის, შიგ რა ჩარჩა... 274
მზე მინდა ვნახო 275
აღარ ამოხვალ შენ ჩემთვის, მზეო. 277
ვკვდები მე, მაგრამ არც ვკვდები. 278
ძეგლს დაგიდგამდი ქაშვეთთან ახლოს. 279
ნაყოფს ვერ ვწვდები 281

საწუთრო

ჩემს წინ ბნელ ფარდას.... 284

მომასწრე. 284
უცნობ ქალს 285
ლაზარობა 286
ჩემი ლექსები 287
ნეტა თუ ახსოვთ 288
საწუთრო 290
ზამთარი მიდგას 291
ჩამითრიოს მაშინ ლექსმა 291
ერთადერთს 292
დაო, ციცინო! 294
ომის ვეტერანი 295
ვიხსენებ რთვლობას 296
მყეფარი 297
შობა-ახალი წელი 298
მეტროში. 298
სპირალი 299
მთებო, თქვენს შვილსა... 301
წუთისოფელი 302
სიკეთე პეშვით 304
„ოდესმე დიდი“ (მურმან ლებანიძეს). 305
შენც თუ ჩემსავით 306

ISBN 978-9941-8-1661-1

9 789941 816611 >